

# საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი

გამოცემა №2 / 2018

## კლაუს კრესი

აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების შესახებ

## იონ ელსტერი

კონსტიტუციის შემუშავება და ძალადობა

## კახი სამხარაძე

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ნამდვილი სამართლის კრიმატი კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში

## გივი ლუაშვილი

საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი და 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა

## შოთა ჟობალია

კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მოდელების შედარებითი ანალიზი მოდერნული კონსტიტუციის ნარკვევებიდან

## გიორგი მირიანაშვილი

წევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციებზე ევროპული კავშირის სამართლის უზენაესობის დოქტრინა მელონის საქმის მიხედვით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიმოხილვა

საქართველოს  
საკონსტიტუციო  
სასამართლო

გრიგოლ რობაქიძის  
სახელობის  
უნივერსიტეტი



საქართველოს საკონსტიტუციო  
სასამართლო



გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე:

**ზაზა თავაძე**

სარედაქციო საბჭოს წევრები:

**თეიმურაზ ტულუში  
ანა ფირცხალაშვილი  
ირინე ურუშაძე  
ბესიკ ლოლაძე  
ვახუშტი მენაბდე  
გიორგი ჩხეიძე**

**რედაქტირება, დაკაბადონება - ირინე ურუშაძე**

**სტილისტი - ევა ჩიკაშუა**

**თარგმნა - ირინე ურუშაძე, გიორგი დგებუშაძე, კახი სამხარაძე, ანა ჯაბაური,  
ლევან ნაცვლიშვილი**

**ყდის დიზაინი - მიხეილ სარიშვილი**

ჟურნალში ნაშრომები, გარდა იონ ელსტერის ნაშრომისა, განთავსებულია Creative Commons Attribution (CC BY) 2.0 ლიცენზიით. სალიცენზიო პირობები ხელმისაწვდომია აქ: <https://creativecommons.org/licenses/by/2.0/legalcode>



იონ ელსტერის ნაშრომი, „კონსტიტუციის შექმნის პროცესი და ძალადობა“ განთავსებულია Creative Commons Attribution Non-Commercial ლიცენზიით. სალიცენზიო პირობები ხელმისაწვდომია აქ: <http://creativecommons.org/licenses/by-nc/3.0>.



# სარჩევი

## კლასუს კრესი

### **აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების შესახებ 7**

აბსტრაქტი	7
1. ვერსალი, ნიურნბერგი, ტოკიო და რომი: ხანგრძლივი მოგზაურობის საწყისი ეტაპები	8
2. ლიხტენშტაინის გამოჩენა: პრინსტონი და კამპალა	11
3. კიდევ ერთი დაბრკოლება	14
4. ნიუ-იორკი: საბოლოო ხილვის შენაბელობა	16
5. მიღწევა ხილვის გარეშე: დასამახსოვრებელი ღამე გაეროს სათავო ოფისში	18
6. „უმჯობესია დანებდე, ვიდრე გაბყდე“	20
7. სასამართლო იღებს მართვის მექანიზმს	23
8. ეპილოგი: არასრულყოფილი, თუმცა დროული მიმართვა კატობრიობისადმი	24

## იონ ელსტერი

### **კონსტიტუციის შექმნა და ძალადობა 27**

აბსტრაქტი	27
1. შესავალი	28
2. ამერიკა: ფერმეები და დამფუძნებლები	30
2.1. (ორმაგად) მიტოვებული მოშორებული დასახლებები	31
2.2. ქალაქის ფული და სესხები	35
2.3. წინააღმდეგობა, რეპრესია და უკან დახევა	37
2.4. კონვენტი და კონსტიტუცია	41
3. საფრანგეთი: გლეხები და დეკლარაციები, ჯარისკაცები და ბრბოები	45
3.1. დიდი შიში	46
3.2. ოთხი აგვისტოს ღამე	51
3.3. რევოლუციისთვის ბიძგის მიმცემი კონტრეპოლუცია	55
4. დასკვნა: სამართლიანობა და ეფექტურობა	59

## კახი სამხარაძე

### **ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ნამდვილი სამართლის პრიმატი კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში 65**

აბსტრაქტი	65
1. შესავალი	66
2. კომპეტენციური დავის არსი და საფუძვლები	68
3. კომპეტენციური დავების განხილვის ფარგლები	72

3.1. კომპეტენციური დავის სუბიექტები	72
3.2. კომპეტენციური დავის ობიექტი	75
4. კომპეტენციური დავის განხილვის წესი და გადაწყვეტილების აღსრულება	77
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა	80
6. დასკვნა	83

**ბივი ლუაფვილი**

**საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი და 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა** **87**

აბსტრაქტი	87
1. შესავალი	88
2. კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმების ეროვნული გამოცდილება	88
3. კონსტიტუციის რეფორმის მიერ დავიწყებული მუდმივი ნორმები	90
4. საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის გადასინჯვა	93
5. კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორი სუბიექტები	96
6. კონსტიტუციის ნაწილობრივი და ზოგადი გადასინჯვა	99
7. კონსტიტუციის გადასინჯვის ვადები	100
8. ლობისტური საქმიანობა და საკონსტიტუციო გადასინჯვა	102
9. კონსტიტუციის გადასინჯვის სპანდინავიური მოდელი საქართველოში	103
10. კონსტიტუციის გადასინჯვის გამართივებული წესი	105
11. კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხზე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის განმარტებები	106
11.1. საკანონმდებლო მოსმენების რიგითობის საკითხი	106
11.2. საკანონმდებლო წინადადება და კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივა	107
12. დასკვნა	108

**შოთა ქობალია**

**კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მოდელების შედარებითი ანალიზი მოდერნული კონსტიტუციის ნარკვევებიდან** **111**

აბსტრაქტი	111
1. წინასიტყვაობა	111
2. მოდერნული კონსტიტუცია	112
3. ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მოდელები	114
4. ERGA OMNES ეფექტი და ნეგატიური კანონმდებელი	116
5. კონსტიტუციური კონტროლის სტატუსი	119
6. ინდივიდუალური სარჩელი	120
7. დასკვნა	121

ბიორგი მირიანაშვილი

**წევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციებზე ევროპული კავშირის სამართლის უზენაესობის დოქტრინა მელონის საქმის მიხედვით 123**

აბსტრაქტი	123
1. შესავალი	123
2. საქმის გარემოებები და ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შეკითხვა	125
3. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პასუხი	127
4. დასკვნა	128

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიმოხილვა 129**

აბსტრაქტი	129
-----------	-----

საქართველოს მოქალაქეები – გურა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, ბიორგი თავაძე, ელიზბარ ჯავლიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	129
--	-----

საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ	132
--	-----

სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბავთისტური ეკლესია“ და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	134
--	-----

შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, შპს „კასტელ ჯორჯია“ და სს „წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ	137
---	-----

საქართველოს მოქალაქე ნანა ფარეუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ	140
--	-----

საქართველოს მოქალაქეები – მარინე მიგანდარი, ბიორგი ჩიტიძე და ანა ჯიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	143
--	-----

საქართველოს მოქალაქეები – გურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ	146
---	-----



## აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების შესახებ<sup>2</sup>

### აბსტრაქტი

რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეამ 2017 წლის 15 დეკემბერს, დილაადრიან, ნიუ-იორკში მიიღო გადაწყვეტილება 2018 წლის 17 ივლისიდან აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების შესახებ. ამოქმედების რეზოლუცია მიღებულ იქნა იურისდიქციის რეჟიმის ერთ ასპექტზე გამართული ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, რომელიც აგრესიის დანაშაულზე კამპალის ცვლილებების მიღების შემდეგ დარჩა საკამათო. ნიუ-იორკში მიღწეული შეთანხმება აჯამებს რომისა და კამპალის კონფერენციების სამუშაოს და ასახავს შთაბეჭედავი საუკუნოვანი მოგზაურობის კულმინაციას. ყველა ნაკლოვანების მიუხედავად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ოფისში მიღწეული კონსენსუსი კაცობრიობას უგზავნის დროულ მიმართვას, მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნების მიზნით, ნებისმიერი საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის დროს ძალის გამოყენების აკრძალვის ფუნდამენტური მნიშვნელობის შესახებ.

<sup>1</sup> სისხლის სამართლისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის პროფესორი, დირექტორი, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ინსტიტუტი, კიოლნის უნივერსიტეტი; წევრი, ოქსფორდის საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ჟურნალის სარედაქციო კოლეგია. ავტორი იყო გერმანიის დელეგაციის წევრი აგრესიის დანაშაულის დეფინიციის შექმნის მოლაპარაკებების პროცესში რომის კონფერენციიდან მოყოლებული. ამ ნაშრომს იგი ექსკლუზიურად წერს როგორც მეცნიერი. იგი დიდ მადლობას უხდის ონა ჰეზევეისა და სქოტ შაპიროს ნაშრომის წერის დროს გაწეული ღირებულებული რჩევებისთვის. [claus.kress@uni-koeln.de].

<sup>2</sup> ხელახლა გამოქვეყნებულია ავტორისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის ნებართვით. Claus Kreß; On the Activation of ICC Jurisdiction over the Crime of Aggression, Journal of International Criminal Justice, Volume 16, Issue 1, 1 მარტი 2018, გვ-გვ. 1-17, doi: 10.1093/jicj/mqy007 ეწვიეთ ბმულს: <https://academic.oup.com/jicj/article-abstract/16/1/1/4924915>. გამოყენების ნებართვისთვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ: journals.permissions@oup.com. თარგმანი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა და ავტორი არ არიან პასუხისმგებელი ან რაიმე სახით ანგარიშვალდებული თარგმანის სიზუსტეზე, ამ ხელახალი გამოცემის თარგმანი მომზადებულია გიორგი დგებუაძის მიერ (სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შედარებითი და ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი), შესაბამისად, მის სიზუსტეზე პასუხისმგებელია მთარგმნელი.

## 1. პერსალი, ნიურნბერგი, ტოკიო და რომი: ხანგრძლივი მოგზაურობის საწყისი ეტაპები

1918 წლის ნოემბერში, საარჩევნო კამპანიის დროს სიტყვით გამოსვლისას, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: „ვილაც [...] პასუხისმგებელია ამ ომისთვის, რომელმაც შეიწირა მილიონობით საუკეთესო ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე ევროპაში. ნუთუ არავინ არაა პასუხისმგებელი ამისთვის? თუ ეს ასეა, შემიძლია ვთქვა, რომ ერთი იუსტიცია არსებობს ღარიბი და გლახაკი დამნაშავეებისათვის, ხოლო მეფეებისა და იმპერატორებისათვის - სხვა“.<sup>3</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის გამოსვლამ აუდიტორიის ოვაცია გამოიწვია, იმდროინდელი დიპლომატების პასუხი არ იყო ენთუზიამით აღსავსე. ომის წამომწყებთა პასუხისმგებლობისა და სასჯელთა აღსრულების კომისიამ 1919 წლის 29 მარტის მშვიდობის წინასწარი კონფერენციის ანგარიშში დაასკვნა:

„წინასწარ მოფიქრებული აგრესიული ომი, მშვიდობის საბაბით შენიღბული, შემდეგ მოულოდნელად გამოცხადებული ცრუ მიზეზებით, არის ქმედება, რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერება კიცხავს და რომელსაც ისტორია დაგმობს, მაგრამ ჰააგაში მდებარე ინსტიტუტების წმინდა ფაკულტატიური მიზეზის გამო მშვიდობის შესანარჩუნებლად [...] აგრესიული ომი არ შეიძლება განიხილებოდეს ისეთ აქტად, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება პოზიტიურ სამართალს ან რომელიც წარმატებით გადაეცემა ისეთ ტრიბუნალს, როგორცაა კომისია, უფლებამოსილი, განიხილოს თავისი შეხედულებებისამებრ.“

მე-19 საუკუნეში საერთაშორისო სამართლის აღნიშნულმა გაბატონებულმა შეხედულებამ სახელმწიფოების მიერ ძალის გამოყენების შესახებ, განაპირობა აგრესიული ომის საერთაშორისო კრიმინალიზაციის პირველი პრეცედენტის შექმნის მცდელობის მარცხი.<sup>4</sup> თუმცა ეს მარცხი, ასევე, იყო პროლოგი. პასუხისმგებლობის კომისიამ თავის საკმაოდ მშრალ დასკვნაში მიმართულების შესაძლო ცვლილებაზე მიუთითა: „სასურველია, საერთაშორისო სამართლის ელემენტარული პრინციპების ასეთი მძიმე დარღვევებისათვის გათვალისწინებული იყოს მომავალი სადამსჯელო სანქციები“.

პირველი და მეორე მსოფლიო ომის შუალედში ამ „სურვილის“ შესრულება დაიწყო მეცნიერთა მოძრაობით, რომელმაც პიონერული წვლილი შეიტანა საერთაშორისო სისხლის სამართლის დისციპლინის ჩამოყალიბებაში. კერძოდ, აგრესიის დანაშაულის დასჯადობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ვესპასიან პელას ნაშრომში (1935) *Plan d'un code répressif mondial*. როგორც პელამ წარსულ პერიოდზე აღნიშნა, „სახელმწიფოებმა თით-

<sup>3</sup> ამ ნაშრომის პირველი ნაწილი გამომდინარეობს შემდეგი თავებიდან C. Kreß, "Introduction: The Crime of Aggression and the International Legal Order", წიგნში C. Kreß და S. Barriga (რედ.), "The Crime of Aggression: A Commentary" (2 ტომად, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017), გვ-გვ. 1-18. ბრწყინვალე მონოგრაფია საერთაშორისო მოლაპარაკების ადრეულ ეტაპზე იხ. K. Sellars, "Crimes Against Peace and International Law" (კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013).

<sup>4</sup> აღნიშნული „პირველი მცდელობის“ მკაფიო აღწერის შესახებ იხ. K. Sellars, "The First World War, Wilhelm II and Article 227: The Origin of the Idea of 'Aggression' in International Criminal Law", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 19-48.



ქმის არაფერი გააკეთეს ორი ომის შუალედში საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემის შესაქმნელად“.

ამ დროისთვის კი გაერთიანებული სამეფოც შეუერთდა სკეპტიკოსებს. 1927 წელს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოსტინ ჩემბერლენმა აცნობა თემთა პალატას, რომ აგრესიის დეფინიცია იქნებოდა „უდანაშალოთა ხაფანგი და დამნაშავეთა სახელმძღვანელო“.<sup>5</sup> თუმცა საერთაშორისო სამართლის უფრო ტრადიციულ სახელმწიფოთაშორის დონეზე კელოგ-ბრიანის პაქტმა (რომელიც მთავარი მონაკვეთია შთამბეჭდავი და ამჟამად დიდი განხილვის წიგნის - *The Internationalists*, Oona A. Hathaway, Scott J. Shapiro<sup>6</sup>) საერთაშორისო სამართალში პოზიტიურად აღნიშნა *ius ad bellum* მიდგომიდან *ius contra bellum* წესზე გადასვლა. პაქტის ავტორები უფრო შორს წავიდნენ და დაუპირისპირდნენ იმ იდეას, რომ სამართლებრივი ვალდებულების შესრულებას შეეძლო, როგორც ასეთი, დაედგინა ომის „სამართლიანი მიზეზი“. პაქტი კარგად იქნა აღქმული და ძალაში შევიდა ჯერ კიდევ 1929 წელს. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როდესაც გერმანიის აგრესიული ომების კრიმინალიზაცია გადაწყდა, პაქტი იყო შესაბამისი სახელმძღვანელო სამართლებრივი დოკუმენტი. რა თქმა უნდა, კარგად იყო ცნობილი, რომ პაქტი არ ითვალისწინებდა სადამსჯელო სანქციებს, მაგრამ მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერებს კრეატიული პრეცედენტის შექმნა სურდათ. ნიურნბერგის პროცესის დროს, დიდი ბრიტანეთის მთავარი პროკურორი ჰარტლი შოუკროსი ამ გადაწყვეტილებას გამოხატავდა შემდეგი სიტყვებით: „თუ ეს ინოვაციაა, მაშინ ეს არის ისეთი ინოვაცია, რომელიც მზად ვართ დავიცვათ და დავამკვიდროთ“. აშშ-ის ქარიზმატულმა მთავარმა პროკურორმა რობერტ ჯეკსონმა, რომელიც ამ კრეატიული პრეცედენტის შექმნის პროცესში იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა, გასცა ცნობილი დაპირება: „და მინდა განვმარტო, როცა ეს კანონი პირველად გამოიყენება გერმანელი აგრესორების წინააღმდეგ, თუ იგი ემსახურება სასარგებლო მიზნებს, მან უნდა დაგმოს სხვა ქვეყნების მიერ განხორციელებული აგრესიაც, მათ შორის იმათიც, რომლებიც პროცესზე იმყოფებიან“.

ნიურნბერგში ბრიტანეთის დელეგაციას, რომლის მრჩეველი იყო ჰერშ ლაუტერპაჰტი, რომელიც იმ დროს ყალიბდებოდა საერთაშორისო სამართლის წამყვან სპეციალისტად, შეიძლება მხნედ ეგრძნო თავი ლაუტერპაჰტის დამაჯერებელი განცხადებით, რომელიც ნიურნბერგის პროცესამდე რამდენიმე წლით ადრე წარმოადგინა: „საერთაშორისო საზოგადოების ნებისმიერი სამართალი, რომელიც ღირსია ასეთად იწოდებოდეს, უნდა უარყოფდეს იმ შეხედულებას, რომ ერებს შორის არ შეიძლება განხორციელდეს ისეთი აგრესია, რომელიც მოითხოვს სასჯელს“. დაცვის მხარე გამოეხმაურა კანონიერების პრინციპზე მითითებით. კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰერმან იარაისმა განაცხადა:

„[ლონდონის] ქარტიის რეგულაციები უარყოფს საერთაშორისო სამართლის საფუძვლებს, ის ითვალისწინებს მსოფლიო სახელმწიფოს კანონს. იგი რევოლუციური ხასიათისაა.

<sup>5</sup> ამ ცნობილ ციტატას იყენებს მარტი კოსკენიემი თავის მოსაზრებებში "A Trap for Innocent ...", წიგნში Kreß and Barriga (რედ.), supra 3, გვ.გვ. 1359-1385.

<sup>6</sup> O.A. Hathaway და S.J. Shapiro, "The Internationalists. How a Radical Plan to Outlaw War Remade the World" (Simon & Schuster, 2017).

აღბათ, სხვადასხვა ერს აქვს ოცნება და იმედი, რომ მომავალი ეკუთვნის ამ დებულებებს. იურისტს - და მე აქ შემიძლია ვისაუბრო მხოლოდ ამ სტატუსით - შეუძლია მხოლოდ აღნიშნოს, რომ ისინი ახალია, რევოლუციურად ახალი. სახელმწიფოთა შორის მოქმედი ომისა და მშვიდობის შესახებ კანონები მათთვის არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ამგვარად, ესენია რეტროაქტიული ხასიათის სისხლის სამართლის კანონები.“

თუმცა, როგორც მიახლოებით იყო მოსალოდნელი, 1946 წლის ნიურნბერგის ტრიბუნალის გადაწყვეტილება არსებითად დაეყრდნო ბრალდების შეფასებებს. მკაფიოდ აღინიშნა: „აგრესიული ომის წამოწყება [...] არაა მხოლოდ საერთაშორისო დანაშაული, არამედ იგი უმაღლესი საერთაშორისო დანაშაულია [...]“.<sup>7</sup>

მაშინ, როცა ნიურნბერგისა და მომდევნო ტოკიოს პროცესების გადაწყვეტილებებმა,<sup>8</sup> გაერთიანებული ერების (გაერო) გენერალური ასამბლეის მიერ ნიურნბერგის პრინციპების დადასტურებასთან ერთად, მოახდინა საერთაშორისო სამართალში აგრესიული ომის წარმოების კონცეფციის, როგორც საერთაშორისო დანაშაულის კრისტალიზაცია, მომდევნო რამდენიმე ათწლეულის მოვლენები იყო ორი ომის შუალედში მიმდინარე პროცესების მსგავსი. 1945 წლის გაეროს ქარტიამ ომის აკრძალვა გარდაქმნა ძალის გამოყენების აკრძალვად. ქარტია ცდილობდა განემტკიცებინა ეს უკანასკნელი აკრძალვა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემით, რომელიც უფრო მაღალ ამოცანებს ისახავდა მიზნად, ვიდრე მისი წინამორბედის - ერთა ლიგის 1919 წლის ქარტია. მაგრამ, როცა ამ პრეცედენტებმა შექმნეს უკანონო ძალის გამოყენებისათვის სადამსჯელო სანქციების შესაძლო დაწესების იდეა, ამ სანქციების აღსრულება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) ან ეროვნულ დონეზე, ჯერ კიდევ ამაო იმედი იყო. 1950 წელს, ბერტ როლინგმა, ტოკიოს ტრიბუნალის ჰოლანდიელმა წევრმა, გამოხატა იმ დროის პესიმისტური განწყობა: „აგრესიის საყოველთაოდ აღიარებული დეფინიციის მიღება იქნება საოცარი და ღირსშესანიშნავი მოვლენა“.

1974 წლის მოვლენებმა არ გაამართლა როლინგის მოლოდინი, თუმცა, ამ წლის 14 დეკემბერს, გენერალურმა ასამბლეამ წარმატებით მიიღო თავისი რეზოლუცია 3314<sup>9</sup> კონსენსუსის გზით. მაგრამ უფრო ვიწრო გამოკვლევით, „აგრესიის დეფინიცია“, რომელიც რეზოლუციის დანართშია ჩართული, კონსტრუქციული ორაზროვნებით აღმოჩნდა გაჯერებული.<sup>10</sup> ჩვენი მიზნებისთვის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეთანხმებული ტექსტი განასხვავებდა „აგრესიულ აქტს“ (გაეროს ქარტიის 39-ე მუხლის მიხედვით) და „აგრესიულ ომს“. მხოლოდ უკანასკნელი კონცეფცია იყო პირდაპირ კავშირში ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან საერთაშორისო სამართალში (შეად.

<sup>7</sup> „მშვიდობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე“ ნიურნბერგის განაჩენის ამომწურავი ანალიზი იხ. C. McDougall, "The Crimes against Peace Precedent", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 49-112.

<sup>8</sup> არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტოკიოს განაჩენი, განსხვავებით ნიურნბერგისაგან, ერთსულოვანი არ იყო და „ტოკიოს განსხვავებული აზრები“ აგრესიის დანაშაულის ირგვლივ მიმდინარე ვრცელი დისკუსიის ნაწილია. ამ საკითხის სრული ანალიზისათვის იხ. K. Sellars, "The Legacy of the Tokyo Dissents on "Crimes against Peace"", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 113-141.

<sup>9</sup> გენერალური ასამბლეა, „აგრესიის დეფინიცია“, GA. Res. 3314 (XXIX), 14 დეკემბერი 1974.

<sup>10</sup> დეტალური მიმოხილვისათვის იხ. T. Bruha, "The General Assembly's Definition of the Act of Aggression", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 142-177.

გენერალური ასამბლეის 1974 წლის 3314-ე რეზოლუციის დანართის მე-5(2) მუხლის პირველი წინადადება) და ამ კონცეფციის განსაზღვრის მცდელობა არ ყოფილა.

როლინგის სკეპტიციზმი 1990 წელსაც იყო აქტუალური, როდესაც მსოფლიოში მოხდა საერთაშორისო სისხლის სამართლის *stricto sensu* აღორძინება. საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გლობალური სისტემის ჩამოყალიბების იდეის რენესანსი არ ითვალისწინებდა ნიურნბერგისა და ტოკიოს ისეთ მემკვიდრეობას, როგორცაა „მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“. ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების სტატუტები არც კი შეიცავდა ასეთ დანაშაულს. ბოლო წუთზე მიღწეული კომპრომისის შედეგად, რომელიც შესთავაზეს მიუმხრობლობის მოძრაობის<sup>11</sup> სახელმწიფოებმა,<sup>12</sup> ახლადშექმნილი ICC-ის რომის სტატუტის მე-5(1)(d) მუხლმა მოიცვა „აგრესიის დანაშაული“, როგორც იწოდება იგი ახლა. მაგრამ ამ დებულების მეორე პარაგრაფმა ნათლად აჩვენა, რომ ICC ჯერ არ იყო უფლებამოსილი, გაეგრძელებინა თავისი იურისდიქცია ამ დანაშაულის მიმართ.<sup>13</sup> კიდევ ერთხელ, დანაშაულის დეფინიციაზე ვერ შეთანხმდნენ.<sup>14</sup>

## 2. ლიხტენშტეინის გამოჩენა: პრინსტონი და კამპალა

სახელმწიფოთა უმრავლესობა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არ იყო მზად საერთაშორისო სამართლის დანაშაულების *corpus*, ყველა პრაქტიკული მიზნებისთვის, დაემტკიცებინა აგრესიის დანაშაულის გამოკლებით. 2003 წლიდან<sup>15</sup> გაეროში ლიხტენშტეინის

<sup>11</sup> სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელთა წევრები ოფიციალურად არც ერთ ძალაუფლების ბლოკს არ განეკუთვნებიან. მოძრაობის შექმნის ერთ-ერთი მიზანი იყო დიდ ძალაუფლებას და ბლოკურ პოლიტიკას შეწინააღმდეგებოდნენ (რედაქტორის შენიშვნა).

<sup>12</sup> "Amendments Submitted by the Movement of Non-Aligned Countries to the Bureau Proposal (A/CONF.183/C.1/L.59)", 14 ივლისი 1998, UN Doc. A/CONF.183/C.1/L.75 იხ. S. Barriga და C. Kreß, "The *Travaux Préparatoires* of the Crime of Aggression" (კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012), გვ. 315. აღსანიშნავია, რომ არაბული სახელმწიფოები (და მათ გამორჩეულ დელეგატთა შორის პროფესორი მუჰამედ აზიზ შუკრი დამასკოს უნივერსიტეტიდან, ცალკე გამოყოფას იმსახურებს) განსაკუთრებით აქტიურად უჭერდნენ მხარს ამ ძალიან მნიშვნელოვან, ბოლო წუთის დიპლომატიურ აქტივობას. დღეს კი არაბული სახელმწიფოები, იმედია, გაიხსენებენ, რაც არაერთხელ განუცხადებიათ, რომ სასამართლოს მიერ აგრესიის დანაშაულზე იურისდიქციის განხორციელების ძალაუფლების არარსებობა მათთვის წარმოადგენდა მთავარ დამაბრკოლებელ გარემოებას ICC-ის სტატუტის რატიფიცირებაში. არაბული სახელმწიფოების პოლიტიკური პოზიციების დეტალური ანალიზი იხ. M.M. El Zeidy, "The Arab World", წიგნში Kreß და Barriga (რედ), supra 3, გვ-გვ. 960-992.

<sup>13</sup> რომის კონფერენციის საბოლოო აქტის (UN Doc. A/CONF.183/13, 17 ივლისი 1998, იხ. Barriga და Kreß, supra 12, გვ. 331) მე-7 პარაგრაფით, მოსამზადებელ კომისიას ასევე მიენიჭა მანდატი, მოემზადებინა „აგრესიის დანაშაულზე მისაღები ნორმა სტატუტში ჩასამატებლად“.

<sup>14</sup> რომის კონფერენციაზე მიმდინარე მოლაპარაკებების დეტალური მიმოხილვისათვის იხ. R.S. Clark, "Negotiations on the Rome Statute", წიგნში Kreß და Barriga (რედ), supra 3, გვ-გვ. 244-270. 1995 წლიდან 1998 წლამდე მიმდინარე დისკუსიებისა და პროექტების დოკუმენტაცია იხ. Barriga და Kreß, supra 12, გვ-გვ. 201-331.

<sup>15</sup> 1998-2002 წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი არ შეინიშნება. ამ წლების მანძილზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ იხ. R.S. Clark, "Rethinking Aggression as a Crime and Formulating Its Elements: The Final Work-Product of the Preparatory Commission for the International Criminal Court", 15 *Leiden Journal of*

მუდმივი წარმომადგენელი, ელჩი კრისტიან ვენავესერი და მისი მთავარი მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში, სტეფან ბარიგა, არაერთი გამოჩენილი პიროვნების მხარდაჭერით, მათ შორის, პირველ რიგში, ნიურნბერგის ქარიზმატული პროკურორი ბენჯამინ ფერენცი<sup>16</sup> და იორდანის<sup>17</sup> არანაკლებ ქარიზმატული დიპლომატი (და 2014 წლიდან ადამიანის უფლებების საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისარი), ელჩი პრინცი ზეიდ რაად ალ ჰუსეინი დაულალავად მუშაობდნენ, რომ გაეხმოვანებინათ განწყობა და მიეცათ ბიძგი იმ ცვლილებებისთვის, რომლის მიღებაც, საბოლოო ჯამში, შეუძლებლად მიიჩნეოდა.<sup>18</sup>

2009 წლისთვის, ICC-ის მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის (ASP) დაქვემდებარებული ორგანოს - აგრესიის დანაშაულზე სპეციალური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, შეიქმნა დანაშაულის ძირითადი დეფინიციის ერთსულოვანი პროექტი.<sup>19</sup> ეს შეთანხმება აღმოჩნდა ძლიერი, მიუხედავად იმისა, რომ აშშ დაუბრუნდა მოლაპარაკებების მაგიდას.<sup>20</sup> დეფინიცია შემდეგნაირად იკითხებოდა: „ამ წესდების გაგებით, 'აგრესიის დანაშაული' ნიშნავს აგრესიის აქტის დაგეგმვას, მომზადებას, წამოწყებას ან განხორციელებას იმ პირის მიერ, რომელსაც თავისი მდგომარეობით შესწევს უნარი ფაქტობრივად განახორციელოს სახელ-

---

International Law (2002), გვ-გვ. 859-890, ასევე დოკუმენტირებულია წიგნში Barriga და Kreß, supra 12, გვ-გვ. 334-419.

<sup>16</sup> ბ.ბ. ფერენცის მონუმენტური დოკუმენტაცია კარგადაა ცნობილი ნაშრომში: "Defining International Aggression - The Search for World Peace: A Documentary History and Analysis" (2 ტომი, Oceana Publications, 1975). მისი პირადი მოკონტები იხ. B.B. Ferencz, "Epilogue. The Long Journey to Kampala: A Personal Memoir", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 1501-1519. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბენის ვაჟმა, პროფესორმა დონალდ ფერენცმა, აგრესიის პრევენციის გლობალური ინსტიტუტის დამაარსებელმა, განაგრძო ეს საქმიანობა და უდიდესი წვლილი შეიტანა მოლაპარაკებების პროცესში, განსაკუთრებით უკანასკნელ ფაზაში. დონალდის მოსაზრებებზე აგრესიის დანაშაულზე ICC-ის იურისდიქციის გააქტიურების შესახებ იხ. D.M. Ferencz, "Aggression Is No Longer a Crime in Limbo", FICHL Policy Brief Series No. 88 (2018).

<sup>17</sup> იორდანია განაგრძო აქტიური და კონსტრუქციული როლის თამაში მოლაპარაკებების პროცესში, განსაკუთრებით კი 2017 წლის დეკემბერში, ნიუ-იორკში გამართულ მოლაპარაკებებზე.

<sup>18</sup> 2003-2008 წლების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი (და ამავდროულად გამჭვირვალე) დისკუსიები, რომელთა მნიშვნელოვანი წილი პრინსტონის უნივერსიტეტის შესანიშნავ ბაზაზე გაიმართა (და, შესაბამისად, ხშირად მოიხსენიება, როგორც „პრინსტონის პროცესი“) და რომლებიც არაჩვეულებრივად წარმართა ლიხტენშტეინის თვითგამორკვევის ინსტიტუტის მასპინძლობით ვუდრო უილსონის სკოლაში, დოკუმენტირებულია წიგნში Barriga და Kreß, supra 12, გვ-გვ. 422-724. საკმაოდ კრიტიკული სამეცნიერო შეფასება მონოგრაფიის სახით იხ. O. Solera, "Defining the Crime of Aggression" (Cameron May, 2007); ამ საკითხზე ფრანგულ ენაზე შესრულებული მონოგრაფია იხ. M. Kamto, "L'agression en droit international" (Editions A. Pedone, 2010).

<sup>19</sup> მთავარი დეფინიციის პროექტი მალე შეივსო აგრესიის დანაშაულის ელემენტების პროექტით. ავსტრალია და სამოა ამ დოკუმენტის შემუშავებაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რამდენადაც მათ წარადგინეს „2009 წლის მარტის მონტრეს ელემენტების პროექტი“. ამ მოლაპარაკებების დეტალურ ანგარიშზე, ავსტრალიელი მომლაპარაკებლების მიერ დაწერილი თავი იხ. F. Anggadi, G. French და J. Potter, "Negotiating the Elements of the Crime of Aggression", წიგნში Barriga და Kreß, supra 12, გვ-გვ. 58-80.

<sup>20</sup> კამპალაში ძირითადი დეფინიცია გახდა მსჯელობის საგანი (მხოლოდ) იმ მოცულობით, რომ აშშ-ის დელეგაციამ წარადგინა გარკვეული „მოსაზრებები“ ამ განმარტების თაობაზე (აშშ-ის პროექტის ფორმულირების შესახებ იხ. Barriga და Kreß, supra 12, გვ-გვ. 751-752). ფაქტი, რომ ბოლო ღია საკითხი გადაწყდა საუბრის დასასრულს, რამაც აშშ განაწყობა ირანის საწინააღმდეგოდ, ამ ნაშრომში განხილული ხანგრძლივი მოგზაურობის კიდევ ერთი აღსანიშნავი ელემენტია. დეტალური მიმოხილვისათვის იხ. C. Kreß et al., "Negotiating the Understandings on the Crime of Aggression", წიგნში Barriga და Kreß (რედ.), supra 12, გვ-გვ. 81-97. ირანისა და აშშ-ის მომლაპარაკებლების პერსპექტივებისათვის იხ. D. Momtaz და E.B. Hamaneh, "Iran", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 1174-1197 და H.H. Koh და T.F. Buchwald, "United States", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 1290-1299.

მწიფოს პოლიტიკური ან სამხედრო მოქმედებების კონტროლი, ან ხელმძღვანელობა, რაც თავისი ხასიათით, სიმძიმითა და მასშტაბით წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის აშკარა დარღვევას“.

აუცილებელი ბარიერი, რომ აგრესიული აქტი „აშკარად“ უნდა არღვევდეს გაეროს ქარტიას, გახდა გადამწყვეტი ფაქტორი მოლაპარაკებების ყველაზე მთავარ ასპექტზე შეთანხმების მისაღწევად: ჩამოყალიბდა სახელმწიფოს ქმედების ელემენტი.<sup>21</sup> ამ მოთხოვნის ორმაგი ფუნქციაა, განსაზღვროს რაოდენობრივი („თავისი სიმძიმითა და მასშტაბით“) და თვისობრივი („თავისი ხასიათით“) ბარიერი. აქცენტი თვისობრივ განზომილებებზეა გაკეთებული. იგი ასახავს იმ ფაქტს, რომ ძალის გამოყენების უდავოდ საფუძვლიანი აკრძალვა გარშემორტყმულია გარკვეული ნაცრისფერი ზონებით, რომლებიც მძიმე სამართლებრივ დებატებსა და სამართლის პოლიტიკის ღრმა გაყოფას იწვევს. ეს ზონები, რომლებიც, სამწუხაროდ, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისაა, აგრესიის დანაშაულის დეფინიციის ფარგლებს გარეთ რჩება. აუცილებელი ბარიერი უზრუნველყოფს დეფინიციის აუცილებელ კავშირს ჩვეულებით საერთაშორისო სამართალთან და, ამავე დროს, უზრუნველყოფს, რომ ICC არ გადაჭრის ისეთ საკითხებს, რომლებიც არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისით უკიდურესად საკამათოა.

დანაშაულის მთავარი დეფინიციის შესახებ შეთანხმებამ გახადა შესაძლებელი, რომ აგრესიის დანაშაულის საკითხი იქნა გათვალისწინებული უგანდის დედაქალაქ კამპალაში 2010 წელს გამართული რომის სტატუტის პირველი მიმოხილვითი კონფერენციის დღის წესრიგში. თუმცა, იურისდიქციის რეჟიმისა და გაეროს უშიშროების საბჭოს როლის საკითხებთან დაკავშირებით მუდმივი უთანხმოების გამო, კამპალის კონსენსუსი<sup>22</sup> მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც კონფერენციის საათი გაჩერდა 2010 წლის 11-12 ივნისის ღამეს.<sup>23</sup> ეს კონსენსუსი არ შეიცავს უშიშროების საბჭოს მონოპოლიას ICC-ზე აგრესიის დანაშაულის პროცედურებთან დაკავშირებით. თუმცა, კამპალის კონსენსუსი მოიცავს სასამართლოს მიერ აგრესიის დანაშაულზე იურისდიქციის განხორციელების პირობებს, რომლებიც მნიშვნელოვნად უფრო შემაკავებელია, ვიდრე გენოციდის, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვისაა გათვალისწინებული. მთავარი ისაა, რომ იმ დროს, როდესაც უშიშროების საბჭოს მიერ ICC-ისთვის არაა გადაცემული კონკრეტული სიტუაცია, ICC-ის სტატუტის მე-15*bis* მუხლის შესაბამისად, აგრესიის დანაშაულზე სასამართლოს მიერ იურისდიქციის განხორციელება დამოკიდებული იქნება იმ სახელმწიფოების თანხმო-

<sup>21</sup> ამ ელემენტის დეტალური სამართლებრივი ანალიზი იხ. C. Kreß, "The State Conduct Element", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 412-564.

<sup>22</sup> ჟურნალის მეათე საიუბილეო სპეციალური გამოცემა დაეთმო საკითხს: "Aggression: After Kampala", 10 Journal of International Criminal Justice (JICJ) (2012), გვ-გვ. 3-288 (რედ. C. Kreß და P. Webb). კამპალას შედეგების შესახებ შესანიშნავი მონოგრაფია იხ. C. McDougall, "The Crime of Aggression under the Rome Statute of the International Criminal Court" (კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013). ესეების კრებული, რომელიც მოიცავს ბელგიურ ხედვებს იხ. G. Dive, B. Goes, და D. Vandermeersch, "From Rome to Kampala: The First 2 Amendments to the Rome Statute" (Bruylant, 2012).

<sup>23</sup> კამპალას მოლაპარაკებების დეტალური მიმოხილვა იხ. C. Kreß და L. von Holtendorff, "The Kampala Compromise on the Crime of Aggression", 8 JICJ (2010), გვ-გვ. 1179-1217. 1998-2010 წლებში მიმდინარე დეტალური მოლაპარაკებები იხ. S. Barriga, "Negotiating the Amendments on the Crime of Aggression", წიგნში Barriga და Kreß, supra 12, გვ-გვ. 3-57.

ბაზე, რომელთა ტერიტორიასთანაც დაკავშირებულია სიტუაცია და დაკავშირებულ ცალკეულ პირთა ეროვნებაზე.<sup>24</sup>

### 3. კიდევ ერთი დაბრკოლება

კამპალაში მიღწეული კონსენსუსი არ ნიშნავდა სრულ მიღწევას. ამის ნაცვლად, დანაშაულზე სასამართლოს იურისდიქციის ასამოქმედებლად, განისაზღვრა ორი დამატებითი პირობა. ICC-ის სტატუტის მე-15*bis*(2) და (3), ასევე მე-15*ter*(2) და (3) მუხლების შესაბამისად, ამოქმედება საჭიროებდა (i) 30 მონაწილე სახელმწიფოს მიერ ცვლილებების რატიფიცირებას ან მიღებას, და (ii) 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ, მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილების მიღებას, როგორც ეს გათვალისწინებულია სტატუტში ცვლილებების დასამტკიცებლად. მას შემდეგ, რაც პირველი პირობა უკვე შესრულდა,<sup>25</sup> ამოქმედების გადაწყვეტილების საკითხი ჩაინიშნა ASP-ის მეთექვსმეტე სესიის დღის წესრიგში, რომელიც გაიმართა ნიუ-იორკში, 2017 წლის 4-14 დეკემბერს.

ამ ამოქმედების გადაწყვეტილების მიღების პროცესი აქტის საზეიმოდ მიღებაზე უფრო მეტი აღმოჩნდა. ამის მიზეზი იყო იურიდიული დავა, რომელიც წარმოიშვა მისი იურისდიქციის რეჟიმზე შეთანხმების ერთ-ერთ დეტალთან დაკავშირებით, კამპალის ცვლილებების დამტკიცების შემდეგ, უმაღლვე. ეჭვგარეშეა, რომ 15*bis* მუხლის მე-4 და მე-5 პარაგრაფები გამორიცხავს სავარაუდო აგრესიის დანაშაულზე სასამართლოს მიერ თავისი იურისდიქციის განხორციელებას, რომელიც, სავარაუდოდ, ჩადენილია ICC-ის სტატუტის არამონაწილე სახელმწიფოს აგრესიული აქტით, იმ სიტუაციის ფარგლებში, რომლითაც სასამართლოსთვის არ მიუმართავს უშიშროების საბჭოს. თუმცა, კამპალის ცვლილებების დამტკიცების შემდეგ, უმაღლვე გამოჩნდა განსხვავებული სამართლებრივი შეხედულებები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ზუსტად მოქმედებს სასამართლოს იურისდიქციის განხორციელების შესახებ შეთანხმება ICC-ის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოთა შორის. ძირითადად, ორი განსხვავებული სამართლებრივი შეხედულება გამოიკვეთა.

<sup>24</sup> კამპალაში ჩამოყალიბებული იურისდიქციის რეჟიმის შესახებ ანალიზისათვის იხ. A. Zimmermann, "Amending the Amendment Provisions of the Rome Statute: The Kampala Compromise on the Crime of Aggression and the Law of Treaties", 10 JICJ (2012), გვ.გვ. 209-227. იმავე საკითხის სხვა პერსპექტივიდან სრულფასოვანი ანალიზისათვის სამი ურთიერთდაკავშირებული თავი იხ. S. Barriga და N. Blokker, "Entry into Force and Conditions for the Exercise of Jurisdiction: Cross-Cutting Issues", "Conditions for the Exercise of Jurisdiction Based on Security Council Referrals" და "Conditions for the Exercise of Jurisdiction Based on State Referrals and *Proprio Motu* Investigations", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ.გვ. 621-674.

<sup>25</sup> ეს ამ ესეში მიმოხილული ხანგრძლივი მოგზაურობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ პალესტინამ მოახდინა 30-ე სარატიფიკაციო სიგელის დეპონირება. შეიქმნა იმის განცდა, რომ ამ ქმედებას უფრო მეტი რატიფიკაციები მოჰყვებოდა საკმაოდ მალე, რათა პალესტინის სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებული სამართლებრივი სირთულეები არ გამხდარიყო აგრესიის დანაშაულზე ICC-ის იურისდიქციის გავრცელების ხელშემშლელი ფაქტორი. პალესტინის გამორჩეული დელეგატი, მაიედ ბამია, ნიუ-იორკის 2017 წლის მოლაპარაკებების ყველა მონაწილეს კარგად ემახსოვრება მისი ეფექტური გამოსვლებით. მთელ მოლაპარაკებებზე ისრაელის პერსპექტივის კომპეტენტური შეფასებისთვის იხ. R.S. Schöndorf და D. Geron, "Israel", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ.გვ. 1198-1216.

პირველი პოზიციის თანახმად, სასამართლო არაა უფლებამოსილი განახორციელოს თავისი იურისდიქცია შესაძლო აგრესიის დანაშაულზე, როდესაც იგი ჩადენილია ICC-ის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ასეთი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ, თუ ამ სახელმწიფომ არ მოახდინა კამპალის ცვლილებების რატიფიკაცია. ეს „შემაკავებელი პოზიცია“ გამომდინარეობს ICC-ის სტატუტის 121(5)-ე მუხლის მეორე წინადადებიდან, რომელიც, როგორც არგუმენტირებულია, ICC-ის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებს აძლევს ხელშეკრულების გაფორმების უფლებას, რომელიც, სახელშეკრულებო სამართლის შესაბამისად, არ შეიძლება უკან იყოს გამოთხოვილი მათი თანხმობის გარეშე, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ საკითხთან დაკავშირებით ხელშეკრულების ცვლილების რატიფიკაციასა და მიღებაში.

საწინააღმდეგო პოზიციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფო, რომელიც მოახდენს კამპალას ცვლილებების რატიფიცირებას, სასამართლოს აძლევს იურისდიქციის განხორციელების უფლებას, ICC-ის სტატუტის მე-12(2) მუხლის შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ სასამართლოს *inter alia* შეუძლია გაავრცელოს თავისი იურისდიქცია ასეთი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ICC-ის სტატუტის სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ აგრესიის დანაშაულზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ მეორე სახელმწიფოს არა აქვს რატიფიცირებული კამპალის ცვლილებები. თუმცა, მსგავს შემთხვევაში სასამართლოს იურისდიქციის განხორციელების თავიდან აცილების მიზნით, ICC-ის სტატუტის მე-15**bis**(4) მუხლის შესაბამისად, ამ სახელმწიფოს შეუძლია წინასწარ მიიღოს დეკლარაცია ასეთი იურისდიქციის არდაშვების შესახებ. ეს „უფრო ღმობიერი პოზიცია“, როგორც არგუმენტირებულია, არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალს, რადგან ICC-ის სტატუტის თავდაპირველი ვარიანტის მე-5(2) მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები უფლებამოსილებას ახორციელებენ „იმ დებულების მიღებისთანავე, რომლითაც [...] დაწესებულია სასამართლოს იურისდიქციის განხორციელების პირობები“ აგრესიის დანაშაულზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს წესი შეეწინააღმდეგება ICC-ის სტატუტის 121(5)-ე მუხლის მეორე წინადადებას, იმოქმედებდა როგორც *lex specialis*.

ფაქტობრივად, განსახილველი სამართლებრივი დავა ეხება მხოლოდ იმ სიტუაციებს, რომლებიც ICC-ისთვის არაა გადაცემული უშიშროების საბჭოს მიერ. ასეთ სიტუაციებში იგი მცირდება იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რამდენად ვალდებულია მონაწილე სახელმწიფო, რომელსაც არ აქვს რატიფიცირებული კამპალის ცვლილებები, ICC-ის სტატუტის მე-15**bis**(4) მუხლის შესაბამისად, გააგზავნოს დეკლარაცია იმ აგრესიის დანაშაულზე სასამართლოს იურისდიქციის არაღიარების შესახებ, რომელიც გამომდინარეობს ამ მონაწილე სახელმწიფოს მიერ სავარაუდოდ ჩადენილი აგრესიული აქტიდან იმ მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც აქვს კამპალის ცვლილებები რატიფიცირებული.

#### 4. ნიუ-იორკი: საბოლოო ხიდის მშენებლობა

ASP-ის 2017 წლის დეკემბერის სხდომაზე, ამოქმედების გადაწყვეტილების შესამსუბუქებლად, ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის ფაქტი გამოიკვეთა და განსხვავებული სამართლებრივი არგუმენტები ხელახლა იქნა განხილული.<sup>26</sup> უკვე 2017 წლის მარტში, კანადამ,<sup>27</sup> კოლუმბიამ, საფრანგეთმა, იაპონიამ, ნორვეგიამ<sup>28</sup> და გაერთიანებულმა სამეფომ, „შემაკავებელი პოზიციის“ მხარდასაჭერად შეიმუშავეს დოკუმენტი.<sup>29</sup> ამ დოკუმენტს გამოეხმაურა ლიხტენშტეინი და შემდეგ, არგენტინა,<sup>30</sup> ბოტსვანა,<sup>31</sup> სამოა, სლოვენია<sup>32</sup> და შვეიცარია<sup>33</sup> „უფრო ღმობიერი პოზიციის“ დოკუმენტის შეიმუშავებით.<sup>34</sup>

აღნიშნული სიტუაციიდან გამოსვლის ერთ-ერთი შესაძლო გზა იყო, მარტივად, სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედება, რომ შემდგომ სასამართლოს გადაწყვიტა სამართლებრივი საკითხი თავისი შეხედულებით, თუ ასეთი წარმოიშობოდა. 30-ზე მეტი დელეგაცია

<sup>26</sup> "Report on the Facilitation on the Activation of the Jurisdiction of the International Criminal Court over the Crime of Aggression" (ICC-ASP/16/24), 27 ნოემბერი 2017, პარაგრაფები 11-22 ("Report on the Facilitation...").

<sup>27</sup> კანადის ძლიერი მხარდაჭერა ნიუ-იორკამდე და იქ მიმდინარე მოლაპარაკებების დროსაც „შემაკავებელი პოზიციის“ მიმართ გასაკვირზე მეტი იყო, რამდენადაც კამპალაში ამ სახელმწიფომ, „შემაკავებელი პოზიციის“ მიხედვით გაკეთებული შეთავაზების შემდეგ, იმუშავა არგენტინასთან, ბრაზილიასთან და შვეიცარიასთან, რათა გაეკავა გზა კომპრომისისაკენ. იხ. Kreß და von Holtzendorff, supra 23, გვ-გვ. 120-124.

<sup>28</sup> ნორვეგიამ შედარებით სკეპტიკური დამოკიდებულება გამოავლინა აგრესიის დანაშაულზე მიმდინარე მოლაპარაკებებისადმი, საერთო ჯამში. ნორვეგიის დელეგაციის დიდი ხნის ხელმძღვანელის, ელჩ როლფ ეინარ ფიფეს გამჭრიახი მოსაზრებებისათვის იხ. "Norway", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 1242-1263.

<sup>29</sup> "Report on the Facilitation...", supra 26, Annex II A. რამდენიმე სხვა სახელმწიფომ, მათ შორის, განსაკუთრებით, ავსტრალიამ, დანიამ და პოლონეთმა ასევე განაცხადეს, რომ შემაკავებელ პოზიციას უერთებოდნენ.

<sup>30</sup> ნიუ-იორკში არგენტინამ განაცხადო აქტიური მონაწილეობა, რომელიც მან უკვე გამოავლინა კამპალაში (ამ მონაწილეობოს შესახებ იხ. Kreß და von Holtzendorff, supra 23, გვ-გვ. 1202-1204) და უფრო ადრინდელ პერიოდში. ის ფაქტი, რომ ICC-ის პერზიდენტი, ცნობილი ყოფილი არგენტინელი დიპლომატი სილვია ფერნანდეს დე გურმენდი იყო ადრეული ორი კოორდინატორიდან ერთ-ერთი (მეორე იყო ტუვაკო მანონგი ტანზანიიდან) აგრესიის დანაშაულზე სამუშაო ჯგუფში, არ უნდა დაავიწყოთ და მისი 2002 წლის 11 ივლისის წყარო - "Coordinator's Discussion Paper" (Barriga და Kreß, supra 12, გვ-გვ. 412-414) მომდევნო მოლაპარაკებებისთვის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

<sup>31</sup> ბოტსვანას მნიშვნელოვანი როლი აგრესიის დანაშაულზე მოლაპარაკებების განმავლობაში, საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებაში ამ სახელმწიფოს მიერ გაწეული წამყვანი როლის მხოლოდ ერთი ასპექტია. კერძოდ, აგრესიის დანაშაულის მოლაპარაკებების პროცესში, დაუვიწყარი ათაღია მოლოკომმეს არაერთი პრინციპული (და, ამგვარად, ძლიერი) ჩარევა.

<sup>32</sup> სლოვენის კონსტრუქციული როლი აგრესიის დანაშაულზე მიმდინარე მოლაპარაკებებში ხაზგასასმელია. დაუვიწყარია გამორჩეული სლოვენელი დელეგატის, დანიელა ჰორვატის გამჭრიახი, გამიზნული და ეფექტური მონაწილეობა 2017 წლის დეკემბრის ნიუ-იორკის ასამბლეის შეხვედრაზე. იმავე ფორმით შეიძლება ვაღიაროთ სხვა გამორჩეული დელეგატები: შარა დუნკან ვილალობოსი კოსტა რიკიდან, ვასილიკ კრასასი კვიპროსიდან, პაივ კაუკორანტა ფინეთიდან, ჯეიმს კინგსტონი ირლანდიიდან და მართა პაპადოპულო საბერძნეთიდან, რომლებმაც ნიუ-იორკის 2017 წლის დეკემბრის მოლაპარაკებებში ღირებული წვლილი შეიტანეს. საბერძნეთის შემთხვევაში, მრავალი წლის მანძილზე მნიშვნელოვან, დაუვიწყარ როლს თამაშობდა გამორჩეული დელეგატი ფანი დასკალოპულოსი.

<sup>33</sup> შვეიცარიამ განაცხადო აქტიური მონაწილეობა, რომელიც მან კამპალაში უკვე გამოავლინა (ამის თაობაზე იხ. Kreß და von Holtzendorff, supra 20, გვ-გვ. 1202-1204). ნიუ-იორკში შვეიცარიამ წამყვანი როლი ითამაშა „მარტივი ამოქმედების მიდგომის“ მხარდასაჭერად.

<sup>34</sup> "Report on the Facilitation...", supra 26, Annex II B and C.



შეუერთდა შვეიცარიის ამ „მარტივი ამოქმედების მიდგომას“.<sup>35</sup> თუმცა, ბევრ მონაწილე სახელმწიფოს, რომლებიც მხარს უჭერდნენ „შემაკავებელ პოზიციას“, არ სურდა გარისკვა, ვინაიდან იურისდიქციის ამოქმედების შემდეგ, სასამართლოს, შესაძლოა, არ გაეზიარებინა მათი თვალსაზრისი. ამის ნაცვლად, ისინი ცდილობდნენ ყველა მონაწილე სახელმწიფოს პოზიცია მიეღოთ და დაემტკიცებინათ, როგორც რეზოლუციის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა იურისდიქციის ამოქმედებას. მას შემდეგ, რაც მონაწილე სახელმწიფოები შეიკრიბნენ ნიუ-იორკში 4 დეკემბერს, მათი დელეგატები, რომლებსაც ოსტატურად ხელმძღვანელობდა ავსტრიელი ფასილიტატორი ნადია კალბი, ავსტრიის დელეგაციის ხელმძღვანელ კონრად ბიულერთან ერთად,<sup>36</sup> მრავალსაათიანი მოლაპარაკებების შემდეგ, შესანიშნავი შემოქმედებითი მიდგომით, შეეცადნენ აეგოთ საბოლოო ხიდი ორ განსხვავებულ შეხედულებას შორის.

ასეთი ხიდი, ორივე ბანაკს მისცემდა თავისი სამართლებრივი პოზიციის დაცვის შესაძლებლობას და ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც მხარს უჭერდა „შემაკავებელ პოზიციას“, აუცილებლობის შემთხვევაში, ექნებოდა იურისდიქციის გავრცელებისგან თავის დაცვის შესაძლებლობა, ისეთ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დაიჭერდა „უფრო ლმობიერი პოზიციის“ მხარეს. ასეთი დაცვის შესაძლებლობის შემოთავაზებული პირველი ვარიანტის მიხედვით, ყველა მონაწილე სახელმწიფო უნდა დასთანხმებოდა, რომ მონაწილე სახელმწიფოს კომუნიკაცია მდივანთან „შემაკავებელ პოზიციასთან“ მიმართებით უნდა გაფორმებულიყო სასამართლოს მიერ დეკლარაციის სახით, როგორც ეს გათვალისწინებულია ICC-ის სტატუტის მე-15 bis(4) მუხლით, თუ სასამართლო მხარს დაუჭერდა „უფრო ლმობიერი პოზიციის“.<sup>37</sup> მეორე ვარიანტის მიხედვით, რომელიც შეიმუშავა ბრაზილიამ,<sup>38</sup> პორტუგალიამ და ახალმა ზელანდიამ,<sup>39</sup> ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, სურვი-

<sup>35</sup> “Letter of 7 December 2017 by the Permanent Representative of Switzerland to the United Nations to all Permanent Representatives of States Parties to the Rome Statute”, ავტორის პირადი არქივი.

<sup>36</sup> ორმა გამორჩეულმა ავსტრიელმა დიპლომატმა მნიშვნელოვანი რჩევა მიიღო დოქტორ ასტრიდ რაიზინგერ-კორაჩინისაგან ზალცბურგის უნივერსიტეტიდან, რომელიც მონაწილეობდა მთელ მოლაპარაკებებში 1999 წლიდან და, მას შემდეგ, მრავალი სამეცნიერო ნაშრომი შექმნა.

<sup>37</sup> პროფესორმა დაპო აკანდემ და ავტორმა შექმნეს ერთობლივი პროექტი ამ სამართლებრივ პოზიციასთან დაკავშირებით. ეს ხიდის აშენების იმედით გაკეთდა, რომ პროექტი გახდებოდა მცდელობა ხიდის ასაგებად, იმის გათვალისწინებით, რომ პროფესორ აკანდესა და სტატიის ავტორს განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ აღნიშნულ სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით. პროექტი გერმანიის მიერ გადაეცა ავსტრიელ ფასილიტატორს, ისე, რომ გერმანიას იგი არ მიუღია. ეს პროექტი ზოგჯერ მოიხსენიება „არა-გერმანულ არა-დოკუმენტად“ და გარკვეულწილად აისახა დოკუმენტში “Discussion Paper, Rev. 1, 11 December 2017”, რომელიც წარადგინა ფასილიტატორმა. ნიუ-იორკის მოლაპარაკებების დროს, ავტორმა აკანდე/კრესის ერთობლივი პროექტის რეფორმულირება მოახდინა შემდეგნაირად: „ვადასტურებთ, რომ მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერი განაცხადი, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად ან ეთაბაზე, რომ იგი ეთანხმება პრეამბულის მეოთხე აბზაცში გამოხატულ მოსაზრებას, უნდა („თუ იგი ვაკეთებულია წერილობით და მიწოდებულია რეგისტრატორისათვის“), განიხილებოდეს, როგორც ასევე მე-15 bis მუხლის მე-4 პარაგრაფში აღნიშნული დეკლარაციისათვის საჭირო პირობების შესრულებად, ამავდროულად, აღიარებს იმას, რომ ასეთი განცხადების ვაკეთება არ მიაყენებს ზიანს ამ სახელმწიფოს ისეთი შეხედულების მხარდასაჭერად, რომლის მიხედვითაც, ცვლილებების უშუალოდ რატიფიკაციის ან მიღების არარსებობის პირობებში, მე-15 bis მუხლის მე-4 პარაგრაფით გათვალისწინებული დეკლარაციის მიღება არაა აუცილებელი იმისთვის, რომ გამორიცხოს სასამართლოს იურისდიქციის გავრცელება აგრესიის დანაშაულზე, რომელიც გამოვლინდა მონაწილე სახელმწიფოს მიერ სავარაუდოდ ჩადენილი აგრესიული აქტიდან.“

<sup>38</sup> ბრაზილიას უკვე მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა შესრულებული კამპალაში (Kreß და von Holtzendorff, supra 23, გვ.გვ. 1202-1204). ნიუ-იორკში, ამ სახელმწიფომ, საკუთარი გამორჩეული დელეგატის, პატრიკ

ლის შემთხვევაში, უნდა ჰქონოდა ASP-ის პრეზიდენტის მიერ შექმნილ სიაში განწევრიანების უფლება, რომელიც უნდა გადასცემოდა მდივანს და ASP-ს უნდა მიეღო გადაწყვეტილება, რომ სასამართლო არ გაავრცელებდა თავის იურისდიქციას ნებისმიერი ასეთი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიასა და მოქალაქეების მიერ ჩადენილი აგრესიის დანაშაულზე.<sup>40</sup>

## 5. მიღწევა ხიდის გარეშე: დასამახსოვრებელი დამე გაეროს სათავო ოფისში

მართალია, ასამბლეის სხდომის ბოლო საათებში გაირკვა, რომ საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო არ იყვნენ მზად ნებისმიერი ასეთი ხიდის გამოსაყენებლად. მათი მოთხოვნები დარჩა უცვლელი: ყველა მონაწილე სახელმწიფოს უნდა მიეღო აგრესიის დანაშაულზე ICC-ის იურისდიქციის ამოქმედების „შემაკავებელი პიზიცია“, როგორც ASP-ის რეზოლუციის ნაწილი, ამოქმედების გადაწყვეტილების თანხმობით. საფრანგეთისა და ბრიტანეთის მკაცრმა მიდგომამ გამოიწვია უკიდურესად რთული სიტუაცია. სამართლებრივი თვალსაზრისით, იყო იმის შესაძლებლობა, რომ ხმა მიეცათ ან „მარტივი ამოქმედების მიდგომის“ ან „საბოლოო ხიდის“ პროექტისთვის. თუმცა, კენჭისყრის შედეგების გაურკვევლობის მიუხედავად,<sup>41</sup> რამდენად იყო მიზანშეწონილი ASP-ის დისკუსიას გადაეფარა ასეთი მაღალი პოლიტიკურად სენსიტიური საკითხი? დელეგაციების დიდი რაოდენობა სერიოზულ ეჭვს გამოთქვამდა, რადგან იმედოვნებდნენ, რომ საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო, საბოლოო ჯამში, მოახდენდნენ კომპრომისის დემონსტრირებას. ამრიგად, საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს კენჭისყრაში მარცხი არარეალური იყო. ეს ნიშნავდა, რომ მონაწილე სახელმწიფოთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელიც დარწმუნებული იყო „უფრო ღმობიერი პოზიციის“ სისწორეში, დადგნენ მტკივნეული არჩევანის წინაშე, ან მიეღოთ ისეთი ფორმულირება, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით კატეგორიულად მიუთითებდა „ცვლილებას (კამპალის) ცვლილებაში“, ან სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების საკითხი გადაედოთ განუსაზღვრელი ვადით.<sup>42</sup>

---

ლუნას მეშვეობით, დაუღალავად იშრომა საბოლოო ხიდის ასაგებად. მთელი მოლაპარაკებების პროცესში ბრაზილიის პოლიტიკური პერსპექტივის შესახებ იხ. M. Biato და M. Böhlke, „Brazil“, წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ.გვ. 1117-1130.

<sup>39</sup> ახალი ზელანდიის ასოციაცია ხიდის აშენების ამ მცდელობასთან მიმართებით, აღსანიშნავია მისი კონსტრუქციულობის გამო, რამდენადაც ამ სახელმწიფომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „შემაკავებელი პოზიცია“ სწორ სამართლებრივ ხედვად მიაჩნდა. შესაბამისად, ამ სამმა დელეგაციამ კიდევ უფრო მეტი გააკეთა ხიდის მოსაძებნად. ასევე, აღნიშვნის ღირსია, რომ შვედეთმა ახალი ზელანდიის მსგავსი პოზიცია დაიკავა. შვედეთის კონსტრუქციულობა ნიუ-იორკში შეესაბამებოდა ამ ქვეყნის მიერ „პრინსტონის პროცესში“ შესრულებულ სასარგებლო როლს, განსაკუთრებით, მისი დელეგატის, პალ ვრანჯის წვლილის მეშვეობით.

<sup>40</sup> იხ. „Additions by Brazil, Portugal and New Zealand to the Discussion Paper“, 11 დეკემბერი, 13:00 (ინახება ავტორთან). აგრეთვე იხ. ICC-ASP/16/L.9, 13 დეკემბერი 2017, OP 1 და შვეიცარიის გამორჩეული დელეგატის, ნიკოლას შტურქლერის მიერ გაკეთებული განმარტებები თავის ბლოგზე „The Activation of the Crime of Aggression in Perspective“, EJIL: Talk! Blog of the European Journal of European Law, 26 იანვარი 2018, ხელმისაწვდომია: <http://www.ejiltalk.org/the-activation-of-the-crime-of-aggression-in-perspective/> [28 იანვარი 2018].

<sup>41</sup> ამ გაურკვევლობებზე იხ. Stürchler, იქვე.

<sup>42</sup> ეს საკითხი მკაფიოდაა გადმოცემული შტურქლერის მიერ, იქვე.

ეს იყო იმ დროს, როდესაც კონფერენციის საათი უნდა გაჩერებულიყო ბოლოჯერ, იმ მიზნით, რომ დელეგაციებს განეხილათ ასამბლეის ორი ვიცე-პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული პროექტი, რომლებსაც ავსტრიამ საბოლოო მცდელობისთვის ზომების მიღება დაავალა. მნიშვნელოვანია, რომ „ვიცე-პრეზიდენტების მიერ შემოთავაზებული რეზოლუციის პროექტი“, გამოხატავდა საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მოთხოვნებს<sup>43</sup> ოპერატიული პარაგრაფის შემდეგ ფორმაში:

„მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა [...]

2. ადასტურებს, რომის სტატუტის თანახმად, კამპალის მიმოხილვით კონფერენციაზე აგრესიის დანაშაულთან დაკავშირებით მიღებული სტატუტის ცვლილებები ძალაში შედის იმ მონაწილე სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც მიიღეს ცვლილებები მათი სარატიფიკაციო სიგელების ან მიღების შესახებ დოკუმენტების დეპონირებიდან ერთი წლის შემდეგ და სახელმწიფოს მიმართვის ან *proprio motu* გამოძიების შემთხვევაში, სასამართლომ არ უნდა განახორციელოს იურისდიქცია აგრესიის დანაშაულზე, რომელიც ჩადენილია იმ მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მოქალაქის მიერ, რომელსაც არ აქვს რატიფიცირებული ან მიღებული ეს ცვლილებები; [...]"

საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს მოთხოვნების მიმართ „უპირობო დანებების“ შესამსუბუქებლად, მომდევნო პარაგრაფი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

„3. ადასტურებს რომის სტატუტის მე-40 მუხლის პირველ პარაგრაფსა და 119-ე მუხლის პირველ პარაგრაფს, რომელიც ეხება სასამართლოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას; [...]"

ეს ფორმულირება იმაზე უფრო მეტი არაა, რაც აშკარა ფაქტის დეკლარაცია, რომ ASP-ს არ შეუძლია ჩაანაცვლოს სასამართლო, როგორც სასამართლო ორგანო, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს სამართალი სრული დამოუკიდებლობით. ამრიგად, რთული იყო ამ პარაგრაფის ჩართვა ვიცე-პრეზიდენტების შემოთავაზებაში, როგორც სიმბოლური კონცესია იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ითხოვეს დანებება. მიუხედავად ამისა, საფრანგეთი არ იყო სრულად კმაყოფილი და გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერით ითხოვა ამ ბოლო პარაგრაფის გადატანა პრეამბულაში. როდესაც შვეიცარია<sup>44</sup> არ დაეთანხმა შეთავაზებას, ნიუ-იორკში დრამამ მიაღწია კულმინაციას და აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საერთაშორისო იურისდიქციის შესაქმნელად საუკუნის მოგზაურობა, თითქმის წარმოუდგენელი შედეგით, შეიძლება საბოლოოდ შეფერხებულიყო იმ საკითხის გამო, რომ, რამდენიმე სადავო სიტყვა უნდა ასახულიყო პრეამბულაში თუ ოპერატიულ პარაგრაფში. ამ აბსოლუტურად კრიტიკულ დროს, სამხრეთ აფრიკის,<sup>45</sup> სამოასა<sup>46</sup> და პორტუგალიის<sup>47</sup>

<sup>43</sup> ტექსტში ამ მოთხოვნის პირველ აღნიშვნაზე იხ. "Report on the Facilitation...", supra 26, Annex III sub A.

<sup>44</sup> როდესაც შვეიცარიამ გადაწყვიტა, ოფიციალურად, პროექტის წინააღმდეგ გამოსულიყო და გაეკრიტიკებინა საფრანგეთის პროექტი, იგი, უდავოდ, გამოხატავდა დიდი რაოდენობის დელეგაციების განწყობას. ავტორი განსაკუთრებით იხსენებს კვიპროსსა და სამხრეთ აფრიკას, რომლებსაც საფრანგეთის ნაბიჯი გაუგებარი იყო.

<sup>45</sup> სამხრეთ აფრიკა, განსაკუთრებით, გამორჩეული დელეგატის, ანდრე სტემმეტის მეშვეობით, მუდმივად მხარს უჭერდა აგრესიის დანაშაულზე სასამართლოს იურისდიქციის განხორციელებას (მთელ მოლაპარაკებებზე

დელეგატებმა, თითოეულმა თავის მხრივ, შეიტანა მნიშვნელოვანი კონტრიბუცია მოლაპარაკებების ჩაშლის პრევენციაში. ასევე, კოსტა რიკელმა ვიცე-პრეზიდენტმა სერხიო უგალდემ, საფრანგეთის განსხვავებული განცხადების შემდეგ, საბოლოოდ იკითხა, რამდენად უჭერდნენ მხარს ვიცე-პრეზიდენტების შეთავაზებას. გაურკვევლობის დრამატული მომენტის შემდეგ, ნათელი იყო, რომ საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო არ აპირებდნენ ექსტრემალური პირობებით მოლაპარაკებების გაგრძელებას, ამიტომაც ვიცე-პრეზიდენტების შეთავაზება, საბოლოოდ, კონსენსუსის გზით მიიღეს.<sup>48</sup>

## 6. „უმჯობესია დანებდე, ვიდრე გატყდე“

ამოქმედების რეზოლუციის ოპერატიული ნაწილის მე-2 პარაგრაფის მიღებით, მონაწილე სახელმწიფოების დიდმა რაოდენობამ მიაღწია კონსენსუსს, რაც ძალიან მგრძნობიარე უნდა ყოფილიყო ორ განსხვავებულ სამართლებრივ შეხედულებას შორის ხიდის ასაშენებლად ხანგრძლივი და *bona fide* მცდელობების შემდეგ. ეს მონაწილე სახელმწიფოები ქებას იმსახურებენ. პირველ რიგში იმიტომ, რომ მათ გულწრფელად სჯეროდათ მათი „უფრო ღმობიერი პოზიციის“ და ოპონენტების აშკარა შიშმა, რომ სასამართლო შეიძლება დათანხმებოდა ამ პოზიციას, მხოლოდ გააძლიერა არგუმენტები მათი პოზიციის მხარდასაჭერად. მეორე, ჩართული იყვნენ ინტენსიურ *bona fide* ხიდის შენების პროცესში არა მხოლოდ ასამბლეის სხდომაზე, არამედ მთელი წლის განმავლობაში წარმართული ხელშეწყობის პროცესში, მხოლოდ ბოლო ეტაპზე აღმოჩნდა, რომ ორი სახელმწიფო, მოლაპარაკებებში უფრო ძლიერი პოზიციით, არ იყო მზად პასუხისთვის.

---

სამხრეთ აფრიკის პოლიტიკური პოზიციის შესახებ იხ. A. Stemmet, "South Africa", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ.გვ. 1271-1284). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სამხრეთ აფრიკას არ შეუცვლია კურსი თუნდაც ნიუ-იორკის 2017 წლის სახელმწიფოთა ასამბლეის შეხვედრაზე, რომელზეც იგი განიხილავდა მონაწილე სახელმწიფოთა საზოგადოებიდან გასვლის შესაძლებლობას.

<sup>46</sup> სამოა კიდევ ერთი პატარა სახელმწიფოა, რომელსაც აგრესიის დანაშაულზე მიმდინარე მოლაპარაკებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. განსაკუთრებით, გამორჩეული სამოელი დელეგატის, პროფესორ როჯერ ს. კლარკის, უამრავი გამჭრიახი (და მახვილგონივრული!) გამოსვლა *travaux préparatoires* პროცესის ღირებულ ნაწილს შეადგენს. მოლაპარაკებათა წარმატებაში სამოას მთავარი წვლილი, დელეგაციის გამორჩეული ხელმძღვანელის, ელჩ ალიიოაიგა ფეტური ელისაიას მიერ, გამოიხატა მსოფლიო მოქალაქის არასამართლებრივი პერსპექტივის მიღებაში, რამაც მოლაპარაკებების ყველაზე კრიტიკულ მომენტში შეახსენა დელეგაციებს, თუ რა დევს რეალურად სასწორზე.

<sup>47</sup> პორტუგალია მოლაპარაკებების მნიშვნელოვანი მონაწილე იყო, თავიდანვე (იხ., მაგალითად, "1999 Proposal by Greece and Portugal", წიგნში Barriga და Kreß, supra 12, გვ. 343). ნიუ-იორკში პორტუგალიელი დელეგატის, მატეუს კოვალსკის განცხადებები გამოხატავდა მის სიბრძნეს, სამართლიანობასა და ელეგანტურობას. ავტორის სურვილია, არ გაუშვას ხელიდან ეს შესაძლებლობა და გაიხსენოს პროფესორისა და პორტუგალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი მრჩეველის, პაულა ესკარამეიას მრავალწლიანი მნიშვნელოვანი წვლილი.

<sup>48</sup> "Draft resolution proposed by the Vice-Presidents of the Assembly. Activation of the Jurisdiction of the Court over the Crime of Aggression", ICC-ASP/16/L.10, 14 დეკემბერი 2017 გადაიქცა ICC-ASP/16/Res.5 რეზოლუციად. ერთ-ერთი წამყვანი მომლაპარაკებელი, ნიკოლას შტურქლერი თავის ბლოგში, supra 40, იხსენებს კონსენსუსს, რომელიც იქნა მიღწეული „დაახლოებით პარასკევს, 0:40 საათზე“.

მათ დათმობა შესთავაზეს ახლა.<sup>49</sup> ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში,<sup>50</sup> ამ სახელმწიფოებმა აჩვენეს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მათ კარგად შეეძლოთ სიტუაციის აღქმა. ამგვარად, მათ შეეძლოთ შეეფასებინათ, რომ სამართლებრივი დავა, ამდენი ხნის განმავლობაში გარშემოცული ბევრი შეხედულებით, თითქმის უმნიშვნელო გახდებოდა, თუ ASP-ის ფარგლებში კონსენსუსით სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების გადაწყვეტილებას ისტორიული განზომილებით შევხედავდით.<sup>51</sup> ეს ისტორიული განზომილება უფრო ცხადია, თუ გავითვალისწინებთ, რომ გერმანია,<sup>52</sup> იაპონია<sup>53</sup> და იტალია<sup>54</sup> არა მხოლოდ კონსენსუსს

<sup>49</sup> აღნიშვნის ღირსია, რომ 2017 წლის ნიუ-იორკის მოლაპარაკებების კრიტიკულ მომენტში, სამოქალაქო საზოგადოების ბევრმა გამორჩეულმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საბოლოო კონცესიას, რაც ბევრი მათგანისთვის მტკივნეულიც აღმოჩნდა. ეს კონსტრუქციული როლი აღსანიშნავია, იმის გათვალისწინებით, რომ „არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოება“ შედარებით ნაკლებად აქტიურ როლს თამაშობდა აგრესიის დანაშაულზე მიმდინარე მოლაპარაკებებში, ვიდრე, ზოგადად, ICC-ის სტატუტის მიმართ ჰქონდა (დეტალური ანალიზისათვის იხ. N. Weisbord, "Civil Society", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ.გვ. 1310-1358). ავტორს სურს გამოიყენოს ეს შესაძლებლობა მადლობის გადასახდელად გამორჩეული არამონაწილე სახელმწიფოების დელეგატების, დოქტ. დევიდ დონატ კატინის, პროფესორ დონალდ ფერენცის, იუტა ბერტრამ ნოთნაგელის, პროფესორ ჯენიფერ ტრაჰანისა და პროფესორ ნოა ვეისბორდის მიმართ, მოლაპარაკებათა წარმატებით დასრულებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, რომელსაც ამა თუ იმ ფორმით გამოსატავდნენ მრავალწლოვანი დისკუსიების დროს.

<sup>50</sup> შესაძლოა, გასაგები მიზეზების გამო, ამ სახელმწიფოთაგან ბევრმა საკუთარი კონცესია შეზღუდა იმ დონემდე, რაც, მათი აზრით, იყო აუცილებელი მინიმუმი და შეინარჩუნა ადრინდელი სამართლებრივი პოზიციები ხმის მიცემის ახსნა-განმარტებისთვის. მაგალითად, ლიხტენშტეინის დელეგაციის მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათში (ავტორის არქივი), ელჩმა, ქრისტიან ვენავესერმა განაცხადა: „ჩვენ მკაფიოდ ვართ დარწმუნებული, რომ სასამართლომ, აგრესიის დანაშაულზე იურისდიქციის განხორციელებისას, უნდა გამოიყენოს კამპალას ცვლილებებში მოცემული სამართალი“.

<sup>51</sup> ლიხტენშტეინის მიერ პოზიციის განმარტების დოკუმენტში, ელჩი ქრისტიან ვენავესერი მკაფიოდ გამოხატავდა იმ განწყობებს, რომლებიც შემდგომში ბევრი დელეგაციის მიერ განმეორდა. ზოგიერთ განსაკუთრებით აღსანიშნავ მონაკვეთში ლიხტენშტეინის განცხადებაში ნათქვამია:

„დღეს მიღებული გადაწყვეტილების ისტორიული მნიშვნელობა, სასამართლოს მიერ აგრესიის დანაშაულზე იურისდიქციის ამოქმედება, შეუძლებელია გადაჭარბებულად შეფასდეს. კაცობრიობას არასოდეს ჰყოლია მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო, რომელიც იქნებოდა უფლებამოსილი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დაეკისრებინა ინდივიდებისათვის აგრესიის ჩადენის გადაწყვეტილების გამო, ძალის უკანონო გამოყენების ყველაზე მძიმე ფორმაში. ახლა კი გვაქვს. [...] იმედგაცრუებული ვართ, რომ ცალკეულმა სახელმწიფოებმა ასეთი გააქტიურება პირობადადებული გახადეს გადაწყვეტილებით, რომელიც ისეთ სამართლებრივ ინტერპრეტაციას ასახავს აგრესიის დანაშაულზე გამოსაყენებელ იურისდიქციულ რეჟიმზე, რაც სცდება კამპალაში მიღწეული კომპრომისის ტექსტსა და სულისკვეთებას და რომელიც მიზნად ისახავს მკაფიოდ შეზღუდოს სასამართლოს იურისდიქცია და მონაწილე სახელმწიფოთა დაცვა. ჩვენი მიზეზები, შევეუერთდეთ ამ გადაწყვეტილებას, რომისრივია: [...] მეორე, ჩვენ გვჯერა, რომ იურისდიქციის გააქტიურების მნიშვნელობა ჩვენი უმთავრესი მიზანია.“

იმავე ფორმით, გამორჩეული შვეიცარიელი დელეგატი, შტურქლერი თავის ბლოგში supra 40, გონივრულად ასკვნის:

„ამ ყველაფრის ფონზე, არ უნდა დავავიწყდეს, რომ აგრესიის დანაშაულის გააქტიურება უნდა იყოს მშვიდობის შენარჩუნებისა და მთელი საერთაშორისო საზოგადოების შემამფოთებელი უმძიმესი დანაშაულების პრევენცია. ნიურნბერგისა და ტოკიოს პროცესებიდან 70 წლის შემდეგ ICC-ის მიერ ისტორიული შესაძლებლობა გააძლიეროს ძალის გამოყენების აკრძალვა, როგორც ეს გაეროს ქარტიაშია ასახული და დამატებული რომის სტატუტის საწყის ვერსიაში. ესაა ის პერსპექტივა, რომელიც ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ.“

<sup>52</sup> რომის კონფერენციაზე გერმანია აგრესიის დანაშაულზე ICC-ის იურისდიქციის გავრცელების უდავო მხარდამჭერი იყო. შესაბამისად, გერმანიამ სწრაფად დაუჭირა მხარი NAM შეთავაზებას, რომელიც ICC სტატუტის მე-5(2) მუხლის შთავონება იყო და გერმანია, ასევე, არსებით როლს თამაშობდა რომის კონფერენციის საბოლოო აქტის მე-7 პარაგრაფის ფორმულირებაში (UN Doc. A/ CONF.183/13, 17 ივლისი 1998, supra 13). ამ მონაკვეთში, აღსანიშნავია გამოჩენილი გერმანელი დიპლომატის, ჰანს-პიტერ კაულის განსაკუთრებული როლი, რომელიც ICC-ის პირველმა გერმანელმა მოსამართლემ ითამაშა აგრესიის დანაშაულზე მოლაპარაკებების პერიოდში. მის პირად მემუარებში, რომელიც იმედია, მალე ინგლისურ ენაზეც

შეუერთდნენ, არამედ, თითოეული მათგანი, საკუთარი გზით, ამ კონსენსუსის მატერიალიზაციას უწყობდა ხელს. სწორედ ამ სახელმწიფოებმა, მეორე მსოფლიო ომამდე და ომის შემდეგ წამოწყებული აგრესიული ომებით დააყენეს კელოგ-ბრიანის პაქტით დაფუძნებული

---

გამოქვეყნდება, მოსამართლე კაული იხსენებს გადამწყვეტ მომენტებს რომის კონფერენციიდან (Hans-Peter Kaul, "Der Beitrag Deutschlands zum Völkerstrafrecht", წიგნში C. Safferling და S. Kirsch (რედ.), "Völkerstrafrechtspolitik" (Springer, 2014) გვ-გვ. 67-68). „პრინსტონის პროცესის“ განმავლობაში, სამი ქვე-კოორდინატორიდან, ერთ-ერთი გერმანელი იყო. კამპალაში, გერმანია კოორდინაციას უწევდა აშშ-ის პროექტებს, ცალკეულ ინტერპრეტაციებთან დაკავშირებით. გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელმა კამპალაში, ელჩმა სუზან ვასუმ-რაინერმა, მოლაპარაკებების დროს გერმანიის პოლიტიკური პერსპექტივა გაგვიზიარა კონკრეტულ თავში "Germany", წიგნში Kreß და Barriga, (რედ.), supra 3, გვ-გვ. 1149-1157. ნიუ-იორკის მოლაპარაკებების სამართლებრივ უთანხმოებაზე გერმანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ გამოეხატა პოზიცია. ეს იმ მიზნით გაკეთდა, რომ საკითხს ზედმეტი პრაქტიკული მნიშვნელობა არ მინიჭებოდა და საჭიროების შემთხვევაში „გულწრფელი ბროკერის“ როლი ეთამაშა საბოლოო ხიდის ასაგებად. ნიუ-იორკის მოლაპარაკებების ბოლო საათებში, გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ელჩმა მაიკლ კოკმა, საჯაროდ და კულუარებში წარმოაჩინა საკუთარი სახელმწიფოს დახმარების აღმოჩენის მზადყოფნა, რომ სასამართლოს იურისდიქციის გააქტიურება ყოფილიყო რეალური, და არა მოჩვენებითი. გერმანიის წვლილი აგრესიის დანაშაულზე მიმდინარე მოლაპარაკებებში რომის კონფერენციიდან კამპალას კონფერენციის შემდგომ პერიოდამდე ასახული და დოკუმენტირებულია აგტორის მიერ C. Kreß, "Germany and the Crime of Aggression", წიგნში S. Linton, G. Simpson და W.A. Schabas (რედ.), "For the Sake of Present and Future Generations. Essays on International Law, Crime and Justice in Honour of Roger S. Clark" (Brill/Nijhoff, 2015), გვ-გვ.31-51.

<sup>53</sup> იაპონიის სექსტიკური პერსპექტივა ისტორიულ ტოკიოს პროცესზე კარგადაა ცნობილი და ჰეთევეი და შაპირო, ნაშრომში supra 6, 133-ე და შემდეგ გვერდებზე, მკითხველს სთავაზობს საკუთარ შესანიშნავ ანალიზს იაპონიის პერსპექტივის თაობაზე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იაპონიამ მკაფიოდ დააფიქსირა მხარდაჭერა ICC-ის მიერ აგრესიის დანაშაულზე იურისდიქციის გავრცელების იდეისადმი. ნიუ-იორკის 2017 წლის მოლაპარაკებების დროს არსებულ სამართლებრივ წინააღდეგობებთან მიმართებით, იაპონიამ, ალბათ, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით უფრო თანმიმდევრულადაც, „შემაკავებელი პოზიცია“ დაიცვა, როგორც სწორი სამართლებრივი შეხედულება (იხ. კამპალაში იაპონიის დელეგაციის ხელმძღვანელის, ელჩ იჩირო კომაცუს მიერ დაწერილი თავი "Japan", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 1217-1233, განსაკუთრებით კი, გვ-გვ. 1231-1232). ამ ფონზე, იაპონიის როლი 2017 წლის ნიუ-იორკის მოლაპარაკებებში განსაკუთრებით საზგასასმელია. იაპონიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ნიუ-იორკში, გენერალურმა დირექტორმა მასაპირო მიკამიმ, იაპონიის სამართლებრივი პოზიციის აშკარა გამოვლენასთან ერთად, გამოხატა დიდი გულისხმიერება საპირისპირო პოზიციისადმი და საბოლოოდ მიუთითა იაპონიის მზაობაზე საბოლოო ხიდის გადასაკვეთად.

კორეის რესპუბლიკა კიდევ ერთი აზიური სახელმწიფოა, რომელიც უწყვეტად უჭერდა მხარს ICC-ის იურისდიქციის გაფართოებას აგრესიის დანაშაულზე (სამხრეთ კორეის სხვადასხვა დელეგაციის სამეცნიერო ხედვისათვის იხ. Y.S. Kim, "Republic of Korea (South Korea)", წიგნში Kreß and Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 1234-1241). თუმცა, ნიუ-იორკის 2017 წლის დეკემბრის მოლაპარაკებების დროს, კორეის რესპუბლიკის დელეგაციას განცხადება არ გაუკეთებია.

<sup>54</sup> იტალია პროცესს მოლაპარაკებების დაწყებიდანვე უჭერდა მხარს (მაგალითად, აღსანიშნავია ეგვიპტისა და იტალიის მიერ 1997 წელს წარდგენილი პროექტი (იხ. Barriga და Kreß, supra 12, გვ-გვ. 226-227) და ყოფილი გამორჩეული იტალიელი დიპლომატისა და ICC-ის მოსამართლის, მაურო პოლიტის წვლილი მოლაპარაკებების საწყის პროცესში (პრინსტონის პროცესამდე მოლაპარაკებების დროს გავლენიანი პირების განცხადებების მოკლე კომენტარების კრებულები იხ. M. Politi და G. Nesi (რედ.), "The International Criminal Court and the Crime of Aggression" (Ashgate, 2004)). თუმცა, ალბათ, სამართლიანი იქნება ვთქვათ, რომ იტალიას არ უთამაშია წამყვანი როლი „პრინსტონის პროცესში“ და კამპალაში, მეორე მხრივ, ნიუ-იორკის 2017 წლის დეკემბრის მოლაპარაკებები ბოლო ფაზას რომ მიუახლოვდა, იტალია, თავისი დელეგატის, სალვატორე გაპალას მეშვეობით, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ავსტრიის შრომას ხიდის ასაგებად დაუჭირა მხარი. შედეგად, რთულია ბედისწერას არ დააბრალო ის, რომ მონაწილე სახელმწიფოთა ასამლეის ვიცე-პრეზიდენტი, იტალიელი ელჩი სებასტიანო კარდი თანათავმჯდომარეობდა ამოქმედების რეზოლუციის მიღებას.

„ახალი სამართლებრივი წესრიგი“ (ჰაზავეი და შაპირო) გაუქმების საშიშროების ზღვარზე.<sup>55</sup>

## 7. სასამართლო იღებს მართვის მექანიზმს

ამოქმედების რეზოლუციის ოპერატიული ნაწილის პირველი პარაგრაფის მიხედვით, სასამართლოს იურისდიქცია ამოქმედდება 2018 წლის 17 ივლისს. მონაწილე სახელმწიფოებმა სასამართლოს ამით მინიჭეს საბოლოო ღია სივრცე აუცილებელი შესწორებებისათვის, იმ მიზნით, რომ ICC-ის რომის სტატუტის მე-15 bis(8) მუხლის მიხედვით ICC-ის წინასასამართლო განყოფილებას უპრეცედენტო სასამართლოს როლის გატარების შესაძლებლობა ჰქონოდა.<sup>56</sup> 2018 წლის 17 ივლისიდან თვითონ სასამართლო გადანაცვლეს, თუ როგორ გამოიყენოს პრაქტიკაში წიგნებში გამოსაყენებლად მოცემული სამართალი. პროკურატურის ოფისისთვის მიზანშეწონილია ადრეულ ეტაპზე განაცხადოს, რომ იგი სერიოზულად მიიღებს ICC-ის სტატუტის მე-8 bis(1) მუხლის აუცილებელი ბარიერის პირობას: რომ აგრესიის დანაშაულის ძირითადი დეფინიცია ფარავს სახელმწიფოს მიერ ისეთი ძალის გამოყენებას, რომელმაც ინტენსივობის მაღალ დონეს მიაღწია და ცალსახად უკანონოა. ასეთი მითითება გაფანტავს გამუდმებულ და გასაგებ<sup>57</sup> ეჭვებს იმის შესახებ, რომ

<sup>55</sup> ეს ისტორია კარგადაა მოთხრობილი ნაშრომში Hathaway და Shapiro, supra 4, გვ. 131 და შემდეგ.

<sup>56</sup> სასამართლოს ხელმძღვანელობას შეუძლია ამომწურავი ანალიზი იხ. E. Chaitidou, F. Eckelmanns და B. Roche, "The Judicial Function of the Pre-Trial Division", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 752-815.

<sup>57</sup> ამ ნაშრომის ავტორისთვის რთულად შესაფასებელია, თუ რატომ აღმოჩნდნენ მოუმზადებელი საბოლოო ხიდის გადასაკვეთად საფრანგეთი, ელჩ ფრანსუა ალაბრუნის ხელმძღვანელობით და გაერთიანებული სამეფო, ელჩ იან მაკლეოდის ხელმძღვანელობით, ნიუ-იორკში, 2017 წლის დეკემბრის მოლაპარაკებების დროს. ავტორი გაკვირვებულია იმით, თუ რამდენად მიაღწევდა ეს ორი სახელმწიფო უკეთეს სამართლებრივ სტაბილურობას მათ სასარგებლოდ (როგორც მოელოდნენ), თუ ისინი ისარგებლებდნენ პროფესორ აკანდესა და ავტორის მიერ მათთვის აგებული ხიდით (აქტივაციის რეზოლუციის ოპერატიული ნაწილის მე-2 პარაგრაფის ირგვლივ შესაძლო სამართლებრივი გაუგებრობების შესახებ, რომელიც ამ სტატიის იმ ნაწილში მოცემულია, იხ. Stürchler, supra 40). თუმცა ავტორს სავსებით ესმის იმ რამდენიმე ქვეყნისა, რომლებიც სამხედრო მოქმედებებშია ჩართული ნაცრისფერ სამართლებრივ ზონაში, კამპალას ცვლილებების რატიფიკაციის ნაცვლად რომ არჩევენ პოზიციას - „დაველოდოთ და ვნახოთ“, თუ როგორ განმარტავს სასამართლო დანაშაულის ძირითად დეფინიციას. ავტორს სჯერა, რომ საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო გაეროს უშიშროების საბჭოს მხლოდ ის მუდმივმოქმედი წევრები არიან, რომლებსაც ამ დროისათვის რატიფიცირებული აქვთ ICC-ის სტატუტი და ამ ორ სახელმწიფოს შესაბამისად მიღებული აქვთ იურისდიქციული რეჟიმი, რომელიც არ აძლევს უშიშროების საბჭოს ICC-ზე მონოპოლიის შესაძლებლობას აგრესიის დანაშაულის პროცედურების მიმართ. ავტორს სურვილი აქვს გამოიყენოს ეს შესაძლებლობა და აღნიშნოს გამორჩეული ყოფილი ბრიტანელი დიპლომატის, ელიზაბეთ ვილმშურსტის წვლილი მოლაპარაკებებში. რამდენიმე გამორჩეულ განცხადებაში (ზოგიერთი იხ. Kreß, supra 21, გვ-გვ. 515-516, ციტატები მოცემულია 570-ე სქოლიოში), ქალბატონმა ვილმშურსტმა შეახსენა მომლაპარაკებლებს ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში აგრესიის დანაშაულის დაფუძნების აუცილებლობა. ბრიტანელი და ფრანგი მომლაპარაკებლების პერსპექტივებისათვის კამპალას ცვლილებებზე იხ. E. Belliard, "France", და C. Whomersley, "United Kingdom", წიგნში Kreß and Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 1143-1148, 1285-1289.

ICC-ის მიერ აგრესიის დანაშაულზე პროცესის დასაწყებად უშიშროების საბჭოს სათანადო როლზე დისკუსიის მასშტაბი, ნებისმიერ დამკვირვებელს ნათლად აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო კონსტრუქციული მიდგომა საბოლოო მიზნის მისაღწევად. საკმარისია შევადაროთ ჩინელი დიპლომატის უშიშროების საბჭოს მონოპოლიაზე ენერგიული არგუმენტაცია. იხ. L. Zhou, "China", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 1133-1138. უშიშროების საბჭოს ძლიერი როლის წინააღმდეგ ინდოეთის მძაფრი პოზიცია გაცხადებული და

სასამართლო შეიძლება ჩაერთოს მწვავე სამართლებრივ დისკუსიებში წინასწარი აუცილებელი მოგერიების,<sup>58</sup> არასახელმწიფო შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ აუცილებელი მოგერიების<sup>59</sup> და ჰუმანიტარული ინტერვენციის შესახებ.<sup>60</sup> როგორც კი სახელმწიფოები დარწმუნდებიან, რომ სასამართლო არ გავრცელებს მის იურისდიქციას აგრესიის დანაშაულზე ამ ნაცრისფერ სამართლებრივ ნაწილში, შეიძლება იმედი გვექონდეს, რომ რატიფიცირების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, რადგან ნებისმიერი გამარჯვებული ძალისთვის, რომელთა მოსამართლეებიც მონაწილეობდნენ ნიურნბერგისა და ტოკიოს პროცესებში, ძალიან რთული იქნება იმის ახსნა, თუ რატომ არ სურთ სრულად ისარგებლონ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პიონერული კურსით მიღებული მემკვიდრეობით.

## 8. ეპილოგი: არასრულყოფილი, თუმცა დროული მიმართვა კაცობრიობისადმი

უდავოდ, აგრესიის დანაშაულის ძირითადი დეფინიცია (ისეთივე) ვიწროა (როგორც უნდა იყოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დანაშაულის დეფინიცია) და სასამართლოს მიერ დანაშაულზე იურისდიქციის გავრცელების გადასალახი ბარიერიც (უფრო) მკაცრია (ვიდრე რაც იყო სასურველი). მაგრამ ნიუ-იორკის 2017 წლის დეკემბრის მიღწევის დაკნინება იქნება შეცდომა. რუსეთმა ახლახან გადაკვეთა წითელი ხაზი და ძალადობით მოახდინა უცხო ტერიტორიის ანექსია.<sup>61</sup> ჩრდილოეთ კორეა და აშშ დიდი ხანია ბირ-

---

დოკუმენტირებულია ინდოელი დიპლომატის ნაშრომში N. Singh, "India", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 1164, 1165-1168, 1171.

<sup>58</sup> უფრო ინტენსიური დებატების შესახებ, აღსანიშნავია, განსაკუთრებით, ბოლოს გაცხადებული, ჯერ გაერთიანებული სამეფოს და შემდგომ, ავსტრალიის გენერალური პროკურორის გამოსვლები. იხ. EJIL Talk! Blog of the European Journal of International Law, ხელმისაწვდომია შესაბამისად ლინკებზე: <http://www.ejiltalk.org/the-modern-law-of-self-defence/> და <http://www.ejiltalk.org/the-right-of-self-defence-against-imminent-armed-attack-in-international-law/#more-15255> [28 იანვარი 2018]. „ნაადრევი აუცილებელი მოგერიების“ ანალიზის შესახებ სახელმწიფოს ქმედების ელემენტის კონტექსტში იხ. C. Kreß, "The State Conduct Element", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 473-479.

<sup>59</sup> მაგალითისათვის, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სამართლებრივი სირთულეები ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელსაც ერაყის თხოვნით მრავალი სახელმწიფო ახორციელებს, ბევრ გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გონებაში ფასდებოდა, როდესაც აგრესიის დანაშაულზე დისკუსია ახლახან მიმდინარეობდა. „არა-სახელმწიფო სუბიექტთა მხრიდან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან მომდინარე შეიარაღებულ თავდასხმაზე საპასუხო ძალის გამოყენების“ შესახებ აგრესიის დანაშაულის სახელმწიფოს ქმედების ელემენტის კონტექსტში იხ. C. Kreß, "The State Conduct Element", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 462-467.

<sup>60</sup> ყველა მოლაპარაკების მთავარი დამაინტრიგებელი საკითხი იყო, თუ რამდენად შეიძლებოდა ძალის გამოყენება უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე მძიმე ჰუმანიტარული კატასტროფის ასარიდებლად. „ჰუმანიტარული კატასტროფის ასარიდებლად ძალის გამოყენების“ საკითხის ანალიზი აგრესიის დანაშაულის სახელმწიფოს ქმედების ელემენტის კონტექსტში იხ. C. Kreß, "The State Conduct Element", წიგნში Kreß და Barriga (რედ.), supra 3, გვ-გვ. 489-502, 524-526.

<sup>61</sup> ამ ესეში აღწერილ საუკუნოვან მოგზაურობაში რუსეთის მნიშვნელოვან როლს თუ გამოვყოფთ, კიდევ უფრო სამწუხაროა ამ სახელმწიფოს მიერ ყირიმის შემთხვევაში ძალის გამოყენების აკრძალვის წესის აშკარა დარღვევა. ის ფაქტი, რომ საუკუნოვან დისკუსიაში პოლიტიკა და სამართალი ყოველთვის მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული რუსეთის ხელშეწყობით ქმედებაში, არაა რუსეთის მიდგომის სპეციფიკური ნიშანი და ხელს არ გვიშლის, რომ ვაღიაროთ რუსეთის მნიშვნელოვანი ტექსტუალური პროექტები 1933 წლიდან მოყოლებული, როდესაც მაქსიმ ლიტვინოვმა განიარაღების კონფერენციაზე შემოგვთავაზა საბჭოთა კავშირის „აგრესორის დეფინიციის შესახებ დეკლარაციის პროექტი“ (იხ. წიგნში Barriga და Kreß, supra 12, გვ-გვ. 126-127). რუსეთის როლი ნიურნბერგის პროცესისადმი პოზიტიურადაა გაანალიზებული ნაშრომში Hathaway და Shapiro, supra 6, გვ.



თავსი ომით ემუქრებიან ერთმანეთს. სტატიის წერის დროს, თურქეთმა დიდი სამხედრო ინტერვენცია მოახდინა სირიაში ყოველგვარი კონცესიის გარეშე, რომ ძალის გამოყენების აკრძალვას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა.<sup>62</sup> ამ ვითარებაში, აგრესიის დანაშაულზე ICC-ის იურისდიქციის ამოქმედებით კაცობრიობას დროული შეტყობინება გაეგზავნა.

---

257. კრიტიკულ პერიოდში სტალინი მხარს უჭერდა სასამართლო პროცესს და, ამ მხრივ, სტიმსონთან ერთად ჩამოაყალიბა „უცნაური წყვილი“ (სტალინისა და სტიმსონის გონებრივი თანხვედრა ამაზე შორს არ წასულა, რამდენადაც სტალინს საჩვენებელი პროცესი სურდა). ამ ისტორიულ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ნიურნბერგისა და ტოკიოს პროცესების ტერმინი - „დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ“ - რუსმა პროფესორმა, ა.ნ. ტრაინინმა დაამკვიდრა (იხ. A.Y. Vishinsky (რედ.), "Hitlerite Responsibility Under Criminal Law", მთარგმნელი A. Rothstein (Hutchinson & Co., 1945), გვ. 37). რუსეთის აქტიური როლის შესახებ ცივი ომის დროს იხ. მაგალითად, Sellars, supra 8, გვ-გვ. 119-126, 130-138 და Bruha, supra 10, გვ-გვ. 150-154. „რუსეთის ფედერაციის 1999 წლის პროექტი“ (იხ. Barriga და Kreß, supra note 12, გვ. 339) იმდენად ლაკონური იყო, რომ ვერ უზრუნველყო კონსენსუსი - იგი ეყრდნობოდა ნიურნბერგისა და ტოკიოს პროცესების ძველ ფორმულირებას „აგრესიული ომის“ შესახებ და უსაფრთხოების საბჭოს მონოპოლიას. აქვე აღსანიშნავია ორი გამორჩეული რუსი დიპლომატის, გენადი კუმინისა და იგორ პანინის დამაიმედებელი განცხადება (იხ. "Russia", წიგნში Kreß და Barriga, supra 3, გვ. 1264), რომ „რუსეთი კმაყოფილია მიმოხილვითი კონფერენციის შედეგებით აგრესიის დანაშაულის დეფინიციასთან დაკავშირებით“.

<sup>62</sup> იდენტური თურქული წერილები გენერალური მდივნისა და უშიშროების საბჭოს პრეზიდენტის მისამართით (S/2018/53) მიუთითებს აუცილებელი მოგერიების უფლებაზე, რომელიც გაეროს ქარტიის 51-ე მუხლითაა აღიარებული, თუმცა ფაქტები თითქმის არაა წარმოდგენილი ამ სამართლებრივი განცხადების დასადასტურებლად. პირიქით, წერილები შეიცავს ზოგად მითითებას „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში წევრი სახელმწიფოების ვალდებულებაზე“, თითქოს ეს „ვალდებულება“ შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც სამართლებრივი საფუძველი უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ძალის გამოსაყენებლად, იმ სახელმწიფოს თანხმობისა და უშიშროების საბჭოს მანდატის გარეშე.



## კონსტიტუციის შემუშავება და ძალადობა<sup>2</sup>

### აბსტრაქტი

ტრადიციული შეხედულების საპირისპიროდ, კონსტიტუციები იშვიათად იქმნება მშვიდ, განსჯისათვის ხელსაყრელ მომენტებში. სწორედ იმიტომ, რომ ისინი, ძირითადად, საზოგადოებრივი მღელვარების პერიოდში იწერება, დამფუძნებელი მომენტები ძლიერი ემოციების, და, ხშირად, - ძალადობის პროვოცირებას იწვევს. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ორი ასეთი შემთხვევა, - 1787 წლის ფედერალური კონვენტი და საფრანგეთის 1789-1791 წლების დამფუძნებელი კრება. ეს უკანასკნელნი მოიცავდნენ როგორც სახელმწიფოს, ისე სახალხო ძალადობას. აშშ-ში, უთანასწორო პოლიტიკური წარმომადგენლობის გამოცდილება ხსნის კონვენტის შეკრებამდე არსებულ ძალადობრივ მოვლენებსაც, და მის შედეგებსაც. ხოლო საფრანგეთში მეფის მინისტრ ნეკერის დათხოვნით აიხსნება ამ მოვლენის თანმდევი ძალადობა ქალაქებსა და სოფლებში, ისევე, როგორც ფეოდალიზმის საბოლოო გაუქმება და მონარქიის დამხობა.

*L'anarchie est un passage effrayant, mais nécessaire, et c'est le seul moment où l'on peut arriver à un nouvel ordre des choses. Ce n'est pas dans des temps de calme qu'on prendrait des mesures uniformes. ("ანარქია შიშის მომგვრელი, მაგრამ საჭირო გზაა, - ეს ერთადერთი მომენტია, როდესაც საგანთა ახალი წესრიგი შეიძლება დამყარდეს. ერთგვაროვანი ზომები სიმშვიდის დროს არ მიიღება.")<sup>3</sup>*

<sup>1</sup> რობერტ კ. მერტონის კოლუმბიის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი, ნიუ იორკი, ნიუ იორკის შტატი, აშშ. ელექტრონული ფოსტის მისამართი: je70@columbia.edu. მაღლიერებას გამოვთქვამ ვეკ რაკოვისა და ქვით დაუერთის მიმართ სტატიის ორ წინა მონახაზზე გაკეთებული კომენტარებისთვის და, ასევე, - ენრიკ ელსტერის მიმართ ტექნიკური დახმარებისთვის.

<sup>2</sup> ხელახლა გამოქვეყნებულია: Jon Elster, Constitution-Making and Violence, *Journal of Legal Analysis* 2012; 4(1); 7-29, doi:10.1093/jla/las009, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის ნებართვით, ჰარვარდის სამართლის სკოლის ჯონ მ. ოლინის სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის ცენტრის სახელით. (C) ავტორი 2012. გამოქვეყნებულია ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ, ჰარვარდის სამართლის სკოლის ჯონ მ. ოლინის სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის ცენტრის სახელით. ამ სტატიამ არ ვრცელდება ამ ჟურნალის Creative Commons Attribution (CC BY) 2.0 ლიცენზია. ეს სტატია გამოქვეყნებულია Creative Commons Attribution Non-Commercial License (<http://creativecommons.org/licenses/by-nc/3.0>), ლიცენზიის პირობებით, რომელიც იძლევა შეუზღუდავი არაკომერციული გამოყენების, დისტრიბუციის და რეპროდუქციის უფლებას ნებისმიერი გზით, იმ დათქმით, რომ ნაშრომის ორიგინალი შესაბამისად არის ციტირებული. კომერციული გამოყენების ნებართვისთვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ: [journals.permissions@oup.com](mailto:journals.permissions@oup.com). ეწვიეთ ბმულს: <https://academic.oup.com/jla/article/4/1/7/839393>. თარგმანი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა და ჰარვარდის სამართლის სკოლის ჯონ მ. ოლინის სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის ცენტრი არ არიან პასუხისმგებელი ან რაიმე სახით ანგარიშვალდებული თარგმანის სიზუსტეზე, ამ ხელახალი გამოცემის თარგმანში ნებისმიერ უზუსტობაზე, გამოტოვებაზე ან შეცდომაზე, ან აქედან წარმოშობილ შედეგებზე შესაბამისად, პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი.

<sup>3</sup> ვიკონტ კლერმონტ-ტონერის მიმართვა საკუთარ ამომრჩევლებს, 1789 წლის ოქტომბერი. AR 9, 461.

## 1. შესავალი

წინამდებარე ესე მაკრო-ისტორიული სოციოლოგიის დარგს განეკუთვნება. მე ისტორიკოსი არ ვარ, თუმცა გაცნობილვარ ისტორიკოსების ნაშრომებსა და მათ ზოგიერთ პირველწყაროს. იმაზე დაყრდნობით, რაც წამიკითხავს მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს ამერიკასა და საფრანგეთში კონსტიტუციის შექმნის პროცესზე, შევეცდები, გამოვყო რამდენიმე იდეა, რომლებიც შესაძლოა განზოგადდეს. კერძოდ, განვიხილავ ძალადობის როლს ორი კონსტიტუციის შექმნის პროცესში: რეალურ ძალადობას, ძალადობის მუქარას, ძალადობის შესახებ გაფრთხილებას, ძალადობის შიშს და ძალადობის იმედსაც კი. უფრო ფართო გაგებით, საჭიროა, ასევე, მოვიაზროთ ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის განხრის ანდა მისთვის დაუმორჩილებლობის შემთხვევებიც.

ამასთან, ერთმანეთისგან გამიჯნული იქნება ინტუიციური, ანუ ემოციური შიში, და, მეორე მხრივ, - გონივრული, ანუ რაციონალური შიში. მაშინ, როდესაც ამათაგან პირველი წარმოადგენს აგენტისთვის შექმნილ მყისიერ საფრთხეში რწმენით გამოწვეულ წრფელ ემოციას, რაციონალური შიში მარტივი რწმენა-სურვილის კომპლექსის ფარგლებს არ სცილდება.<sup>4</sup> მაგალითად, „ვშიშობ, იწვიმებს“ ნიშნავს, რომ „მწამს, რომ იწვიმებს, და არ მინდა, რომ იწვიმოს“. როდესაც დე მონტენმა<sup>5</sup> დაწერა სიტყვები „ყველაზე მეტად შიშის მეშინია“, და ფ. დ. რუზველტმა თქვა, რომ „შიში არის ერთადერთი, რისიც უნდა გვეშინოდეს“, ისინი გულისხმობდნენ ემოციური შიშის რაციონალურ შიშს (მადლობა კენ შეფსლს ამ შენიშვნისთვის).

არ უნდა გვიკვირდეს, რომ კონსტიტუციის შექმნის პროცესი და ძალადობა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. იმ კლიშეს თანახმად, რომლის გავრცელებაშიც, სამწუხაროდ, წვლილი მეც შევიტანე,<sup>6</sup> კონსტიტუციები, ჩვეულებისამებრ, მშვიდ და დამაფიქრებელ მომენტებში იქმნება, რაც ფხიზლად მოაზროვნე და საზოგადოებაზე ორიენტირებულ დამფუძნებლებს აძლევს ისეთი ინსტიტუტების შექმნის შესაძლებლობას, რომლებიც მომავალ აქტორთა ინტერესებსა და ვნებებს საზოგადო ინტერესის საწინააღმდეგოდ მოქმედების შესაძლებლობას არ მისცემს. თუმცა, რეალობა სხვაგვარია. „არც ერთ ლიბერალურ დემოკრატიულ სახელმწიფოს არ მიუღწევია ყოვლისმომცველი კონსტიტუციური ცვლილებისთვის რაიმე ისეთი კატაკლიზმური კონტექსტის გარეშე, როგორცაა რევოლუცია, მსოფლიო ომი, იმპერიის მიერ ტერიტორიის დატოვება, სამოქალაქო ომი, ანდა გარდაუვალი დაშლის საშიშროება“.<sup>7</sup> ამ პირობებში, ძლიერი ვნებები გარდაუვალია, ხოლო ძალადობა, - მოსალოდნელი.

ამერიკისა და საფრანგეთის გამოცდილება ნამდვილად ადასტურებს ამ მოლოდინის სისწორეს. სანამ უშუალოდ მათ განხილვაზე გადავიდოდე, საჭიროა რამდენიმე სხვა შემთხვევაც ვახსენო. 1848 წლის ფრანკფურტის დამფუძნებელი კრების მუშაობას

<sup>4</sup> რ. გორდონი. „ემოციების სტრუქტურა“. კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1987. გვ. 77 და *passim*.

<sup>5</sup> მ. დე მონტანი, „ესეები“, პინგვინის გამომცემლობა, ლონდონი, 1991. გვ. 83.

<sup>6</sup> ი. ელსტერი, „ულისეი და სირენები“, რედაქტირებული გამოცემა, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, კემბრიჯი, 1984, თავი. II.7.

<sup>7</sup> პ. რასელი, „კონსტიტუციური ოდისეა“, ტორონტოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტორონტო, 1993. გვ. 106.

„საფრთხე შეუქმნა ბრბოს ნადირობამ კრების არაპოპულარულ წევრებზე“.<sup>8</sup> მემარჯვენე ცენტრის ერთი წევრი სცემეს, ორი კი მოკლეს. თუკი ერთმანეთს შევადარებთ საფრანგეთის 1848 წლის დამფუძნებელი კრების კონსტიტუციის კომიტეტის მიერ შემუშავებულ ორ მონახაზს - პარიზელ მუშათა იენისის აჯანყებამდე და მას შემდგომ, ნათელია, რომ მეორე მონახაზი ნაკლებად რადიკალურია, ვიდრე პირველი; კერძოდ, - მასში გაუქმდა შრომის უფლება და პროპორციული გადასახადები შეიცვალა პროგრესულით. საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუცია მას შემდეგ მიიღეს, რაც მეოთხე რესპუბლიკის პარლამენტის წევრებმა დე გოლს სრული ძალაუფლება მიანიჭეს ალჟირში განვითარებული მოვლენების შედეგად მომდინარე ზენოლის გამო. მოვლენათა განუმეორებელი შეჯამებაა, - „1958 წელს, შინაგანი წინააღმდეგობის პრობლემა მქონდა. შემეძლო ყველაფერი თავის ნებაზე მიმეშვა: სამხედროები პარიზში, პარლამენტარები სენაზე, საყოველთაო გაფიცვა, ამერიკელების მთავრობა: ეს ბედისწერა იყო. საბოლოოდ, დადგებოდა დრო, როდესაც ყველა დე გოლის ძებნას დაიწყებდა, მაგრამ რის ფასად? შესაბამისად, მე გადავწყვიტე დროულად ჩავრეულიყავი, რომ დრამა შემეჩერებინა“.<sup>9</sup> ლოგიკურია იმის თქმა, რომ ზოგიერთ პარლამენტარს იმ საფრთხის ეშინოდა, რომელიც მათ სიცოცხლეს ემუქრებოდა და ამ უკანასკნელთა ემოციურმა შიშმა გავლენა იქონია მათ გადაწყვეტილებაზე, უარი ეთქვათ ძალაუფლებაზე.

მე-18 საუკუნის ორ პროცესს შორის არსებულ მრავალ განსხვავებათაგან ზოგიერთი შესაძლოა მივაკუთვნოთ იმას, რომ ისინი წარმოადგენენ გავრცელებული რევოლუციური მოდელის ორ სხვადასხვა ეტაპს - „ორი ნაბიჯით წინ, ერთი ნაბიჯით უკან“, რომელიც პირველად გამოვლინდა მე-17 საუკუნის ინგლისში. ამ ქვეყანაში, 1649 წელს მონარქიის გაუქმება იყო ორი ნაბიჯი წინ, ხოლო 1660 წელს და, საბოლოოდ, - 1688 წელს, კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა წარმოადგენდა უკან გადადგმულ ერთ ნაბიჯს. 1787 წელს, ამერიკამ ერთი ნაბიჯი უკან გადადგა. ეს პროცესი შეგვიძლია დავინახოთ, - რამდენიმე თანამედროვე ავტორის მსგავსად, - როგორც „კონტრრევოლუცია სახალხო დემოკრატიული იდეალების წინააღმდეგ“.<sup>10</sup> 1789 წელს, საფრანგეთმა ორი ნაბიჯით წინ წაიწია, ხოლო ერთი ნაბიჯის უკან გადადგმა ნაპოლეონს და, კიდევ უფრო განმსაზღვრელად, - ლუი XVIII-ს მიანდო. ეს კონტრასტი ამერიკაში კონტრრევოლუციურ ბიძგსა და საფრანგეთში რევოლუციურ იმპულსს შორის წარმოადგენს მთავარ განსხვავებას ამ ორ მოვლენას შორის. ამასთან, თავისთავად ცხადია, რომ სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში არსებული უზარმაზარი განსხვავებები პოლიტიკურ დონეზეც აისახა. ამერიკა, უმეტესწილად, თავისუფალი მესაკუთრეების ქვეყანა იყო, ხოლო საფრანგეთი, - ფეოდალურ რეჟიმში მცხოვრები გლეხებისა.

დამფუძნებელი კრების მოწვევისა (ამერიკა) და მის მიერ შემუშავებული დოკუმენტის საბოლოო ფორმირების (ორივე ქვეყანაში) მამოძრავებელი ძალა სახალხო ძალადობა იყო. ამერიკაში, ძალადობა, უმეტესწილად, სოფლებში იყო გავრცელებული, ხოლო საფრანგეთში - როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში. ორივე ქვეყანაში, მას ბიძგი მისცა ობიექტური

<sup>8</sup> ფ. ეიკი, „ფრანკფურტის პარლამენტი“ მაკმილანი, ლონდონი, 1968. გვ. 312.

<sup>9</sup> ა. პეირეფიტი, „ეს იყო დე გოლი“, ფაიარდი, პარიზი, 1995. ტომი I. გვ. 262.

<sup>10</sup> ტ. ბუტონი, „დემოკრატიის მოთვინიერება“, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ნიუ იორკი, 2007. გვ. 4.

გაჭირვებისა და სუბიექტური რწმენის კომბინაციამ იმის შესახებ, რომ მათ, ვინ ეს გაჭირვება შექმნა, ბოროტი ზრახვები ამოძრავებდათ. ორივე ქვეყანაში, სპეკულანტების მიმართ არსებული შეხედულება მნიშვნელოვანი იყო, - ამერიკაში, როგორც პირდაპირი კაუზალური ძალა, ხოლო საფრანგეთში, - როგორც წინა გამოცდილების ფაქტორი.

სახელმწიფოს მხრიდან მომდინარე ძალადობას ასევე გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა კონსტიტუციის შემქნის პროცესზე. აშშ-ში, მასაჩუსეტსის გუბერნატორის შეკრებილი ჯარის მიერ თითქმის მოხერხდა შეის აჯანყების ჩახშობა. აჯანყებულებმა სპრინგფილდში ფედერალური სამხედრო არსენალის ხელში ჩაგდება მხოლოდ კოორდინაციის არარსებობის გამო ვერ შეძლეს. ეს რომ მომხდარიყო, ისინი შესაძლოა ბოსტონისკენ დაძრულიყვნენ.<sup>11</sup> 1787 წლის კონსტიტუციის ზოგიერთი ჩანაწერის მიზეზი შესაძლოა დამფუძნებლების მხრიდან რეპრესიების უფრო ხისტი მექანიზმების ფლობის სურვილი იყო. საფრანგეთში, სახელმწიფო ძალადობა გამოსავლად ორ შემთხვევაში მიიჩნის. 1789 წლის ივლისში მეფის მიერ ეროვნული კრების რეპრესირების წარუმატებელმა მცდელობამ განუზომლად დიდი წვლილი შეიტანა კრების რადიკალიზაციაში. აგვისტოში, კრებამ, ცოტა ხნით პროვინციებში გლეხების აჯანყების ჩახშობის შესაძლებლობაც განიხილა, სანამ საბოლოოდ დათმობაზე წასვლას გადაწყვეტდა.

როგორც სახალხო, ისე სახელმწიფო ძალადობის გამომწვევი მიზეზიც და მათი შედეგიც ემოციები იყო. ბრაზმა, წყენამ და შიშმა ძალადობა გამოიწვია; ძალადობამ - შიში. საკამათოა რა ტიპის შიში ჰქონდათ ამერიკელ დამფუძნებლებს, - ინტუიციური (რაც, საფრანგეთის შემთხვევაში ნამდვილად ასე იყო), თუ მხოლოდ რაციონალური. არ შემიძლია ვამტკიცო, რომ ამ კითხვაზე პასუხს ვიპოვი, მაგრამ უფრო მეტად მგონია, ემოციური შიში არსებობდა და, როგორც ეს ჯეფერსონმა აღნიშნა, მისი შედეგი იყო დამფუძნებელთა გადამეტებული რეაქცია შეის აჯანყებაზე.

## 2. ამერიკა: ფერმერები და დამფუძნებლები

იქიდან გამომდინარე, რომ ჩემი არგუმენტის ძირითადი ნაწილი 1780-იანი წლების სახელმწიფო პოლიტიკას შეეხება, პირველ რიგში, აუცილებელია განვსაზღვრო წინამდებარე ანალიზის ფარგლები. ასეთი მოკლე ნაშრომისთვის, ცამეტივე შტატში მიმდინარე მოვლენების მოკლე მიმოხილვაც კი შეუძლებელია. მე ვკონცენტრირდები მასაჩუსეტსა და პენსილვანიაზე, ამასთან, გავაკეთებ რამდენიმე შენიშვნას სხვა შტატებთან დაკავშირებით.

ფედერალური კონვენტის წინმსწრები პროცესების ჩემებურ ახსნაზე დიდი გავლენა იქონია ბაუტონისა<sup>12</sup> და ჰოლტონის<sup>13</sup> ნეო-პროგრესულმა ანალიზმა. მართალია, ეს, უმეტესწილად, სოციალური ისტორიის დარგის ნაშრომებია, მაგრამ ისინი ასევე ეხება სოციალური ფენების

<sup>11</sup> ლ. რიჩარდსი, „შეის აჯანყება“, პენსილვანიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ფილადელფია, 2002. გვ.გვ. 29-30.

<sup>12</sup> ტ. ბუტონი, „რევოლუციის შებოჭვა“, დიუკის უნივერსიტეტი, სადისერტაციო ნაშრომი, 1996; ტ. ბუტონი, „დემოკრატიის მოთვინიერება“, supra 10.

<sup>13</sup> ვ. ჰოლტონი, „დაუმორჩილებელი ამერიკელები“ Hill and Wang გამომცემლობა, ნიუ იორკი, 2007.

ბრძოლათა ეკონომიკურ მიზეზებს, ისევე როგორც მათ პოლიტიკურ გაგრძელებებს. ეკონომიკურ და, განსაკუთრებით, - ფინანსურ ნაწილში, ფერგუსონის<sup>14</sup> კლასიკური კვლევა ფასდაუდებელია; ბრაუნმა<sup>15</sup> კი შემოგვთავაზა საინტერესო დაჯგუფება ქვეყნების მიხედვით. პოლიტიკურ ნაწილში, დავეყრდნობი პოულის<sup>16</sup> ასევე კლასიკურ ნაშრომს ამერიკული კოლონიებისა და შტატების წარმომადგენლობაზე.

ჩემი არგუმენტები შემდეგი თანმიმდევრობით წარიმართება: პირველ რიგში, მოკლედ განვიხილავ მოშორებულ და ზღვისპირა დასახლებებს შორის შტატებსა და კონვენტის მონაწილეთა შორის არსებული კონფლიქტების რამდენიმე ასპექტს. შემდგომში, მიმოვიხილავ ქალაქის ფულისა და ამერიკული კონფედერაციის მიერ გაცემული სესხის სერტიფიკატების რელევანტურ ფორმებს. ამის შემდეგ, აღვწერ ამ ინსტრუმენტთა გამოსყიდვით განპირობებულ კლასობრივ ბრძოლებსა და შტატის კანონმდებლების პასუხებს. ბოლოს, ამ საკითხებს დავაკავშირებ კონვენტის მოწვევასთან და ამ კრების მიერ რატიფიკაციისთვის შემოთავაზებულ დოკუმენტთან.

## **2.1. (ორმაგად) მიტოვებული მოშორებული დასახლებები**

1775 წელს ამერიკელების დაახლოებით 25 პროცენტი ცხოვრობდა ნაპირისგან მოშორებულ იზოლირებულ დასახლებებში (ე.წ. "backcountry").<sup>17</sup> პენსილვანიასა და კაროლინებში ხალხი, რომელიც ამგვარ ტერიტორიაზე ცხოვრობდა, მოსახლეობის 40-50 პროცენტს შეადგენდა.<sup>18</sup> დასავლეთის სასოფლო დასახლებები იმ დროს უყურადღებოდ იყო მიტოვებული. მათ ხშირად უფრო დიდი ტვირთი და უფრო შეზღუდული უფლებები ჰქონდათ იმათთან შედარებით, ვინც ზღვისპირთან ახლოს ცხოვრობდა. მათ შორის არსებულ განსხვავებას ყურადღება არც იმდროინდელ აკადემიურ დისკუსიებში ეთმობოდა, სადაც, მართალია, ამ განსხვავებას ხშირად ახსენებდნენ, მაგრამ - არა ხაზგასმით. მაშინ, როდესაც მიკერძოებული წარმომადგენლობის წარმოსაჩენად ხშირია მითითებები ხმის მიცემის უფლებით სარგებლობისთვის ეკონომიკურ ნიშანზე, გადანაწილებისას გეოგრაფიული მიკერძოებულობა უგულებელყოფილია. მოშორებული სასოფლო დასახლებებისთვის, ეს განსხვავება მნიშვნელოვანი იყო. „საკუთრების შესახებ დათქმები მნიშვნელოვანი არ იყო [იმ დასახლებებში], სადაც მიწის დასაკუთრება მარტივი იყო. ასეთ ზონებს პოლიტიკური გავლენის მოპოვება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ, თუკი საკანონმდებლო წარმომადგენლობას მოიპოვებდნენ, რაც კოლონიურ საკანონმდებლო ორგანოთა უმრავლესობის სურვილთან წინააღმდეგობაში მოდიოდა.“<sup>19</sup>

<sup>14</sup> ე. ჯ. ფერგუსონი, „საფულის ძალა“, ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გამოცემა, ვილიამსბურგი, 1961.

<sup>15</sup> რ. ბრაუნი, „რესპუბლიკის დაბრუნება“, ჯომ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბალტიმორი, 1993.

<sup>16</sup> ჯ. რ. პოული, „პოლიტიკური წარმომადგენლობა ინგლისში და ამერიკული რესპუბლიკის დასაბამი“. კალიფორნიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბერკლი, 1966.

<sup>17</sup> მ. ჯენსენი, „ერის დაარსება“, ჰაკეტის გამომცემლობა, ინდიანაპოლისი, 1968. გვ. 9.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> ჯენსენი, supra 17, გვ. 26.

კოლონიურ პერიოდში, „კანონმდებლები ხედავდნენ, რომ ახლად შექმნილი საზოგადოებებისთვის თანაბარი წარმომადგენლობის მიცემა მათი ძალაუფლების შესუსტებას ნიშნავდა. უპირატესობის შესანარჩუნებლად, ზოგიერთმა საკანონმდებლო ორგანომ ან მთლიანად ძალაში დატოვა წარმომადგენლობის ძველი წესი, ან ახალ რეგიონებს უფრო შეზღუდული წარმომადგენლობა მიანიჭა, ვიდრე იმ რეგიონებს, რომლებიც მათ უკვე ჰქონდათ“.<sup>20</sup> არათანაბარი წარმომადგენლობა კოლონიური პერიოდის შემდეგაც საკმაოდ დიდხანს გარძელდა. 1787 წლისთვის, მერილენდი, ორივე კაროლინა და ვირჯინია იყენებდნენ რეგიონალურ წარმომადგენლობას, რომელიც, ამ შტატებიდან ბოლო სამში მაინც, ძალიან სუსტად უზრუნველყოფდა მოშორებული სასოფლო დასახლებების ინტერესების ასახვას.<sup>21</sup> 1785 წელს, სამხრეთ კაროლინამ აშკარად აუარა გვერდი თავის კონსტიტუციას, როდესაც მან კრების წევრთა ადგილები არ გადაანაწილა.<sup>22</sup> ჯორჯიას, კონექტიკუტსა და ნიუ ჯერსის ერთ პალატაში პროპორციული წარმომადგენლობის წესი იყო დადგენილი, ხოლო მეორეში - რეგიონალური; დანარჩენ ექვს შტატს კი ორივე პალატაში პროპორციული წარმომადგენლობა ჰქონდა.<sup>23</sup>

თუმცაღა, მიუხედავად იმისა, რომ შტატების კონსტიტუციები არ ახსენებდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეთა არათანასწორ გავლენიანობას, გეოგრაფიისა და ფულის ფაქტორების ერთობლიობას ხშირად სწორედ ეს ეფექტი ჰქონდა. ამ ნაწილში, მასაჩუსეტსის მაგალითი სანიმუშოა. მართალია, 1780 წლის კონსტიტუციის მონახაზზე მომუშავე კონვენტის რამდენიმე წევრმა მოითხოვა, რომ დელეგატებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი შტატებს თავის თავზე აეღო, მაგრამ კონსტიტუციის საბოლოო ვერსიის თანახმად, თითოეულ ქალაქს დაეკისრა საკუთარი წარმომადგენლების მიერ სესიაზე დასწრების ხარჯების ანაზღაურება. [...] ჩანაწერს გადახდის შესახებ მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა, და მას, პრაქტიკული თვალსაზრისით, უფრო დიდი გავლენა ჰქონდა, ვიდრე წარმომადგენლობის უშუალო საფუძველს. შიდა ტერიტორიებზე არსებული ქალაქები, განსაკუთრებით, - ისეთი ქალაქები, რომლებიც ბოსტონიდან დაახლოებით ერთი დღის სავალზე იყო, ხშირად ვერც კი ახერხებდნენ წარმომადგენლების გაგზავნას. საკანონმდებლო სესიის განმავლობაში დედაქალაქში წარმომადგენლის შენარჩუნება დიდი ტვირთი იყო, რომლისთვის საკუთარი თავის დაქვემდებარების მიზეზსაც დამზოგველი დამფუძნებლები ვერ ხედავდნენ; როდესაც წარმომადგენლობა საჭირო იყო რაიმე სადავო საკითხზე ქალაქის პოზიციის დასაფიქსირებლად, ერთი წევრის გაგზავნა უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე ორის. ზღვისპირა ქალაქებისთვის, დედაქალაქი შედარებით მარტივად მისადგომი იყო. ამასთან, ის გარემოება, რომ ეს ქალაქები უფრო მდიდარნი იყვნენ, მათთვის უფრო ადვილს ხდიდა წარმომადგენლის შენარჩუნებას. შესაბამისად, *ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა ნორმალური პირობა უფრო ხელსაყრელი იყო აღმოსავლეთ სანაპიროსთვის [ხაზგასმა ავტორისაა].*<sup>24</sup>

<sup>20</sup> რ. ზაგარი, „ზომის პოლიტიკა“, კორნელის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ითაკა, ნიუ იორკი, 1987. გვ. 43.

<sup>21</sup> ჯ. გაზელი, „ერთი ადამიანი, ერთი ხმა“, Western Pol. Q. 23, 1970, გვ-გვ. 445-462.

<sup>22</sup> ზაგარი, supra 20, გვ. 48.

<sup>23</sup> გაზელი, supra 21.

<sup>24</sup> პოული, supra 16, გვ. 204.



გარდა ამისა, დაბალი კვორუმი, - 60 წარმომადგენელი 228-იდან, - უზრუნველყოფდა იმას, რომ ქალაქგარე რაიონებიდან დელეგატთა დასწრება არ იყო სავალდებულო. „თხუთმეტამდე შტატმა გააპროტესტა სავალდებულო დამსწრეთა ასეთი მცირე რაოდენობა, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ ქალაქგარე რაიონებიდან დასწრების მაჩვენებელი სახიფათოდ დაბალი იქნებოდა. შიდა ტერიტორიებზე განლაგებული ეს ქალაქები იმედოვნებდნენ, რომ მათ წევრთაგან ზოგიერთი მაინც ყოველთვის დაესწრებოდა სესიებს, რათა შეწინააღმდეგებოდნენ საშიშროებას, რომ მხოლოდ აღმოსავლეთის ქალაქების უმცირესობა სოციალური ინტერესების კანონმდებლობას გაიტანდა“.<sup>25</sup> ქვემოთ განხილულ ზოგიერთ ზომას სწორედ დაბალმა კვორუმმა და კრების ჩატარების ადგილმდებარეობამ მისცა ბიძგი: „შეისაჯანყების დროს, ჰემფშირის ოლქის მწერალმა განაცხადა, რომ 'სწორედ საკანონმდებლო სესიის დასასრულს, როდესაც სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ბევრი წევრი საკუთარ ფერმებში უნდა დაბრუნებულიყო გადასახადებისგან გათავისუფლების იმ დროისათვის ახალი შეთავაზება გაჭიანურდა და ივლისამდე გადაიდო.“<sup>26</sup> ქვემოთ განვიხილავ სესიებზე ქვეყნის შიგნით მდებარე სასოფლო დასახლებებიდან წარმომადგენელთა დასწრების დაბალი მაჩვენებლის სხვა, ემოციებზე დაფუძნებულ მიზეზებს.

ჯეფერსონის თანახმად,<sup>27</sup> ვირჯინიაში „მდინარის ქვემოთ მცხოვრები ცხრამეტი ათასი კაცი სენატის ნახევარს იკავებს, და დელეგატების პალატაში უმრავლესობის მოსაპოვებლად მხოლოდ ოთხი წევრი სჭირდებათ, უნდათ უფრო მეტი, ვიდრე მიიღეს მთავრობის სამყოფელთან სიახლოვის გამო, და, რაღა თქმა უნდა, უფრო მეტი ხელსაყრელი პირობა და პუნქტუალობა, რომლითაც მათი წევრების საკანონმდებლო ორგანოში დასწრებას შეძლებენ. შესაბამისად, ქვეყნის ერთ ნაწილში მცხოვრები ეს ცხრამეტი ათასი კაცი, წესებს ადგენს სხვა მხარეში მცხოვრები ოცდაათი ათასი კაცისთვის, და მათთვის აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ თანამდებობებსა და სასამართლო ხელისუფლების წევრებს ნიშნავენ“. ჯეფერსონის „ანალიზი უფრო მეტად ზუსტი ხდებოდა დროის მსვლელობასთან და მოსახლეობის დასავლეთ ნაწილებში გადანაცვლებასთან ერთად“.<sup>28</sup>

პენსილვანიაში, 1776 წლის კონსტიტუციამ პროპორციული წარმომადგენლობა რეგიონული წარმომადგენლობით შეცვალა და, შესაბამისად, დაასრულა უთანასწორო წარმომადგენლობა. თუმცა, ეს ზონები სხვა მხრივ იყვნენ არახელსაყრელ პირობებში. „ფერმერებს, რომლებიც იბრძოდნენ გადაუხდელი ვალებისა და გადასახადებისთვის თავის დასაღწევად, არ ჰქონდათ ბოსტონში თვეების მანძილზე კანონების შესახებ დისკუსიის გამართვისთვის გუთნის მიტოვების შესაძლებლობა“.<sup>29</sup> საზღვარზე მდებარე მიწებზე სტატუსის მისაღებად, ღარიბ მოსახლეებს ფილადელფიაში ძვირადღირებული გზა უნდა გაეკვლო.<sup>30</sup> სტატუსის გარეშე, მათ ხმის მიცემა არ შეეძლოთ.

<sup>25</sup> იქვე. გვ-გვ. 199–200.

<sup>26</sup> ჰოლტონი, „დაუმორჩილებელი ამერიკელები“, supra 13, გვ. 169.

<sup>27</sup> თ. ჯეფერსონი, „ჩანაწერები ვირჯინიის შტატზე“, კერძო გამომცემლობა, პარიზი, 1784. თავი XIII: კონსტიტუცია.

<sup>28</sup> პოული, supra 16, გვ. 297.

<sup>29</sup> ბუტონი, „დემოკრატიის მოთვინიერება“, supra 10, გვ. 129.

<sup>30</sup> იქვე. გვ-გვ. 121–122.

ფედერალურ კონვენტზე შტატის დელეგაციები საკანონმდებლო ორგანოების მიერ აირჩეოდა, და ამ არჩევანში მათი მიკერძოებულობაც აისახებოდა. სანაოსნო მდინარეზე ფერმერი სოფლიდან საშუალოდ 16 მილით იყო დაშორებული, მაქსიმუმ კი - 200 მილით<sup>31</sup> ეს დაშორება მჭიდროდაა დაკავშირებული შტატების მიერ ქალაქის ფულის გაცემის თაობაზე არსებულ აკრძალვასთან - ფერმერები იზოლირებული მხარეებიდან, დიდი ალბათობით, ამ აკრძალვის საწინააღმდეგოდ მისცემდნენ ხმას.<sup>32</sup> მაკდონალდის<sup>33</sup> თანახმად, კონვენტის დელეგატები ქვეყანაში არსებული 55 ძირითადი გეოგრაფიული არეიდან 39-ს წარმოადგენდნენ. საკმარისი წარმომადგენლობა არ ჰყავდა 6 ძირითად მთიან რეგიონს და პენსილვანიის, ვირჯინიის და სამხრეთ კაროლინის ტრანს-მთიან რეგიონს, ისევე, როგორც ბერკვირის მხარეს მასაჩუსეტსა და კონექტიკუტში.

უშუალოდ კონვენტში, ხშირად ახსენებდნენ დასავლეთის მიწებსა და დასავლეთის შტატების მომავალს. მუდამ გულწრფელად მოსაუბრე გუბერნატორი მორისი ამტკიცებდა, პენსილვანიის მაგალითი იმაზე მიუთითებდა, რომ დასავლეთის მომავალი შტატებისთვის გაერთიანებაში იგივე პირობით შესვლის უფლების მიცემა, როგორი პირობებიც თავდაპირველ შტატებს ჰქონდათ, საფრთხის შემცველი იქნებოდა: „მათ არ ეყოლებათ მსგავსად განათლებული ხალხი, ვინც წვლილს შეიტანს ჩვენი საერთო ინტერესების მიღწევაში. პოლიტიკური ტალანტებისთვის შესაფერისი სკოლა საქმიანი ადგილებია, და არა ველური არემარე. თუ დასავლეთის ხალხი ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებს, ისინი ატლანტიკურ ინტერესებს დააზიანებენ. სოფლის დასახლებებიდან მოსული წევრები ყოველთვის ეწინააღმდეგებიან საუკეთესო ღონისძიებებს“. მან პენსილვანიის მაგალითი მოიყვანა. შტატის ტერიტორიის ქვედა ნაწილს პირველ შემთხვევაში ჰქონდა ძალა.<sup>34</sup> დასავლეთის შტატებისთვის თანაბარი წარმომადგენლობის მიცემისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება ჰქონდა ჯონ რუთლექსაც.<sup>35</sup> ნათანიელ გორემი, რომელიც, მისი თქმით, წარმომადგენლობის კომიტეტის სახელით საუბრობდა (ამ კომიტეტს იგი თავადვე თავმჯდომარეობდა), ამტკიცებდა, რომ „ატლანტიკურ შტატებს, რომლებსაც ხელისულება საკუთარ ხელში აქვთ, შეუძლიათ თავისი საქმეები თავად მოაგვარონ, დასავლეთის შტატებისთვის ზომიერ პროპორციებში წარმომადგენლობის უფლების მინიჭებით“.<sup>36</sup> მართალია, მედისონი და ჯორჯ მესონი დასავლეთის შტატების თანაბარ და მიუკერძოებელ წარმომადგენლობაზე საუბრობდნენ, მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ, რომ მათი არგუმენტები, - სულ მცირე, - მესონის არგუმენტები, არ იყო მოტივირებული მათი რწმენით, რომ ამ შტატებში მონობა უფრო გავრცელდებოდა.<sup>37</sup>

<sup>31</sup> რ. მაქგუაიარი, „უფრო სრულყოფილი გაერთიანების შესაქმნელად“, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003. გვ. 69.

<sup>32</sup> იქვე. გვ. 73

<sup>33</sup> ფ. მაკდონალდი, „ჩვენ, ხალხი: კონსტიტუციის ეკონომიკური დასაბამი“, გამომცემლობა Transaction Books, ახალი ბრუნსვიკი, 1982. გვ. 37.

<sup>34</sup> მ. ფარანდი, „ფედერალური კონვენტის ჩანაწერები“, იელის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ნიუ ჰეივენი, 1966. ტომი I, გვ. 583.

<sup>35</sup> იქვე. გვ. 534

<sup>36</sup> ფარანდი, supra 34, გვ. 560.

<sup>37</sup> ა. ამარი, „ამერიკის კონსტიტუცია: ბიოგრაფია“, გამომცემლობა Random House, ნიუ იორკი, 2005. გვ. 90.

მაღალი ალბათობით, ან, სავარაუდოდ, კონსტიტუცია არ დამტკიცებოდა, თუკი კონვენტებში შტატების ყველა უბანი თანაბრად იქნებოდა წარმოდგენილი. სამხრეთ კაროლინაში, „სანაპირო მხარეები [...] დიდი უმრავლესობით უჭერდნენ მხარს კონსტიტუციას. ქვეყნის შუაში განლაგებული მხარეები კი ასეთივე უმრავლესობით იყვნენ მის წინააღმდეგ განწყობილნი. თუმცა, ნაკლებად დასახლებულ სანაპირო მხარეებს 151 დელეგატი ჰყავდათ, ხოლო შიდა მხარეებს, - 86“.<sup>38</sup> რატიფიკაციების ჯაჭვურ რეაქციაში, „ის ფსიქოლოგიური ეფექტი, რომელიც სამხრეთ კაროლინის მიერ რატიფიკაციამ იქონია გადამწყვეტ შტატ ვირჯინიაზე [რომელმაც რატიფიკაცია მოახდინა 89 ხმით 79-ის წინააღმდეგ] მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ამით უფრო მიმზიდველი ალტერნატიული შესაძლებლობა (სამხრეთის კონფედერაცია) გამოირიცხა“.<sup>39</sup> ნიუ-იორკის შტატის ის პროფედერალისტური უმრავლესობა, რომელიც ვირჯინიის მიერ რატიფიკაციის შემდეგ წარმოიშვა, საერთო მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდა.<sup>40</sup> საერთო ჯამში, კონსტიტუციის აგრარული მოწინააღმდეგეები „აგებდნენ ‘მეტად განაწილებული, მკაცრად შეზღუდული და ხალხთან ახლოს მყოფი ძალების ძიებისთვის’ [ბრძოლას], უმეტესწილად, მარატიფიცირებელ კონვენტებზე არასამართლიანად შეზღუდული წარმომადგენლობის გამო“.<sup>41</sup>

## 2.2. ქალაქის ფული და სესხები

„გამორჩეულად მედისონისეული დებულებები“ იყო I.10 მუხლში მოცემული აკრძალვები: „არც ერთ შტატს არა აქვს უფლება დადოს რაიმე ხელშეკრულება, შევიდეს რაიმე ალიანსში ან კონფედერაციაში; გასცეს [...] აკრედიტივები; გადაიხადოს ვალები სხვაგვარად, თუ არა ოქროსა და ვერცხლის მონეტებით; მიიღოს [...] კანონი, რომელიც დაარღვევს ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს“; ჯიმს უილსონი და ბენჯამინ რაში, ორივე აცხადებდა, რომ კონსტიტუციის მიღებას აზრი ექნებოდა, თუკი მასში მხოლოდ ქალაქის ფულთან დაკავშირებით იარსებებდა აკრძალვა.<sup>42</sup> მართალია, კონვენტზე კენჭი ეყარა ფედერალური ქალაქის ფულის შექმნის უფლებამოსილების მიმნიჭებელი დებულების გაუქმებას,<sup>43</sup> მაგრამ კონსტიტუცია ამ პრაქტიკის აკრძალვას არ შეიცავს.

მშვიდობიანობის დროს, 1776 წლამდე, მრავალი კოლონია რეგულარულად და წარმატებით იყენებდა ქალაქის ფულს; ისინი ყურადღებას იმას აქცევდნენ, რომ უზრუნველყოფა მიწით ან სამომავლო გადასახადებით გაეკეთებინათ.<sup>44</sup> რევოლუციური ომის დროს, ქალაქის ფული და ომის დასაფინანსებლად გამოყოფილი სხვა საშუალებები დიდი სისწრაფით უფასურდებოდა. თეორიულად, შტატებს შეეძლოთ მაღალი გადასახადების დაწესებისა და ამოღების გზით ბრუნვაში არსებული ფულის მასის შემცირება და, შესაბამისად, მისი

<sup>38</sup> ჩ. როლი, „ჩვენ, ხალხის ნაწილი“, 56, „ამერიკის ისტორიის ჟურნალი“, 1969, გვ-გვ. 21-40. გვ. 30.

<sup>39</sup> იქვე. გვ. 32.

<sup>40</sup> იქვე. გვ-გვ. 32-33.

<sup>41</sup> იქვე. გვ. 40, ციტირებული ნაშრომი: ლ. ბენსონი, „ტერნერი და პური“, გამომცემლობა The Free Press, გლენკო, ილინოისი, 1960, გვ. 219.

<sup>42</sup> ციტირებული ნაშრომში: ბუტონი, „დემოკრატიის მოთვინიერება“ supra 10, გვ. 179, 301.

<sup>43</sup> ფარანდი, supra 34, ტომი II, გვ. 310.

<sup>44</sup> ფერგიუსონი, supra 14, თავი. 1; ფ. გრუბი, „აშშ კონსტიტუცია და ფისკალური ძალაუფლებები“ 13, „Journal of Financial History“, 2006. გვ-გვ. 43-71.

ღირებულების შენარჩუნება. მაგრამ, პოლიტიკური გადმოსახედიდან, ამის გაკეთება შეუძლებელი იყო: „იმ დროს, როდესაც ამერიკელი ხალხი პარლამენტს გადასახადების დაწესების გამო ახლახან ასე შეეწინააღმდეგა, მათ ჯერ კიდევ სენსიტიური დამოკიდებულება ჰქონდათ ამ საკითხისადმი“.<sup>45</sup> მართლაც, კონტინენტურმა კონგრესმა ჯერ კონტინენტურ თამასუქებს მისცა ღირებულების რამდენიმე პროცენტით გაუფასურების საშუალება, ხოლო შემდეგ სხვა ინსტრუმენტებზე გადავიდა, კერძოდ, ფედერალურ ობლიგაციებზე, შტატების ან ფედერალური მთავრობის მიერ საქონლის საფასურის გადასახდელად გამოცემულ სერტიფიკატებზე, შტატების მიერ და სამხედროებისთვის საზღაურების სახით გაცემულ სამხედრო სერტიფიკატებზე. ქალაქის ფული და ობლიგაციები შტატებმაც გამოსცეს. ამ ინსტრუმენტებიდან ზოგიერთი ინტერესს იწვევდა, ზოგიერთი - არა. ეს ინსტრუმენტები, - გარდა ფედერალური ობლიგაციებისა, რომლებიც ძირითადად, როგორც ინვესტიცია გამოიყენებოდა, - მიმოქცევაში იყო როგორც ანგარიშსწორების საშუალება და გადასახადების გადახდისთვის ხშირად გამოიყენებოდა. სერტიფიკატები თავდაპირველი მფლობელებისგან ძალიან იაფ ფასად და დიდი რაოდენობით იყიდეს სპეკულანტებმაც.

როდესაც ომის დასასრული გამოჩნდა, ამ ინსტრუმენტების, - კონტინენტური დოლარების, ობლიგაციებისა და სერტიფიკატების, - ბევრმა მფლობელმა ანაზღაურება მოითხოვა ლითონის ფულით, - ნომინალური ღირებულებით და, სადაც შესაძლებელი იყო, - პროცენტით. ვინაიდან კონტინენტურ კონგრესს არ შეეძლო შტატების საკმარისი რაოდენობის დათანხმება ფედერალურ ბაჟზე (ტარიფი იმპორტზე) გამოსყიდვის დასაფინანსებლად, შტატებს თავად უნდა გადაეწყვიტათ, როგორ დააკმაყოფილებდნენ არსებულ მოთხოვნებს. მათმა უმრავლესობამ მიიღო კანონმდებლობა დიდი გადასახადების დასაწესებლად. მართალია, ამათგანი ზოგიერთი ბაჟისა და აქციზის გადასახადი იყო (მომხარების გადასახადი), მაგრამ გადასახადების უდიდესი ნაწილი ერთ სულ მოსახლეზე გადასახადის ანდა ქონების გადასახადის ფორმით არსებობდა. ვინაიდან ოქრო და ვერცხლი დეფიციტური იყო და, შესაბამისად, ფასები (ლითონის ფულში) მკვეთრ დეფლაციას განიცდიდა, ფერმერებისთვის რთული იყო საკუთარი პროდუქტების გაყიდვა იმ ფასად, რომ ამით გადასახადების გადახდა შეძლებოდათ (მეორე მხრივ, დეფლაცია მეტად ხელსაყრელი იყო სახელმწიფო თანამდებობის პირებისთვის, რომლებსაც ფიქსირებული ხელფასი ჰქონდათ). შტატების ამ გადაწყვეტილებებმა რამდენიმე შტატში მკვეთრი რეაქციები გამოიწვია. „ჩვეულებრივი ხალხისთვის მყარი ფორმის ფულით გადახდის იძულების მცდელობით, პენსილვანიამ, სამხრეთ კაროლინამ, როდ აილენდმა და მასაჩუსეტსმა დიდი საფრთხე შეუქმნეს ქონების გაყიდვებს. წინააღმდეგობა, ხოლო შემდგომში - უკან დახევა გარდაუვალი იყო [...] მერილენდი, ვირჯინია, ნიუ-ჰემფშირი, ნიუ-ჯერსი და შესაძლოა, და დელავერი [ასევე] შეესაბამება წნეხის - წინააღმდეგობისა და უკან დახევის მოდელს“.<sup>46</sup> ოთხ დანარჩენ შტატს არ ჰქონია გადასახადების მონეტების სახით აკრეფის მცდელობა.<sup>47</sup>

ვინაიდან მასაჩუსეტსი ყველაზე ძალადობრივი წინააღმდეგობის მოწმე იყო, ამჟამად ამ შტატზე გავამახვილებ ყურადღებას. 1780 წელს კონსერვატორების მიერ ძალაუფლების

<sup>45</sup> ფერგიუსონი, supra 14, გვ. 30.

<sup>46</sup> ბრაუნი, supra 15, გვ. 122.

<sup>47</sup> იქვე.

დაბრუნებამ შედეგად მოიტანა „თვითნებური სახელმწიფო პროგრამა ომის ვალის დაჯამებისა და გადახდის შესახებ“ რაც იყო „მოცემულ პირობებში, ყველაზე ხარჯიანი რამ, რადგან ომისდროინდელ ვალუტას უპირატესი სტატუსი ჰქონდა“.<sup>48</sup> 1780 და 1786 წლებს შორის, შტატის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო ცხრა პირდაპირი გადასახადი, რომლებიც ცვალებადად გადაიხდებოდა კონტინენტურ ვალუტაში, მონეტებით, ამერიკის ბანკის ბანკნოტებით, რობერტ მორისის მიერ გაცემული ბილეთებით, სამხედრო სერტიფიკატებით, ფედერალური ინდენტებით (ფედერალური ობლიგაციების ინტერესის სერტიფიკატები) და ძროხის ხორციით.<sup>49</sup> 1781 და 1786 წლებში, კანონმდებელმა დიდძალი გადასახადი აკრიფა მონეტებით. 1786 წელს გადასახადების მოთხოვნამ სათანადოდ ვერ შეაფასა მონეტების ის რაოდენობა, რომელიც საჭირო იყო, რადგან გადასახადის ერთი მესამედი გადასახადებით მოთხოვნილი მონეტების რაოდენობა სავალო ვალდებულებების შესახებ დოკუმენტით უნდა ყოფილიყო გადახდილი, რომლებიც უმრავლესობას ობლიგაციონერებისგან უნდა ეყიდა მონეტებით.<sup>50</sup>

გადასახადების აკრეფის ეფექტურობა შემცირდა სასოფლო დასახლებების სანაპიროდან დაშორების პროპორციულად. 1780–1782 წლებში, მიდლსექსში, გადახდის ვადის გადაცილებით გამოწვეული დავალიანება აკრეფილი გადასახადების 33 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ბერკშირში - 74 პროცენტს.<sup>51</sup> ეს ეფექტურობა ასევე შემცირა დროთა განმავლობაში. მთლიანად შტატში, 1782–1786 წლების განმავლობაში, დავალიანება 12 პროცენტიდან 84-მდე გაიზარდა.<sup>52</sup> ამავდროულად, ლითონის ფულის დეფიციტურობის გამო, კერძო კრედიტორებისთვის ვალის გადახდა რთული იყო. „ბევრმა ფერმერმა ვალი ომამდე აიღო, როდესაც ფული მეტი იყო და ფასები - მაღალი; როდესაც ფული დეფიციტური გახდა, ფასები დაეცა და ფერმერებს აღარ შეეძლოთ მარცვლეულისა და შინაური საქონლის იმ ფასად გაყიდვა, რაც მათ საკუთარი ვალის გადახდის შესაძლებლობას მისცემდა“.<sup>53</sup> მაშინაც კი, როდესაც ფერმერებს შეეძლოთ ერთ-ერთის, - გადასახადების ან ვალის - გადახდა, ამ ორივეს კომბინირებული ტვირთის წევა მათ შესაძლებლობებს აღემატებოდა.

### **2.3. წინააღმდეგობა, რეპრესია და უკან დახევა**

მართალია, გადასახადები და სასესხო ვალდებულებები შესაძლოა, ობიექტური გაგებით, თანაბარ ტვირთს წარმოადგენდნენ, მაგრამ, სუბიექტური თვალსაზრისით, ეს ორი ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდებოდა. კრედიტორისა და მოვალის ერთმანეთისადმი დამოკიდებულება საფრთხის შემცველად მტრული არ იყო. მტკიცებები იმის შესახებ, რომ „ვალუტის მომხრე ფერმერები უბრალოდ თავიანთი კერძო კრედიტორების თაღლითურად მოტყუებას ცდილობდნენ“, უბრალოდ მითია.<sup>54</sup> ფერმერებმა და ხელოსნებმა კარგად

<sup>48</sup> ფერგიუსონი, supra 14, გვ. 245.

<sup>49</sup> ბრაუნი, supra 15, გვ. 247.

<sup>50</sup> ჰოლტონი, „დაუმორჩილებელი ამერიკელები“, supra 13, გვ. 66.

<sup>51</sup> ბრაუნი, supra 15, გვ. 101

<sup>52</sup> იქვე, გვ. 102.

<sup>53</sup> ბუტონი, „დემოკრატიის მოთვინიერება“ supra 10, 23.

<sup>54</sup> ჰოლტონი, „დაუმორჩილებელი ამერიკელები“, supra 13, გვ. 61.

იცოდნენ, რომ მათ მომავალში კვლავ დასჭირდებოდათ სესხი, რისი მიღების შესაძლებლობაც აღარ იარსებებდა, თუკი ისინი არსებულ სესხებს არ დაფარავდნენ. ამის საპირისპიროდ, - გადასახადების გადამხდელებსა და ობლიგაციონერებს შორის ურთიერთობა მეტად ანტაგონისტური იყო. იმ შემთხვევაში, თუკი ობლიგაციონერების უმრავლესობა ვეტერანები იქნებოდნენ, რომლებსაც ჯერ კიდევ პირველადი ობლიგაციები ჰქონდათ დარჩენილი, გადასახადის გადამხდელები მათი მორალური მოთხოვნის სიძლიერეს დაინახავდნენ. ამ უკანასკნელთ შესაძლოა მაინც მოეთხოვათ გადასახადების გადახდა მონეტებით, მაგრამ, უფრო ნაკლები დაუინებით. თუმცა, საქმე ასე არ იყო. „მართალია, ფერმერებისა და ჯარისკაცების ნაწილმა თავიანთი ობლიგაციები შეინარჩუნეს, მაგრამ, უმრავლესობამ ეს ვერ მოახერხა და, ღირებულების თვალსაზრისით, სესხის უდიდესი ნაწილი რაოდენობრივად ცოტა ვინმეს ხელთ იყო თავმოყრილი.“<sup>55</sup> მასაჩუსეტსში, „სახელმწიფო ვალის დაახლოებით 80 პროცენტი ხელში ბოსტონთან ახლოს მცხოვრებ სპეკულანტებს ჩაუვარდა, ხოლო დაახლოებით 40 პროცენტი - სულ რაღაც 35 ადამიანს“.<sup>56</sup> მეორე მხრივ, „ამერიკელებმა კარგად იცოდნენ, რომ საჯარო მოხელეების მიერ მათგან მიღებული გადასახადების უმრავლესობა ობლიგაციონერებთან მიდიოდა“<sup>57</sup> და „ბრაზით გასცემდნენ იმ მსხვერპლს, რომლებსაც მათი კრების წევრები ობლიგაციებით სპეკულანტთა სახელით ითხოვდნენ“.<sup>58</sup> ისინი არ იზიარებდნენ კანონმდებლის არგუმენტს, რომ ბენეფიციარების უმრავლესობა „ღირსეული პატრიოტები“ იყვნენ, ვინც სამშობლოს გასაჭირის დროს დაეხმარნენ.<sup>59</sup> გასაკვირი არ არის, რომ ის ვეტერანები, რომლებმაც საკუთარი ობლიგაციები სპეკულანტებს გასაჭირის გამო მიჰყიდეს, განსაკუთრებით გაბრაზებულნი იყვნენ“.<sup>60</sup>

მეორე მხრივ, „ობლიგაციონერებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი ინვესტიციების ღირებულება სრულად იყო დამოკიდებული კანონმდებლის ნებაზე, დაეწესებინა გადასახადები“.<sup>61</sup> შედეგად, „ბევრმა ობლიგაციონერმა გააცნობიერა, რომ მათი ინვესტიციების ღირებულებას პოლიტიკური პროცესები განსაზღვრავდა, რის გამოც ცდილობდნენ კიდევ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას“.<sup>62</sup> „1780-იანი წლების განმავლობაში, იმ 35 ადამიანიდან, რომელიც სახელმწიფო ვალის 40 პროცენტს განაგებდა, ან ყველას ეკავა პოზიცია შტატის წარმომადგენელთა პალატაში, ან ამ პოზიციაზე ახლო ნათესავი ჰყავდა“.<sup>63</sup> მართალია, კანონმდებლებზე სპეკულანტების რეალურ გავლენას ვერ დავადგენთ, თუმცა „მათი თანამემამულეების გადმოსახედიდან, მათი გავლენა ძალიან დიდი იყო“.<sup>64</sup> ფილადელფიაში, პელატია ვებსტერის<sup>65</sup> თანახმად, სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღე-

<sup>55</sup> ბუტონი, „დემოკრატიის მოთვინიერება“, supra 10, გვ. 37.

<sup>56</sup> რიჩარდსი, „შეის აჯანყება“, supra 11, გვ. 75.

<sup>57</sup> ბუტონი, „დემოკრატიის მოთვინიერება“, supra 10, გვ. 32.

<sup>58</sup> იქვე. გვ. 38.

<sup>59</sup> რიჩარდსი, „შეის აჯანყება“, supra 11, გვ. 79.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> ბუტონი, „დემოკრატიის მოთვინიერება“, supra 10, გვ. 40.

<sup>62</sup> იქვე. გვ. 41.

<sup>63</sup> რიჩარდსი, „შეის აჯანყება“, supra 11, გვ. 78.

<sup>64</sup> ბუტონი, „დემოკრატიის მოთვინიერება“, supra 10, გვ. 41.

<sup>65</sup> პ. ვებსტერი, „სათხოვარი საბრალო ჯარისკაცთათვის“, 1785, გამოქვეყნებულია კრებულში „პოლიტიკური ესეები“, 1791, გვ.გვ. 269-305. გვ. 303.

ბისას, კრების იმ წევრებს, რომლებიც „უშუალოდ ფლობდნენ, დაინტერესებულნი იყვნენ ან სხვაგვარად იყვნენ კავშირში ნებისმიერ სახელმწიფო ფასიან ქალაქებთან“, არ უნდა ჰქონოდათ ხმის მიცემის უფლება ზუსტად იგივენაირად, როგორც „მოსამართლეებს ან ნაფიც მსაჯულებს აქვთ ისეთ საქმეში მონაწილეობის მიღების უფლება, რომლის შედეგითაც ისინი პირდაპირ არიან დაინტერესებულნი“.<sup>66</sup>

გადასახადებთან და სესხებთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად ფერმერებს არჩევანი პოლიტიკურ პროცესში ჩართვასა და წინააღმდეგობის გაწევას შორის ჰქონდათ. 1786 წლის აპრილში, ამომრჩევლებმა ე.წ. გამათავისუფლებლების (relievers) კრება აირჩიეს, რომელიც გამოსცემდა ქალაქის ფულს და მას აქცევდა კანონიერ საგადასახადო საშუალებად ნებისმიერი ვალის გადასახდელად, - როგორც კერძო, ისე სახელმწიფო. მასაჩუსეტსში 1786 წელს დაწყებულ სესიას, ფაქტობრივად, შეეძლო გადასახადების შემამსუბუქებელი ზომების გატარება, დასავლეთის ქალაქგარე დასახლებებს აღმოსავლეთთან შედარებით არათანაბარი წარმომადგენლობა რომ არ ჰქონოდათ. დამფუძნებლები კლასიკური კოლექტიური ქმედების დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. „იგივე ფაქტორები, რომლებიც წარმომადგენლობის აუცილებლობას განაპირობებდა, ამას, ამავდროულად, უფრო ართულებდა კიდევ. რაც უფრო რთული პერიოდი იდგა, ქალაქებს საკუთარი ხარჯების შემცირების უფრო მეტი სტიმული ჰქონდათ. ის, რომ თითოეული ქალაქის ერთი ან ორი წევრი შტატის კრების ზოგად პოლიტიკაზე ან შტატის მდგომარეობაზე ეფექტურ გავლენას იქონიებდა, ყოველთვის ნაკლებსავარაუდო იყო“.<sup>67</sup> ამ რაციონალური გათვლის გარდა, ასამბლეის მიერ თავის შეკავებას ემოციური საფუძველიც ჰქონდა. „მართალია, მასაჩუსეტსისა და ნიუ-ჰემპშირის მრავალმა ქალაქმა 1786 წლის არჩევნებში უარყო ასამბლეის ის წევრები, რომლებიც გადასახადების შემამსუბუქებელ ზომებს ეწინააღმდეგებოდნენ, მათი ქმედებების ეფექტი სხვა ქალაქებმა შეაკავეს, რომლებმაც ლეგისლატურის მკაცრი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილება წარმომადგენლების ერთბაშად გამოხმობით გამოხატეს.“<sup>68</sup>

მოგვიანებით, მასაჩუსეტსელმა ფერმერებმა კრებამდე გზა გაიკვლიეს. მათ ეს ფართომასშტაბიანი ინდივიდუალური წინააღმდეგობის გაწევით შეძლეს, რაც შეის აჯანყებასთან ერთად, კოლექტიურ ძალადობაში გადაიზარდა. საერთო ჯამში, სხვადასხვა შტატში წინააღმდეგობის ფორმები მეტად განსხვავებული იყო. როგორც თავიანთი (თითქმის) თანამედროვეები საფრანგეთში, ვირჯინიაში ფერმერები ხანძრებს აჩენდნენ იმ ადგილებზე, სადაც კანონის აღსასრულებლად საჭირო, საკუთრებასთან დაკავშირებული დოკუმენტები ინახებოდა.<sup>69</sup> ნიუ-ჯერსიში, „გადასახადების გადამხდელებმა შექმნეს დაჯგუფებები, რომლებიც აქციზის ამკრეფის ოფისს დაუფლნენ იმ გაცხადებული მიზნით, რომ არავისთვის დაეძალებინათ გადასახადის გადახდა“.<sup>70</sup> თავის შესანიშნავ ანალიზში, ბაუტონი ხსნის, რომ პენსილვანიაში [ჩვეულებრივმა ხალხმა] თავიანთი დასახლებების გარშემო შექმნა დაცვის კონცენტრირებული რგოლები. [...] პირველი წრე შედგებოდა ქალაქგარე დასახლებებში

<sup>66</sup> იქვე, გვ. 302.

<sup>67</sup> პოული, supra 16, გვ-გვ. 234-235.

<sup>68</sup> ჰოლტონი, „დაუმორჩილებელი ამერიკელები“, supra 13, გვ. 134.

<sup>69</sup> ჰოლტონი, „დაუმორჩილებელი ამერიკელები“, supra 13, გვ. 146.

<sup>70</sup> იქვე, გვ. 147.

მომუშავე გადასახადის ამკრეფი მუშაკებისგან, რომლებიც გადასახადების აკრების პროცესის ჩაშლას ცდილობდნენ. მეორე რგოლი მოიცავდა ქალაქგარე დასახლებების მოსამართლეებს, რომლებიც უარს აცხადებდნენ სამართალდამრღვევი გადასახადის გადამხდლებისა და გადასახადის ამკრეფების დასჯაზე. მესამე რკალი შედგებოდა ნაფიცი მსაჯულებისგან, რომლებიც უდანაშაულოდ ცნობდნენ მათ, ვისაც ბრალი ედებოდა გადასახადების გადაუხდელობაში. მეოთხე რგოლი შედგებოდა შერიფებისა და კონსტებლებისგან, რომლებიც არ აპატიმრებდნენ იმ მოქალაქეებს, რომლებიც გადასახადებს არ იხდიდნენ. მეხუთე რგოლში კი ექცეოდა ჩვეულებრივი ხალხი, რომელიც არადალაღობრივი პროტესტის მეშვეობით ცდილობდა გადასახადების აკრეფისა და გადაუხდელობის გამო საკურების ჩამორთმევის პროცესის შეჩერებას. მეექვსე რგოლში მყოფი ადამიანები იგივე მიზნის მიღწევას ცდილობდნენ, ოღონდ ძალადობრივი, ბრბოს ქმედებებით. მეშვიდე რგოლი შედგებოდა თვითორგანიზებული სამხედროებისგან, რომლებმაც უარი თქვეს იმ ბრძანებების შესრულებაზე, რომელიც ამ პროტესტის შეჩერებისკენ იქნებოდა მიმართული.<sup>71</sup>

მასაჩუსეტსში შეის აჯანყებას სამი ძირითადი შედეგი მოჰყვა. პირველი, - გუბერნატორმა კერძო წყაროების მეშვეობით ჩამოაყალიბა ჯარი აჯანყებულთა დასამარცხებლად. იმ 153 პიროვნებისგან, რომლებმაც ამაში კონტრიბუცია შეიტანეს, ნახევარზე მეტი სპეკულანტები იყვნენ.<sup>72</sup> მართალია, კონტინენტურმა კონგრესმა აჯანყების ჩასახშობად ყველა შტატს \$530 000 მოსთხოვა, თუმცა ამ მოთხოვნას მხოლოდ ვირჯინია დაემორჩილა. მრავალი ნაციონალისტის აზრით, ამ შემთხვევაში კოლექტიურად მოქმედების უუნარობა იმას ადასტურებდა, რომ კონფედერაცია მეტად სუსტი იყო და არსებობდა ძლიერი ცენტრალური მთავრობის შექმნის საჭიროება.

მეორე, - მასაჩუსეტსის კანონმდებლებმა უკან დაიხიეს. 1786 წლის შემოდგომაზე, „იგივე კანონმდებლები, რომლებმაც აჯანყების მაპროვოცირებელი გადასახადები დააწესეს და რომლებმაც გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში გადასახადების შემამსუბუქებელ რამდენიმე ღონისძიებას მხარი არ დაუჭირეს, ახლა ფერმერებს დიდი გადასახადებისა და ვალების შემამსუბუქებელი ფართო ღონისძიებები შესთავაზეს.“<sup>73</sup>

მესამე, - 1787 წლის არჩევნებში ქალაქის შეხვედრებმა კრების წევრთა ორი მესამედი ჩაანაცვლა და გუბერნატორი დაამარცხა. „1787 წლის აპრილ-მაისის არჩევნები წინა წელს ჩატარებული არჩევნებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ იმ დროისთვის, მთავრობის მიმართ ბრაზი საუბრის იმდენად გავრცელებული თემა იყო, რომ ბევრი ფერმერი დარწმუნდა, მთელი შტატის მასშტაბით, მათი თანამოაზრეები საკუთარი ქალაქის შეკრებებზე გამოცხადდებოდნენ იმ მიზნით, რომ ასამბლეის უმრავლესობა ჩაენაცვლებინათ.“<sup>74</sup> ამ ანალიზში დამფუძნებლების კოლექტიური ქმედების პრობლემა იყო არა პატიმრის დილემა (როგორც ამას ამტკიცებს პოული),<sup>75</sup> არამედ კოოპერაციული, სიმეტრიული თამაში. 1786

<sup>71</sup> ბუტონი, „დემოკრატიის მოთვინიერება“, supra 10, გვ. 146.

<sup>72</sup> ლ. რიჩარდსი, supra 11, გვ. 78.

<sup>73</sup> ჰოლტონი, „დაუმორჩილებელი ამერიკელები“, supra 13, გვ. 155.

<sup>74</sup> ჰოლტონი, „დაუმორჩილებელი ამერიკელები“, supra 13, გვ. 156.

<sup>75</sup> პოული, supra 16, გვ-გვ. 234-235




წლის არჩევნებზე კოოპერაციის ნაკლებობის შედეგი სწორედ ინფორმაციის ნაკლებობა იყო და არა - სოლიდარობის ნაკლებობა.<sup>76</sup>

რეალური თუ მოსალოდნელი ძალადობის რისკის წინაშე აღმოჩენილებმა, ასევე სხვა შტატების კანონმდებლებმაც, რომლებიც არ ყოფილან ჩანაცვლებული (როდ აილენდისა და პენსილვანიისგან განსხვავებით), უკან დაიხიეს. სამხრეთ კაროლინაში მთავრობამ უკან დაიხია 1785 წელს, როდესაც „სავარაუდო იყო, რომ ძალადობის გამოყენებით, ზღვისპირა ზოლის (low-country<sup>77</sup>) ლიდერები დაკარგავდნენ სხვა შიდა დასახლებების (up-country<sup>78</sup> და back-country<sup>79</sup>) მხარდაჭერას და, ამასთან ერთად, კრების კონტროლის შესაძლებლობასაც“.<sup>80</sup> მერილენდში „გაყოფილმა მთავრობამ უკან დაიხია და ზეწოლა შეამსუბუქა“.<sup>81</sup> ვირჯინიაში 1786 წლის 4 დეკემბერს მედისონმა ჯეფერსონს წერილში მისწერა: „ასაკრეფი გადასახადის ლითონის ფულით გადასახდელი ნაწილის გადახდა თამბაქოთი გადახდაც შესაძლებელია. ხალხისთვის ტვირთის ამგვარი შემსუბუქება ყველას იმდენად სურდა და ამას ყველა იმდენად აქტიურად ითხოვდა, რომ მისი უარყოფა შეუძლებელი იყო ხალხის რაიმე უფრო უარესი ჩანაფიქრის წაქეზების გარეშე“.

## 2.4. კონვენტი და კონსტიტუცია

მასაჩუსეტსსა და სხვა შტატებში მიმდინარე მოვლენებს ცალსახად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა როგორც ფედერალური კონვენტის მოწვევაზე, ისე უშუალოდ კონსტიტუციის შინა-არსობრივ მხარეზე. სქემატურად:



<sup>76</sup> პენსილვანიასთან დაკავშირებით მსგავსი შენიშვნებისთვის, იხ., ასევე, ბუტონი, „დემოკრატიის მოთვინიერება“, supra 10.

<sup>77</sup> სამხრეთ კაროლინისა და ჯორჯიის შტატების ზღვისპირა ზოლის დაბლობი დასახლებები (მთარგმნელის შენიშვნა).

<sup>78</sup> შიდა, ზღვისგან დაშორებული (შესაძლოა, მაღლობიც) ტერიტორია. განსაკუთრებით, თუ მეჩხერად დასახლებულია (მთარგმნელის შენიშვნა)..

<sup>79</sup> ასევე შიდა, ზღვისგან დაშორებული ტერიტორია. თუმცა უფრო სასოფლო ტიპის (მთარგმნელის შენიშვნა).

<sup>80</sup> ბრაუნი, supra 15, გვ. 80.

<sup>81</sup> იქვე, გვ. 128.

კონვენტის მოწვევა იმ ხუთი შტატის მიერ შექმნილი კონსტიტუციის გადასასინჯად, რომლებმაც საკუთარი დელეგატები ანაპოლისში გაგზავნეს 1786 წლის სექტემბერში, შესაძლოა შორს წასულიყო, რომ არა შეის აჯანყება, რომელმაც წაახალისა ვაჭრები, პოლიტიკოსები და გენერლები, რომლებიც უფრო ძლიერი ეროვნული მთავრობის მომხრენი იყვნენ. ვაჭარმა სტივენ ჰიგინსონმა, რომელიც იმედოვნებდა, რომ კრიზისი უფრო მტკიცე გაერთიანების ჩამოყალიბებას მისცემდა ბიძგს, თავის მეგობარ ჰენრი კნოქსს (ომის მინისტრი) მისწერა, რომ აჯანყება „უნდა გამოვიყენოთ როგორც ტარი, რომელსაც საუკეთესო ნაყოფს მივამაგრებთ“.<sup>82</sup> თავის მხრივ, კნოქსი თავის მეგობარ ჯორჯ ვაშინგტონს, გაზვიადებულ და განგაშის მომგვრელ წერილებს წერდა.<sup>83</sup> ზოგიერთი ნაციონალისტი, ლოგიკურად იმედოვნებდა, რომ ძალადობის ჩახშობა არც ისე სწრაფად მოხდებოდა. „მანამ, სანამ ამბოხი საბოლოოდ ჩახშობილ იქნებოდა, [გენერალი ჯონ] ბრუქსი მეტად გახარებული იყო მისი ხილვით. იგი ამაში მხოლოდ კარგს ხედავდა. მას იმის იმედიც კი ჰქონდა, რომ აჯანყებულები უფრო გათამამდებოდნენ. 'თუკი ამბოხებულები ძარცვას დაიწყებენ,' - წერდა ბრუქსი, 'ვფიქრობ, ამას დიდი შედეგი ექნება.' აღნიშნული კარგი პროპაგანდა იქნებოდა უფრო ძლიერი ეროვნული მთავრობის შესაქმნელად.“<sup>84</sup>

მართალია, მხოლოდ არაპირდაპირი მტკიცებულებები არსებობს იმისა, რომ შეის აჯანყებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კონგრესის გადაწყვეტილებაზე, გაკეთებულიყო ფედერალური კონვენტის შემოთავაზება და, ასევე, სხვა შტატების - გარდა როდ აილენდისა - გადაწყვეტილებაზე, გაეგზავნათ დელეგატები, იმის მტკიცებულება, რომ თუ არა ეს შემთხვევა, ვაშინგტონი კონვენტს არ დაესწრებოდა, უტყუარი ჩანდა. ასევე, შესაძლოა, მაგრამ სამტკიცებლად ძნელი, რომ კონვენტი სასიცოცხლოდ აუცილებელ საიდუმლო ხასიათის შენარჩუნებას ვერ მოახერხებდა, ვაშინგტონი რომ პრეზიდენტი არ ყოფილიყო,<sup>85</sup> არც შტატების მიერ დოკუმენტის რატიფიკაცია მოხდებოდა, თუკი მას ვაშინგტონის სახელი არ გაამყარებდა.

თუმცა ეს საკითხები მეორეხარისხოვანია იმ გავლენისთვის, რომელიც აჯანყებამ იქონია კონვენტის ფარგლებში წარმართულ დებატებსა და საბოლოო დოკუმენტზე. მედისონის მიერ კონვენტზე გაკეთებული ჩანაწერები ათობით პირდაპირ და ირიბ მითითებას შეიცავს მასაჩუსეტსში მიმდინარე მოვლენებზე, - ხშირად, დემოკრატიის „ტურბულენტულობის“ გაკიცხვის თანხლებით.<sup>86</sup> ქვემოთ მოცემულია „ჯერიმანდერინგით“ სახელგანთქმული ელბრიჯ ჯერის სიტყვები:

ის ბოროტება, რომლის შემსწრენიც ახლა ვართ, მომეტებული დემოკრატიის შედეგია. ხალხს არ უნდა, რომ სიმამაცე აკლდეთ, მაგრამ ისინი ვითომ-პატრიოტების მიერ არიან გაბითურებული. მასაჩუსეტსში გამოცდილებით სრულად დამტკიცდა ის, რომ მათ ყოველ-

<sup>82</sup> რ. ბრინერი, „ცეცხლი ჩვენს ფეხქვეშ: შეის აჯანყება და მისი კონსტიტუციური გავლენა“, სადისერტაციო ნაშრომი, კოლუმბიის უნივერსიტეტი, ნიუ იორკი, 1993, თავი 5.

<sup>83</sup> იქვე, თავი 6.

<sup>84</sup> რიჩარდსი, supra 11, გვ. 128.

<sup>85</sup> კ. როსიტერი, „დიდი კონვენტი“, ნორტონის გამომცემლობა, ნიუ იორკი, 1987. გვ-გვ. 167-168.

<sup>86</sup> იხ., მაგალითად, ფარანდი, supra 34, ტომი I, გვ. 51 (რენდოლფი), გვ. 299 (ჰამილტონი), გვ. 430 (მედისონი).

დღიურად ითრევენ დამლუბველ ქმედებებსა და მოსაზრებებში ინტრიგანი ადამიანების მიერ ცირკულირებული იმ ყალბი ცნობებით, რომლებსაც ადგილზე ვერავინ უკუაგდებს. ერთი მთავარი ბოროტება მომდინარეობს მთავრობის ადმინისტრაციაში დასაქმებულთა სათანადო უზრუნველყოფის სურვილიდან. საჯარო მოხელეების შიმშილით დახოცვა დემოკრატიის მაქსიმუმი იქნებოდა. მან ასევე ახსენა მასაჩუსეტსში ხელფასების შემცირებასთან დაკავშირებით დაყენებული მოთხოვნები და გუბერნატორის ხელფასზე თავდასხმაც, რომელიც თვით კონსტიტუციითაა უზრუნველყოფილი. მან თქვა, რომ აქამდე მეტისმეტად რესპუბლიკელი იყო: ის ჯერ კიდევ რესპუბლიკელი იყო, მაგრამ გამოცდილებამ ასწავლა ლეველერული სულისკვეთების საშიშროების შესახებ.<sup>87</sup>

აღსანიშნავია, რომ გუბერნატორის ხელფასზე იერიში იმიტომ მიიტანეს, რომ, როგორც ზემოთ ვახსენე, იგი ზოგადი დეფლაციით სარგებელს იღებდა და არა „ლეველერული სულისკვეთების“ გამო.

კონსტიტუციის პრეამბულა განამტკიცებს „შიდა სამართლიანობის დამკვიდრებისა“ და „სიმშვიდის უზრუნველყოფის“ განზრახვას. ეს მიზნები შეგვიძლია წავიკითხოთ, ნაწილობრივ მაინც, როგორც კრედიტორებისა და ობლიგაციონერების დაცვა და როგორც ფედერალური მთავრობისთვის შეის მსგავსი აჯანყებების ჩასახშობად ავტორიზაციის მიცემა. როგორც აღინიშნა, ზოგიერთი მიმომხილველისთვის კონსტიტუციის ყველაზე ღირებული ნაწილი I.10 მუხლის აკრძალვა იყო. სხვები კი ასეთად I.8 მუხლს მიიჩნევდნენ, რომლის თანახმადაც, „კონგრესი უფლებამოსილია, მიიღოს ზომები მილიციის შეკრებისათვის - კავშირის კანონების აღსრულების, აჯანყებების ჩახშობისა და გარედან თავდასხმების აღკვეთის მიზნით“, IV.4 მუხლს, რომელიც განამტკიცებს, რომ „შეერთებულმა შტატებმა [...] უნდა დაიცვას [თითოეული შტატი] თავდასხმისგან; ლეგისლატურის ან აღმასრულებელი ხელისუფლების (როდესაც საკანონმდებლო დაწესებულების შეკრება არ ხერხდება) თხოვნის შემთხვევაში - შინაგანი აშლილობისგანაც,“ ან კიდევ I.9 მუხლს, რომელიც განამტკიცებდა, რომ „დაუშვებელია *habeas corpus* პრივილეგირებული უფლების შეჩერება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფოს უსაფრთხოება ამბოხების ან გარედან თავდასხმის დროს“. ამ დებულებათა მსგავსს კონფედერაციის მუხლები არაფერს შეიცავდა.

მომავალში ობლიგაციონერების დაცვის განზრახვა უნდა გაიმიჯნოს არსებული ობლიგაციონერების და ომის დროს გამოცემული ქალაქის მფლობელების დაცვის სურვილისგან. მეორე შემთხვევაში კონვენტი ითვალისწინებდა დაცვის გარკვეულ გარანტიებს, მაგრამ არა სრულ დაცვას. კონსტიტუცია ექსპლიციტურად არ ადგენს, რომ ახალი მთავრობა სესხს ნომინალური ღირებულებით დაფარავს. ამის შესახებ შეთავაზებამ კონვენტზე გაიჟღერა, მაგრამ არ იქნა გაზიარებული, რადგან მას შესაძლოა „სპეკულაციების საბაბი შეექმნა“.<sup>88</sup> ნაცვლად ამისა, კონსტიტუციაში ჩაიწერა უფრო ნეიტრალურად ჩამოყალიბებული VI.1 მუხლი, რომელიც მიიღეს იმ გათვლით, რომ იგი მართლაც უზრუნველყოფდა ვალის დაფარვას. წინადადებები კონგრესისთვის შტატების ვალის დაფარვის უფლებამოსილების

<sup>87</sup> ჯერი, ციტირებული ფარანდის მიერ, *supra* 34, ტომი I, გვ. 48.

<sup>88</sup> ფარანდი, *supra* 34, ტომი II, გვ. 413.

მინიჭების ან ამ ვალდებულების დაკისრების შესახებ კონვენტმა არ გაიზიარა. მოგვიანებით, ელსვორტმა განაცხადა, რომ ჯერის შეთავაზება იყო „კონტინენტური ფული შეერთებული შტატების სხვა ლიკვიდირებულ ფასიან ქალაქებთან თანაბარ პირობებში ყოფილიყო ჩაყენებული (ხაზგასმა ავტორისაა)<sup>89</sup> და, რომ ჯერიმ, „რომელსაც ამგვარი ქალაქები უხვად უნდა ჰქონოდა მფლობელობაში“, უარი თქვა კონსტიტუციაზე ხელის მოწერაზე, რადგან კონვენტმა მისი შემოთავაზება უკუაგდო. ჯერიმ კატეგორიულად უარყო საკუთარი საქციელის ამგვარი ახსნა.<sup>90</sup>

ჯერის ასევე ჰქონდა ფედერალური ფასიანი ქალაქები და იგი დაუინებით ითხოვდა კონსტიტუციაში სესხის დაფარვის ექსპლიციტური ვალდებულების ჩანერას. სამი სხვა დამფუძნებელი (შერმანი, კინგი და ელსვორტი), რომლებსაც ასევე გააჩნდათ ამგვარი ფასიანი ქალაქები, ჯერის ამაში ეთანხმებოდნენ.<sup>91</sup> თუმცა, საერთო ჯამში, - და, ხშირად არასწორად გაგებული „ბერდის თემისის“ საპირისპიროდ, - ნაკლებსავარაუდოა, რომ დამფუძნებლების გადაწყვეტილებები მათი პერსონალური ეკონომიკური ინტერესებით იყო განპირობებული. ეს გადაწყვეტილებები, შესაძლოა, მათი ამომრჩევლების ინტერესებით და იმ რწმენით ყოფილიყო გამოწვეული, რომ ვალის დაფარვა რატიფიკაციის პროცესს გააიოლებდა.

ჩემი აზრით, შეის აჯანყებაზე ფერმერების რეაქცია გადაჭარბებული იყო. უილიამ სმიტისთვის მიწერილ 1787 წლის 13 ნოემბრით დათარიღებულ წერილში ჯეფერსონი წერს: „ჩვენი კონვენტი მეტისმეტადაა გაცეცხლებული მასაჩუსეტსის დაუმორჩილებლობით: ისინი თვალის დახამხამებაში შევარდნენ ამზადებენ იმისთვის, რომ საქათმეში წესრიგი უზრუნველყონ“. იმედია, ღვთის ნებით, ეს მუხლი ახალი კონსტიტუციის მიღებამდე შეიცვლება“. არ ვიცი, რომელ მუხლს გულისხმობდა აქ ჯეფერსონი - „აჯანყების“ შესახებ (I.9), „შიდა არეულობის“ შეახებ (IV.4), თუ „დაუმორჩილებლობის“ შესახებ (I.8). თუმცა ნათელია, რომ აღნიშნული მუხლი დამფუძნებლებმა უეცარი ემოციური იმპულსის შედეგად მიიღეს, - „თვალის დახამხამებაში“.

შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ მათი შიში უფრო ინტუიციური იყო, ვიდრე რაციონალური. ჩემთვის, იმის დაჯერების საფუძველი, რომ ეს მართლაც ემოციური შიში იყო, შესაძლოა ლა ფონტენის ერთ სტროფში შევაჯამოთ: „ყველას ადვილად სჯერა იმისი, რისიც ეშინია და რისი იმედიც აქვს“. ფაქტები არ ადასტურებს მრავალჯერ გამეორებულ მტკიცებას იმის შესახებ, რომ დამფუძნებლები „ლეველერები“ იყვნენ და „აგარარულ კანონებს“ ითხოვდნენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, მასაჩუსეტსის გუბერნატორის ხელფასის შემცირების მოთხოვნა უბრალოდ იმის მოთხოვნა იყო, რომ ამ ხელფასის დეფლაციასთან შესაბამისი გამხდარიყო. არც იმის მტკიცებულება არსებობს, რომ დამფუძნებლები ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ სესხის გადახდა. არ არსებობდა რაიმე კონკრეტული მიზეზი იმისა, თუ რატომ არ შეიძლებოდა ფერმერების გაკოტრების გამომწვევი მიზეზი - ლითონის ფულის დეფიციტურობა - აღმოფხვრილიყო ქალაქის ფულის გამოშვებით, როგორც ეს იყო 1776

<sup>89</sup> იქვე, ტომი III, გვ. 171.

<sup>90</sup> იქვე, გვ. 240.

<sup>91</sup> მაკდონალდი, supra 33, გვ-გვ. 105-106.

წლამდე. ომის შემდეგ სასოფლო დასახლებებს არ მოუწევდათ რაიმე განსაკუთრებული ხარჯის გაღება, რომლის გამოც საჭირო გახდა არაუზრუნველყოფილი ქალაქის ფულის გამოშვება.

კონსტიტუციამ, უფრო ზუსტად კი, ჰამილტონის გეგმამ, რომელმაც მისი შემუშავება შესაძლებელი გახადა, მართლაც გაფანტა შუღლი საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის. მან დააკმაყოფილა როგორც მიწის მესაკუთრეთა, ისე ვაჭართა ინტერესები იმით, რომ დასაშვები გახადა ფედერალური ტარიფებისა და აქციზების დაწესება და ამ შემოსავლის გამოყენება ფედერალური და შტატის ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაში დასაფარად. თუმცა კონსტიტუციამ თავის მიზანს მიაღწია არა მხოლოდ შტატების კანონმდებელთა უსამართლობის გამო, არამედ იმითაც, რომ კონფედერაციის დეცენტრალიზებული ბუნების გამო, არსებულ არაეფექტურობას გაუმკლავდა.<sup>92</sup>

### 3. საფრანგეთი: გლეხები და დეპუტატები, ჯარისკაცები და ბრბოები

საფრანგეთში, კონსტიტუციის შექმნის პროცესსა და ძალადობას შორის კავშირს განსხვავებული ფორმა აქვს. ძალადობას მოშორებულ სასოფლო დასახლებებსა ან ქალაქებში არ უთამაშია როლი გენერალური შტატების მოწვევის პროცესში, რომელმაც შემდგომ საკუთარი თავი დამფუძნებელ ეროვნულ კრებად გარდაქმნა. ლუი XVI-მ გენერალური შტატები იმიტომ მოიწვია, რომ ქვეყანას ფული გამოეღია, ნაწილობრივ იმის გამო, რომ იგი (ლუი) ამერიკელ რევოლუციონერებს ეხმარებოდა და მას სჭირდებოდა ერის თანხმობა მის მიერ შეთავაზებულ გადასახადებზე. ამის საპირისპიროდ, ძალადობას ქალაქგარე დასახლებებსა და პარიზში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თავად *კონსტიტუციისთვის*.

ლეფვერი<sup>93</sup> და მარკოფი<sup>94</sup> გვთავაზობენ სასოფლო დასახლებებში 1789 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში წარმოქმნილი ძალადობის არაჩვეულებრივ სინთეზს (ამ უკანასკნელი წიგნის ციტირებისას, რომელიც არასრულყოფილი ინგლისურითაა დაწერილი, ტექსტის მოდიფიკაციას ხშირად ვაკეთებ). რაც შეეხება პარიზში სახელმწიფოს მხრიდან ძალადობასა და სახალხო ძალადობას, - ამის შესახებ კარონისა<sup>95</sup> და გოდშოს<sup>96</sup> ნაშრომებში, ალბათ, ყველაზე სრულყოფილი დისკუსიები გვხვდება. კესელმა<sup>97</sup> კი საუკეთესო მონოგრაფია დაწერა 1789 წლის 4 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით, - როდესაც დამფუძნებელმა კრებამ ფეოდალური წყობა ერთ ღამეში გააუქმა.

<sup>92</sup> კ. დოგერტი, „კოლექტიური ქმედება კონფედერაციის მუხლების მიხედვით“, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, კემბრიჯი, 2001.

<sup>93</sup> ჟ. ლეფვერი, „1789 წლის დიდი შიში“, გამომცემლობა Schocken, ნიუ იორკი, 1973.


<sup>94</sup> ჯ. მარკოფი, „ფეოდალიზმის გაუქმება“, პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის გამომცემლობა, უნივერსიტეტის პარკი, პენსილვანია, 1996.

<sup>95</sup> პ. კარონი, „La tentative de contre-révolution de juin-juillet 1789“, 8, „Revue d'histoire moderne et contemporaine“, 1906-1907, 5-34, 649-678.

<sup>96</sup> ჟ. გოდშოტი, „ბასტილის აღება“, გამომცემლობა Gallimard, პარიზი, 1989.

<sup>97</sup> პ. კესელი, „1789 წლის 4 აგვისტოს ღამე“, გამომცემლობა Artaud, პარიზი, 1969.

ამ მოვლენებზე ქვემოთ საუბრისას, უბრალოდ თანმიმდევრულობის მიზნებიდან გამომდინარე, ქრონოლოგიას არ დავიცავ და მათ განვიხილავ შემდეგი თანამიმდევრობით: პირველ რიგში, შევხები 1789 წლის „დიდ შიშს“. შემდგომში, ვისაუბრებ პირდაპირ მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე, ერთი მხრივ, პროვინციებში მიმდინარე იმ მოვლენებს შორის, რომლებიც დიდი შიშით იყო გამოწვეული და, მეორე მხრივ - კრების მიერ 4 აგვისტოს მიღებულ გადაწყვეტილებას შორის. ამის შემდგომ, ნაბიჯ-ნაბიჯ განვიხილავ ლუი XVI-სა და მის გარემოცვაში მყოფი პირების მიერ კონტრრევოლუციის მოწყობის მცდელობას და იმას, თუ როგორ ჩაშალა პარიზში გამართულმა სახალხო კრებამ ეს გეგმა; ასევე, განვიხილავ მათი ქმედების ზოგიერთ შედეგს. ძალადობას პროვინციებსა და პარიზში საერთო მოტივი ჰქონდა, - მეფის მინისტრ ნეკერის დათხოვნა 11 ივლისს. სქემატურად ეს ასე გამოიყურება:



### 3.1. დიდი შიში

დიდი შიშის დასაბამი იყო გლეხების შიში, რომ დიდგვაროვანთა სამსახურში მყოფი ყაჩაღები მათ მარცვლეულის მოსავალს გაანადგურებდნენ და, შესაბამისად, შიმშილი მოუწევდათ, რაც ანარქიას დაამკვიდრებდა და კონტრრევოლუციისთვის ნიადაგს მოამზადებდა. ეს ყოველად უსაფუძვლო შიში იყო, რამაც მათ გადააწყვეტინა, მათ შორის, სასახლეებზე თავდასხმა, საკუთრების შესახებ დოკუმენტების განადგურება და აზნაურების დახოცვა. ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავ ამ მოვლენებს, რა დროსაც ყურადღებას გავამახვილებ პარიზიდან პროვინციებში ინფორმაციის გადინებაზე. შემდეგ სექციაში, განვიხილავ, ინფორმაციის გავრცელებას საპირისპირო მიმართულებითაც.

თუ ამერიკაში სოციალურ ფენებს შორის არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი კონფლიქტი დამფუძნებლებსა და ობლიგაციონერებს შორის არსებობდა, საფრანგეთში სიტუაციის დახასიათება შეიძლება როგორც დაპირისპირება გლეხებსა და მათ ფეოდალ ლორდებს შორის. გლეხებსა და ბათ ბატონებს შორის ურთიერთობა მეტად პიროვნული იყო. დე ტოკვილი გვთავაზობს ფრანგი გლეხების ყოველდღიური გაღიზიანებისა და დამცირების ნათელ აღწერას მათ აზნაურ მეზობლებთან შეხვედრის დროს:

ეს მეზობლები [ბატონის შუამავლები] მოდიან მის წასაყვანად საკუთარი მიწიდან და მას სხვაგან უფასოდ მუშაობას აიძულებენ. როდესაც იგი [გლეხი] ცდილობს ნერგების დაცვას იმ ცხოველებისგან, რომლებმაც დიდგვაროვნები ნადირობდნენ, ეს უკანასკნელნი მას ამაში ხელს უშლიდნენ. ისინი მის მოლოდინში წვანან მდინარეთა შესართავთან გადასახადის მოსათხოვად. აი ისინი ბაზრობაზეც მივიდნენ, რომ მას ფული გამოართვან მისი უფლების სანაცვლოდ, გაყიდოს საკუთარ მიწაზე მოყვანილი პროდუქტი; და როდესაც

მას, სახლში მისულს, დარჩენილი ხორბლის საკუთარი მოხმარებისთვის გამოყენება უნდა [...], მან ეს ხორბალი მათ წისქვილზე უნდა წაიღოს და პური მათ თონეში უნდა გამოაცხოს. [...] რისი კეთებაც არ უნდა დაიწყოს, იგი მუდამ ამ მომარბეებელ მეზობლებს გადაეყრება ხოლმე, რომლებიც მას გზას უღობავენ, მის სიამოვნებასა და სამსახურში ერევიან და მისი თავდაუზოგავი შრომის ნაყოფს შეექცევიან.<sup>98</sup>

საუკუნეების განმავლობაში ასეთმა მძარცველურმა დამოკიდებულებამ ბიძგი მისცა ადგილობრივი გლეხების აჯანყებათა ("émeutes") მუდმივ ნაკადს.<sup>99</sup> ამავედროულად, მძიმე და თვითნებურმა გადასახადებმა რამდენიმე აჯანყება გამოიწვია,<sup>100</sup> რომელიც ასევე ლოკალური ხასიათისა იყო. მარკოფი ჩამოთვლის წინააღმდეგობის განწევის შემდეგ ძირითად ფორმებს:

- ძალაუფლების მიმნიჭებელი დოკუმენტების (ლორდების ტიტულების, საგადასახადო უწყებების, სამხედრო სამსახურში გასაწვევთა სიების) ხელში ჩაგდება და მათი განადგურება;
- დამნაშავეების (ლორდების, საგადასახადო ჩინოსნების, საკვებით მომარაგებასთან დაკავშირებული თანამდებობის პირების, იმ გლეხების, რომლებსაც ბაზარზე განზრახ არ გაჰქონდათ მარცვლეული) სახლების ძარცვა;
- იმ თანამოაზრეების დახსნა, რომლებიც შესაძლოა, გაეწვიათ სავალდებულო სამხედრო სამსახურში ანდა დაეკავებინათ წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობის გამო;
- ლორდების ან სასულიერო პირებისგან წადებული მარცვლეულის ან ფულის რედისტრიბუცია;
- საზოგადოებრივი სოლიდარობის დამრღვევებისთვის ხარჯების დაწესება, კერძოდ, მუქარა ან თავდასხმა იმ გლეხებზე, რომლებიც ბოიკოტის მიუხედავად, ფულს უხდიდნენ ეკლესიასა და ლორდებს; ასევე, მათზე, ვისაც შესაძლოა, მუშად ემუშავა მიუღებლად დაბალი ხელფასის სანაცვლოდ, ანდა ვისაც, შესაძლოა, ბაზრამდე მარცვლეულობის მიტანაში მიუღებლად მაღალი საფასურის გადახდა მოეთხოვა<sup>101</sup>

როგორც მოსალოდნელია, ყველაფერი, რაც ზემოთაა ჩამოთვლილი, ლოკალური სამიზნეა. ვინაიდან გლეხებს არ შეეძლოთ მარცვლეულის სპეკულანტების იდენტიფიცირება, მათ ამ უკანასკნელებზე პირდაპირ თავდასხმა არ შეეძლოთ. *Mutatis mutandis*, პარიზის პურის ბუნტთან დაკავშირებით გამოთქმული შემდეგი მოსაზრება, სავარაუდოდ, ასევე ვრცელდება სოფლის დასახლებებზე: „მომხმარებლები უფრო მიდრეკილნი იქნებოდნენ ბრაზი მცხობელზე - უშუალო მჩაგვრელზე - ენთხიათ, ვიდრე - გაცილებით ოლიმპიურ სპეკულან-

<sup>98</sup> ა. ტოკვილი, „Ancien Régime და საფრანგეთის რევოლუცია“, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, კემბრიჯი, 2011. გვ. 38.

<sup>99</sup> ჟ. ნიკოლასი, „ფრანგული აჯანყება“, გამომცემლობა Gallimard, პარიზი, 2008.

<sup>100</sup> იქვე.

<sup>101</sup> მარკოფი, supra 94, გვ.გვ. 261-252.

ტზე”.<sup>102</sup> გლეხებისთვის არც პარიზისკენ დაძვრა იყო მარტივი სასამართლოში კონტრრევოლუციონერ დიდგვაროვნებზე თავდასასხმელად, რომლებიც მიიჩნეოდნენ, რომ ყაჩაღებს ფულს უხდიდნენ ჯერ კიდევ მწვანე მარცვლეულის მოჭრაში. ნაცვლად ამისა, გლეხებმა საკუთარი ბრაზი ადგილობრივი ელიტებისკენ მიმართეს.

მათ ქმედებას ლოკალური სამიზნეები ჰყავდა და ბუნებითაც ადგილობრივი იყო. თუმცა, განსაზღვრულ ფარგლებში, დროის თვალსაზრისით და საერთო ექსტერნალური მამოძრავებლებიდან - მაგალითად, ცუდი მოსავლიდან გამომდინარე, ეს ქმედებები კოორდინირებული იყო. 1789 წლის ახალ ამბებში პარიზიდან, დაიწერა: „გლეხების ქმედებათა სამიზნეები შესაძლოა, მართლაც ადგილობრივი იყოს, მაგრამ მათი ქმედების [...] მიზეზთა შორის იყო ეროვნული პოლიციისა და რევოლუციური ელიტების გადაწყვეტილებები”.<sup>103</sup> როგორც ამერიკაში, აქაც იყო დიფუზიისა და გავრცელების ეფექტი. საფრანგეთში ამას სამი ფორმა ჰქონდა: „ერთი ამბოხება მეორეს აძლევს ბიძგს, ვინაიდან მჩაგვრელი ძალები უფრო სუსტნი ჩანან, ვიდრე აქამდე. ეს ძალები მარცხით არის შესუსტებული. საუბარი მიმდინარეობს ორგანიზაციულ შესაძლებლობებთან და ტაქტიკასთან დაკავშირებით და ფორმირების წარმატებული სახეების შესახებ ცოდნამ ფართო გავრცელება პოვა”.<sup>104</sup> პირველი ორი მექანიზმის ამერიკაში არსებობა ნაკლებად სავარაუდო იყო: ერთი შტატის სისუსტე ან მისი რეპრესია ვერ გამოიწვევდა და ვერ მიანიშნებდა სხვა შტატების სისუსტეზე. მართალია, თეორიულად, თუკი კონფედერაცია ვერ მოახერხებდა მასაჩუსეტსის მეამბოხეების წინააღმდეგ ჯარის შექმნას, ეს შესაძლოა გარკვეული სიგნალი ყოფილიყო სხვა შტატის მეამბოხეებისთვის, მაგრამ, როგორ ჩანს, ბაიესიანური მექანიზმი არ მოქმედებდა.

დიდი შიში იყო არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე მოძრაობა. მისი უმთავრესი ისტორიკოსის, ჯორჯ ლეფევრის თანახმად, იგი თანადროულად, თუმცა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოიშვა საფრანგეთის ექვს რეგიონში,<sup>105</sup> 1789 წლის ივლისის შუაში. შემდგომმა კვლევებმა მეშვიდეც აღმოაჩინა.<sup>106</sup> მართალია, ლეფევრი ფრთხილად მიჯნავს ერთმანეთისგან ივლისის შიშს და 1789 წლის მარტი-ივნისის შიმშილის გამო მის მიერ ნაკარნახევ ქმედებებს (არც ერთ რეგიონს არ გამოუცდია ორივე მათგანი ერთდროულად), მაგრამ ეს ორი მოძრაობა არაერთი საერთო მექანიზმით ხასიათდება.

გაზაფხულზე, 1788 წლის ცუდი მოსავლის შემდეგ, მარცვლეულობის დეფიციტმა კიდევ უფრო გაზარდა მაწანწალების, მათხოვრებისა და ბანდიტების რიცხვი ქალაქგარე დასახლებებში. ერთი მხრივ, მაწანწალებისა და მათხოვრების არსებობა ჩვეულებრივი (და, ხშირად, - საშიში) მოვლენა იყო, თუმცა შიმშილობის პერიოდმა მათი რაოდენობა გაიზარდა ისე, რომ ამ უკანასკნელებს დიდი დაჯვუფებების (ბანდების) შექმნა შეეძლოთ. მათი მხრიდან გლეხების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს სხვადასხვა ფორმა ჰქონდა, - რეკეტისგან დაცვიდან მოსავლის დროზე ადრე ხორბლის მოჭრამდე. ფერმერები უარს

<sup>102</sup> ს. კაპლანი, „შიმშილზე დაფუძნებული დარწმუნება მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთში“, 72, "Transactions of the American Philosophical Society". გვ.გვ. 1-79. გვ. 8.

<sup>103</sup> მარკოფი, supra 94, გვ. 331.

<sup>104</sup> იქვე, გვ. 369.

<sup>105</sup> ლეფევრი, supra 93.

<sup>106</sup> კ. რამსეი, „დიდი შიშის იდეოლოგია“, ჯონს ჰოპკინსის გამომცემლობა, ბალტიმორი, 1991.



ამბობდნენ მარცვლეულის გაყიდვაზე შრომის დღეს, იმის გამო, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ მარცვლეული ადგილობრივი ქალაქების ბაზარზე გაეყიდათ. ვინაიდან ამ მუშებს ქალაქში არ უშვებდნენ იმის გამო, რომ ქალაქის ბინადარი არ იყო, „მათთვის მხოლოდ ერთი გზა ირჩებოდა- გაეჩერებინათ მოძრავი ვაგონები და დაუფლებოდნენ იქ არსებულ სიმინდისა და ფქვილის ტომრებს, რის სანაცვლოდაც ან იხდიდნენ შესაბამის ფასს, ან - საერთოდ არაფერს.“<sup>107</sup> ამავედროულად, გლეხებს ეშინოდათ „ქალაქიდან წამოსული უეცარი და, როგორც ჩანს, სპონტანური ექსპედიციებისა, რომლებიც ფერმიდან ფერმაში დადიოდნენ მარცვლეულის საყიდლად, უფრო სწორად, ფერმერებს თავიანთი მარაგის გაყიდვას აიძულებდნენ.“<sup>108</sup> ამ ქმედებათა შედეგი იყო განზოგადებული შიშისა და ეჭვის ნიადაგის შექმნა, რადგან არა მხოლოდ ქალაქისა და ქალაქგარე დასახლებების მხარეები იყვნენ ორმხრივი ტერორის ქვეშ, არამედ „აჯანყებაში მონაწილე გლეხების კი ერთმანეთისთვის შიშის მომგვრელ ობიექტებად გადაიქცნენ. ისინიც, ვინც აჯანყებაში მონაწილეობდნენ, მათთვის შეერთების შემოთავაზებაზე საპასუხოდ უარს იშვიათად იღებდნენ. [...] თითოეული ამბოხის დროს, გლეხებს უნდოდათ, მათ შეერთებოდნენ, მაგრამ, ამავედროულად, ამის ეშინოდათ. ხალხი თავის თავს თვითონვე აშინებდა (*se faisait peur à lui-même*)“.<sup>109</sup>

მარცვლეულის დეფიციტმა შვა ეჭვი იმის შეახებ, რომ ამის მიზეზი სპეკულანტების მიერ ზედმეტი სასაქონლო მარაგების დაგროვება იყო. „ხალხს არასოდეს უნდა იმის აღიარება, რომ მათი სიდუხჭირისა და გაჭირვების მიზეზი მართოდენ ბუნების ძალები შეიძლება იყოს“.<sup>110</sup> მე-18 საუკუნის საფრანგეთში შიმშილობის ყველა ეპიზოდი კონსპირაციულ ახსნებს აძლევდა დასაბამს. მართალია, ეს ჭორები შესაძლოა, ამ შემთხვევაში მცდარი იყოს, მაგრამ ისინი ხშირად გამართლებული იყო.<sup>111</sup> ეჭვებმა შესაძლოა ორი ფორმა მიიღოს. უფრო ნაკლებად ინტუიციურ და მეტად რაციონალურ ვერსიაში გლეხებს სჯეროდათ, რომ კონსპირატორები მოგების მაძიებლები იყვნენ, ვინც გულგრილნი იყვნენ მათი (გლეხების) კეთილდღეობის მიმართ. ხოლო უფრო ექსტრემალურ შემთხვევაში მათ სჯეროდათ, რომ კონსპირატორებს გლეხების რაოდენობის შემცირება უნდოდათ მათი შიმშილამდე მიყვანით. 1789 წლის გაზაფხულზე, პირველი ვერსია დომინირებდა, რაც შესაძლოა იმის ასახსნელად გამოიყენოთ, თუ რატომ იყო ამ დროს „საკვების უზრუნველსაყოფი“ ღონისძიებები უფრო გავრცელებული, ვიდრე „ანტი-სენიორული“<sup>112</sup> შემთხვევები.<sup>113</sup> ბანდიტების შიში ენდემური იყო, მაგრამ - ლოკალური: არავინ ფიქრობდა იმის შესახებ, რომ ძარცვები ეროვნულ დონეზე იყო ორკესტრირებული. ამასთან, ივარაუდებოდა, რომ ყაჩაღებს, გლეხების მსგავსად, შიმშილი ამოძრავებდათ. ივლისში მეორე ტიპის ეჭვმა იმძლავრა. გლეხები შიშობდნენ, რომ არისტოკრატებმა სამსახურში

<sup>107</sup> ლეფევრი, supra 93, გვ. 26.

<sup>108</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>109</sup> იქვე, გვ-გვ. 55-56.

<sup>110</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>111</sup> კაპლანი, supra 102.

<sup>112</sup> ფეოდალური დამოკიდებულებების მოწინააღმდეგე. ფეოდალური სისტემა საფრანგეთში 1627 წელს ჩამოყალიბდა და მოიცავდა მიწის განაწილების ინსტიტუტს. საფრანგეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლად სწორედ ამ სისტემით სარგებლობდა მიწით: სენიორი (ფეოდალი) მიწის ნაწილს ანიჭებდა ოჯახს როიალტის (ხარკის) სანაცვლოდ (მთარგმნელის შენიშვნა).

<sup>113</sup> მარკოფი, supra 94, გვ. 276.

აიყვანეს ბანდიტები მოუმწიფებელი მარცვლეულის მოსაჭრელად, იმის გამო, რომ ქაოსი და ანარქია შექმნილიყო, რაც რევოლუციას შეასუსტებდა. ამას ემატებოდა უცხოეთიდან თავდასხმის შიში, რომელიც, როგორც ივარაუდებოდა, მეფის სავოიაში გახიზნული რეაქციონისტი ძმა გრაფი დ'არტუა გეგმავდა. როგორც აღინიშნა, ეს შიში სრულად უსაფუძვლო იყო. სასოფლო დასახლებების განადგურების შეთქმულება არ არსებობდა.

დიდი შიში ირაციონალური, მაგრამ გასაგები იყო. მის ასახსნელად შეგვიძლია მოვიხმოთ როგორც მოტივაციური, ისე კოგნიტური მექანიზმები. მოტივაციური თვალსაზრისით, შეგვიძლია დავუბრუნდეთ გენერალური შტატების (Estates-General) შექმნას 1788 წლის ბოლოს. გლეხებისთვის ეს აღიქმებოდა როგორც მეფის დაპირება, რომ მათი ტანჯვა შემსუბუქდებოდა. ყველას დიდი იმედი გაუჩნდა. როდესაც შტატები შეიკრიბნენ და მაისი-ივნისის თვეებში, ექვსი კვირის განმავლობაში, სრულად უმოქმედოდ დარჩნენ, იმედი ჩაანაცვლა მზარდმა ეჭვებმა იმის შესახებ, რომ პრივილეგირებულ სოციალურ ფენებს მეფის სურვილის საბოტაჟი ჰქონდათ განზრახული. როდესაც პროვინციებში მიაღწია ინფორმაციამ 11 ივლისს მეფის ლიბერალური მინისტრის ნიკერის დათხოვნის, 14 ივლისს ბასტილის დაცემისა და 17 ივლისს გრაფ დ'არტუას გაქცევის შესახებ ეჭვები არისტოკრატიული შეთქმულების შესახებ უკვე მტკიცე რწმენად იქცა.

კოგნიტური გადმოსახედიდან, მრავალ გლეხს, სავარაუდოდ, ეშინოდა იმის თქმისა, რომ ამ ჭორების არ სჯეროდათ, რითაც პლურალისტური უმეცრება შეიქმნა (ცოტა ადამიანს სჯერა, რომ „p“, მაგრამ უმრავლესობას სჯერა, რომ უმრავლესობას სჯერა, რომ „p“). ამასთან, „ადამიანის სკეპტიციზმის გამომჟღავნება რისკს შეიცავდა. მათ, ვინც ეს გააკეთა და თავდაცვითი ზომების მიღებაზე უარი თქვა, ალბათ ხალხის ეჭვების დროებით ჩახშობა სურდათ. [...] საფრთხე უფრო სწრაფად გამოჩნდა, რადგან თუკი იმ ადამიანებს, ვისაც ახალი ამბები მოჰქონდა, არასერიოზულად შეხედავდნენ, ისინი თავიანთ ღირსებას შელახულად გრძნობდნენ და დიდი ალბათობით, ბოროტ ჭორებს გაავრცელებდნენ ყველაზე, ვინც მათ არ დაუჯერებდა“.<sup>114</sup> გამოქცეულები ხშირად აზვიადებდნენ საფრთხეს, რათა მათ გამოქცევის გამო სიმხდალე არ დაბრალდებოდათ.<sup>115</sup> მრავალ ქალაქში, „ხელისუფლების წარმომადგენლებს სიამოვნებით გადაჰქონდათ ადგილობრივი პოლიციიდან უცნობ ბანდიტებზე პასუხისმგებლობა ძალადობისთვის [...]. ინტენდანტები ამ ვერსიებს წარბმეუხრელად იღებდნენ და მათ გავრცელებაშიც მონაწილეობდნენ“.<sup>116</sup> უბედური შემთხვევებისა და ბუნებრივი მოვლენების შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელებამ ასევე შეუწყო ხელი ზოგად პანიკას.<sup>117</sup> გაზაფხულისთვის, ხალხი საკუთარ თავს თვითონვე აშინებდა.<sup>118</sup>

დიდმა შიშმა შთააგონა არაერთი „ანტისენიორული“ ღონისძიება, რომლებიც მოიცავდა თავდასხმებს პიროვნებასა და საკუთრებაზე, სასახლეებზე და მათთვის სხვადასხვა ხარისხის ზიანის მიყენებას, საკვების წყაროების განადგურებას (და არა მათ დაუფლებას), უფლებებზე უარის თქმის იძულებას, მიწის საკუთრების შესახებ ქარტიების დაუფლებას,

<sup>114</sup> ლეფევრი, supra 93, გვ. 153.

<sup>115</sup> ლეფევრი, supra 93, გვ. 148.

<sup>116</sup> იქვე, გვ. 128.

<sup>117</sup> იქვე, გვ-გვ. 94, 131, 144, 145, 164, 166, 168, 189.

<sup>118</sup> იქვე, გვ-გვ. 116, 123.

სენიორების წისქვილების, ღუმელებისა და საწნახელების დაზიანებას, ქირის გადახდაზე უარის თქმასა და ხვა საშუალებებს.<sup>119</sup> ლეფევრი<sup>120</sup> ასევე მიუთითებს ქირის გადახდაზე უარს, სენიორების სამტრედების განადგურებაზე, არქივების დაწვავაზე, სასახლეების ძარცვასა და მაროდორობაზე, განზრახ ხანძრის გაჩენაზე და სხვა. ლორდების წინააღმდეგ მიმართულ პიროვნულ თავდასხმებს შედეგად სიკვდილი მოჰყვა ანტისენიორულ ღონისძიებათა სამი პროცენტის შემთხვევაში, ხოლო მათგან 53 პროცენტი ასევე მოიცავდა ქონების დაზიანებას.<sup>121</sup> მართალია, შედარებით პერსპექტივაში რიცხვები მცირეა, მაგრამ მკვლევართა საერთო რაოდენობა და მათი საზარელი დეტალები საკმარისი იყო ყურადღების მისაპყრობად.<sup>122</sup>

სასულიერო პირების მიმართ ბრახს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. იგი უფრო მძლავრობდა იმ (არარსებული) ბანდიტების შიშთან ერთად, რომლებიც როგორც ამას ფიქრობდნენ, ლორდებმა მათ წინააღმდეგ შექმნეს. შესაბამისად, ყველაფერი ის, რაც შიშს ამძლავრებდა, აღვივებდა ბრახსაც. გლეხების რწმენა იმაში, რომ არისტოკრატებმა ბანდიტები მათი მოუმწიფებელი მარცვლეულის დასაჭრელად დაიქირავეს, ერთდროულად იწვევდა როგორც განადგურების *სავარაუდო მიზეზის შიშს*, ისე *ბრახს მთავარი მიზეზისადმი*. რაც უფრო დიდი იყო შიში, მით უფრო მეტი იყო ბრახი.

### 3.2. ოთხი აგვისტოს ღამე

4 აგვისტოს ღამეს ფეოდალიზმის გაუქმების (რაც დეკრეტით დადასტურდა ერთი კვირის თავზე) მაპროვოცირებელი იყო ინფორმაციის გადინება პროვინციებიდან პარიზში. ანტისენიორული ქმედებებისა და დროში ჩამორჩენილობის გათვალისწინებით, მაკროფმა გამოთვალა, რომ პროვინციებიდან ცუდი ახალი ამბის მიღებას პიკის ორი წერტილი ჰქონდა, - დაახლოებით 28 ივლისის და 2 აგვისტო.<sup>123</sup> ბევრმა დეპუტატმა შედეგები საკუთარ თავზე გამოსცადა, ზოგმა კი მუქარა მიიღო. დიდგვაროვნების გარდა, მიწის დიდი ნაკვეთები საკუთრებაში მესამე ფენის ბევრ წარმომადგენელსაც ჰქონდა.<sup>124</sup> დეპუტატებს რამდენიმე დღე დასჭირდათ შოკის გადასალახად და აჯანყებულთა გასანეიტრალებელ ზომებზე საუბრის დასაწყებად.

ზოგადად, რეალური ან მოსალოდნელი აჯანყების დროს მთავრობას ოთხ პასუხს შორის აქვს არჩევანი: პრემიფცია, დათმობაზე წასვლა, ზომიერი რეპრესია და მკაცრი რეპრესია. სიბრძნე ამათგან პირველის არჩევას გვკარნახობს, - ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილებას მათ ფორმულირებამდე და იმაზე მეტის მიცემა, ვიდრე მოთხოვნილია. 1789 წლის 14 ივლისს ეს ალტერნატივა არ არსებობდა. ჟორესი ალბათ მართალი იყო, როდესაც

<sup>119</sup> მარკოფი, supra 94, გვ. 221.

<sup>120</sup> ლეფევრი, supra 93, თავი II.5.

<sup>121</sup> მარკოფი, supra 94, გვ. 211.

<sup>122</sup> შ. ფერიერი, „მემუარები“, წიგნში მ. დე ლესკური (რედ.) „მემუარების ბიბლიოთეკა“, გამომცემლობა Firmin-Didot, პარიზი, 1880, ტომი XXXV, 120-121.

<sup>123</sup> მარკოფი, supra 94, გვ. 437.

<sup>124</sup> კესელი, supra 97, გვ-გვ. 19-21; ტ. ტაკეტი, „რევოლუციონერად ქცევა“, პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის გამომცემლობა, უნვერსიტეტის პარკი, 1996, გვ-გვ. 38-39.

თქვა, რომ „არჩევანი არსებობდა ქალაქგარე დასახლებებში ძალიან რთული და საშიში რეპრესიის ორგანიზებასა და აჯანყებული გლეხების მოთხოვნების დაკმაყოფილებას შორის“.<sup>125</sup> ზომიერი რეპრესია, სავარაუდოდ, არ გამოდგებოდა. მართალია, მთავრობას რევოლუციის წინა ათწლეულებში ამ სტრატეგიისთვის მიუმატავს, მაგრამ მისი სამიზნეები „წინააღმდეგობის გამოსაწვევად საკმარისი შეზღუდვების ქვეშ იყვნენ მოქცეულნი, მაგრამ არა მძიმე უღლის ქვეშ, რომელსაც წინააღმდეგობის ჩახშობა შეეძლო“.<sup>126</sup>

სასტიკი რეპრესია უფრო დამაიმედებელი ჩანდა და, მართლაც, „კრებაზე პირველი წინადადებები სწორედ რეპრესიის მხარდასაჭერად იქნა გამოთქმული“.<sup>127</sup> ეს მიემართება ანგარიშების კომიტეტის სახელით დეპუტატ სოლომონის მიერ 3 აგვისტოს წამოყენებულ წინადადებას.<sup>128</sup> ამ წინადადების პირველი პარაგრაფი აღწერს ძალადობას სასოფლო დასახლებებში; მეორე პარაგრაფის თანახმად, კრებას არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ კონკრეტულ საკითხებთან გამკლავების გამო, მოცდეს თავის მთავარ საქმიანობას; მესამე - უკომპრომისო ტერმინოლოგიით მიუთითებს იმაზე, რომ გადასახადების გადახდაზე ან ფეოდალური ბეგარის გადახდაზე უარის თქმა არც ერთ შემთხვევაში არ იყო გამართლებული; წინადადება გაეგზავნა სხვა კომიტეტს, რომელმაც თითქმის ანალოგიურად უკომპრომისო პასუხი დააბრუნა მეორე საღამოს.

მას შემდეგ, რაც მეორე ანგარიში წაიკითხეს, პირველმა მომხსენებელმა, ვიკონტ ნოაიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ გლეხებთან დათმობაზე წასვლა იყო საჭირო და არა მათი რეპრესია. მისი სიტყვა „4 აგვისტოს ღამის“ პირველი მოვლენა იყო.<sup>129</sup> ეს სხვა მომხსენებლებმაც გაიზიარეს და, ღამის დასასრულს, კრებამ არა მხოლოდ ფეოდალური რეჟიმი გააუქმა, არამედ, რეალურად, გააუქმა პრივილეგიებისა და ვალდებულებებისგან გათავისუფლების მთელი სისტემა, რაც ქმნიდა ძველ რეჟიმს (ancien régime) და სადაც დროებითი გამონაკლისები მხოლოდ სასამართლოებსა (parlements) და გილდიებზე (jurandes) ვრცელდებოდა. კრებამ უკან დაიხია.

ზოგიერთმა დეპუტატმა გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ აბსოლუტური მონარქიის დაბრუნებისა და სამოქალაქო ომის ეშინოდა. ზემოთ გაკეთებული გამიჯვნის გათვალისწინებით, - ეს რაციონალური შიშია და არა ან არააუცილებლად, ინტუიციური. ზოგიერთი დეპუტატი შესაძლოა, სიტუაციას ამ განცალკევებულ პერსპექტივაში ხედავდა. მათ შესაძლოა, სწამდათ, რომ რეპრესიას აბსოლუტური მონარქია ან სამოქალაქო ომი მოჰყვებოდა და ამ შედეგებიდან არც ერთის დადგომა არ სურდათ.

ამის საპირისპიროდ, დეპუტატებს, რომლებსაც სჯეროდათ, რომ მათი საკუთრება და ოჯახი გლეხებისგან მომდინარე მყისიერი საფრთხის წინაშე იყო, მარტივად, შესაძლოა ინტუიცი-

<sup>125</sup> ჟ. ჟორე, „ფრანგული რევოლუციის სოციალისტური ისტორია“, სოციალური გამომცემლობები, პარიზი, 1968, ტომი I. გვ. 443.

<sup>126</sup> ტოკვილი, supra 98, გვ. 139.

<sup>127</sup> ჟორე, supra 124, გვ. 443.

<sup>128</sup> "Archives Parlementaires", სერია I: 1787-1799, პარიზი, 1875-1888. გვ. 336.

<sup>129</sup> ნარატივისთვის, იხ. ი. ელსტერი, „1789 წლის 4 აგვისტოს ღამე. კოლექტიურ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოციალური ინტერაქციის კვლევა“, 45, "Revue européenne des sciences sociales", 2007, გვ.გვ. 71-94.

ური შიში გასჩენოდათ. მართალია, პირადად ისინი შესაძლოა არ გამხდარიყვნენ გლეხების სამიზნე, მაგრამ (როგორც ეს ყველა მშობელმა იცის) პიროვნული საფრთხე არ არის ინტუიციური შიშის განმაპირობებელი აუცილებელი გარემოება. სტრიქონებს შორის შფოთვის ამოკითხვა მარტივად შეიძლება დიდგვაროვანი დეპუტატის, - გრაფ ფერიერის მიერ თავისი ცოლისთვის 7 აგვისტოს შემდეგ გაგზავნილ რამდენიმე წერილში. პირველი წერილი შეიცავს დეტალურ ინსტრუქციებს იმის შესახებ, რომ მან (ცოლმა) გრაფის ცხვრები და ირმები გაყიდოს ნებისმიერ ფასად, ნაღდი ფულის სანაცვლოდ; ასევე, რომ მან მიიღოს სასახლიდან მთლიანად გადაიტანოს ფული და ყველა დოკუმენტი პუატიეში მდებარე სახლში ისე, რომ არავის დაენახა („თუ ვინცობაა, რამე მოხდა, რამე მაინც გადარჩება“). სამი დღის შემდეგ, იგი თავის ცოლს ეუბნება, რომ მათ ქალიშვილებთან ერთად პუატიეში წავიდეს, თუნდაც ამით მოსავალი დაზიანდეს: „დანახარჯებს ყურადღებას ნუ მიაქცევ და დახმარებას ნუ სთხოვ ჯარისკაცებს, - ამან შესაძლოა სოფლის დასახლებებში განგაში შექმნას“.<sup>130</sup> მას არ ადარდებს, რომ ამ უსაფრთხოების ზომების შემდეგ მისი სასახლე გადაიწვება, რადგან იგი იქ ცხოვრებას მაინც აღარ აპირებს.

მის შიშზე ასევე გავლენა იქონია მისმა პოლიტიკურმა ქმედებებმა, რაც ჩანს 7 აგვისტოთი დათარიღებული წერილიდან, რომელიც მან გაუგზავნა როგორც ამომრჩევლებს, ისე თავის მეგობარ რაბრიულს:

„[თავის ამომრჩევლებს:] მე რომ ამ ერის საერთო სურვილს შევწინააღმდეგებოდი, ეს თქვენთვისაც საშიში იქნებოდა. ეს რომ გამეკეთებინა, თქვენ და თქვენს საკუთრებას დიდძალი მრისხანების წინაშე დაგტოვებდით, და თქვენ საკუთარ სახლებს ცეცხლის ალში იხილავდით“.

„[რაბრიულს:] მადამ ფერიერი მეუბნება, რომ გაზეთებში ჩემს ნახვას ისურვებდით; ამით ის მოხდება, რომ იმ მცირე ნდობასაც დაკარგავ, რაც მესამე ფენას ჩემ მიმართ აქვს, რადგან, ამ მომენტისათვის, მხოლოდ იმის საპირისპიროზე შემოძლია ვილაპარაკო, რაც ახლა ხდება, სულ მცირე, უმეტესწილად მაინც, ამას აზრი არ ექნებოდა. შესაბამისად, ჩუმად ვარ, ისევე როგორც ბატონები კლერმონტი, სუი, მუნე და ჭკვიანი ხალხი. თუკი მესამე ფენას თავს გაუცხოებულად ვაგრძნობინებ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩემს ამომრჩეველთა უბნების ინტერესებში შედის, სირთულეებს წავაწყდები, - თუნდაც მხოლოდ შურისძიების გამო.“<sup>131</sup>

12 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში, იგი ასევე ამტკიცებს: „მირაბოს მაცხოვრებლები, რომლებსაც ბევრი მიზეზი ჰქონდა იმისთვის, რომ კარგად მომპყრობოდნენ და რომლებსაც, ჩემი მათდამი ქცევის გამო, განსაკუთრებული ზრუნვაც კი უნდა გამოეჩინათ ჩემ მიმართ, ისეთი სითავხედითა და მრისხანებით მოქმედებდნენ, რომ მათი კეთილი ნების იმედი არ მაქვს“. შესაბამისად, შიშმა მას უბიძგა იმისკენ, რომ ორ ფრონტზე ემოქმედა: ერთი მხრივ, შეემცირებინა თავის სასახლეზე თავდასხმით გამოწვეული დაუცველობა საკუთრებაში არსებული ძვირფასი ნივთების სხვაგან გადატანით ან გაყიდვით და, მეორე

<sup>130</sup> მარკიზი დე ფერიერი, "Correspondance inédite", გამომცემლობა Armand Colin, პარიზი, 1932.

<sup>131</sup> მარკიზი დე ფერიერი, "Correspondance inédite", supra 130, გვ-გვ. 118-119.

მხრივ, თავდასხმის ალბათობის შემცირება ისეთი ღონისძიებებისთვის მხარის დაჭერით, რომელთაც შესაძლოა, გლეხები დაეკმაყოფილებინა და დაემშვიდებინა. მისი შემთხვევა იზოლირებული მაგალითი არ არის.

დე ტოკვილი მიუთითებს, რომ კონცესია, ისევე როგორც ზომიერი რეპრესია, სავარაუდოდ, არაეფექტური იქნება აჯანყების ჩასახშობად. „ის ბოროტება, რომელსაც ადამიანი მომთმენად უძლებს იმის გამო, რომ იგი გარდაუვალი ჩანს, საბოლოოდ, გაუსაძლისი ხდება იმ მომენტში, როდესაც მისი თავიდან მოშორების შესაძლებლობა ჩნდება.“<sup>132</sup> მსგავსი არგუმენტი შემოგვთავაზა ლეფევრმაც: „როდესაც ხალხის გულში იმედი ჩაისახა, მას მოჰყვა დიდგვაროვნების მიმართ სიძულვილიც: [საჩივართა წიგნაკში] საკუთარი აზრის გამოსახატად მისულმა გლეხებმა, რომლებიც სამეფო მხარდაჭერაში დარწმუნებულნი იყვნენ, მზარდი სიმწრით და განმეორებით საუბრობდნენ თავის აწმყო უბედურებასა და მათი მესხიერების სიღრმეში მიჩქმალულ მოგონებებზე წარსული იარებისა“ [ხაზგასმა ავტორისაა].<sup>133</sup> ამის მსგავსად, ჟორჟე დაწერა, რომ დიდგვაროვნები არა მხოლოდ იმას ფიქრობდნენ, რომ მეთაურის<sup>134</sup> კომპენსაციის გარეშე გაუქმებით მათთვის მიწისგან მიღებულ შემოსავალს გაზრდიდნენ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სჯეროდათ, რომ სასულიერო პირების ხარჯზე მიღებული დაკმაყოფილების ამ მყისიერი ზომის გამო, გლეხები უფრო ნაკლები დაჟინებით მოითხოვდნენ ფეოდალური ბეგარის გაუქმებას.<sup>135</sup> ისინი ცდილობდნენ ქარიშხალი ეკლესიის ქონებისადმი მიემართათ. ძალიან მცდარი გათვლაა! პირიქით, გლეხები უფრო არ შეურიგდებოდნენ ფეოდალური ბეგარის კომპენსაციასთან დაკავშირებით არსებულ საჭიროებას, მაშინ როდესაც ისინი მეთაურის გადასახადისგან გათავისუფლდნენ.

ამ არგუმენტებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ, როდესაც 4 აგვისტოს მიღებულმა დეკრეტებმა პროვინციებს მიაღწია, ანტისენიორული ქმედებები კი არ გაიშვიათდა, არამედ უფრო გახშირდა. ეს შედეგი შეფასებული იქნა ისეთი თანამედროვეების მიერ, როგორებიც არიან რივაროლი<sup>136</sup> და დიუმო.<sup>137</sup> თუმცა, მარკოფის თქმით, ამის საპირისპირო ეფექტი უფრო ფიქსირდებოდა: „როგორც კი [დეპუტატებმა] თავიანთი საკანონმდებლო საქმიანობა დაასრულეს [აგვისტოს] თერთმეტ რიცხვში, ქალაქგარე დასახლებები, თითქმის მყისიერად, ჩაწყნარდა; და თუკი მშვიდობას ვერ დავარქმევთ იმას, რაც იქ ხდებოდა, სიტუაცია გაცილებით ნაკლებად საშიში იყო, ვიდრე წინა რამდენიმე კვირის განმავლობაში. როგორც ჩანს, მათ სიტყვებს ჯადოსნური ძალა ჰქონდა“. მათ მართლაც ჯადოსნური რეტროაქტიული ძალები დასჭირდებოდათ, ვინაიდან, როგორც მარკოფის ნაშრომის 437-ე გვერდზე მოცემული დიაგრამა ასახავს, რადგან არეულობა მანამ ჩაწყნარდა, სანამ პროვინციებამდე 4 და *a fortiori* 11 რიცხვის დეკრეტების შესახებ ინფორმაცია ჩააღწევდა. ახალი ამბის მიღების შემდეგ, ეს აღარ გაგრძელდებოდა. თუმცა უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში,

<sup>132</sup> ტოკვილი, *supra* 98, გვ. 157.

<sup>133</sup> ლეფევრი, *supra* 93, გვ. 38.

<sup>134</sup> საეკლესიო გადასახადი (მთარგმნელის შენიშვნა).

<sup>135</sup> ჟორჟე, *supra* 124, გვ. 469.

<sup>136</sup> ა. რივაროლი, „მემუარები“, გამომცემლობა Baudoin Frères, პარიზი, 1824. გვ. 152.

<sup>137</sup> ე. დუმონტი, „მოგონებები მარიბოზე“. გამომცემლობა Bull, ლონდონი, 1832. გვ. 104.

ნათლად ჩანს, რომ 1789 წლის აგვისტოში გატარებული ზომების ეფექტი უფრო ააალებდა, ვიდრე დააშოშმინებდა გლეხების ბრაზს.<sup>138</sup>

### **3.3. რევოლუციისთვის ბიძგის მიმსაში კონტრრევოლუცია**

თავდაპირველად არავინ ელოდა, რომ გენერალური შტატები მეტად რადიკალურ ზომებს მიმართავდა. მესამე ფენის მთავარი მოთხოვნა დიდგვაროვნებისთვის პრივილეგიების ჩამორთმევა იყო, კერძოდ, ისინი ითხოვდნენ გადასახადების უმრავლესობისგან და სამხედრო სამსახურიდან მათი გათავისუფლების გაუქმებას. ამასთან, ბევრნი ითხოვდნენ რეჟიმის თვითნებური მახასიათებლების რეფორმირებას. ფეოდალური საკუთრების სისტემის ან, თუნდაც კონსტიტუციური მონარქიის გაუქმების მოთხოვნები არ არსებობდა. მართალია, ქვემოთ მოკლედ აღწერილ მოვლენებს, ჩვეულებისამებრ, კონტრრევოლუციის მცდელობას უწოდებენ, მაგრამ სინამდვილეში ეს იარლიყი, ცოტა არ იყოს, შეცდომაში შემყვანია. საქმე პირიქით იყო: რევოლუციას, პარიზშიც და პროვინციებშიც, ბიძგი მისცა მეფის წარუმატებელმა მცდელობამ, პარიზში ჯარის შეკრებით კრება დაეშინებინა (იხ. ზემოთ).

17 ივნისს, პროცედურებზე ნ-კვირიანი კამათის შემდეგ, როგორც იქნა, გენერალურმა შტატებმა საკუთარი თავი ერთპალატიანი ეროვნული კრების ფორმით დააფუძნა, ნაცვლად სამი სხვადასხვა ფენისა. მეფემ ეს გადაწყვეტილება მის ავტორიტეტზე უშუალო თავდასხმად მიიღო, რადგან მას ფენებისთვის ნაბრძანები ჰქონდა ცალ-ცალკე ეთათბირათ და კენჭიც ცალ-ცალკე ეყარათ, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ისინი ყველანი შეთანხმდებოდნენ რომ გაერთიანებულიყვნენ და თითოეულ ფენას ცალ-ცალკე დაეფიქსირებინა ხმები. მისი პირველი რეაქცია დეპუტატებისთვის კრების შენობის ჩაკეტვა იყო, თუმცა ეს უკანასკნელნი ჩოგბურთის დახურულ კორტზე შეიკრიბნენ და ფიცი დადეს, რომ კონსტიტუციის მიღებამდე არ დაიშლებოდნენ. 23 ივნისს, მეფე კრებას გაესაუბრა, მათ გარკვეული რეფორმების გატარების პირობა მისცა და კვლავ უბრძანა დეპუტატებს, რომ დაშლილიყვნენ და ეთათბირათ ცალ-ცალკე, ფენების მიხედვით. როდესაც მათ ამაზე უარი განაცხადეს, მან 27 ივნისს უკან დაიხია, მაგრამ კრების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაგეგმვა დაიწყო.

თავის „კონტრრევოლუციურ“ მცდელობაში, თავად მეფე მეტად პასიური ინსტრუმენტი იყო იმ ვიწრო წრის ხელთ, რომელიც მოიცავდა მის ცოლს, უმცროს ძმას, - გრაფ დ'არტუასა და რამდენიმე დიდგვაროვანს. 26 ივნისსა და 1 ივლისს, მეფემ სამხედრო დანაყოფებს პარიზში შეერთება უბრძანა, სადაც მათი რიცხვი, საერთო ჯამში, 20 000-მდე იქნებოდა.<sup>139</sup> მათი მყისიერად მოსალოდნელი ჩამოსვლის შესახებ ხმები ივნისის ბოლოს გავრცელდა და სწორედ ამან მისცა დასაბამი იმას, რასაც ისტორიკოსები, ზემოთ აღწერილ მოვლენებზე მითითებით, ბევრი დეპუტატისთვის „დიდ შიშს“ უწოდებენ.

კონსპირატორების უშუალო განზრახვა დღემდე გაურკვეველია. მეფის მერყევი ხასიათის გამო, გეგმები მუდმივად იცვლებოდა. სავარაუდოა, რომ ჩანაფიქრში არსებობდა გეგმა

<sup>138</sup> მარკოფი, supra 94.

<sup>139</sup> კარონი, supra 95, გვ. 14.

რადიკალური დეპუტატების უმრავლესობის დაკავების ან მთლიანი კრების პარიზიდან უფრო მოშორებულ ადგილას გადატანის შესახებ. ბევრი დეპუტატი ჯარის დანაყოფების გადაადგილებას კრებისთვის შექმნილ პირდაპირ საფრთხედ აღიქვამდა და ზოგიერთ მათგანს ეშინოდა, რომ დააპატიმრებდნენ. თავის ოსტატურ გამოსვლაში მარიბომ, რომელიც პირდაპირ მეფეს მიმართავდა, ჭკვიანურად აიცილა თავიდან პოტენციურად მოლაღატური მუქარის შემცველი სიტყვების გამოყენება და, ნაცვლად ამისა, ისაუბრა ნაკლები წინააღმდეგობის გამომწვევი, მაგრამ თანაბრად სახიფათო - გაფრთხილებებით.<sup>140</sup>

„სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ხალხს საფრთხე ემუქრება. როდესაც კი განგაშის ბარები ჩვენი თავისუფლების გამო დაიწყებს რეკას, ჩვენ ვიცით, ეს როგორც უნდა შევინარჩუნოთ. იგივე მანძილი, რომელიც ყველაფერს უფრო დიდს აჩენს, ასევე აზვიადებს ყველაფერს, ამრავლებს, ამწარებს, წამლავს და ამწუხრებს.

საფრთხის წინაშე დგას დედაქალაქიც. როგორ გაიგოს ეს საკვების დეფიციტში და ყველაზე სასტიკი მღელვარებებით დატანჯულმა ხალხმა, როდესაც ჯარისკაცთა ბრბოები ერთმანეთში მუქარის შეძახილებით იყოფენ მათი საკვების ნარჩენებს? სამხედროების აქ ყოფნა გააღვივებს საზოგადოებრივ აზრს და წარმოშობს საყოველთაო დუღილს; წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით ჩადენილმა პირველმა ძალადობრივმა აქტმა შესაძლოა, უბედურ შემთხვევათა საშინელ ჯაჭვს მისცეს დასაბამი.

საფრთხის წინაშე არიან სამხედროებიც. ფრანგმა ჯარისკაცებმა, რომლებიც დისკუსიათა ცენტრში არიან და რომლებიც იზიარებენ ხალხის ვნებებსა და ინტერესებს, შესაძლოა დაივიწყონ, რომ მათგან ჯარისკაცები კონტრაქტმა, ხოლო კაცები კი ბუნებამ შექმნა.

ეს საფრთხე, სირ, ემუქრება იმ ძალისხმევასაც, რომლის გაწევაც ჩვენი მთავარი ვალდებულებაა, და რომელიც წარმატებული სრულად და განგრძობითად მხოლოდ მაშინ იქნება, თუკი ხალხი მას ისე დაინახავს, როგორც თავისუფალს. ვნებით სავსე მოძრაობებს შესაძლოა სენი შეეყაროს; ჩვენ მხოლოდ ადამიანები ვართ; საკუთარი თავისადმი ჩვენმა უნდობლობამ, სუსტად გამოჩენის შიშმა შესაძლოა, ჩვენი მიზნის მიღმა წაგვიყვანოს; ჩვენ ძალადობრივი და გადაჭარბებული გეგმებით ვიქნებით შეპყრობილნი“.<sup>141</sup>

ჯარისკაცებს, მართლაც, ახსოვდათ, რომ ისინი კაცები და მოქალაქეები იყვნენ, ვიდრე ჯარისკაცები გახდებოდნენ. მართალია, ისინი პროვინციებიდან იმიტომ მოიხმეს, რომ პარიზელ დარაჯებზე უფრო სანდოებად ითვლებოდნენ, მაგრამ მალე ისინი მოსახლეობას შეუერთდნენ და, როგორც რეპრესიის ინსტრუმენტები, სრულად არასაიმედონი გახდნენ. კონსპირატორები Coup d'État-ის ელემენტარულ ტექნიკებსაც კი ვერ დაეუფლნენ.<sup>142</sup>

პარიზში სამხედროების გაფანტვისა და მათი ყველგან გამოჩენის ნაცვლად, რასაც სამმაგი უარყოფითი შედეგი ჰქონდა, - ძალების ფრაგმენტაციის, მღელვარებისა და სამხედროების მორალურად გამხრწნელი გავლენებისგან დაუცველობის, - საჭირო იყო მათი პარიზიდან

<sup>140</sup> ამ გამიჯვნისთვის, იხ. ელსტერი, "Arguing and Bargaining in Two Constituent Assemblies". 2, "Univ. Pennsylvania J. Constitutional Law", 2000, გვ-გვ. 345-421.

<sup>141</sup> "Archives Parlementaires", supra 127, გვ. 213.

<sup>142</sup> კარონი, supra 95, გვ. 659.



გარკვეული მანძილით მოშორებით შეკრება კომპაქტურ ადგილას, მათი კარგად გამოკვება, მეფის მიერ მათი მონახულება, მათი ერთსულოვნების უზრუნველყოფა, მათი სამხედრო სულის განმტკიცება, მკაცრი დისციპლინის დამყარება, - საჭიროების შემთხვევაში, მკაცრი მაგალითების გამოყენებით, მათი სრულ კონტროლში ყოლა, შემდეგ კი, როდესაც ყველა სამხედრო თავის ადგილზე იქნებოდა, - სწრაფი და ძლიერი იერიშის მიტანა.<sup>143</sup>

როდესაც მეფემ ლიბერალი მინისტრი ნიკელი დაითხოვა 11 ივლისს, პარიზელებმა ეს დაინახეს როგორც კრებაზე თავდასხმის სქემის შემადგენელი ნაწილი. 13 ივლისს ინვალიდთა სახლში შეჭრისას და 14 ივლისს ბასტილიაში დენტის ძებნისას ხალხს სამხედროების მხრიდან წინააღმდეგობა არ დახვედრიათ. მეტიც, პარიზელი რანტიების ძლიერი ჯგუფი, რომლებსაც სახელმწიფო ობლიგაციებში დიდი ინვესტიციები ჰქონდათ, ამბობებს გულმხურვალედ უჭერდნენ მხარს.<sup>144</sup> მათ იმედი ჰქონდათ, რომ კრება ახალ გადასახადებს დაადგენდა და რომ ნეკერი - განთქმული ფინანსისტი, კრებასთან იმუშავებდა და სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის გადასარჩენად. ამის საპირისპიროდ, გენერალური შტატების მდებარეობასთან დაკავშირებით გამართულ გადამწყვეტ დებატებში, როდესაც მეფის მრჩეველთაგან ბევრს მისი უსაფრთხო ადგილას, - პარიზის ბრბოებისგან მოშორებულ ადგილას გადატანა უნდოდათ, ნეკერმა პარიზი არჩია, რადგან მიაჩნდა, რომ კაპიტალის ბაზართან სიახლოვეს, კრებაზე შემარბილებელი ეფექტი ექნებოდა.<sup>145</sup>

ლუი XVI კიდევ ერთხელ მოუწია უკან დახევა და 17 ივლისს ნეკერის დაბრუნება.

კონტრრევოლუციის მარცხის შემდეგ, კრების ზოგიერთ ზომიერ წევრს მისი პროვინციაში რელიოკაცია სურდა, რათა იგი დაცული ყოფილიყო პარიზის ბრბოებისგან. კლერმონტონერმა თავის კოლეგა-დეპუტატებს ჰკითხა: „თქვენ შეიარაღებულ დესპოტიზმს არ დაემორჩილეთ, დაემორჩილებით კი სახალხო ენთუზიამს? ამათგან პირველი დანაშაულს განაგებდა, მეორე კი სისაძაგლეს განაგებს. შეუძლებელია თათბირი, როდესაც თხუთმეტი ათასი სამხედრო პირით ხარ გარშემორტყმული, რომელთა ჩანაფიქრიც უცნობია, ბუნება კი - გაცვეთილი“.<sup>146</sup> ამ წინადადებას წარმატებით შეეწინააღმდეგა დღის დომინანტური ჯგუფი, - ბარნავის, დიუპოსა და ალექსანდრე ლამეტისგან შემდგარი „ტრიუმვირატი“. დიუპოს ბიოგრაფის თანახმად, „რევოლუციის მონაპოვრები კონსოლიდაციისგან შორს იყო, - მნიშვნელოვანი სასამართლო და ადმინისტრაციული რეფორმები ჯერ არ გატარებულა; ისინი არისტოკრატიულ კონტრშეტევის მოწყალეებაზე იყვნენ დამოკიდებულნი და სახალხო ვნებების დაშოშმინების მომენტი ჯერ არ დამდგარა“ [ხაზგასმა ავტორისაა].<sup>147</sup> დამტკიცდა, რომ ფართოდ გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახალხო ძალადობის ერთგვარად ჩართვა და მისი კვლავ გამორთვა კონკრეტული დღის პოლიტიკური მიზნების მიხედვით, შეიძლებოდა დამღუპველი იყო. მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ გადამწყვეტად შეასუსტა *monarchiens*-თა მცდელობა კრებაზე, რომ

<sup>143</sup> იქვე, გვ-გვ. 657-658.

<sup>144</sup> კარონი, supra 95, გვ. 666; ვოდშოტი, supra 96, სქოლიო 312.

<sup>145</sup> უ. ეგრე, "Necker, Ministre de Louis XVI", გამომცემლობა Champion, პარიზი, 1975. გვ-გვ. 249-250.

<sup>146</sup> "Archives Parlementaires", supra 128, გვ-გვ. 513-514.

<sup>147</sup> უ. მიშონი, "Essai sur l'histoire du parti feuillant: Adrien Duport", გამომცემლობა Payot, პარიზი, 1924. გვ. 67.

შექმნილიყო კონსტიტუციური მონარქიის ინგლისური მოდელი.<sup>148</sup> წინადადებები მეფისთვის აბსოლუტური ვეტოს ძალაუფლების მინიჭების შესახებ დიდი უმრავლესობით იქნა უკუგდებული 10 და 11 სექტემბერს. ამ უმრავლესობათა შექმნაში დიდი როლი ითამაშა როგორც *ძალადობის შიშმა*, ისე *ძალადობის იმედმა*. ორპალატიანობასთან დაკავშირებით კენჭისყრა განსაკუთრებით ყურადსაღებია. უნიკამერალიზმის მომხრეებმა დაპირისპირებულ მხარეთა კოალიცია შექმნეს. მემარცხენე ფლანგი ამას მხარს უჭერდა, რადგან ეშინოდათ, რომ ორპალატიან საკანონმდებლო ორგანოში ზედა პალატა არისტოკრატის ინსტრუმენტი გახდებოდა და რადიკალურ წინადადებებს ვეტოს დაადებდა. მემარჯვენეები კი - იმის გამო, რომ ერთპალატიანი სისტემა ანარქიასა და ქაოსს შობდა, რაც ძველი რეჟიმის დაბრუნების წინაპირობა იქნებოდა. ორპალატიანობის ზოგიერთ მხარდამჭერს შესაძლოა მის საწინააღმდეგოდ მიეცა ხმა, რადგან, მემარცხენე ფლანგის დაჟინებით, ხმის მიცემისას ყველას სახელი უნდა დაფიქსირებულიყო, რის პირობებშიც, ხმის გულწრფელად დაფიქსირება მათ ხალხის მხრიდან ძალადობის საფრთხის წინაშე დააყენებდა.<sup>149</sup> ამ მოტივებიდან მეორე და მესამე ნათლადაა გაცხადებული ერთ-ერთი *monarchien*-ის მიერ თავისი ამომრჩევლებისადმი მიწერილ წერილში:

„მესამე ფენის ზოგიერთმა დეპუტატმა მითხრა, - არ მინდა, რომ ჩემს *ცოლ-შვილს ყელი გამოჭრან*. ორპალატიანობის წინადადებას კიდევ ერთი მოწინააღმდეგე ჰყავდა, - ისინი, ვისაც მისტირიან ძველ რეჟიმს და სურთ რომ ახალი იმდენად წარუმატებელი იყოს, რომ ვერ იარსებოს. ამ საკითხთან დაკავშირებით კონფიდენციალური შეტყობინებები მივიღე, რომლებსაც არც მადლიერებით შევხვედრილვარ და არც თავაზიანობით. ეს არის კონსტიტუციის ორი უცნაური საფუძველი, - შიში, რომ მოგკლავენ, და სურვილი, რომ მან კრახი განიცადოს“.<sup>150</sup>

ერთ-ერთი ასეთი შეტყობინება შესაძლოა მოდიოდეს მჭერმეტყველი და რეაქციონისტი აბე დე მორისგან, რომელიც განმეორებით გამოთქვამდა იმის სურვილს, რომ საქმე უკან-უკან წასულიყო, რათა, საბოლოოდ, ვითარება გამოსწორებულიყო.<sup>151</sup> 4 აგვისტოს მიცემული ხმებიდან ზოგიერთი შეიძლება კრიზისის მაქსიმუმაციის მიზანს ემსახურებოდა, - *politique du pire*.<sup>152</sup> შესაბამისად, მართალია, გაუმართლებელი იყო გლეხების შიში იმისა, რომ დიდგვაროვნები მათ განზრახ აშინებდნენ, მაგრამ კრიზისის მაქსიმუმაციის სტრატეგია მხოლოდ მათი ფანტაზიის ნაყოფი არ იყო. თავად მეფე მას სულ უფრო და უფრო მეტად ეყრდნობოდა.<sup>153</sup> კრების მიერ 1791 წლის 16 მაისს მიღებული გადაწყვეტილებაც დამფუძნებლებისთვის პირველი საკანონმდებლო ორგანოს წევრობისთვის კენჭისყრის უფლებამოსილების არმიცემის შესახებ, ასევე ორი უკიდურესობის ერთობლიობით იყო ნაკარნახევი. ორივეს უნდოდა, რომ პირველი საკანონმდებლო ორგანო გამოუცდელი ხალ-

<sup>148</sup> შ. ეგრე, „La Révolution des Notables“, გამომცემლობა Armand Colin, პარიზი, 1950.

<sup>149</sup> შ. ეგრე, „La Révolution des Notables“, supra 148, გვ. 132.

<sup>150</sup> ტ. შ. ლალი-ტოლენდალი, „Seconde lettre à ses Commettans“. გამომცემლობა Desenne, პარიზი, 1790. გვ. 141.

<sup>151</sup> შ. დროზი, „ლუი XVI-ის მეფობის ისტორია“, გამომცემლობა Renouard, პარიზი, 1860. ნაწილი II, გვ. 343, გ.

ჰ. რ. მონგიარდი, „საფრანგეთის ისტორია“, გამომცემლობა Moutardier, პარიზი, 1827. ნაწილი 1, გვ. 428.

<sup>152</sup> კესელი, supra 97, გვ. 132.

<sup>153</sup> ფ. გ. სენტ-პრისტი, „მემუარები“, გამომცემლობა Calmann-Lévy, პარიზი, 1929. ტომი. II, გვ. 25.

ხისგან ყოფილიყო დაკომპლექტებული: მემარჯვენეებს სჯეროდათ, რომ მეფე მათზე მარტივად იდომინირებდა, მემარცხენეებს კი სჯეროდათ, რომ მათზე იაკობინელთა კლუბები დაამყარებდნენ დომინაციას. *Ex post*, ეს მემარცხენეები მართალნი აღმოჩნდნენ. *Ex ante* შედეგი ნაკლებად ნათელი იყო, რადგან კენჭისყრა მოხდა მეფის ვარანეში გაქცევამდე, რამაც მისი ლეგიტიმურობა ფატალურად შეარყია.

#### 4. დასკვნა: სამართლიანობა და ეფექტურობა

კონსტიტუციის შექმნის ორივე პროცესმა გადაწყვეტილების მიღების ლოკუსი სოციალური და გეოგრაფიული ქვედანაყოფებიდან ცენტრალიზებულ მთავრობაზე გადაიტანა. საფრანგეთში სამი ფენა გაუქმდა და ჩანაცვლდა ეროვნული კრებით. ამერიკაში ცამეტმა შტატმა საკუთარი ძალების უდიდესი ნაწილი გაერთიანებას დაუთმო. ისტორიულად, დამტკიცებულა, რომ დეცენტრალიზებული ფორმები ნაკლებად ეფექტურია. თითოეულ ფენას ან შტატს უნდოდა სახელმწიფოს მხრიდან დაცვით ესარგებლა, მაგრამ ამის დაფინანსების სურვილი არ ჰქონდათ. ახალმა კონსტიტუციებმა ამ სუბ-ოპტიმალური სიტუაციის დაძლევა მოახერხა.

თუმცა ამ კონსტიტუციების ეს შედეგები მათი მიღების სრულად ასახსნელად არ არის საკმარისი. მედისონის ჩანაწერები „არსებული სისტემის მანკიერებების“ შესახებ, ალბათ კონვენტის წამყვანი წევრების აზრთა ამსახველად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, ეს ჩანაწერები ცალსახად კონფედერაციის არაეფექტურობისთვისაა მიძღვნილი, მაგრამ ყველაზე ძლიერი ფორმით მაინც შტატების კანონმდებლობის უსამართლობაა დაგმობილი. საფრანგეთში გენერალური შტატების მოწვევა ცალსახად უფრო ეფექტური საგადასახადო სისტემის საჭიროებით იყო განპირობებული. თუმცა მოვლენათა განვითარებასთან ერთად, ეს მიზანი შემცირდა იმ მოთხოვნებთან შედარებით, რომლებიც ეკონომიკურ სამართლიანობასა და პოლიტიკურ წარმომადგენლობას ეხებოდა.

სამართლიანობის იდეა მართლაც ორივე პროცესის მთავარი არსი იყო. ამერიკაში, ერთმანეთს თავისუფლების ორგვარი გაგება დაუპირისპირდა.

ერთი მხრივ, სამართლიანობის ელიტისტური კონცეფცია მიუთითებდა, რომ ფულისა და ბონდების გამოცემა მოიცავდა მორალურად მბოჭავ პირობას, რომ ეს ინსტრუმენტები თავიანთ ღირებულებას შეინარჩუნებდნენ. ხშირი იყო შედარებები ქალიშვილის უმანკობასთან. 1779 წელს, კონტინენტურმა კონგრესმა გააკეთა განცხადება, რომ გაბანკროტებული რესპუბლიკა „ისე გამოჩნდებოდა რესპუბლიკის მქონე ერებს შორის, როგორც რიგითი მეძავი პათიოსან და პათივსაცემ დაქორწინებულ ქალებს შორის“.<sup>154</sup> 1784 წელს, „ფილადელფიის ობლიგაციონერებმა, რომლებიც თავიანთი წლიური პროცენტის დაკავების გეგმის საწინააღმდეგოდ გამოდიოდნენ, აცხადებდნენ, რომ 'სესხი ქვეყნისთვის უმანკობასავითაა'. რადგან მთავრობის მიერ საკუთარი კრედიტორების შერჩევა - თავდაპირველ მფლობელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და, ამავდროულად, 'რამდენიმე სპეკულან-

<sup>154</sup> კონტინენტური კონგრესის ჟურნალები, ტომი 15, გვ. 1060.

ტისთვის 40 ან 50 პროცენტის ინტერესის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა' - იქნებოდა 'ისეთივე არადელიკატური, როგორც ქალწულის პატივის არითმეტიკული კალკულაციებით შეფასება'".<sup>155</sup> 1786 წელს, ნიუ-იორკის გაზეთის კორესპონდენტმა ნოსტალგიით გაიხსენა, წარსული, როდესაც „ომის ბოლო ეტაპის დაწყებამდე, როდესაც საზოგადოების რწმენა ჯერ კიდევ უმანკო იყო [და ქალაქის ფული] თავისუფლად ბრუნავდა თავისი სრული ნომინალური ღირებულებით, რომელიც სრულად თანაბარი იყო ლითონის ფულის ღირებულებისა.“<sup>156</sup>

ფისკალური პოლიტიკის, ინფლაციისა და გაუფასურების გარშემო წარმართულ დებატებში ხშირია ნორმატიული და იდეოლოგიური ქვეტექსტი. „ტრაქტატში ფისკალური რეფორმის შესახებ“, კეინსმა დაძრახა ეკონომისტები და ბანკირები, რომლებიც დეველპაციისა და კაპიტალზე გადასახადის წინააღმდეგ გამოდიოდნენ იმ საფუძვლით, რომ „ეს უკანასკნელი თავს ესხმოდნენ ხელშეკრულების ხელშეუხებლობას“ და ამას მიიჩნევდა „თავსებადად მათ ჩაცმულობასთან და, ასევე, ხარჯების მინიმუმაციისკენ მიმართულ აზრად, რომელიც მიზნად ისახავდა ფინანსებთან დაკავშირებით საჯარო დისკუსიის გადატანას ლოგიკურიდან ე.წ. 'მორალურ ჭრილში'“. <sup>157</sup> ერთ შენიშვნაში, რომელიც ჩემი თემისთვის ცალსახად რელევანტურია, მან ასევე აღნიშნა, „ის ფაქტი, რომ ომის პერიოდში სახელმწიფოსთვის ფულის სესხება უფრო მარტივია, ვიდრე - გასესხება, არ უნდა იქნეს გამოყენებული გადასახადის გადამხდელის ობლიგაციონერთა მუდმივ ტყვეობაში ჩასაგდებად“. მრავალჯერ ციტირებულ და ასევე რელევანტურ ფრაზაში მან „ხელშეკრულების აბსოლუტისტებს“ „რეგოლაციის ნამდვილი მშობლები“ უწოდა.

დიდი დეპრესიის დროს, „ოქროს სტანდარტი სწორედ ამ იდეოლოგიას ითვალისწინებდა, რომელსაც მორალურობისა და მართებულობის რიტორიკა ამყარებდა. ეს რიტორიკა საჯარო პოლიტიკასთან დაკავშირებულ დისკუსიებში დომინირებდა წლებით ადრე დიდ დეპრესიამდე და ინახავდა მთავარ ბანკირებსა და პოლიტიკურ ლიდერებს, რა დროსაც ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ ხალხს უფრო მეტ ხარჯს აკისრებდნენ“.<sup>158</sup> კერძოდ, „ფინანსთა მინისტრმა ენდრიუ მელონმა პრეზიდენტ ჰუვერს ურჩია, რომ ეკონომიკის განგრძობადი ფორმით აღორძინების ერთადერთი გზა იყო 'შრომის, აქციების, ფერმერების, უძრავი ქონების ლიკვიდაცია [...] სისტემის სიდამპლისგან დაწმენდა [...]'. 'ხალხი უფრო მეტს იმუშავებს', - ამტკიცებდა მელონი და '[ისინი] უფრო მორალური ცხოვრებით იცხოვრებენ'. ისინი, ვინც ოქროს სტანდარტის დოგმის პურიტანულ ხაზს უჭერდა მხარს, უფრო ხისტნი გახდნენ უმუშევრობის ბრძალსთან ერთად. თავად ჰუვერი ოქროს სტანდარტს 'თითქმის წმინდა ფორმულად' მიიჩნევდა. იგი უარყოფდა ნებისმიერ დევიაციას, როგორც 'კოლექტივიზმს' - ეკონომიკური და სოციალური ხრწნის ყოვლისმომცველ იარაღს“.<sup>159</sup>

<sup>155</sup> ჰოლტონი, „დაუმორჩილებელი ამერიკელები“, supra 13, გვ. 94-95.

<sup>156</sup> ფერგიუსონი, supra 14, გვ. 18.

<sup>157</sup> ჯ. მ. კეინი, „ფისკალური რეფორმის ტრაქტატი“, გამომცემლობა Macmillan, ლონდონი, 1923. გვ.გვ. 67-68.

<sup>158</sup> ბ. ეიქენგრინი და პ. ტემინი, „ოქროს სტანდარტი და დიდი დეპრესია“, 9, Contemp. Eur. Hist. 9, 2000, გვ. 183-207. გვ. 207.

<sup>159</sup> იქვე. გვ. 196.

1780-იან წლებში, ზოგიერთმა ამერიკელმა მსგავსი პურიტანისტული და მორალური მხედველობა გაიზიარა:

„1787 წლის დასაწყისში, ერთი მერილენდელი ამბობდა, რომ 'ჩვენს კანონმდებლობასა და მართლმსაჯულების აღსრულებაში არსებული არასაკმარისად მკაცრი პრინციპების გამო, ... ინდუსტრიის ბუნებრივი წყაროები შემცირდა'. 'ვირჯინიის მკვიდრი' მეტად პირდაპირი იყო, როდესაც განაცხადა, რომ 'ჩვენი კანონების შერბილების' შედეგი 'უმოქმედობა და გაშეშება' იყო. აქედან გამომდინარე, 'მართლმსაჯულების აღსრულების დაჩქარება' ნამდვილად შეამსუბუქებდა 'სოფლის [იმ]ჟამინდელ გაჭირვებას', როგორც კიდევ ერთმა ვირჯინიელმა, ედმუნდ პენდელტონმა მისწერა ჯეიმს მედისონს 1786 წლის დეკემბრის წერილში. როგორ? მოვალეთა შორის 'ინდუსტრიისა და ეკონომიკის შექმნით'“.<sup>160</sup>

ეს შეხედულებები ეფუძნება მორალურობისა და კაუზალურობის არეულ კომბინაციას, რომელიც აპელირებს დაპირების ხელშეუხებელ ბუნებაზე, თავდაუზოგავი შრომის გამწმენდ ეფექტებზე და დაშვებას შრომის დაღმავალი დახრილი მიწოდების მრუდის შესახებ. ბევრს ეჭვების გარეშე სჯეროდა, რომ ოქროს სტანდარტი და ომის ობლიგაციების ქალაქის ფულით სრული ღირებულებით გამოსყიდვის დაცვა სასურველი იყო როგორც სამართლიანობის, ისე ეფექტურობის მისაღწევად. როგორც ჰუვერი აღიქვამდა ოქროს სტანდარტიდან ნებისმიერ გადახვევას კოლექტივიზმად, ქალაქის ფულის კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ეს ლეველიზმისა და კონფისკატორული აგრარული კანონმდებლობის ეკვივალენტური იყო. 1780-იანი და 1930-იანი წლები, როგორც ჩანს ერთ ასპექტში განსხვავდებოდა. ჰუვერი შეცდომაში შეყვანილი იდეოლოგი იყო: იგი იმიტომ არ ემხრობოდა ოქროს სტანდარტს, რომ ამით ხეირობდა. ამის საპირისპიროდ, ლითონის ფულის გამოსყიდვის მხარდამჭერები დიდ მოგებაში დარჩებოდნენ, თუკი ეს პოლიტიკა გატარდებოდა ან, სულ მცირე, თუკი იგი შიდა (ეროვნულ) სესხებს შეეხებოდა. ბევრი ვირჯინიელი, ვაშინგტონისა და ჯეფერსონის ჩათვლით, საკუთარი ბრიტანული ვალის გადახდას გაუფასურებული ქალაქის ფულით ცდილობდა.<sup>161</sup>

მეორე მხრივ, სამართლიანობის *სახალხო კონცეფცია* გამოხატდა ისეთ პოლიტიკას, რომელიც გადასახადების გადამხდელებს, ფერმერებსა და ვეტერანებს ტვირთს აკისრებდა სპეკულანტების სასარგებლოდ. 1784 წელს იმ გენერლის შვილმა, რომელსაც შეის აჯანყება უნდა ჩაეხშო, განაცხადა, რომ „კონფლიქტი კრედიტორებს შორის და პარალელური დავა, რომელიც კონფლიქტურ სიტუაციაში აყენებს 'ხალხის კრედიტორებს, კერძოდ, ჯარს' და, მეორე მხრივ, გადასახადების გადამხდელებს, 'ორივე წარმოიშვა ოპოზიციურობის პრინციპიდან იმათი ინტერესის საწინააღმდეგოდ, ვისი საარსებო (საკვები) საშუალებებიც სხვის შრომაზეა დამოკიდებული“.<sup>162</sup> ერთი კორესპონდენტი, რომელიც „სამართლიანობის“ ფსევდონიმით წერდა, „კონფლიქტის კანონმდებლებს მოუწოდებდა ომის ობლიგაციების შემცირებას, რათა მოქალაქეები 'გადასახადით უსამართლოდ არ დაბეგრულიყვნენ და

<sup>160</sup> ჰოლტონი, „დაუმორჩილებელი ამერიკელები“, supra 13, გვ. 99.

<sup>161</sup> უ. ე. სმიტი, „ჯონ მარშალი: ერის განმსაზღვრელი“, გამომცემლობა Holt, ნიუ-იორკი, 1998, გვ.გვ. 153-154.

<sup>162</sup> ვ. ჰოლტონი, „სხვების შრომიდან': ბონდების წინააღმდეგობრიობის ომი და ახალი ინგლისის კონსტიტუციის დასაბამი“, William Mary Q 61, გვ.გვ. 271-316. 2004. გვ. 283.

რეალურ ღირებულებაზე მეტი არ გადაეხადათ”<sup>163</sup> კიდევ ერთმა კონექტიკუტელმა მწერალმა განაცხადა, რომ ფასიანი ქაღალდების პროცენტით შეძენის დროს მათი ღირებულება „არის ის, რისი მოთხოვნაც [სპეკულანტებს] სამართლიანად შეუძლიათ”<sup>164</sup>.

უსამართლობის სახალხო შეგრძნება გამძვინვარდა იმ რწმენით, რომ სპეკულანტები იმ კანონმდებლობის უკან იდგნენ, რომელიც მათ უზარმაზარი მოგების მიღების შესაძლებლობას მისცემდა. მათი სარგებელი არა მხოლოდ პროდუქტიული შრომის ნაყოფი იყო, არამედ - ლობიერების დამსახურებაც. სხვადასხვა ობლიგაციონერის მოთხოვნათა ფრთხილად აწონდაწონვის შემდეგ, მედისონმა დაადგინა, რომ სპეკულანტების მოგება რისკის გაწვევის სანაცვლოდ მიღებული სამართლიანი საზღაური იყო: „მფლობელებს გარკვეული მოთხოვნების დაყენების უფლება აქვთ, რის დაკნინებასაც არაფრით ვაპირებ. ისინი იტყვიან, - სხვებს რაც არ უნდა პრეტენზიები ჰქონდეთ საზოგადოების მიმართ, ეს მათ ვალიდურობაზე გავლენას ვერ იქონიებს; რომ, თუკი ისინი საკუთარ თავზე აღებული რისკის წყალობით იღებენ მოგებას, ეს მხოლოდ სამართლიანი ჯილდოა ამ რისკისთვის. და რომ, როდესაც ისინი საჯარო დაპირებას ასრულებენ, მათ უსათუოდ აქვთ საჯარო ნდობის მოთხოვნის უფლება”<sup>165</sup>.

სამართლიანობის სახალხო კონცეფცია ამ არგუმენტს შესაძლოა იმით შეეწინააღმდეგოს, რომ ობლიგაციების თავდაპირველი გაყიდვა სასონარკვეთილების შედეგი იყო.<sup>166</sup>

ფრანგ გლეხებში უსამართლობის განცდას სხვა საფუძვლები ჰქონდა. მათი სამი მოწინააღმდეგე, - სენიორების შუამავლები, სამეფო ადმინისტრაციის მოხელეები და სპეკულანტები ერთსა და იმავე ემოციებს არ აღძრავდნენ. პირველ ორთაგან თითოეული გლეხებთან დადებული კონტრაქტის ნაწილი იყო და კანონსა და წესრიგის დაცვას უზრუნველყოფდა, მაგალითად, - ფეოდალური ვალდებულებებისა და გადასახადების სანაცვლოდ. არსებობდა თვითნებური და ექსპლუატაციური ქცევის უთვლელი შემთხვევა, რომლებმაც მრავალი *émeute* გამოიწვია (ეს სიტყვა „ამბოხს“ ნიშნავს, თუმცა მას აქვს „ემოციის“ მნიშვნელობაც). 1661-1789 წლებში ნიკოლასმა<sup>167</sup> მოიკვლია 439 ანტისენიორული და 3336 ანტიფისკალური შემთხვევა, რომელიც განიმარტება როგორც ადამიანის ან საკუთრებისკენ მიმართული ძალადობრივი აქტი, ჩადენილი, სულ მცირე, ოთხი პირის მიერ.<sup>168</sup> რეალური რიცხვი ნამდვილად გაცილებით დიდია, თუმცა ვვარაუდობ, რომ, ზოგადად, ეს შემთხვევები იყო რეაქცია იმ პრაქტიკაზე, რომელთა შესახებაც კითხვები არ ისმოდა.

სპეკულანტებს ფაქტობრივად არ გააჩნდათ პოზიტიური მხარე. ძველ რეჟიმში, „გამყიდველი რჩებოდა მატყუარას პროტოტიპად, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა საზოგადოების კეთილდღეობისთვისა და სოლიდარული კავშირისთვის. მარცვლის გამყიდველი განსაკუთრებით საძულველად ითვლებოდა, რადგან სხვა ვინ ისპეკულირებდა თავისი თანამოქალა-

<sup>163</sup> იქვე, გვ. 285.

<sup>164</sup> ჰოლტონი, „დაუმორჩილებელი ამერიკელები“, supra 13, გვ. 56.

<sup>165</sup> ვ. მედისონი, საჯარო ვალის შესახებ წარმოთქმული სიტყვა 11 თებერვალს, 1790 წელს. წიგნში „კვიმს მედისონის ჩანაწერები“, გამომცემლობა Putnam, ნიუ იორკი, 1790. ტომი 5.

<sup>166</sup> ჰოლტონი, „დაუმორჩილებელი ამერიკელები“, supra 13, გვ. 90.

<sup>167</sup> ნიკოლასი, supra 99, გვ. 53 და passim.

<sup>168</sup> იქვე, გვ-გვ. 39-40.

ქეების საარსებო წყაროთი, გარდა ბოროტი კაცისა?"<sup>169</sup> ცალკე აღებულ სპეკულაციას შესაძლოა, გარკვეული ბენეფიტები ჰქონოდა. ეროუ აღნიშნავს, რომ „როდესაც დეფიციტის სიტუაციები ჩნდება, ეს ყოველთვის ზედმეტი სასაქონლო მარაგების განზრახ დაგროვებას ბრალდება. მაგრამ, ძირითადად, ზედმეტი მარაგების დაგროვების ხარისხისა და მისი შედეგების შესახებ მტკიცებულებების მოპოვება რთულია. [...] თუკი შიმშილობის პერიოდი გაგრძელდება, დასაწყისში გადაჭარბებული მარაგების არსებობა იმას ნიშნავს, რომ ბოლოსკენ უფრო მეტი მარაგი იქნება ხელმისაწვდომი“ (დღესდღეობით, ზოგიერთი ეკონომისტი მხარს უჭერს დაფარვის გარეშე გაყიდვებს (short-selling)<sup>170</sup> და “naked short selling”<sup>171</sup>, როგორც ღირებულ საზოგადოებრივ სერვისს.<sup>172</sup> მაგრამ ამგვარი გაგება არ არსებობდა საზოგადოების წარმოსახვაში. როგორც ჩანს, არავის არ მოსვლია თავში აზრად ის, რომ მარცვლეულის სპეკულანტები შესაძლოა, მარცვლის მწარმოებელთა ფუნქციურ ეკვივალენტად განხილულიყვნენ და რომ მათ მოხმარების ინტერტემპორალური რედისტრიბუცია შეეძლოთ. სპეკულანტები და ისინი, ვინც მარაგს განზრახ ტარებად ინახავდა იმიტომ სძულდათ, რომ ისინი ინდიფერენტულნი ჩანდნენ ხალხის კეთილდღეობის მიმართ.

ამერიკაში ფედერალური კონვენტი მაშინ მოიწვიეს, როდესაც სამართლიანობის ელიტისტურ გაგებას ზიანი მიადგა სამართლიანი სახალხო გაგებით გამოწვეული ძალადობრივი ქმედებებით. მცირე სასწაულის - ჰამილტონის გეგმის - მეშვეობით, ფედერალურმა მთავრობამ შეძლო სამართლიანობის ორ გაგებას შორის არსებული დაძაბულობის გადაჭრა იმით, რომ ვალი სრულად საკუთარ თავზე აიღო, პირდაპირი გადასახადების დადგენის გარეშე. რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად უნდა მივანეროთ ეს შედეგები კონვენტს ან კონსტიტუციას. ფედერალური გადასახადების მეშვეობით შესაძლებელი გახდა აჯანყებების ჩასახშობად ჯარის დაფინანსება, როგორც ეს გვაჩვენა 1794 ვისკის აჯანყების მაგალითმა. ამან ასევე შესაძლებელი გახდა ვალის დაფარვის ფონდის შექმნა, რომელიც სახელმწიფო სესხს მოხმარდა. ვვარაუდობ, რომ, დამფუძნებელთა გათვლით, პირველი ეფექტი უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე მეორე. ამერიკის კონსტიტუციამ შექმნა სახელმწიფო ძალადობის ინსტრუმენტი სახალხო ძალადობის ჩასახშობად.

საფრანგეთში დამფუძნებლებმა ფეოდალიზმი გააუქმეს და ეფექტურად შეძლეს მონარქიის დამხობა. სახალხო და სახელმწიფო ძალადობას ორივე ამ შედეგის დადგომაში გადამწყვეტი როლი ჰქონდა. კრებამ ის გააკეთა, რაც ამერიკაში შტატის კანონმდებლებმა რამდენიმე წლით ადრე, სოფლებში არსებულ ძალადობაზე საპასუხოდ დიდ დათმობაზე წავიდა. სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის გამოყენების მცდელობამ წარმოშვა კონტრ-ძალადობა სასოფლო დასახლებების მხრიდან, რამაც მეფის ავტორიტეტი ფატალურად შეარყია. ტერო-

<sup>169</sup> კაპლანი, supra 102, გვ. 63.

<sup>170</sup> გაყიდვების მეთოდი ფინანსებში, რომლითაც ქონების გამყიდველი ყიდის ისეთ ქონებას, რაც მას არ გააჩნია, ამისათვის სესხულობს (თხოულობს) სხვის ქონებას, ხოლო ფასის დავარდნის შემდეგ გამოსყიდვის შედეგად დააბრუნებს ნასესხებს (მთარგმნელის შენიშვნა).

<sup>171</sup> გაყიდვების მეთოდი ფინანსებში, სადაც მსგავსად დაფარვის გარეშე გაყიდვისა, გამყიდველი არ ფლობს გაყიდულ ქონებას, თუმცა განსხვავება ისაა, რომ ამ მეთოდის გამოყენებისას გამყიდველს ნასესხებიც არ აქვს რაიმე ქონება და სესხების შესაძლებლობაც კი არ არის დაზუსტებული. ასეთი ვაჭრობისას გამყიდველი განსაკუთრებულ რისკს იღებს საკუთარ თავზე (მთარგმნელის შენიშვნა).

<sup>172</sup> კ. ეროუ, მიმოხილვა წიგნისა “A. Sen, Poverty and Famines”, 29, “The New York Review of Books”, 1982. გვ-გვ. 24-26.

რამდეც კი, საფრანგეთში ძალადობის მასშტაბი გაცილებით დიდი იყო, ვიდრე იგი ოდესმე ყოფილა ამერიკაში. ეს ადვილად აიხსნება იმ ინსტიტუტების ურყეობითა და სიძლიერით, რომელთა დაძლევის საჭიროებაც იდგა. საფრანგეთის კონსტიტუცია შეიქმნა სახალხო ძალადობისგან, როგორც პასუხი სეკულარულ ფეოდალურ ექსპლუატაციასა და წარუმატებელ სახელმწიფო ძალადობაზე.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი,  
თსუ-ის მონვეული ლექტორი

## ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ნამდვილი სამართლის პრიმატი კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში

„დაუკვირდით სიტყვას - 'კონსტიტუცია'-  
ის გულისხმობს სტრუქტურას“.  
ენტონინ გრეგორი სკალია

### აბსტრაქტი

საკონსტიტუციო სასამართლოს იდეა არსებითად დაკავშირებულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციების კონსტიტუციურ კონტროლთან და, მაგალითისათვის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრეცედენტიც (Marbury v. Madison) ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში გარკვეულწილად სწორედ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებათა კრიზისს უკავშირდებოდა კონსტიტუციური მართლმსაჯულების ისტორიაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, კონსტიტუციონალიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეფასდეს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციურ დავებთან დაკავშირებული როლი და მნიშვნელობა. ასევე აუცილებელია, შეფასდეს ევროპული გამოცდილება ამ მიმართულებით და ის, თუ რა მნიშვნელოვანი და საინტერესო შედეგები ჰქონდა ამგვარი კომპეტენციის ფარგლებში საკონსტიტუციო კონტროლსა და კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას. შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლის ამ საკვანძო ინსტრუმენტის ფარგლებში უნდა ვისაუბროთ ასევე სამართლის პრიმატზე, რომლის ფარგლებშიც უნდა განვითარდეს კონსტიტუციონალიზმის იდეა. აღნიშნული საკითხი დოქტრინალური მნიშვნელობისაა და, ამავე დროს, ქართული კონსტიტუციონალიზმის განვითარებისთვის განსაკუთრებული აქტუალობა გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განხორციელების ძირითადი კონსტიტუციური მექანიზმი სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივ მსჯელობას უნდა დაეფუძნოს და ეს უნდა იყოს სტანდარტული პოლიტიკური შეკავება - განონასწორების მექანიზმებზე უპირატესი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მდგენელის გარეშე ვერ განხორციელდება, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება პოლიტიკური ფორმატების ნაცვლად სამართლებრივ ფორმატში იქნება მიღებული, რაც უზრუნველყოფს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაციის ფუნდამენტური და მეტ-ნაკლებად ობიექტური საფუძვლების შექმნას. ასევე უნდა ვისაუბროთ იმაზეც, რომ დღემდე საქართველოში

ვერ შედგა ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსენსუსი, რომელიც აუცილებელია კონსტიტუციონალიზმისათვის და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების რეალიზებისათვის. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, ვიმსჯელოთ საკონსტიტუციო სასამართლოს და, ზოგადად, სამართლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების იდეის ფუნდამენტური რეალიზების მიმართულებით.

## 1. შესავალი

„საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა და კონსტიტუციური წყობის წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს ხელისუფლების დანაწილება წარმოადგენს. აღნიშნული დებულება, რომელიც არაერთხელ დადასტურდა დოქტრინისა თუ პრაქტიკის მიერ, სრულყოფილი სახით საფრანგეთის 1789 წლის 'ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის' მე-16 მუხლში აისახა: 'საზოგადოებას, სადაც არ არსებობს ხელისუფლებათა დანაწილება, არ გააჩნია კონსტიტუცია'“.<sup>1</sup>

„ცნობილმა იურისტმა შტაინბერგმა სწორად აღნიშნა, რომ 'ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, როდესაც კონსტიტუციური რეფორმების გატარების დროს, პირველად სახელმწიფოს ისტორიაში, იქმნება საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამ სახელმწიფოს ყოფილი იურიდიული პრაქტიკა არ იმსახურებდა რაიმე ნდობას'“.<sup>2</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს შეიქმნება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა საგარეო და საშინაო პოლიტიკურ საქმიანობაზე კომპეტენციური დავების გადაწყვეტის გზით. აღნიშნული საკითხი პრინციპულად უკავშირდება საერთო სუვერენიტეტის საკითხს, რომელიც ყველა ხელისუფლების შტოს გააჩნია, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოსაც და, შესაბამისად, სასამართლო თავისი იურისდიქციით, უზრუნველყოფს ხელისუფლების დანაწილებას ხელისუფლების ერთიანობის პრინციპის დაცვით.<sup>3</sup> „დიდი პოლიტიკა ეს იყო, არის და დარჩება გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრობლემად. დაფუძნების დღიდან ამ პრობლემასთან უწევს გამკლავება გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს, ვინაიდან პატიოსანმა ადამიანებმა პოლიტიკასა და სამართალს შორის გამავალი სამართლიანი გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ.“<sup>4</sup> რაც შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით, ხოლო 83-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს

<sup>1</sup> კვერენჩილაძე გ., საქართველოს მთავრობის კონსტიტუციური სტატუსი (კონსტიტუციის 78-ე მუხლის კომენტარი), თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I (სტატიათა კრებული), რედ. კვერენჩილაძე გ. გვეგნავა დ., დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, გვ.გვ. 8-9.

<sup>2</sup> ბეჟუაშვილი გ., თანამედროვე საერთაშორისო სამართლის როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, საქართველო და საერთაშორისო სამართალი (სტატიათა კრებული), თბილისი, 2001, გვ. 27.

<sup>3</sup> ბეჟუაშვილი გ., საქართველოს საგარეო პოლიტიკის საკონსტიტუციო სამართლებრივი საფუძვლები, N3, ადამიანი და კონსტიტუცია, თბილისი, 2001, გვ. 57.

<sup>4</sup> გენაძე გ., კონსტიტუციური მართლმსაჯულება და პოლიტიკა?! (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითზე), ქართული სამართლის მიმოხილვა, პირველი მეორე კვარტალი 1999, თბილისი, 74 ; შედ. Uwe Wesel, Die Zweite Kreise, die Zeit N 40, 1995 j. 29 September.

საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო.<sup>5</sup> ამდენად, საქართველოში მოქმედებს ე. წ. „სპეციალიზებული სასამართლო ორგანო,“ იგივე კონსტიტუციური დებულება იკითხება კონსტიტუციის ახალი რედაქციის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტით, რომ სასამართლო ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს.<sup>6</sup> მიმაჩნია, რომ „აღნიშნულ ტერმინს უფრო ფართო განმარტება შეიძლება მივანიჭოთ, ვიდრე მხოლოდ კონსტიტუციურ კონტროლს, ვინაიდან საკონსტიტუციო კონტროლი მეცნიერთა უმრავლესობის ამრით გულისხმობს უშუალოდ კანონებისა და ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებას (მ. ნუდელი, ტ. ნასიროვა, გ. კახიანი). არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც, რომლებიც არა მხოლოდ სამართლებრივ აქტებს უკავშირებენ კონსტიტუციური კონტროლის ცნებას, არამედ ქმედებების შემოწმებასაც (ლ. ლაზარევი), ხოლო ა. ბლანკენაგელი მიუთითებს, რომ კონსტიტუციური კონტროლი ეს არის ხელისუფლების დანაწილებისა და კონსტიტუციური კონფლიქტების მოგვარებისაკენ მიმართული საქმიანობა.“<sup>7</sup> საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების უმნიშვნელოვანესი ფუნქცია კომპეტენციური დავების განხილვაა, რაც, თავის მხრივ, უშუალო კავშირშია ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან.<sup>8</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო შეიძლება იყო ერთადერთი კონსტიტუციური სუბიექტი, რომელიც შეძლებს, გადაწყვიტოს კომპეტენციურ სახელმწიფო ორგანოთა შორის კონფლიქტები. კარლ შმიდტის მოსაზრებით, კონსტიტუციური დავები სამართლებრივზე მეტად პოლიტიკურ დავად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო კონსტიტუციის გარანტის ფუნქცია არა სასამართლომ, არამედ პრეზიდენტმა უნდა შეასრულოს.<sup>9</sup> აღნიშნული მოსაზრება დიდი ხანია გადახედილია, თუმცა პრეზიდენტი, ამის მიუხედავად, ინარჩუნებს კონსტიტუციური გარანტის ფუნქციას. ამავდროულად, სწორედ პრეზიდენტის ფუნქციიდან გამომდინარე, მას ევალება, გადაჭრას პრობლემა, რომელიც უკავშირდება კონსტიტუციურ კონფლიქტებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის, ხოლო ამას იგი უნდა ახორციელებდეს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის გზით.<sup>10</sup> შესაბამისად, შეიძლება გაზიარებულ იქნეს პოზიცია, რომლის მიხედვითაც, უნდა არსებობდეს ხელისუფლების დანაწი-

<sup>5</sup> საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია 2017 წლის 13 ოქტომბერს და 2018 წლის 23 მარტს მიღებული ცვლილებებამდე არსებული მდგომარეობით, რომელიც ძალაშია 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ახლად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადებაამდე.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

<sup>6</sup> საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია 2017 წლის 13 ოქტომბერს და 2018 წლის 23 მარტს მიღებული ცვლილებები, რომლებიც ამოქმედდება 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ახლად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების შემდგომ.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

<sup>7</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, დისერტ. სამეც. ხელმძ. ა. დემეტრაშვილი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, გვ. 24.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>9</sup> გენაძე supra 4, გვ. 75.

<sup>10</sup> ნაკაშიძე მ., ხელისუფლების განაწილებებთან პრეზიდენტის ურთიერთობათა თავისებურებები მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემებში, დისერტაცია სამეცნიერო ხელმძღვანელი ა. დემეტრაშვილი, თბილისი, 2010, გვ. 210.

ლების სისტემაში ნეიტრალური ინსტიტუტი, რომელიც მოაგვარებს ხელისუფლების დანაწილებასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ კონფლიქტებს.<sup>11</sup>

იმდენად, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს დავებს პოლიტიკურ-კონსტიტუციურ ორგანოებს<sup>12</sup> შორის, იგი პოლიტიკურ დავებს წყვეტს სამართლის მეშვეობით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ერთადერთი „იარაღი“ სამართალია. თუმცა, როდესაც კონსტიტუციური ორგანოები ერთმანეთში კომპეტენციათა თაობაზე დაობენ – სამართლებრივი დავა, უნებურად, იმ წამსვე პოლიტიკურ განზომილებაში ხვდება.<sup>13</sup> საქართველოს კონსტიტუციით (89-ე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტით) დადგენილია, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.“ არსებითად იდენტური ტექსტი არის გადმოტანილი კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, თუმცა ახალი რედაქციით გარკვეული დამატება იქნა შეტანილი ამ დებულების შინაარსში, რომლის მიხედვითაც, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა გვიანდელ ვადას. აქედან გამომდინარე, საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სამართალში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ერთადერთი და საბოლოო ინსტანციაა, რომელიც ყველასათვის სავალდებულოდ შესასრულებელ ძალას იძენს. სწორედ ამ კუთხით შეიძლება ვისაუბროთ სამართლის პრიმატზე კონსტიტუციონალიზმში, რაც, თავის მხრივ, ხელისუფლების დანაწილებისა და კონსტიტუციის სხვა იდეალებისა და ღირებულების დაცვის უპირობოდ აღიარებას და, უფრო მეტიც, მათ კონსტიტუციურ გარანტიას წარმოადგენს.

## 2. კომპეტენციური დავის არსი და საფუძვლები

კომპეტენციური დავის მიზანს და არსს, იმავდროულად, წარმოადგენს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით (2017-2018 წლის კონსტიტუციური რეფორმის შესაბამისად ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მარეგლამენტირებელ შესაბამის დებულებას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი),<sup>14</sup> განმტკიცებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უზრუნველყოფა და აღნიშნული მექანიზმი ერთ-

<sup>11</sup> ნაკაშიძე, supra 10, გვ. 218.

<sup>12</sup> პოლიტიკურ-კონსტიტუციურ ორგანოებში იგულისხმება ხელისუფლების ის ორგანოები, რომლებიც მათი კონსტიტუციური სტატუსებიდან გამომდინარე უშუალოდ დაკავშირებულნი არის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებასთან.

<sup>13</sup> გენაძე, supra 4, გვ. 81.

<sup>14</sup> 2017 წლის 13 ოქტომბრისა და 2018 წლის 28 მარტის კონსტიტუციური კანონები, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატის მიერ ფიცის დადების შემდგომ. ხსენებულმა რეფორმებმა მოახდინეს მმართველობის მოდელის შეცვლა და საპრეზიდენტო მმართველობის მოდელს ჩაენაცვლა შერეული მმართველობის მოდელი, შესაბამისად, ნახევრად-საპრეზიდენტო და ნახევრად-საპარლამენტო მოდელების სახით, ხოლო სამომავლოდ ითვალისწინებს კლასიკური საპარლამენტო მართველობის მოდელზე გადასვლას.

ერთ ძირითად კონსტიტუციურ სამართლებრივი გარანტიაა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჰორიზონტალური ხელისუფლების დანაწილება უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა შორის.<sup>15</sup> სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა შორის კომპეტენციური კონფლიქტის განხილვის გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოში დავის საგანს ასევე შეიძლება წარმოადგენდეს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის წარმოშობილი უფლებამოსილებათა კოლიზიებიც.<sup>16</sup> მიუხედავად კომპეტენციური დავის მრავალმხრივობისა, კლასიკურ კომპეტენციურ დავას წარმოადგენს სწორედ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა შორის დავა. კომპეტენციური დავის საფუძვლები განსაზღვრულია უშუალოდ კონსტიტუციით, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (2017-2018 წლის კონსტიტუციური რეფორმის შესაბამისად, სათანადო დებულებას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტიც), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა შორის დავას კომპეტენციათა შესახებ, რომელიც შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციით ხელისუფლების შტოებისთვის მინიჭებულ ფუნქციებსა და კომპეტენციებს.<sup>17</sup>

კომპეტენციური დავის არსს წარმოადგენს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უზენაესობის უზრუნველყოფა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპისა და კონსტიტუციონალიზმის ძირითადი იდეისა. კონსტიტუციური კონფლიქტები რეალურად ხშირად წარმოიშობოდა სწორედ იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც მოქმედებდა და მოქმედებს შერეული მმართველობის მოდელი, უფრო კონკრეტულად კი, ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის მოდელის პრემიერი-პრეზიდენტალიზმის ქვეტიპი, სწორედ ის სისტემა, რომელიც მოქმედებს საქართველოში. ასევე აღნიშნული მმართველობის პოლიტიკური რეჟიმები მოქმედებს პოლონეთსა და უნგრეთში და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, რომლებშიც სახელისუფლებო კოლიზიები ძირითადად მიმდინარეობდა ახლად ჩამოყალიბებული მმართველობის სისტემის პირობებში. მართალია, გარკვეული კომპეტენციური კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას საპრეზიდენტო რესპუბლიკებშიც, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში საომარ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით პრეზიდენტსა და კონგრესს შორის, თუმცა ამ დავის რეგულირება მარტივად მოხდა სახელმწიფო მმართველობის მოდელის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე პრეზიდენტის (მთავარსარდლის) ინსტიტუტის სასარგებლოდ,<sup>18</sup>

<sup>15</sup> კახიანი, supra 7, გვ. 147.

<sup>16</sup> ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დავა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მოსალოდნელია, ვინაიდან ამ საკითხის რეგულირება უშუალოდ კონსტიტუციით არსებითად გადაწყვეტილი არაა და დამოკიდებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

<sup>17</sup> დოქტრინალურ წყაროებში კომპეტენციური დავები უფრო ფართოდ არის განმარტებული და მასში მოიაზრება კომპეტენციების გამიჯვნა ხელისუფლების დანაწილების ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ტრილში, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს სხვადასხვა კომპეტენციის ფარგლებში განიხილება. – იქვე, გვ. 146.

<sup>18</sup> რეალურად მხოლოდ 1975 წლის ე. წ. "Mayaguez incident"-ის დროს მოჰყვა კონფლიქტი პრეზიდენტსა და კონგრესს შორის სამხედრო უფლებამოსილებებთან დაკავშირებით, რაც სამხედრო რეზოლუციების 132 შემთხვევიდან ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა.

კერძოდ, ლუის ფიშერის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს შეუძლია ომის დაწყება კონგრესის დაუკითხავად.<sup>19</sup>

„კონსტიტუციით თუ მის გარეშე, სახელისუფლებო-სტრუქტურული კონფლიქტები ფართოდ იყო გავრცელებული ყოფილ სოციალისტურ ბლოკში და ამ კონფლიქტების კონსტიტუციური ბუნებიდან გამომდინარე, თითოეული მათგანი საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდა.“<sup>20</sup> პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა რიცხვს მიეკუთვნება: 1. სახელისუფლებო ფუნქციების დელეგირების ადრეული საქმეები, რომლებიც ადმინისტრაციულ უფლებამოსილებებს შეეხებოდა; 2. მცირე კონსტიტუციაში 1992 წელს შეტანილი ცვლილებები, რომლებიც სეიმისა და სენატის ურთიერთობას შეეხებოდა; 3. 1994 წლის რადიო-ტელემაუწყებლობის საბჭოს თავმჯდომარის განთავისუფლების საქმე, რომელიც სამთავრობო ორგანოების მიმართ პრეზიდენტის უფლებამოსილებას შეეხებოდა; 4. 1994 წლის საქმე, რომელიც ბიუჯეტისა და სეიმის დაშლის საკითხს ეხებოდა პრეზიდენტისა და სეიმის კონფლიქტის ფონზე.<sup>21</sup> პირველი საქმე ეხებოდა მთავრობისა და მინისტრთა კაბინეტის ურთიერთობას, როდესაც მთავრობა გასცდა კანონის ფარგლებს და საკითხი თავისი აქტით მოაწესრიგა, ხოლო პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალმა გააუქმა ეს აქტი.<sup>22</sup> ამის შემდეგ პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალმა მიიღო გადაწყვეტილებები, რომლებიც მკაცრად იცავდა კანონის უზენაესობას და უმაღლეს სტანდარტებს აკანონებდა ამ მხრივ.<sup>23</sup> უნგრეთსა და პოლონეთში საკონსტიტუციო სასამართლოები მუდმივად ერეოდნენ ეკონომიკურ სადავო საკითხებში, განსხვავებით ამერიკის უზენაესი სასამართლოსაგან, ვინაიდან აღნიშნული გამოწვეული იყო ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობით.<sup>24</sup>

უნგრეთში საინტერესო შემთხვევა იყო, როდესაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ პრემიერი იოზეფ ანტალი და პრეზიდენტი არპად გონცი, როდესაც „ვიშეგრადში მოეწყო შეხვედრა ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის დელეგაციებთან, დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის განსახილველად, პრემიერ-მინისტრ ანტალს ამ შეხვედრაზე პრეზიდენტი გონცის მაგივრად უნდოდა წასვლა, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხვედრა სახელმწიფოს მეთაურთა შორის უნდა გამართულიყო, ეს საკითხი უმტკივნეულოდ მოგვარდა.“<sup>25</sup> ამის შემდეგაც წარმოიშვა კონსტიტუციური კონფლიქტები, რომლებიც არც ისე მარტივად გადაწყდა. პირველი დაპირისპირება გამოიწვია თავდაცვის მინისტრის მცდელობამ, შეარაღებულ ძალებზე კონტროლი განეხორციელებინა, რის გამოც მას სერიოზულად დაუპირისპირდა გონცი და მისი პოლიტიკური ძალა. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ დავა მაინც მთავრობის სასარგებლოდ გადაწყვიტა.<sup>26</sup> აღსანიშნავია, რომ ეს დავა საკონსტიტუციო სასამართლოს

<sup>19</sup> იხ. <<http://www.cfr.org/united-states/balance-war-powers-us-president-congress/p13092>>

[უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

<sup>20</sup> შვარცი ზ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, მთარგ. ქ. ალექსიძე, თბილისი (აირის საქართველო), გამომც. სეზანი, 2003, გვ. 112.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 113.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 114.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 117.

<sup>25</sup> შვარცი, supra 20, გვ. 149.

<sup>26</sup> იქვე.

განსჯადი გახდა მხოლოდ კონსტიტუციის ინტერპრეტაციის ნაწილში და, შესაბამისად, მხოლოდ და მხოლოდ სარეკომენდაციო რჩევას წარმოადგენდა.<sup>27</sup> ასევე აღსანიშნავია უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა კომპეტენციურ დავებზე, როდესაც მან განიხილა საკითხი ტელე-რადიომაუწყებლობის დირექტორთან დაკავშირებით. დავა ეხებოდა ამ თანამდებობის პირის დანიშვნის საკითხს და წესს, მხარეებს წარმოადგენდნენ პრეზიდენტი და პრემიერი, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში მთავრობის სასარგებლოდ მიიღო.<sup>28</sup>

აქვე შესაძლებელია, რომ ზოგადად იმ ნაწილში, რომელიც ეხება სადავო ფუნქციების შესავალს, ცალკე გამოიყოს კომპეტენციური დავის საკითხი, რომელიც ეხება თანამდებობის პირების დანიშვნას. აღნიშნული ასევე მიეკუთვნება იმ საკითხთა რიცხვს, რომელთაც დიდი ალბათობით შესაძლებელია წარმოეშვას დავა კონსტიტუციასთან დაკავშირებით. იმდენად, რამდენადაც ამგვარი დავების პრაქტიკა იყო პოლონეთშიც და უნგრეთშიც. მგავსი ხასიათის დავები იყო საქართველოშიც, რომელიც მნიშვნელოვანწილად ასევე ატარებდა პოლიტიკურ შინაარსს.<sup>29</sup> მიმაჩნია, რომ კონსტიტუციური მართლმსაჯულების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, განიხილოს და გადაწყვიტოს დავა კომპეტენციურ სუბიექტებს შორის და ამით ხელი შეუწყოს ქვეყანაში კონსტიტუციონალიზმის იდეისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განვითარებას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო, ყველა საჭირო მექანიზმის გამოყენებით, მოწოდებული უნდა იყოს ამ კატეგორიის დავების გადაწყვეტისკენ.

<sup>27</sup> შვარცი, supra 20, გვ. 415.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 120.

<sup>29</sup> ამგვარი პოლიტიკური შინაარსის დისპუტები მრავლად იყო ქართულ პოლიტიკურ რეალობაში, მათ შორის მაგალითისათვის, განსაკუთრებულად აქტუალურად განიხილებოდა, ვის მიერ უნდა ყოფილიყო ხელმოწერილი საქართველოსა და ევროკავშირს შორის გასაფორმებელი ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა 2014 წლის 27 ივნისს, ამასთან დაკავშირებით გარკვეულწილად გამოთქმული იყო მოსაზრებები აკადემიურ წრეებში, გამოთქმული იყო შემდეგი შეხედულებები „ამ საკითხზე დისკუსია [იგულისხმება ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის საკითხი] დასრულებულად ჩაითვლებოდა, დავა კომპეტენციათა თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს რომ გადაეწყვიტა და არა მაშინ, როცა პრემიერმინისტრი საკითხს დახურულად გამოაცხადებდა. კონსტიტუციური დავა კომპეტენციათა შესახებ სასამართლოში პრეზიდენტმა უნდა წამოიწყო. თუ სამართლებრივ სახელმწიფოში პრეზიდენტის ასეთი ქმედება სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურის გამოვლინებად შეფასდება, საქართველოში მისი ამგვარი ნაბიჯი „პოლიტიკურ განხეთქილებადა“ ან „პრეზიდენტის ამბიციების ზრდად“ იქნება განხილული.“ –

<<http://liberali.ge/blogs/view/5903/ra-mnishvneloba-aqvs-vin-moatsers-khels-evrokavshirtan-asotsirebis-shetankhmebas>> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს];

ასევე იყო გამოთქმული უფრო მკაფიო მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით „ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პირველადი კომპეტენცია საქართველოს პრეზიდენტს აქვს. ასეთია კონსტიტუციის ლოგიკა. მიუხედავად ამისა, დღეს ამ თემაზე დისკუსია კიდევ ერთხელ განახლდა.“ –

<<http://liberali.ge/blogs/view/5889/vin-unda-moatseros-kheli-asotsirebis-khelshekrulebas>> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს];

გარდა ამისა ამ საკითხთან დაკავშირებთ უფრო მეტიც, საზოგადოების უფრო ფართო წრის მოსაზრებებიც იქნა გამოკითხული, იმდენად აქტუალურ პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენდა იგი.

<<https://www.transparency.ge/ge/blog/evrokavshirtan-asotsirebis-shetankhmebas-kheli-sakartvelos-prezidentma-unda-moatseros>> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

### 3. კომპეტენციური დავების განხილვის ფარგლები

კომპეტენციური დავა არ შეიძლება გაგებულ იქნეს ვიწროდ, არამედ იგი უნდა გავიგოთ ფართოდ, ვინაიდან დაუშვებელია და კონსტიტუციური მართლმსაჯულების იდეას ეწინააღმდეგება კომპეტენციური დავების განხილვის ფორმალური საფუძვლები. სასამართლოში დავა შეიძლება წარმართოს უშუალოდ კონსტიტუციური დებულებების განმარტების გზით და კონსტიტუციურ დებულებათა ფარგლებში, თუმცა კომპეტენციურ ორგანოებს შორის დავა ასევე შეიძლება წარმოიშვას იმ საკითხებთან დაკავშირებითაც, რომლებიც უშუალოდ კონსტიტუციით არ არის რეგულირებული, თუმცა თავისი შინაარსით კონსტიტუციური მნიშვნელობისაა. მიმაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს პრობლემატური საკითხი კონსტიტუციურ ნორმათა ფართო განმარტების საფუძველზე, მათ შორის, ქვეყნის მმართველობის მოდელური ბუნების უფრო კონკრეტული განმარტებების შესაბამისად. სწორედ, საკონსტიტუციო სასამართლო უნდა იყოს ის ძირითადი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს მისი წარმოების ფარგლებში მმართველობის მოდელის კლასიფიკატორების შესაბამისად, მმართველობის მოდელიდან გამომდინარე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ უნდა გადანაწილდეს ხელისუფლება. მართალია, სახელმწიფოში მმართველობის მოდელის განსაზღვრა უფრო სხვა სახელმწიფო ორგანოთა თუ კომისიათა ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში აღნიშნული საფუძვლებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნდეს საკუთარი პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით, რის შესაბამისად მოხდება პრობლემატური საკითხების სისტემურად გადაწყვეტა, რათა სისტემის ცალკეული პრობლემის არაკომპლექსურმა მოგვარებამ არ წარმოშვას ახლი პრობლემატიკა. ამასთან ერთად, არ შეიძლება, პოლემიკას სახელისუფლებო რეჟიმების რაობის შესახებ მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა ჰქონდეს და მხოლოდ კონსტიტუციის ფორმირების პროცესში განიხილებოდეს.

#### 3.1. კომპეტენციური დავის სუბიექტები

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მხარეები არიან ის კონსტიტუციური ორგანოები და პირები, რომლებსაც აღნიშნული დავის წარმოების უფლება მინიჭებული აქვთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონისა და კონსტიტუციის შესაბამისად, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 33-ე, მე-40 მუხლების მიხედვით.<sup>30</sup> რაც შეეხება კომპეტენციურ დავებს, იგივე კანონი (34-ე მუხლი) განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება იყოს მოსარჩელე, ადგენს მისი სასარჩელო სუბიექტუარიალობის საკითხებს და აწესრიგებს მოპასუხის სამართლებრივ მდგომარეობას.

კომპეტენციური დავის სუბიექტები არიან საკონსტიტუციო სამართალწარმოების ის ძირითადი მონაწილეები, რომლებიც კომპეტენციების შესახებ და შესაბამისად დაობენ სახელმწიფო ორგანოები და კონსტიტუციური თანამდებობის პირები. ამგვარი დავის დროს

<sup>30</sup> კახიანი, supra 7, გვ. 197.



საკონსტიტუციო სასამართლოში სუბიექტები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის ორგანოები ან თანამდებობის პირები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლში არის მითითებული. კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სუბიექტები არიან: საქართველო პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი, სასამართლო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სახალხო დამცველი.<sup>31</sup> საქართველოს კონსტიტუციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად, სახელმწიფოს მეთაური აღჭურვილია უნივერსალური უფლებამოსილებით და აგრეთვე ერთგვარი ფუნქციით, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს საკითხის განხილვა იმის მიუხედავად, ეს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს ეხება, თუ სხვა ნებისმიერი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს. აღნიშნული გამომდინარეობს პრეზიდენტის კონსტიტუციის გარანტიის ფუნქციიდან, რომელიც სიტყვასიტყვით არ იკითხება კონსტიტუციის ტექსტში, თუმცა გამომდინარეობს პრეზიდენტის ფიცის ტექსტიდან, რომლითაც სახელმწიფოს მეთაური კისრულობს კონსტიტუციის დაცვის ვალდებულებას. გარდა ამისა, პრეზიდენტის აღნიშნული ფუნქცია იკითხება იმ უფლებამოსილებათა კატალოგიდანაც, რომელიც მას გააჩნია საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. პრეზიდენტი საკონსტიტუციო სასამართლოს თითქმის ყველა კომპეტენციასთან მიმართებით უფლებამოსილია, საკითხი განსახილველად წარუდგინოს სასამართლოს. ხოლო რაც შეეხება სხვა სუბიექტებს, საქართველოს ორგანული კანონი უთითებს იმ კონსტიტუციურ ორგანოებზე, რომლებიც ჩამოთვლილია საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლში და აღნიშნავს, რომ ამ ორგანოთა კომპეტენციაა, მიმართონ სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს, თუკი თვლიან, რომ დარღვეულია მათი კომპეტენცია სახელმწიფო ხელისუფლების რომელიმე შტოს მიერ. აგრეთვე, უნივერსალური მოსარჩელის კომპეტენცია გააჩნია საქართველოს პარლამენტის წევრთა ერთ მეხუთედს საკონსტიტუციო სასამართლოში სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის ფარგლების შესახებ, თუ პარლამენტის წევრთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დარღვეულია მისი კომპეტენცია ან დაირღვა სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები.<sup>32</sup>

სასამართლოში მოპასუხესთან დაკავშირებით არცთუ ისე ნათლად არის საკითხი მოწესრიგებული კანონის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიის სარჩელზე მოპასუხეს უნდა წარმოადგენდეს ის ორგანო, რომელმაც გამოსცა ნორმატიული აქტი, (ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი),<sup>33</sup> მაინც განუსაზღვრელად რჩება საკითხი,

<sup>31</sup> საქართველოს კონსტიტუცია 04.10.2013 მდგომარეობით -

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

<sup>32</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 29.05.2015 მდგომარეობით - <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944>> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

<sup>33</sup> კომპეტენციურ დავებთან დაკავშირებულ საქმეებზე მოპასუხეა ის სახელმწიფო ორგანო, რომლის ნორმატიულმა აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევა.- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 29.05.2015 მდგომარეობით - <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944>> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

თუ ვინ შეიძლება იყოს მოპასუხე იმ შემთხვევაში, როდესაც დავა არ ეხება ნორმატიულ აქტს, არამედ სახეზეა სადავო კონსტიტუციურსამართლებრივი ურთიერთობა, კონსტიტუციური ნდივიდუალური აქტი ან კონსტიტუციურსამართლებრივი ქმედება, რაც ცალსახად არც კანონით გამოირიცხება და კონსტიტუციის მიხედვით კი, შეიძლება იგულისხმებოდეს კიდევ, როგორც შესაძლო დავის საგანი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსარჩელემ თავად უნდა განსაზღვროს, ვინ უნდა იყოს მოპასუხე მის სარჩელთან დაკავშირებით. კანონით და კონსტიტუციით ასევე ბუნდოვნად არის განსაზღვრული ამ კატეგორიის დავის შემთხვევაში მოსარჩელებისა თუ მოპასუხეთა სრულყოფილი და ამომწურავი წრე, ვინაიდან როგორც უკვე მივუთითეთ, საქართველოს ორგანული კანონი მოსარჩელეთა წრის განსაზღვრისას უთითებს კონსტიტუციის 89-ე მუხლზე ზოგადად (ახლი კონსტიტუციის რედაქციის ამოქმედების შემდეგ ბლანკეტური მითითება მოხდება კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-60 მუხლთან მიმართებით) და არ უთითებს კონკრეტულად იმ სუბიექტებზე, რომლებსაც აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში მიმართვის შესაძლებლობა. კონსტიტუციის 89-ე მუხლში მითითებულია, როგორც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ასევე ადგილობრივი თვითმართვებლების წარმომადგენლობითი ორგანოები, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭო და სახალხო დამცველი. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ განუჭვრეტადია მითითებული ორგანოების სუბიექტუნარიანობა ამ კატეგორიის დავის ფარგლებში, გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლი საერთოდ არ ითვალისწინებს იმ კონსტიტუციურ ორგანოებს, რომლებიც შესაძლოა დადგნენ აუცილებლობის წინაშე, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარი კომპეტენციების დასაცავად, მათ შორის აუდიტის სამსახურს.<sup>34</sup> საქართველოს ეროვნულ ბანკს, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და სხვა კონსტიტუციურ სუბიექტებს, რომელთა ფუნქციები და კომპეტენციები განსაზღვრულია უშუალოდ კონსტიტუციით. დღევანდელი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში თვალნათლივ ჩანს პრობლემა, რომელიც უკავშირდება სწორედ მოსარჩელეთა უფლებამოსილებებს იმდენად, რამდენადაც არა უშუალოდ სათანადო სუბიექტი წარმართავს დავას სასამართლოში, არამედ სხვა უფლებამოსილი სუბიექტი აწარმოებს დავას სასამართლოში. მაგალითისათვის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომლის დავის საგანსაც წარმოადგენდა ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის მოსაზრებით, ეწინააღმდეგებოდა ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის კონსტიტუციურ გარანტიებს, აღნიშნული სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარმოებაში იქნა მიღებული 2015 წლის 12 ოქტომბრის პლენუმის საოქმო ჩანაწერით №3/6/668, თუმცა ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება დღემდე ვერ იქნა მიღებული.<sup>35</sup> აღნიშნულიდან

<sup>34</sup> 2013-2015 წლის საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში ასევე განიხილებოდა წინადადებები ამგვარი უფლებამოსილებით აღჭურვასთან დაკავშირებით, როგორც დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანოების ინსტიტუციური ფორმირების გზით.

<sup>35</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 12 ოქტომბრის საოქმო ჩანაწერი №3/6/668 საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

გამომდინარე ცხადია, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება და კომპეტენციური დავის განხილვა სრულყოფილად ვერ განხორციელდება სათანადო მხარეების და, მით უმეტეს, სათანადო მოსარჩელის გარეშე. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ კონსტიტუციურ ორგანოებს არ ჰქონდეთ შეზღუდული საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის აღძვრის უფლება. შესაბამისად, მისასაღმებელია კონსტიტუციის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებული დებულება, კერძოდ, მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დადგინდება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე, იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ, გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ ახალი რედაქციით დაზუსტდა იმ სუბიექტების წრე, რომელთაც უფლება აქვთ, იდავონ საკონსტიტუციო სასამართლოში კომპეტენციებთან დაკავშირებით.

### **3.2. კომპეტენციური დავის ობიექტი**

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებანი, თუ რა კომპეტენციის ფარგლებში შეიძლება იქნეს განხილული დავა კონსტიტუციური მართლმსაჯულების ფარგლებში. კონსტიტუციის მიხედვით დადგენილია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში დავის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. სწორედ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ დავის საგანზე, რომელიც შეიძლება გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის ობიექტი.

დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის (23-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი) მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო იმ შემთხვევაში განიხილავს, თუ კომპეტენციის დარღვევა ნორმატიულ აქტს უკავშირდება<sup>36</sup>. ნორმატიული აქტი ცალსახად წარმოადგენს შესაძლო დავის საგანს, თუმცა გარდა ნორმატიული აქტისა, რა შეიძლება იყოს დავის საგანი, ამის შესახებ კანონმდებლობა არავითარ კონკრეტულ ჩანაწერს არ ითვალისწინებს. თუმცა თუკი კონსტიტუციურ ჩანაწერს განვმარტავთ, შეიძლება ითქვას, რომ დავა შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერ საკითხზე, თუნდაც ეს არ შეეხებოდეს ნორმატიულ აქტს.

საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია, მოთხოვნა დააყენოს უშუალოდ იმ კონსტიტუციურ ნორმასთან, დღეს მოქმედი საკანონმდებლო აქტის საქართველოს ორგანული კანონის

---

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3027926?publication=0>> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

<sup>36</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 29.05.2015 მდგომარეობით - <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944>> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ზემოაღნიშნული პუნქტების იმ ნორმატიულ შინაარსთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა მას უკრძალავდნენ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვას მხოლოდ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.<sup>37</sup> თუმცა აღნიშნული ერთგვარი მექანიზმები, რომელთა გამოყენების შემდეგაც შესაძლებელი გახდება კონსტიტუციური „ჭეშმარიტების“ დადგენა სასამართლოს მეშვეობით, რეალურად მხოლოდ ჰიპოთეტურ მსჯელობას ეფუძნება, ხოლო უფრო არსებითად მიმაჩნია, რომ უმჯობესი იქნება, კონსტიტუციური მართლმსაჯულების პირობებში დავა წარიმართოს არა მხოლოდ ნორმატიული ტექსტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის ფარგლებში, არამედ უფრო ფართო და სრულყოფილი სამართალწარმოების გზებით დადგინდეს კონსტიტუციურ სამართლებრივ პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემეტიკა. აღნიშნული გზით კონსტიტუციონალიზმის დიალექტიკაც ჩამოყალიბებული ფორმებით წარიმართება. არსებობს მოსაზრება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლების მქონე ნორმატიული ბუნების დავები ანუ ე.წ. „სამართლის საკითხი“ უნდა განიხილებოდეს და არა ქმედება ან სამართალურთიერთობა. კერძოდ, დოქტრინალური მოსაზრებით, „საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას დაქვემდებარებული საკითხების დიფერენცირება შედარებით უფრო მარტივია, განხორციელდეს არა საზოგადოებრივი ურთიერთობების წრის ან მათი მნიშვნელობის მიხედვით, არამედ 'ნორმატიული მასშტაბის' დახმარებით.“<sup>38</sup> მიმაჩნია, რომ არ იქნება მართებული ამგვარი დასკვნის გაკეთება, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სხვა კომპეტენციათა ფარგლებში არსებითად განიხილავს ქმედებათა კონსტიტუციურობას, მათ შორის მაშინ, როდესაც საკითხი ეხება იმპიჩმენტის გაგებას ან/და პარლამენტის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენას. ორივე შემთხვევაში სასამართლო ფაქტობრივად მსჯელობს საქმის გარემოებებთან დაკავშირებით და შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას.

არსებობს ისეთი სამართლებრივი ურთიერთობებიც, რომლებიც ვერ გახდება ვერც საერთო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში განიხილვის საგანი და ვერც საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი დღევანდელი კონსტიტუციური მოწყობის პირობებში, ვინაიდან დღევანდელი რეგულირებით, თუ სახეზე არ გვაქვს ნორმატიულსამართლებრივი აქტი, შეუძლებელია მისი გასაჩივრება. ამ შემთხვევაში სასამართლო კონტროლის მიღმა რჩება ისეთი საკითხები, როგორცაა კონსტიტუციური მოქმედება ან უმოქმედობა და კონსტიტუციური ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, აუცილებელია, რომ არსებობდეს შემმოწმებელი ორგანო, იმდენად, რამდენადაც საქართველოში არსებობს „სპეციალიზებული ორგანო“<sup>39</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს სახით, უმჯობესი იქნება, რომ სწორედ მან განიხილოს ყოველგვარი მართლმსაჯულება,

<sup>37</sup> ამ შემთხვევაში ამგვარი მოთხოვნის დაყენების უფლება აქვს ყველა იმ სუბიექტს, რომელიც შესაძლებელია იყოს ამ ტიპის დავაზე მოსარჩელე.

<sup>38</sup> ხუბუა გ. საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N9, 2016, 8, - <<http://www.constcourt.ge/uploads/other/3/3803.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

<sup>39</sup> ზოგადად არსებობს სპეციალიზებული და არა სპეციალიზებული საკონსტიტუციო სასამართლოები, რომელთაგან სპეციალიზებული ორგანოა ის, რომლის ძირითად საქმიანობის სფეროსაც წარმადგენს საკონსტიტუციო კონტროლი, იხ. კახიანი, supra 7, გვ-გვ. 32-33.

რომელიც დაკავშირებულია კონსტიტუციურ კონტროლთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (კ. დავითაშვილის საქმე) იყო შემთხვევა, როდესაც საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ასაჩივრებდა საქართველოს პრეზიდენტის 15.03.2003 წლის №286 განკარგულებას, რომელიც ეხებოდა პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევას. სასამართლომ აღნიშნული საქმე არ განიხილა არსებითად, ვინაიდან მისი დასაბუთებით, აღნიშნული აქტი წარმოადგენდა არა ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს, არამედ კონსტიტუციის საფუძველზე გამოცემულ პოლიტიკურ აქტს, რომლის მიზანშეწონილობის შეფასებაც, სასამართლოს განმარტებით, მის კომპეტენციას სცილდებოდა. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამგვარი საქმის არსებითად განხილვის და გადაწყვეტის შემთხვევაში სასამართლო დაარღვევდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის განჩინება N3გ-ად-440-კს-03).<sup>40</sup> ამდენად, უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო საქმე განსახილველად, რომელიც ეხებოდა კონსტიტუციურსამართლებრივ აქტს. მიუხედავად ამ სადავო სამართლებრივი შეფასებისა, მაინც იმავე აზრს უნდა დავეყრდნოთ, რომ დავა, რომელიც წარმოიშობა კონსტიტუციური სამართლის ფარგლებში, უმჯობესია განიხილოს საკონსტიტუციო სასამართლომ მისი კონსტიტუციური აქტის სპეციფიკური ბუნებიდან და სასამართლოს უშუალო და მაღალი დონის კომპეტენციიდან გამომდინარე.

#### **4. კომპეტენციური დავის განხილვის წესი და გადაწყვეტილების აღსრულება**

საკონსტიტუციო სასამართლოში კომპეტენციური დავის განხილვა ხორციელდება სასარჩელო წარმოების დაცვით. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონით (21-ე მუხლის მე-2 პუნქტი) საკონსტიტუციო სასამართლო კომპეტენციურ დავებთან დაკავშირებით საკითხს წყვეტს, როგორც წესი, კოლეგიური შემადგენლობით და არა პლენუმზე.

კომპეტენციურ დავებთან დაკავშირებულ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს სადავო ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობას მისი ამოქმედებიდან.<sup>41</sup> საკონსტიტუციო სასამართლოში ასევე შეიძლება წარიმართოს მულტილატერალური კონსტიტუციური დავა, როდესაც საქმის განხილვაში მონაწილეობს რამდენიმე მოსარჩელე ან/და მოპასუხე კონკრეტულ კომპეტენციებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მოპასუხის სახით ჩაბმული პირი არაა აუცილებელი, იყოს სადავო ნორმატიული აქტის გამომცემი/მიმღები სუბიექტი. ამ ტრილში კონსტიტუციური კონფლიქტი შესაძლოა გაგებულ იქნეს როგორც სამართლებრივი და ფაქტობრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი და არა მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე განსახილველი დავა.

<sup>40</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე, თბილისი, რედ., ჯორბენაძე ს., გამომცემლობა „სანი“, თბილისი, ივლისი, 2003 წ., N7, 1769-1773.

<sup>41</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თვითაღსრულებადი აქტია და სავალდებულოა შესასრულებლად.<sup>42</sup> იგი კონსტიტუციის ლეგიტიმურ განმარტებას წარმოადგენს, რა დროსაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედულების საგანია კონსტიტუციას ფართოდ განმარტავს თუ ვიწროდ, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი არის ერთადერთი და უმაღლესი ინსტანცია, რომლის გადაწყვეტილების შეცვლის მექანიზმი ისევ და ისევ მის ხელშია.<sup>43</sup> ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პატივისცემა და შესრულება (აღსრულება) ყველა სახელმწიფო ორგანოს ვალდებულებაა. თუმცა საქართველო კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეულ მექანიზმებს და მნიშვნელოვან საკანონმდებლო გარანტიას, რათა დაცული იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქართველოს ორგანული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, კერძოდ, 25-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია არსებითი განხილვის გარეშე გააუქმოს ნორმატიული აქტი, თუკი ჩათვლის, რომ აღნიშნულ საკითხზე მას უკვე აქვს მიღებული გადაწყვეტილება და მოქმედი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების მსგავს სამართლებრივ შედეგებს იწვევს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს საქმეებიც, როდესაც მიღებულ იქნა ამგვარი განჩინებები სასამართლოს მიერ.<sup>44</sup> თუმცა მიმაჩნია, რომ ამგვარი საკანონმდებლო გარანტია უშუალოდ კონსტიტუციაში უნდა აისახოს, რათა დაცული იყოს სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების უპირატესი მნიშვნელობა და პირველადი ბუნება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებასთან მიმართებით.

ხელისუფლების სამგანშტოებიანი დანაწილების პირობებში სასამართლო ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ჩაბმულია განშტოებათა კონფლიქტებში. პოლონეთში ურთიერთობა სეიმსა და საკონსტიტუციო ტრიბუნალს შორის განსაკუთრებით კომპლექსური იყო, ვინაიდან დე იურე ტრიბუნალის გადაწყვეტილებები კანონთა არაკონსტიტუციურობაზე არ იყო საბოლოო<sup>45</sup>. პოლონეთის სეიმი არ ახორციელებდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ტრიბუნალის გადაწყვეტილებათა აღსრულებას. თუმცა ტრიბუნალმა თავისი პრაქტიკით დაადგინა, რომ კანონი, რომელთან დაკავშირებითაც პარლამენტი არ მოახდენდა აღსრულებას, ექვსი თვის შემდეგ ავტომატურად ჩაითვლებოდა ძალადაკარგულად<sup>46</sup>, ასევე საინტერესო პრაქტიკა დაამკვიდრა საკონსტიტუციო ტრიბუნალმა, როდესაც მიიჩნია, რომ პრეზიდენტის მიერ ხელმოწერის გარეშე მიღებულ აქტთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილების დაძლევის უფლება საერთოდ არ გააჩნია სეიმს<sup>47</sup>.

ამ შემთხვევაში ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ თუ სასამართლოში შესაძლო დავის საგნად განვიხილავთ არა მხოლოდ ნორმატიულ აქტს, არამედ ყველა სხვა კონსტი-

<sup>42</sup> ნაკაშიძე, supra 10, გვ. 226.

<sup>43</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დაძლიოს საკუთარი პრაქტიკა, თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღოს პლენუმმა.

<sup>44</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის განჩინება №1/5/525 მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის განჩინება № 1/2/563 ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

<sup>45</sup> შვარცი, supra 20, გვ. 119.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 120.

<sup>47</sup> იქვე.

ტუციურსამართლებრივ აქტსა თუ კომპეტენტური ორგანოს მოქმედებას ან უმოქმედობას, საკითხი შეიძლება პრობლემური აღმოჩნდეს მისი აღსრულების ნაწილში. ერთი მხრივ, მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თვითაღსრულებადია და, როგორც წესი, არ იწვევს გარკვეული იურიდიული ქმედებების დამატებით განხორციელებას, მეორე მხრივ, ასეთი კომპეტენციური დავის შემთხვევაში დამძლევი კონსტიტუციური აქტის გაუქმება არსებითი განხილვის გარეშე, გარკვეულწილად, შეიძლება არაეფექტური იყოს. ვინაიდან, როცა დავა ეხება კონკრეტულ ქმედებას, შესაძლოა, რთული აღმოჩნდეს იმის შეფასება, ესა თუ ის ქმედება ერთი და იმავე სამართლებრივ შედეგებს იწვევს თუ არა. ამდენად, ეს პროცესი დაემსგავსება „რეალურ კონსტიტუციურ კონტროლს“.<sup>48</sup> რაც გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში მსგავსი პრობლემეტიკის დავების გახშირებას, ხოლო სასამართლო გვერდს ვერ აუვლის ყველა ამ ტიპის საქმის არსებით განხილვას და გადაწყვეტას. შესაბამისად, ამგვარი რეგულირება ცალსახად კარგავს იმ დადებით ეფექტს, რაც ზემოთ აღნიშნული ნორმის ფუნქციას წარმოადგენს, რომ დაცული იყო საჯარო ინტერესები, დაიზოგოს სახელმწიფო და სასამართლო რესურსი, პროცესის ეკონომიურობა იყოს უზრუნველყოფილი და, რაც მთავარია, არსებობდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი შეიცვლება და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში მოექცევიან საკონსტიტუციო დავაში მონაწილე მხარეები. მიუხედავად შესაძლო პრობლემეტიკისა, ამ კომპეტენციის ფართოდ გაგება აუცილებელია, რათა ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპი განხორციელდეს ყველა ფორმითა და საშუალებით.

პოლონეთში ლეხ ვალენსამ „ტელე-რადიომაუწყებლობის საქმეზე“<sup>49</sup> 1994 წელს სცადა გადაეხვია საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილებისაგან და ამ პოზიციას იმით ასაბუთებდა, რომ ტრიბუნალის გადაწყვეტილებას უკუქცევითი ძალა არ გააჩნდა, თუმცა 1995 წელს იმავე საკონსტიტუციო ტრიბუნალმა განმარტა, რომ მისი გადაწყვეტილება ჩვეულებრივ მოქმედებდა რეტროაქტიული ეფექტის ფარგლებშიც.<sup>50</sup>

<sup>48</sup> მნიშვნელოვანია თავად საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის მზაობა „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციის განსახორციელებლად. დღემდე განსაკუთრებით პრობლემურად რჩება (იხ. დოქტრინალური შემადგენლობები: Judicial self-restraint, political question doctrine, "abgestufte Verhältnismäßigkeitskontrolle", "Beck'sche Formel", "Schumann'sche Formel" etc.) და ურთულეს პროცესად ითვლება, საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტის (სამართალშეფარდების პროცესის კონტროლისას, მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობა და არა იერარქიული თანაფარდობის დაცვა საკანონმდებლო და ზოგადად, ნორმატიულ აქტებს შორის), მასშტაბების და ხარისხის კონკრეტულობის საკითხი საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას მოსამართლეთათვის, ამ შემთხვევაში („რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლი). <<https://emc.org.ge/ka/products/normatiuli-sakonstitutsio-sarcheli-rogoris-konkretuli-sakonstitutsio-kontrolis-arasrulqofili-forma-sakartveloshi>> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

<sup>49</sup> აღნიშნულ საქმეზე პრეზიდენტის უფლებამოსილება გადაეყენებინა ტელერადიო მაუწყებლობის დირექტორი საგამონაკლისო წესად იქნა მიჩნეული.

<sup>50</sup> შვარცი, supra 20, გვ. 117.

## 5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ საერთო სამართლის ქვეყნებში სასამართლო გადაწყვეტილება სამართალშეფარდების აქტია, თუმცა გარკვეულ შემთხვევაში პრეცედენტის სახით სამართლის წყაროსაც წარმოადგენს, განსხვავებით რომანულ-გერმანული სისტემებისგან, რომლებშიც მხოლოდ სამართალშეფარდების აქტად მიიჩნევა. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თავისი გადაწყვეტილების აღმასრულებელი ეფექტით და მოქმედების იურიდიული ბუნებით, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად სამართლის წყაროსაც წარმოადგენს, მეორე მხრივ, მას საერთო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მხოლოდ დასაბუთებისთვის თუ გამოიყენებს, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციას ასრულებს.<sup>51</sup> შეიძლება ითქვას, რომ რენე დავიდის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „მოსამართლე რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებში კანონმდებლად არ უნდა იქცეს.“<sup>52</sup> საკონსტიტუციო სასამართლოზე ვერ გავრცელდება. სწორედ ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. შეიძლება ითქვას, რომ არაპირდაპირ სწორედ მისი გადაწყვეტილებით ხელმძღვანელობს კანონმდებელი,<sup>53</sup> როდესაც გადაწყვეტილებას იღებს და ფიქრობს იმაზეც, თუ რამდენად შეიძლება კონკრეტული საკანონმდებლო თუ სხვა ნორმატიული აქტი, შემდგომში გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯის საგანი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდიდარი გამოცდილება არ აქვს კომპეტენციური დავების განხილვასთან დაკავშირებით. თუმცა ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმობთ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ კომპეტენციური დავების მიზანს, დაცულიყო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს სხვა კომპეტენციასთან მიმართებით.<sup>54</sup> ამ მხრივ კი შეიძლება იქნეს განხილული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება.<sup>55</sup> მაგალითისათვის, 2004 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა. ამ შემთხვევაში დავა წარიმართა პარლამენტის დეპუტატებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს შორის. საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლის შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება მხოლოდ უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებათა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის

<sup>51</sup> მარინაშვილი მ. და გელაშვილი ნ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ადგილი სამართლის წყაროთა სისტემაში, მართლმსაჯულება №3, თბილისი, 2007, გვ-გვ. 167-170.

<sup>52</sup> დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, გამ. განათლება, თბილისი, 1993, გვ. 125.

<sup>53</sup> კანონმდებელში არ ვგულისხმობთ მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლებას, არამედ ყველა ის ორგანო, რომელიც იღებს ან გამოსცემს ნორმატიულ აქტს.

<sup>54</sup> კახიანი, supra 7, გვ. 22.

<sup>55</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება №15/290,266 <[http://www.constcourt.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=22&id=119&action=show](http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=119&action=show)> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].



2004 წლის 7 იანვრის განკარგულება და ის ნორმატიული საფუძვლები, რომლებიც მას აძლევდა საშუალებას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში გამოეცა ამგვარი აქტები. თუმცა ამ შემთხვევაში პარლამენტის წევრების ჯგუფის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის საფუძვლად დასახელებული იყო არა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, არამედ ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, კომპეტენციური დავის საკითხების განხილვა ეხებოდა ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილების პრინციპის დარღვევას და არა ჰორიზონტალური დანაწილების პრინციპისა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, მართალია, არ აქვს პრაქტიკა უშუალოდ პრეზიდენტისა და მთავრობის ურთიერთობის დანაწილების საკითხებში, თუმცა გარკვეული გამოცდილება აქვს ზოგადად საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში კომპეტენციურ დავებთან დაკავშირებით, კერძოდ, აღნიშნული დავა მიმდინარეობდა საქართველოს პარლამენტის წევრებსა და საქართველოს განათლების სამინისტროს შორის.<sup>56</sup> ამ დავაში საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული იყო საქართველოს განათლების მინისტრის 1997 წლის 30 სექტემბრის N469 ბრძანება, რომლის მიხედვითაც დგინდებოდა სკოლამდელი, დაწყებითი და ზოგად სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული თანადაფინანსების წესი, ხოლო პარლამენტის წევრთა ჯგუფი მიუთითებდა, რომ აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლს, რომელიც ადგენდა, რომ მხოლოდ კანონით შეიძლება დაწესდეს ნებისმიერი სახის გადასახადი ან მოსაკრებელი, ხოლო ამ შემთხვევაში განათლების სამინისტრო არღვევდა კონსტიტუციას და იჭრებოდა საქართველოს პარლამენტის კომპეტენციის ფარგლებში. იქიდან გამომდინარე, რომ ამ საკითხს აწესრიგებდა მინისტრის ბრძანება, საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ მიიღო გადაწყვეტილება იმის გამო, რომ ამ ნორმატიული აქტის მიღების წესი იყო დარღვეული და ვერ ჩაითვლებოდა ნორმატიულ აქტად, შესაბამისად, ვერ გახდებოდა მისი განსჯადი. მართალია, ამ გადაწყვეტილებაში ალბათ მეტი სითამამე უნდა გამოეჩინა სასამართლოს, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს არა მხოლოდ აქტის ფორმალურ ბუნებას, არამედ მის შინაარსსაც, მეორე მხრივ კი, საკონსტიტუციო სასამართლომ თავია აარიდა ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად შეიძლება იქნეს მიჩნეული ის საკითხი, რომ კომპეტენციური დავის პირობებში არსებითად იქნეს განხილული ყველა კატეგორიის დავა, მიუხედავად იმისა, დავის საგნად წარმოდგენილია თუ არა ნორმატიული აქტი. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ყველანაირი, თუნდაც ინდივიდუალური კონსტიტუციური სამართლებრივი აქტი და კონსტიტუციურსამართლებრივი რეალაქტი (ქმედება) შეიძლება გახდეს კომპეტენციური დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი, ვინაიდან სხვაგვარად რეალური ხელისუფლების დანაწილება ვერ განხორციელდება კონსტიტუციური მართლმსაჯულების მეშვეობით.

<sup>56</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/72-73 <[http://www.constcourt.ge/index.php?lang\\_id=GE0&sec\\_id=22&id=84&action=show](http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GE0&sec_id=22&id=84&action=show)> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

გარდა ამისა, ინსტიტუციური კონფლიქტების გამოხატულება იყო, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 13 ივნისის №3/122,128 და 2001 წლის 30 მარტის №6134-139-140 გადაწყვეტილებები. ორივე დავაში მოსარჩელეს წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი, ხოლო მოპასუხე იყო ცენტრალური საარჩევნო კომისია. ასევე არსებობს რამდენიმე განჩინება, რომელიც უკავშირდება კომპეტენციური დავის განხილვას საკონსტიტუციო სასამართლოში, კერძოდ, 1998 წლის 10 აპრილის განჩინება № 2/53/1, რომელითაც ირკვევა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრები დაობდნენ ფინანსთა სამინისტროსთან კომპეტენციურ საკითხებზე.<sup>57</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 9 ნოემბერის №1/7/87 განჩინება. აღნიშნული საკითხი ეხებოდა დავას საქართველოს პარლამენტის წევრებსა და საქართველოს პრეზიდენტს შორის, რომ მან დაარღვია მისი კომპეტენცია. სარჩელის შეტანის საფუძველი ამ შემთხვევაშიც იყო 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. ე.ი. კლასიკური კომპეტენციური დავა, თუმცა ამჯერადაც „თავი დაიძვრინა“ საკონსტიტუციო სასამართლომ იმ მოტივით, რომ აღნიშნულ კონფლიქტში დავის საგანს წარმოადგენდა პრეზიდენტის განკარგულებები, რომლებიც მიღებული იყო ახალი კონსტიტუციის მიღებამდე და, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არც ამ შემთხვევაში იყო სახეზე ნორმატიული აქტი, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული იუსტიციის მინისტრს. ამ შემთხვევაშიც საკითხის ფორმალურობიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ თავიდან აირიდა შესაბამისი მსჯელობა.<sup>58</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სულ რამდენიმე განჩინებას ითვლის კომპეტენციურ დავებთან დაკავშირებით. კერძოდ, კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განსახილველად საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, სულ შევიდა ხუთი კონსტიტუციური სარჩელი.<sup>59</sup> აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ხელისუფლების დანაწილება კონსტიტუციური მართლმსაჯულების მეშვეობით ვერ ხორციელდება, არა მხოლოდ იმიტომ, რომ სასამართლოს არ მიმართავენ ამ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად, არამედ იმიტომაც, რომ სასამართლოც აშკარად თავს არიდებდა ამ მიმართულებით საქმეების განხილვას. „სახელმწიფოს უუნარობა მისი სხვადასხვა ორგანოების უთანხმოებათა აღმოფხვრის საქმეში საბოლოოდ საფრთხეს უქმნის სამართლებრივ უსაფრთხოებას და, ამდენად, თავისუფლებასაც.“<sup>60</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს არასოდეს უცდია თავი აერიდებინა კონფლიქტებისთვის სახელმწიფო ხელისუფლებათა შორის. ხელისუფლების გამიჯვნის

<sup>57</sup> <[http://www.constcourt.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=23&id=277&action=show](http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=23&id=277&action=show)>

[უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

<sup>58</sup> <[http://www.constcourt.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=23&id=280&action=show](http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=23&id=280&action=show)>

[უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

<sup>59</sup> იხ. სტატისტიკური ინფორმაცია <<http://constcourt.ge/album/stat/9.gif>> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

<sup>60</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მთარგ, მაისურაძე, რედ. თ. ნინიძე, გამომც. სეზანი თბილისი, 203, 92.

დოქტრინა 1787 წლის იქნა აღიარებული არა იმისათვის, რომ მათი ეფექტიანობა წახეხალისებინა, არამედ იმისათვის, რომ მათი თვითნებობა არ დაეშვა. მიზანი იყო არა ის, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული უთანხმოება, არამედ ის, რომ ხალხი დაცული ყოფილიყო ავტოკრატიისაგან, სახელისუფლებო უფლებამოსილებების სამ სექციად გადანაწილების გარდაუვალი უთანხმოების საშუალებით.<sup>61</sup> აშშ-ში მოქმედებს ე.წ. „political question“-ის დოქტრინა, რომლის თანახმად, აშშ-ის უზენაეს სასამართლოს შეუძლია, უარი თქვას საქმის განხილვაზე იმ მოტივით, რომ „საკითხი პოლიტიკურია“. პრაქტიკაში უზენაესი სასამართლო, ძირითადად, უარს ამბობს საგარეო-პოლიტიკური თემების განხილვაზე. „political question“-ის ამერიკული დოქტრინა ნაკლებად არის გავრცელებული გერმანიასა და კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნებში. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ განავითარა political question-ის საკუთარი დოქტრინა.<sup>62</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არ ახდენს იმ საკითხების დიფერენცირებას, რომელიც პოლიტიკური შინაარსის გამო არ ექვემდებარება სასამართლო განხილვას. ამავე დროს, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო არ გაურბის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, რომლებსაც შეიძლება დიდი გავლენა ჰქონდეს პოლიტიკურ სისტემაზე. შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო გახდა პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი სახელისუფლებო ფაქტორი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები განსაზღვრავს ხელისუფლების ჩარჩოებს არა მარტო ცალკეული შემთხვევებისათვის, არამედ მთლიანად პოლიტიკისათვის და, არც თუ ისე იშვიათად, გავლენას ახდენს პოლიტიკის შინაარსზეც.<sup>63</sup> ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ, როგორც ამ შემთხვევაში კონტინენტური ევროპული სამართლის სიტემის ქვეყანამ, მნიშვნელოვანი წილი უნდა გაიზიაროს ევროპული გამოცდილება და ე.წ. „Political question“-ის საკითხები უფრო აქტიურად განიხილოს საკონსტიტუციო სასამართლოს წიაღში, რა თქმა უნდა, სათანადო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში.

## 6. დასკვნა

კომპეტენციური დავა არის ხელისუფლების დანაწილებისა და სრულყოფილი რეალიზაციის გარდაუვალი გამოსავალი, რომელიც უფრო მეტად დამკვიდრებულია შერეული მმართველობის მოდელების ნახევრად საპრეზიდენტო და კლასიკური საპარლამენტო მმართველობის სისტემებში, რომლებშიც არ არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ფუნქციები მკვეთრად გამიჯნული და შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული ისეთ სახელმწიფოებში, რომლებშიც სახელისუფლებო სისტემა ხისტად არის დანაწილებული.

შეიძლება ითქვას, რომ დავა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა შორის ბუნებრივი კონსტიტუციური მოვლენაა და არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც კრიზისი ხელისუფლების

<sup>61</sup> იქვე, 92-93 შედ. Myers v. United States, 272 U.S. 293 (1926) (J. Brandeis, dissenting)

<sup>62</sup> ხუბუა გ. საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N9, 2016, 5, - <<http://www.constcourt.ge/uploads/other/3/3803.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 1 აგვისტოს].

<sup>63</sup> ხუბუა, supra 62, გვ. 5.

ფუნქციონირების საკითხში, პირიქით, ყველა სახელმწიფო ორგანო მიზანმიმართულად უნდა ეცადოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში აღმოფხვრას ამგვარი შეუთავსებლობა სახელისუფლებო ფუნქციებში, განსაკუთრებით კი, ამ მხრივ უნდა იქნეს გამოყენებული საკონსტიტუციო სასამართლოს რესურსი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური დავის სუბიექტი უნდა იყოს ყველა სახელმწიფო ორგანო, რომელსაც უშუალო კონსტიტუციური სტატუსი გააჩნია, ამ შემთხვევაში სუბიექტუნარიანობაში უნდა ვიგულისხმოთ როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის როლში მათი მონაწილეობის საკითხი. მისასაღებელია, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციით დაზუსტდა სარჩელის წარდგენის უფლებამოსილების საკითხი და გარკვევით და თვალნათლად აღიარებულ იქნა ყველა კონსტიტუციური ორგანოს ამგვარი კომპეტენცია, თუმცა პრაქტიკაში ამ მხრივ მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მეთაურის აქტიური მუშაობა და, ამავე დროს, შესაძლო თანამონაწილეობა ამგვარი დავის განხილვებში. რაც შეეხება ამგვარ დავებში მოპასუხეობის საკითხს, აღნიშნული მიბმულია დავის საგანთან, რომელიც შეიძლება გააჩნდეს კომპეტენციურ დავას, აქ აღსანიშნავია, რომ დღევანდელი კანონმდებლობა უმჯობესია დაიხვეწოს ამ მიმართულებით და არ იყოს მხოლოდ დაკავშირებული ნორმატიული აქტის შემუშავებასთან. ვინაიდან ამგვარი კონსტრუქცია გაუმართავიც არის და მიზანშეუწონელიც.

საკონსტიტუციო სასამართლომ კომპეტენციური დავა უნდა განიხილოს არსებითად და გადაწყვიტოს ყველა შესაძლო ჰიპოთეტურ შემთხვევაშიც კი, მათ შორის როგორც ნორმატიული, ასევე არანორმატიული ინდივიდუალური სამართლებრივი დავები, ასევე უშუალო კონსტიტუციური ქმედებები. საკონსტიტუციო სასამართლოში მსჯელობის საგანი უნდა გახდეს სათანადო ინტერესი, არსებობის შემთხვევაში სწორედ ამგვარი დავის კვალიფიკაციიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მისი გადაწყვეტის უმთავრესი სამართლებრივი მექანიზმი სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ კონსტიტუციური მართლმსაჯულების მეშვეობით მიღებული გადაწყვეტილებების თვითაღსრულებადობა და მათი თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით დაცვის გარანტიები ქმნის სამართლის პრიმატის კონსტიტუციურ განზომილებას. ამის გარდა, სასამართლომ ყველა შემთხვევაში ფართოდ უნდა დაინახოს საკითხი და გადაწყვეტილების მიღებისას იმსჯელოს ზოგადად სახელმწიფო მმართველობის მოდელის ბუნებიდან გამომდინარე, როგორც მსჯელობის მასშტაბის და ერთგვარი სამართლებრივი ტესტის მეშვეობით.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ზოგადი შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კომპეტენციური დავების განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოში არ წარიმართება აქტიურად, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით პერიოდულად იყო და არის გარკვეული მცდელობები, რათა საკონსტიტუციო სასამართლომ რესურსი გამოყენებული ყოფილიყო ამ მიმართულებით, რაც პრაქტიკაში სრულყოფილად ვერ განხორციელდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია სამომავლოდ კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანომ რეალური და გადამწყვეტი როლი შეასრულოს ამგვარი დავების განხილვის პროცესში,

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციური ორგანიზაციის პრაქტიკული ნაწილი მოქცეული იყოს სამართლის ჩარჩოში და სწორედ ამგვარი სამართლებრივი პრინციპის ფარგლებში განვითარდეს კონსტიტუციონალიზმის იდეაც და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზებაც ამგვარად განხორციელდეს. რა დროსაც განსაკუთრებული როლი და წამყვანი ადგილი უნდა ეკავოს შესაბამის კონსტიტუციურ ინსტიტუტს, საკონსტიტუციო სასამართლოს, რომლის შესაბამისი კომპეტენციით, უზრუნველყოფილი იქნება ხელისუფლების დანაწილების პრინციპის თანმიმდევრული განვითარება და სრულყოფილი რეალიზება.



## საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი და 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა

### აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში მოცემული მსჯელობის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის რეფორმის დამოკიდებულების შეფასება კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმთან მიმართებით. კვლევისას გამოვლინდა ის ძირითადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, რომლებიც ახასიათებს კონსტიტუციის გადასინჯვის ახალ მექანიზმს.

კვლევის ფარგლებში მოხდა კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი მეთოდის რეტროსპექტული ტრილში შეფასება, რომლის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი მიდის გამკაცრებისკენ. კვლევისას შეფასდა კონსტიტუციის გადასინჯვისთვის შერჩეული სკანდინავიური მოდელის დადებითი და უარყოფითი მხარეები და საბოლოო დასკვნის სახით აღინიშნა, რომ სკანდინავიურ, კვაზირეფერენდალურ მოდელს შესაძლებელია ბევრი უარყოფითი ნიშანი ახასიათებდეს, მაგრამ ის, როგორც უშუალო დემოკრატიის გამოხატულება და სტაბილურობის მნიშვნელოვანი მექანიზმი, საბოლოო ჯამში, დადებით ნაბიჯად შეფასდა. ასევე კრიტიკული შეფასება გაკეთდა კონსტიტუციის გადასინჯვის და დაჩქარებული წესით მიღების მექანიზმზე, რომელიც ფაქტობრივად აზრს უკარგავს სკანდინავიური მოდელის არსებობას.

ნაშრომის ფარგლებში მოცემულია მსჯელობა კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმის დამოკიდებულებაზე საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებით და მუდმივი ნორმების არსებობის პერსპექტივასთან მიმართებით, რის შედეგადაც, ნაშრომში გამოითქვა კონკრეტული რეკომენდაციები და მექანიზმები მათ დანერგვაზე საქართველოს კონსტიტუციაში. ნაშრომში ასევე გამოითქვა მოსაზრებები კონსტიტუციის გადასინჯვის რიგი პროცედურული საკითხების უკეთესად ჩამოყალიბებაზე.

საბოლოო ჯამში, 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა კონსტიტუციის გადასინჯვასთან დაკავშირებით უნდა შეფასდეს როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ მექანიზმში არის მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლის გამოსწორების გარეშე შეუძლებელი იქნება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი არის სრულყოფილი და უხარვეზო.

## 1. შესავალი

კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი ის გასაღებია, რომლითაც იხსნება კონსტიტუცია და რომლის სწორ რეგულაციას დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის მოქმედებისთვის, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისთვის 2017 წელს განხორციელდა საქართველოს კონსტიტუციის რეფორმა, რომელიც არსებითად შეეხო კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმს, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სრულიად ახალი მექანიზმი.

მოცემული ნაშრომის მიზანია, განვიხილოთ და შევაფასოთ 2017 წლის კონსტიტუციის რეფორმის შედეგად ფორმულირებული კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი. კვლევის ფარგლებში შევვებით კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმის დამოკიდებულებას მუდმივი ნორმების არსებობის მიმართ, კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორ სუბიექტთა წრეს, ასევე ვიმსჯელებთ რეფორმის დამოკიდებულებაზე კონსტიტუციის ნაწილობრივი და ზოგადი გადასინჯვის საკითხთან დაკავშირებით, შევვებით კონსტიტუციის გადასინჯვის ვადებს, ვიმსჯელებთ კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი მოდელის საწყისების პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე, ნაშრომის მსვლელობისას ასევე შევვებით კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი მექანიზმის ისეთ პროცედურულ საკითხებს, რომელთა მართებულად ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა აქვს გადასინჯვის მექანიზმის საბოლოო ეფექტურობისათვის.

წინა აბზაცში დასახელებული საკითხების განხილვა დაგვეხმარება, შევაფასოთ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი მექანიზმის ეფექტურობა, ასევე დაგვეხმარება, გამოვავლინოთ გადასინჯვის ახალი მექანიზმის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: აღწერილობითი, შედარებითი, ანალიტიკური, სისტემური, ლოგიკური ანალიზის, სტატისტიკური და ისტორიული მეთოდები. ნაშრომი, სამართლის ნორმების ანალიზთან ერთად, ეყრდნობა ჩვენს ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას და მსოფლიო პრაქტიკის შედეგად არსებულ მაგალითებს.

## 2. კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმების ეროვნული გამოცდილება

აუცილებელია, მოკლედ შევხვით საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის ეროვნულ გამოცდილებას, რომლის ზოგადი და აღწერილობითი მიმოხილვა ნათლად დაგვანახავებს ხელისუფლების მისწრაფებებს, სურვილებს და იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დგება ხოლმე ქართველი კანონმდებელი. მოკლე მიმოხილვა დაგვანახავებს კონსტიტუციის გადასინჯვის გამოცდილების დიაგრამას, რომელიც მერყეობს ხისტ და მოქნილ გადასინჯვის შორის.

ქართული კონსტიტუციონალიზმის დასაწყისად და დამფუძნებელ დოკუმენტად მიიჩნევა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, თუმცა ის არ შეიცავდა კონსტიტუციის მიღების



წესს და პირობებს. დამფუძნებელი კრების რეგლამენტიც არ ითვალისწინებდა კონსტიტუციის მიღების წესს.<sup>1</sup> 1920 წელს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „წესი კონსტიტუციის განხილვისა“.<sup>2</sup> მოცემული წესის მიხედვით, კონსტიტუცია უნდა მიეღო თავად დამფუძნებელ კრებას (კონსტიტუციის პროექტის წარმდგენი სუბიექტი თავად დამფუძნებელი კრება იყო), პირველად განიხილებოდა კონსტიტუციის ძირითადი საფუძვლები, შემდგომ კრება გადავიდოდა თავობრივ განხილვაზე, რის წარმატებით გავლის შემდეგაც ხდებოდა მთლიანი კონსტიტუციისთვის კენჭისყრა.<sup>3</sup> 1921 წლის კონსტიტუციის მიღებისას აქტიურად იყო საუბარი, პირველი კონსტიტუციის რეფერენდუმის გზით მიღების საკითხზე (მით უფრო, რომ თავად 1921 წლის კონსტიტუციის 147-ე მუხლი ითვალისწინებდა კონსტიტუციის გადასინჯვის რეფერენდალური წესით მიღებას), მაგრამ ეს სურვილები საბჭოთა მოსალოდნელმა ოკუპაციამ ჩაახშო, რადგანაც ლოგიკური იყო, რომ საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში ვერანაირი რეფერენდუმი ვერ ჩატარდებოდა, სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა ქართველ დამფუძნებელ მამებს პირველი კონსტიტუციის რეფერენდუმის გზით მიღებაზე უარი.<sup>4</sup> მიუხედავად ასეთი ფორსმაჟორული მდგომარეობისა, ქართველმა ერმა მაინც შეძლო, შეექმნა ისეთი კონსტიტუცია, რომელიც გახდა მსოფლიოს სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი აზროვნების წინ გადადგმული ნაბიჯი.<sup>5</sup>

1921 წლის კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმზე მსჯელობისას კანონმდებელმა არჩევანი გადასინჯვის ხისტ მოდელზე შეაჩერა,<sup>6</sup> რომლის მიხედვითაც კონსტიტუციის გადასინჯვის სუბიექტები იყვნენ პარლამენტის წევრების ნახევარი და 50 000 ამომრჩეველი.<sup>7</sup> გადასინჯვა ხდებოდა პარლამენტის წევრთა 2/3-ის უმრავლესობით, მისი ამოქმედების წინაპირობას კი წარმოადგენდა ცვლილებების რეფერენდუმზე დამტკიცება.<sup>8</sup> გადასინჯვის განხილვის დაწყებისთვის დადგენილი იყო ექვს თვიანი ვადა.<sup>9</sup> რომელიც გულისხმობდა, რომ ინიცირებიდან ექვსი თვის განმავლობაში კანონმდებელს უნდა ეფიქრა კონსტიტუციურ ცვლილებებზე. 1921 წლის კონსტიტუციის რედაქცია არ ითვალისწინებდა ახალი კონსტიტუციის მიღების სპეციალურ წესს, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის ტექსტი იცნობდა „ზოგად და ნაწილობრივ გადასინჯვის ცნებებს.“<sup>10</sup>

1995 წლის კონსტიტუციის მიღებისას ქართველმა კანონმდებელმა არჩევანი გააკეთა კონსტიტუციის გადასინჯვის მართივ მექანიზმზე, რომელშიც ინიციატორი სუბიექტები იყვნენ,

<sup>1</sup> მ. მაცაბერიძე „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, შემუშავება და მიღება“ ნაწილი 2, პოლიტოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 1993 წ. გვ. 2.

<sup>2</sup> „საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1920 წლის 16 ნოემბერს მიღებული წესი კონსტიტუციის განხილვისა“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივის აქტების კრებული, 1918-1821, ვ. შარაშენიძის რედაქტორობით, გამომცემლობა თბილისი: ივერთა მხარე, თბილისი 1990, გვ. 442.

<sup>3</sup> იხ. იქვე გვ. 443.

<sup>4</sup> მ. მაცაბერიძე, supra 1, გვ. 32.

<sup>5</sup> თ. ნემსწვერიძე, ზ. კორძაძე „სამართლებრივი დისკუსიები და 1921 წლის კონსტიტუციის მიღება“, ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, ზვიად კორძაძის გამომცემლობა თბილისი 2016 წ., გვ.12

<sup>6</sup> თ. პაპაშვილი, დ. გეგენავა „კონსტიტუციის გადასინჯვის ქართული მოდელი - ნორმატიული მოწესრიგების ხარვეზები და პერსპექტივა“ დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა თბილისი 2015 წ., გვ. 17.

<sup>7</sup> საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, მუხლი 145, პუნქტები „ა“, „ბ“.

<sup>8</sup> იხ. იქვე, მუხლი 147.

<sup>9</sup> იხ. იქვე, მუხლი 146.

<sup>10</sup> იხ. იქვე, მუხლი 145.

პრეზიდენტი, პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი და 200 000 ამომრჩეველი.<sup>11</sup> ინიციატივა გადიოდა საყოველთაო სახალხო განხილვაზე და მიღებულად ჩაითვლებოდა, თუ მას მხარს დაუჭერდა პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედი.<sup>12</sup> 2004 წლის რეფორმა ამ მუხლს არ შეხებია, სამაგიეროდ, შეეხო კონსტიტუციის შემდგომი ორი რეფორმა. 2010 წელს კი კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი შედარებით გამყარდა, კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორთა წრეს გამოეთიშა პრეზიდენტი, კონსტიტუციის პროექტის მიღებისთვის საჭირო გახდა ორ თანმიმდევრულ სესიაზე, რომელთა შორისაც უნდა ყოფილიყო სამთვიანი ინტერვალი, პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეოთხედის მხარდაჭერა. ხალხის ჩართულობა კონსტიტუციის მიღების პროცესში იგივე დარჩა.<sup>13</sup> 2017 წლის რეფორმის შედეგად კი კონსტიტუციის ტექსტში გაძლიერდა ხალხის ჩართულობა და გაჩნდა კვაზირეფერენდალური მოდელი, რომლის მიხედვითაც, ერთი მოწვევის ფარგლებში დაწყებული ცვლილებები უნდა დაამტკიცოს შემდგომი მოწვევის პარლამენტმა.<sup>14</sup>

ეროვნული კონსტიტუციის შექმნის ექსპერიმენტების ზემოთ მიმოხილული თანმიმდევრობა ნათლად გვანახავებს, რომ ქართველი კანონმდებელი თანდათან აფასებს კონსტიტუციის მდგრადობის და სტაბილურობის მნიშვნელობას და თანდათანობით უბრუნდება 1921 წლის კონსტიტუციის მიმღები დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული გადასინჯვის ხისტ მოდელს.<sup>15</sup> 2010 წლის და 2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებები კონსტიტუციის გადასინჯვის წესზე მხოლოდ ამას მიუთითებენ. მივდივართ კონსტიტუციის გადასინჯვის უფრო მკაცრი პროცედურისკენ და ხალხის მაღალი ჩართულობისკენ. ჩვენს მიზანს კი წარმოადგენს, გავაანალიზოთ ეს მიმართულებები და ახალი რეგულაციის მიერ შემოთავაზებული ნორმები.

### 3. კონსტიტუციის რეფორმის მიერ დავინყაბული მუდმივი ნორმები

საქართველოს კონსტიტუციის რეფორმის არც ერთი „ტალღა“ არ შეხებია კონსტიტუციის ნორმების მუდმივობის და კონსტიტუციის შიდა იერარქიის საკითხს, აღნიშნული ასევე უარყო 2017 წლის კონსტიტუციის რეფორმამაც.

მსოფლიო კონსტიტუციონალიზმში მუდმივი ნორმების არსებობა გავრცელებული პრაქტიკაა (იაპონია, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, სომხეთი),<sup>16</sup> ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იაპონიის კონსტიტუცია, რომელშიც სახალხო სუვერენიტეტი, ძირითადი უფლებები

<sup>11</sup> გ. დავითური „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი - საკონსტიტუციო რეფორმის პერსპექტივა“, სტატიათა კრებული „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია“, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2010 წ., გვ. 161.

<sup>12</sup> მუხლი 102, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24.08.1995წ. საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24/08/1995.

<sup>13</sup> იხ. იქვე, მუხლი 102, 15.10.2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა.

<sup>14</sup> იხ. იქვე, მუხლი 77, 13.10.2017 წლის კონსტიტუციური რეფორმა.

<sup>15</sup> ბ. ქანთარია „კონსტიტუციის ფუნდამენტური პრინციპები და მართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში“, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2013 წ., გვ. 333.

<sup>16</sup> პაპაშვილი, გეგენავა, supra 6, გვ. 84.

და პაციფიზმი არ შეიძლება საკონსტიტუციო ცვლილებების გზით შეიცვალოს.<sup>17</sup> კიდევ უფრო გავრცელებულია დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის ფორმის და ადამიანის ღირსების დამცავი კონსტიტუციური ნორმებისთვის მუდმივობის იმუნიტეტის მინიჭება.<sup>18</sup>

მუდმივი ნორმების მიმართ, „მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის სკივრში“<sup>19</sup> არ არის ერთგვაროვანი გამოცდილება, ბევრი მკვლევარი ემხრობა მათ არსებობას, ბევრი კი წინააღმდეგია. მუდმივი ნორმების არსებობის მხარეს დგას შემდეგი ძირითადი არგუმენტები: 1. კონსტიტუციის ძირითადმა საწყისებმა (რომლებსაც, როგორც წესი ენიჭებათ ხოლმე მუდმივობის იმუნიტეტი) უნდა გაუძღონ თაობებს და მათი შეცვლის არანაირი საჭიროება არ იარსებებს; 2. უცვლელი დებულებები ითვალისწინებს „ჰერმეტიულ დაცვას“, რითაც თავიდან ხდება აცილება „დროებითი“ უმრავლესობის მიერ გარკვეული ძირითადი კონსტიტუციური პრინციპების დარღვევის. „ამგვარად, ისინი ასახავს იმ აზრს, რომ ერის იდენტურობა და კონსტიტუციური ნარატივი არ უნდა იყოს სუბიექტირებული უმრავლესობის კაპიტალზე“;<sup>20</sup> 3. კონსტიტუციის შემქმნელებმა უნდა შექმნან ისეთი კონსტიტუციური დებულებები, რომლებიც ზუსტად შეასრულებენ სახელმწიფო ტრადიციისა და კულტურის უწყვეტობის უზრუნველყოფას, რომელიც დაცული იქნება ჩვეულებრივი, ყოფიერი პოლიტიკური პროცესის შედეგად ზიანის მიყენებისგან.<sup>21</sup> ამ არგუმენტების სასარგებლოდ აუცილებლად უნდა დავამატოთ, რომ კონსტიტუცია, როგორც საზოგადოების, ერის ღირებულებების მატარებელი მთავარი დოკუმენტი, აუცილებლად უნდა შეიცავდეს ისეთ ღირებულებებს, რომლის გადასინჯვა არასდროს არ მოხდება (იმიტომ, რომ საზოგადოება და სახელმწიფო შენდება მყარი ღირებულებების გარშემო),<sup>22</sup> კონსტიტუციაში, ისევე როგორც ადამიანში, არსებობს გარკვეული ღირებულებითი ცნებები, რომლებიც ადამიანის უხსოვარი ცნობიერებიდან დღემდე არ შეცვლილა და ალბათ არც შეიცვლება. შესაბამისად, ასეთი მაღალი მუდმივობის ღირებულებებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს კონსტიტუციის დონეზე მინიჭებული მუდმივობის იმუნიტეტი, რომლის გადასინჯვაც არ მოხდება. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა შევეხოთ ერთ ფაქტს - თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ძირითადი გამოწვევაა ხელისუფლების თვითშეზღუდვა, ოცდამეერთე საუკუნეში კი სამართლებრივი, დემოკრატიული (და ე.ი. თვითშეზღუდული) სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ამოცანა უმრავლესობისგან უმცირესობის დაცვაა. ამ მიზნის განხორციელებაში კი მუდმივი კონსტიტუციის ნორმები ნამდვილად შეძლებენ გაცემებული უმრავლესობის დაოკებას და უმცირესობის უფლების დაცვას.

<sup>17</sup> იაპონიის კონსტიტუცია The Constitution of Japan, [https://japan.kantei.go.jp/constitution\\_and\\_government\\_of\\_japan/constitution\\_e.html](https://japan.kantei.go.jp/constitution_and_government_of_japan/constitution_e.html) (13.03.2018 წლის მდგომარეობით).

<sup>18</sup> Y. Roznai "Unconstitutional Constitutional Amendments: A Study of the Nature and Limits of Constitutional Amendment Powers", The London School of Economics and Political Science, LSE Press, London, 2014, გვ. 23.

<sup>19</sup> ა. შაიო, „ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი“, თარგმანი მ. მაისურაძე, თარგმანის მეცნიერული რედაქცია თ. ნინიძე, გამომომცემლობა სეზანი თბილისი 2003 წ., გვ. 19.

<sup>20</sup> Sh Weintal, "'Eternity Clauses' in a Constitution: The Strict Normative Standard in Operating the 'Constituent Power'" (LL.D Thesis, ხელმძღვანელი: Prof. Eyal Benvenisti, Faculty of Law, Tel-Aviv University. 2005), გვ. 28.

<sup>21</sup> Cass R. Sunstein, "Constitutionalism, Prosperity, Democracy", 2 *Constit. Pol. Economy*, გვ. 385.

<sup>22</sup> მუდმივი ნორმის გადასინჯვა შესაძლებელია მოხდეს კონკრეტული პოლიტიკური წესრიგის დანგრევის შემთხვევაში, მაგ. დიდი რევოლუციები, რის შედეგადაც ხალხმა უარყო არსებული პოლიტიკური წესრიგი და ამ წესრიგის მარეგულირებელი დოკუმენტი - კონსტიტუცია.

ასევე არსებობს არგუმენტი, რომლის მიხედვითაც მუდმივმა ნორმებმა და ხისტმა გადასინჯვამ უნდა დაიცვას კონსტიტუცია პოპულისტი პოლიტიკური ძალებისგან, ამის მაგალითი კი (გადასინჯვის სიხისტის კუთხით) ამერიკის შეერთებული შტატებია.<sup>23</sup>

წინა აბზაცში მოცემული არგუმენტების საწინააღმდეგოდ კი მოქმედებს თაობათა თვითგამორკვევის არგუმენტი, რომლის მიხედვითაც, თაობამ, რომელიც იღებს კონსტიტუციას, არ უნდა შეუზღუდოს შემდგომ თაობებს კონსტიტუციის გადასინჯვის შესაძლებლობა. წინა თაობამ არ უნდა აიძულოს შემდგომი თაობები, რომ მის მიერ, მუდმივი ნორმებით დამკვიდრებული მართლწესრიგი შეცვალოს რევოლუციით. რევოლუციით, რომელიც არ დაექვემდებარება არანაირ სანქციას და ამის საპირისპიროდ შექმნის ახალ სამართალს. ამ არგუმენტის მიხედვით მომავალი თაობები არ უნდა ვაიძულოთ რევოლუციების განხორციელებისკენ, რომელიც მიმართული იქნება დამკვიდრებული, მუდმივი სამართლებრივი პრინციპების უარყოფისკენ.<sup>24</sup> კონსტიტუციამ შეიძლება გაითვალისწინოს კონსტიტუციის მუდმივი ნორმები, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებად მაინც ხალხი (მომავალი თაობა) რჩება. რევოლუციური კონსტიტუციების მაგალითი ასევე გვიჩვენებს, რომ ხალხის კონსტიტუციის შესაქმნელად წინასწარ დადგენილი სამართლებრივი წესებით შეზღუდვა არ არის ეფექტური.<sup>25</sup>

„მუდმივი ნორმების უპირატესობა მდგომარეობს ე.წ. 'შუქურის' ფუნქციაში – კონსტიტუციის მიღების შემდეგ მასში ცვლილებების შეტანის მიმართულების მაჩვენებლად. მუდმივობის გარანტიები ერთგვარი შეფასების მასშტაბებია, რაც უზრუნველყოფს კონსტიტუციური ღირებულებების სტაბილურობას და არ აძლევს საშუალებას მმართველ უმრავლესობას არსებითად შეცვალოს სოციალური კონტრაქტი. ეს პრობლემას არ წარმოადგენს სოციალური პროგრესის გამოწვევებზე პასუხის გაცემის თვალსაზრისით, რადგან ისეთ ცვლილებებს, რომელიც ფუძემდებლური პრინციპების შეცვლის საჭიროებას დააყენებს, საუკუნეები სჭირდება“.<sup>26</sup>

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ 2017 წლის კონსტიტუციური რეფორმის ფარგლებში, შესაბამის პირებს უნდა ეფიქრათ მუდმივ ნორმებზე, განსაკუთრებით კი, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის, პირველი მუხლის მეორე პუნქტის, რომლის მიხედვითაც „საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“ და კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მუდმივი ნორმის იმუნიტეტით აღჭურვის თაობაზე (ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია). მიმაჩნია, რომ მოცემულ კონსტიტუციურ ნორმა პრინციპებს უნდა მიენიჭოს მუდმივობის

<sup>23</sup> ა. ჰამილტონი „ფედერალისტის წერილები“, წერილი N15, ნიუიორკის შტატის ხალხს, 01.12.1787 წ., იხ. <http://federalistpapers.ge/index.php> (10.09.2018 მდგომარეობით)

<sup>24</sup> პ., პაქტე, ფ. მელენ-სუკრამანიანი „კონსტიტუციური სამართალი“, 28-ე გამოცემა, მთარგმნელი გ. კალატოზიშვილი, სამეცნიერო რედაქტორი ა. დემეტრაშვილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი, 2014 წ., გვ. 104.

<sup>25</sup> András Sajó, Claude Klein, *Constitution Making: Process and Substance*, in Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, András Sajó, Michel Rosenfeld (რედ.) Oxford University Press (2012).

<sup>26</sup> ვ. მენაბდე, "საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა, – რა უზრუნველყოფს უზენაესი კანონის ლეგიტიმურობას", ჟურნალი "საპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013 წ., გვ. 127.

იმუნიტეტი, რომლის ძალითაც ისინი გახდებიან ე.წ. „შუქურა“ შემდგომი კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესებისთვის. 2017 წლის რეფორმის ფარგლებში, ამ მიდგომაზე უარის მიზეზად უნდა დასახელდეს ის გარემოება, რომ მუდმივი ნორმები ერთგვარი წაქეზებაა კონსტიტუციის ნორმებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისთვის, 2017 წლის რეფორმა კი ამკარად ამ უკანასკნელის წინააღმდეგია.

#### 4. საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის გადასინჯვა

საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში ყოველთვის არსებობს დილემა, როგორ და რა ფორმით არის შესაძლებელი კონსტიტუციის ნორმებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება. ეს საკითხი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე რამდენიმე საქმის ფარგლებში დადგა („პატრიოტთა ალიანსის საქმე“,<sup>27</sup> „გერონტი აშორდიას საქმე“,<sup>28</sup> „კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგის საქმე“,<sup>29</sup> „შალვა რამიშვილის საქმე“<sup>30</sup>), მაგრამ სასამართლომ თავის კომპეტენციას არ დაუქვემდებარა კონსტიტუციის ნორმაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება. ამ ნაშრომის მიზანი არ არის განვხორციელოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ დასახელებული პრაქტიკის შეფასება, მაგრამ მისი მიზანია, ვიმსჯელოთ კონსტიტუციის გადასინჯვაზე პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობაზე და მისი მიზანშეწონილობაზე.

ჯეიმს მედისონი „ფედერალისტის წერილებში“ ყურადღებას ამახვილებს ძალაუფლების ხისტი დანაწილების პრინციპის ეფექტურობაზე, მაგრამ მაინც მიაჩნდა, რომ ადამიანები არასდროს იტყოდნენ უარს კერძო ინტერესის მიხედვით მოქმედებაზე, შესაბამისად, ინტერესთა ჯგუფებად გაერთიანებაზე და სახელისუფლებო ინსტიტუტების საკუთარი მიზნებით გამოყენებაზე. მედისონის აზრით, ამის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა შეუძლებელი იყო, რამდენადაც ადამიანის ბუნებას ვერ შევცვლიდით. რაც შეეხება შედეგების კონტროლს, აქ მედისონი უფრო იმედიანი გახლდათ.<sup>31</sup> ხელისუფლება უნდა დანაწილებულიყო არა მკაცრ ფარგლებში არამედ შეკავებისა და განონასწორების პრინციპების თანახმად. მხოლოდ ამბიციის ამბიციასთან შეპირისპირებას უნდა მოეტანა ისეთი სახელისუფლებო სისტემა, რომლის შიგნითაც ვერც ერთი ამბიცია სრულად ვერ გაიმარჯვებდა. ყველაზე ძლიერი შტო ყველაზე მეტად შეზღუდვას, რაც სხვა შტოებისთვის მისგან დაცვის მეტი

<sup>27</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/549 „საქართველოს მოქალაქეები ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. 2013 წლის 5 თებერვალი.

<sup>28</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N1/3/523, „საქართველოს მოქალაქე გერონტი აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2012 წლის 24 ოქტომბრი.

<sup>29</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2/2/486 „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2010 წლის 12 ივლისი.

<sup>30</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე 2/1/431 „საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2008 წლის 31 მარტი.

<sup>31</sup> დ. ზედელაშვილი, „კონსტიტუციის გადასინჯვის საქართველოში: უმრავლესობის ვნებები და კონსტიტუციური წესრიგი“, უურნალი „საპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013 წ., გვ. 157.

საშუალებების მიცემას გულისხმობს. ასეთი შტო კი ვინ შეიძლება იყოს თუ არა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ორგანო რომელიც სარგებლობს ხელისუფლების წყაროს პირდაპირი ლეგიტიმაციით და განსაკუთრებით საპარლამენტო რესპუბლიკაში, როდესაც მისი ლეგიტიმაციის საპირწონედ არ დგას სხვა შტოს ლეგიტიმაციის ხარისხი. მედისონის და ჰამილტონის აზრით, საკანონმდებლო ორგანო, საკუთარი ფუნქციის მნიშვნელობის, ხალხთან სიახლოვისა და დიდი დემოკრატიული ლეგიტიმურობის გამო ყველაზე ძლიერი და, შესაბამისად, ყველაზე საშიში იყო. აქედან გამომდინარეობდა მისი განსაკუთრებული შეზღუდვის გონივრულობაც. მედისონი მიიჩნევდა, რომ: „საზოგადოებრივ საქმეთა მდინარებაში არის ისეთი მომენტები, როცა ხალხს ხელს დარევს ხოლმე უმართებულო ვნება ანდა დაუმსახურებელი სარგებლის მიღების სურვილი აიტანს, თუ თავგზას აურევს დაინტერესებულ პირთა მიერ მიკერძოებულად განმარტებული ფაქტები. ყოველივე ამის გამო მან შესაძლოა, ისეთი ღონისძიებების შემოღება მოითხოვოს, რაც შემდეგ სანანებლად და თავში ხელის საცემად გაუხდება“.<sup>32</sup> ჰამილტონი, ამ შიშების საპირისპიროდ სასამართლო ხელისუფლებისთვის კონსტიტუციური კონტროლის უფლებამოსილებას უჭერდა მხარს - „განა ამგვარ კრიზისულ შემთხვევებში საზოგადოებას შვებად არ მოევიწყებოდა პატივცემული მოქალაქეებისგან შემდგარი ისეთი სახელისუფლებო უწყება, რომელიც საქმეში ჩაერეოდა და აბოხოქრებულ ვნებებს მოთოკავდა? განა იგი არ შეამსუბუქებდა იმ დარტყმის ძალას, რომელსაც ხალხი თავის თავს აყენებს? ნუთუ უპირიანი არ იქნებოდა ამგვარი უწყება მანამ ერეოდეს საქმეში, ვიდრე ხალხის გონებას ისევ დაეუფლებოდეს გონება, სამართლიანობა და ჭეშმარიტება? ნუთუ ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რაოდენ უბედურებას აიცილებდა თავიდან ათენის ხალხი, მის ხელისუფლებაში ისეთი დაწესებულება რომ ყოფილიყო, რომელიც მას საკუთარი ვნებების ტირანიისგან დაიცავდა? ხალხის თავისუფლების იდეა კი თავს დააღწევდა საყვედურს, რომლის ჩამორეცხვას ვერაფრით ახერხებს: მისი სახელით ჯერ ადამიანს საწამლავის დაღევას უსჯიან, მერე კი ძეგლებს უდგამენო“.<sup>33</sup>

ზემოთ მოცემული აშშ-ის კონსტიტუციის დამფუძნებელი მამების ნააზრევადან ნათლად ჩანს, რომ მაშინაც კი განიხილებოდა საკონსტიტუციო ცვლილებებზე პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის არსებობა. საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსთვის მსგავსი უფლებამოსილების მინიჭება იქნება უმაღლესი ლეგიტიმაციის მქონე სამართლებრივი სტადია გადასინჯვის პროცედურაში, მართალია, აღნიშნული გადასინჯვას უფრო რთულ მექანიზმად აქცევს, მაგრამ კონსტიტუციის გადასინჯვის ესოდენ პოლიტიკურ პროცესში მოცემული სტადიის როგორც სამართლებრივი შემადგენლის დამკვიდრება გადასინჯვის პროცესს ჩააყენებს სამართლებრივი რაციონალურობის და კონსტიტუციურობის ფარგლებში, რაც ნამდვილად ბევრი სიკეთის მომცემი იქნება.

<sup>32</sup> ფედერალისტი #63: მედისონი, 1788წ. 1 მარტი, იხ. <http://federalistpapers.ge/index.php> (10.09.2018 მდგომარეობით).

<sup>33</sup> ზედელაშვილი, supra 31, გვ. 158.



საკონსტიტუციო ცვლილებების საკონსტიტუციო კონტროლი მიიჩნევა ძალაუფლების ვერტიკალურ განცალკევებად.<sup>34</sup> აღნიშნული გულისხმობს, რომ შესწორების ორგანომ (საკანონმდებლო ხელისუფლება) უნდა იმოქმედოს მისი უფლებამოსილების ფარგლებში, მაგრამ ეს ასევე მოითხოვს მექანიზმს, რათა დადგინდეს ცვლილების მიღებისას, ხომ არ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას შესწორების ორგანომ. შემოწმების განმახორციელებლად კი, პირველ რიგში, სასამართლო ხელისუფლება,<sup>35</sup> საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოს არსებობის შემთხვევაში კი ასეთი ორგანო მიიჩნევა. აღნიშნული განიხილება კონსტიტუციის ცვლილებების სამართლებრივ ლეგიტიმაცია (მორალური ან სოციოლოგიური ლეგიტიმაციისაგან განსხვავებით). კონსტიტუციის გადასინჯვაზე საკონსტიტუციო კონტროლის ორი ფორმა არსებობს, ფორმალური და შინაარსობრივი, პირველი მათგანი მოიაზრებს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურის შემოწმებას (რუმინეთი,<sup>36</sup> ყირგიზეთი,<sup>37</sup> კოსოვო,<sup>38</sup> თურქეთი<sup>39</sup>), ხოლო მეორე გულისხმობს კონკრეტულ შესწორებებზე კონსტიტუციასთან შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენას (უკრაინა).<sup>40</sup> ფორმალური შესაბამისობის დადგენა, როგორც წესი, კონსტიტუციის გადასინჯვის სავალდებულო კომპონენტია, შინაარსობრივი კი ფაკულტატური, რომელიც მხოლოდ მაშინ დაიწყება, თუ სპეციალურმა სუბიექტმა სადავოდ გახადა კონსტიტუციის ცვლილების კონკრეტული დებულება.

მიმაჩნია, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის მიმართ საკონსტიტუციო კონტროლი აუცილებლად უნდა გახდეს საკონსტიტუციო ცვლილებების თანმდევი პროცესი. ჩვენი ქვეყნის საკონსტიტუციო რეფორმების პროცესში ბევრჯერ დამდგარა გადასინჯვის კონსტიტუციურობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ, როგორც შიდა ოპოზიციური პოლიტიკური ძალების მხრიდან, ასევე საერთაშორისო საზოგადოების მიერ. პრეტენზიები ყოფილა თავად გადასინჯვის პროცედურულ ფორმალურ ნაწილთან მიმართებითაც, რომლის ნათელი მაგალითია 2004 წლის საკონსტიტუციო რეფორმა<sup>41</sup> და ასევე კონკრეტული ნორმების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, ამის ნათელი მაგალითი კი გახლავთ 2017 წლის კონსტიტუციის რეფორმა, რომლის ფარგლებშიც ფაქტობრივად მოხდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის დაძლევა არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმების

<sup>34</sup> Guha, Shouvik Kumar and Tundawala, Moiz, "Constitution: Amended it Stands?", 1 NUJS L. Rev. (2008), გვ. 554.

<sup>35</sup> Sh. Weintal, supra 20, გვ. 289.

<sup>36</sup> რუმინეთის კონსტიტუცია Constitution of Romania, <http://www.cdep.ro/pls/dic/site.page?id=371> (11.09.2018 წლის მდგომარეობით).

<sup>37</sup> ყირგიზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია Constitution of The Kyrgyz Republic [http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file\\_id=458383](http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=458383) (11.09.2018 წლის მდგომარეობით).

<sup>38</sup> კოსოვოს რესპუბლიკის კონსტიტუცია Constitution of The Republic of Kosovo <http://www.kuvendikosoves.org/?cid=2,1058> (11.09.2018 წლის მდგომარეობით).

<sup>39</sup> თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია THE Constitution of The Republic of Turkey <http://www.hri.org/docs/turkey/> (11.09.2018 წლის მდგომარეობით).

<sup>40</sup> უკრაინის კონსტიტუცია Constitution of Ukraine [https://www.justice.gov/sites/default/files/eoir/legacy/2013/11/08/constitution\\_14.pdf](https://www.justice.gov/sites/default/files/eoir/legacy/2013/11/08/constitution_14.pdf) (11.09.2018 წლის მდგომარეობით).

<sup>41</sup> ვ. ბაბეკი, ს. ფიში და ც. რაიჭენბეჭერი, „კონსტიტუცის გადასინჯვა – საქართველოს გზა ევროპისკენ“, ავთანდილ დემეტრაშვილის წინათქმით, თბილისი, 2013 წელი, გვ. 92.

კონსტიტუციის დონეზე „რეინკარნაციის“ წყალობით.<sup>42</sup> საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვების ისტორია ნათლად გვაჩვენებს, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურაში აუცილებელია საკონსტიტუციო კონტროლის ჩართვა, როგორც ფორმალურის ასევე შინაარსობრივის.

კონსტიტუციის გადასინჯვის ფარგლებში აუცილებელია ჩავრთოთ პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლი, რომლის ფარგლებშიც ფორმალური პრევენციული კონტროლი იქნება სავალდებულო, ხოლო მატერიალური ნიშნით საკონსტიტუციო კონტროლი კი ფაკულტატური.<sup>43</sup> მატერიალური ნიშნით სავალდებულო საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება რეფორმის მასიური ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია, რადგანაც არაეფექტური იქნება რეფორმის მთლიანი ტექსტის „კონვეიერული“ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება, არაეფექტურთან ერთად, საკონსტიტუციო კონტროლი დროშიც ძალიან გაიწელება, რაც, თავის მხრივ, პრობლემას წარმოადგენს. მიმაჩნია, რომ მატერიალური ნიშნით საკონსტიტუციო სარჩელის კონსტიტუციური წარდგინების უფლება უნდა ჰქონდეთ სპეციალურ პოლიტიკურ სუბიექტებს - პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტის წევრების ისეთ ოდენობას, რომელიც ოპოზიციურ ძალებს შესაძლებლობას მისცემს, რეალურად გამოიყენოს აღნიშნული მექანიზმი.

ჩემი აზრით, აუცილებელია კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმში საკონსტიტუციო კონტროლის ჩართვა, ეს პროცედურა გადასინჯვის უკიდურესად პოლიტიკურ, დესტრუქციულ ფონს გადაიყვანს სამართლებრივ, კონსტრუქციულ რეგულაციებზე. მოცემული მოსაზრების საფუძველია ჩვენი ქვეყნის საკონსტიტუციო გადასინჯვის გამოცდილება. ამ მექანიზმის გამოყენება ასევე დაამთავრებს იმ არცთუ ისე დადებით ტენდენციას, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციის გადასინჯვაზე ექსკლუზივი მხოლოდ მმართველ უმრავლესობას აქვს ხოლმე.

## 5. კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორი სუბიექტები

2017 წლის კონსტიტუციის რეფორმის შედეგად კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორებად განისაზღვრა პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი და 200 000 ამომრჩეველი. ამ კუთხით შეინარჩუნეს 2010 წლის რეფორმის შედეგად დადგენილი კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორთა წრე, 2010 წლამდე კი კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის უპირობოდ წარდგენის უფლება საქართველოს პრეზიდენტსაც ჰქონდა. 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, მას ჩამოერთვა აღნიშნული უფლება, რაც მმართველ

<sup>42</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

<sup>43</sup> გ. კახიანი, „საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008 წ., გვ. 31.



ლობის ფორმის ცვლილებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტის უფლებამოსილების შემცირებიდან გამომდინარეობდა და დადებითად შეფასდა შიდა და საერთაშორისო დონეზე.<sup>44</sup>

კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორ სუბიექტებთან მიმართებით, მსოფლიო კონსტიტუციონალიზმში მრავალფეროვანი გამოცდილება არსებობს, მათ შორის არის მოდელები, რომელთა მიხედვითაც, ჩვეულებრივი კანონის და კონსტიტუციური კანონის ინიციატორი სუბიექტები ერთმანეთისგან არ განირჩევიან (მაგალითად, იტალია, ესპანეთი, ფინეთი, ნორვეგია).<sup>45</sup> ეს მიდგომა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, კონსტიტუციის ინიციატივით არ შეიძლება აღიჭურვონ ცალკეული მცირე სუბიექტები (მაგალითად, პარლამენტის წევრი ან პარლამენტის წევრთა მცირე რაოდენობა), რადგანაც კონსტიტუციის გადასინჯვის ინიცირება არ უნდა დაემსგავსოს ცარიელ ჭიქაში ქარიშხლის ატეხვას, კონსტიტუციური ცვლილების ინიციატივა თავიდანვე უნდა იყოს სიცოცხლისუნარიანი, სწორედ ამიტომ არის გავრცელებული ამ უფლებით პარლამენტის წევრთა მაღალი კვალიფიციური უმრავლესობის აღჭურვა (აღბანეთი - 1/5, ბულგარეთი - 1/4, თურქეთი - 1/3, არგენტინა - 2/3 ან კონკრეტული რაოდენობის დათქმა, სერბეთი - 20 დეპუტატი, აზერბაიჯანი - 63 დეპუტატი),<sup>46</sup> რომელთა რიცხვსაც, ჯერ კიდევ 1921 წლიდან მოყოლებული, განეკუთვნება საქართველო და ეს მიდგომა არც 2017 წლის რეფორმამ არ უარყო. პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა არის ის ოპტიმალური რაოდენობა, რომლის ინიციატივისა და ოპოზიციური ძალების კონსოლიდაციის შემთხვევაში ინიციატივა იქნება სიცოცხლისუნარიანი.

ასევე მიღებულ პრაქტიკად ითვლება კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორთა წრეში მთავრობის ჩართულობა, თუმცა 2017 წლის რეფორმამ აღნიშნულზე უარი განაცხადა. ჩემი აზრით, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ეს სწორ ნაბიჯად უნდა შეფასდეს, რადგანაც საპარლამენტო ცხოვრების კონტექსტში საქართველოში მთავრობას ისედაც დიდი როლი უკავია, ეს კი გამოიხატება მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის უფლებებაში და იმ პრაქტიკაში, რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო ინიციატივის უმრავლესობა სწორედ მთავრობიდან მოდის. მიმაჩნია, რომ საკონსტიტუციო ცვლილება უნდა იწყებოდეს პარლამენტიდან. როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ის უნდა იყოს ასეთი ძირეული რეფორმის დამწყები, ასეთი ინიციატივები თავიდანვე პარლამენტის წიაღში უნდა იშვას. ამის არგუმენტად ასევე გამოდგება საპარლამენტო რესპუბლიკისკენ სწრაფვა, სადაც პარლამენტის თანასწორთა შორის პირველობა მსგავსი უფლებებით უნდა განმტკიცდეს. გარდა ამისა, პარლამენტი არის ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი და, შესაბამისად, კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის პრივილეგიაც სწორედ მის ხელში უნდა იყოს (გარდა საყოველთაო სახალხო ინიციატივისა).

თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუცია გადასინჯვის უფლებას ანიჭებს ამომრჩეველთა ჯგუფს, ეს გასაგებიცაა, რადგან ხალხი ხელისუფლების წყაროა და ამგვარი უფლებამოსილებები ხალხის დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობის მექანიზმად მოიაზრება. ხალხი,

<sup>44</sup> პაპაშვილი, გეგენავა, supra 6, გვ. 33.

<sup>45</sup> იხ. იქვე. გვ. 34.

<sup>46</sup> იხ. იქვე.

როგორც უმაღლესი სუვერენი აუცილებლად უნდა იყოს კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორ სუბიექტთა შორის, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც კონსტიტუციის გადასინჯვა ხდება პარლამენტის შიგნით და არა რეფერენდუმის გზით. 1921 წლიდან მოყოლებული ამ მიდგომას იზიარებს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც, 200 000 ამომრჩეველს უფლება აქვს, მოახდინოს საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივა (1921 წლის მიხედვით კი 50 000 ამომრჩეველი). ცალკე საკითხია, თუ რამდენად გონივრულია ინიციატორად დასახელების ამომრჩეველთა მოცემული რაოდენობის განსაზღვრა, ცოტაა თუ ბევრი? საქართველოში რეგისტრირებულია 3 700 000 ამომრჩეველი, რომლის 5.4%-ია 200 000 ამომრჩეველი, ვფიქრობთ, რომ ეს რაოდენობა გონივრულია და სრულიად საკმარისი სიცოცხლისუნარიანი საკონსტიტუციო ინიციატივის წარმოსაშობად, თანაც ყველაზე სიცოცხლისუნარიანის, რადგან 200 000 ამომრჩევლის კონსოლიდირება საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივისთვის საკმაოდ სერიოზული ფაქტორია იმ პოლიტიკური ძალების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რომელთაც ხელისუფლების სადავეები უპყრიათ და ბევრი რამ ძალუძთ კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივისთვის სიცოცხლისუნარიანობის მისანიჭებლად.

კონსტიტუცია ასევე ახდენს ძალაუფლების ვერტიკალურ ბალანსსაც (ეს განსაკუთრებით აქტუალურია ფედერაციულ რესპუბლიკებში), კონსტიტუცია ხშირად ტერიტორიულ ერთეულებს შორის ან თუნდაც ტერიტორიულ ერთეულსა და ცენტრს შორის დადებული „ხელშეკრულება“<sup>47</sup> და, ბუნებრივია, რომ ამგვარი ხელშეკრულების გადასინჯვაში ჩართულობა „ხელშეკრულების“ „მხარეებსაც“ სჭირდებათ. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ავტონომიური ერთეულებისთვის მსგავსი კომპეტენციის მინიჭება უნიტარული ქვეყნებისთვის ზედმეტია, ის უფრო ფედერალური მოწყობის პირობებშია შესაძლებელი,<sup>48</sup> მაგრამ ამ მოსაზრებას ნაკლებად თუ გავიზიარებ. ტერიტორიული ერთეული, რომელიც აყვანილია ავტონომიის ხარისხში, იმსახურებს კონსტიტუციის გადასინჯვაში ინიციატივის უფლებით ჩართვას. ამგვარი უფლების მინიჭება ხაზს გაუსვამს ავტონომიის მნიშვნელობას და აღქმას, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუცია ყველასია, მათ შორის, ავტონომიურ ერთეულში მცხოვრები ხალხისაც, ეს მიდგომა დათრგუნავს იმ განცდას, რომ სხვები უწერენ და ახვევენ თავს კონსტიტუციას ავტონომიურ ერთეულს, ნებისმიერი რამ და განსაკუთრებით კონსტიტუცია ისეთი დოკუმენტია, რომლის შექმნა/ცვლილებაში მონაწილეობის საშუალება უფრო ზრდის მის მიმართ ნდობის და მშობლიურობის აღქმის ხარისხს. გარდა ამისა, კონსტიტუცია პოლიტიკური დოკუმენტია, რომელიც უნდა აერთიანებდეს ხალხს, განსაკუთრებით კი, ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ ხალხს „ცენტრის“ ხალხთან.

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორ სუბიექტთა განსაზღვრის მხრივ დადებითად უნდა შეფასდეს. კონსტიტუციური ლოგიკის ფარგლებშია განსაზღვრული პარლამენტის წევრთა კვალიფიციური უმრავლესობაც და ამომრჩეველთა რაოდენობაც, სწორად არის ნათქვამი უარი კონსტიტუციის სუბიექტთა წრეში პრეზიდენტის და მთავრობის ჩართვაზე. რაც შეეხება სუბიექტად ტერიტორიული ერთეულის განსაზღვრას,

<sup>47</sup> F. Martin, "The Constitution as Treaty - The International Legal, Constitutionalist Approach to the U.S. Constitution", Cambridge University Press 2007, გვ. 4.

<sup>48</sup> პაპაშვილი, გეგენავა, supra 6, გვ. 36.

ეს მიუღებელია, სანამ კონსტიტუციის ტექსტში გვაქვს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით [...] ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“ (ახალი რედაქცია მუხლი 7, პუნქტი 3), ამ ჩანაწერის კონსტიტუციის ტექსტიდან გაქრობის ე.ი. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ კი, ნამდვილად შეიძლება დავფიქრდეთ კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორად ტერიტორიული ერთეულის განსაზღვრაზე. აღნიშნულის მიზეზი ის გახლავთ, რომ ქვეყნები, რომლებსაც ტერიტორიული პრობლემები გააჩნიათ, უარს ამბობენ ტერიტორიული საკითხების გააქტიურებაზე, რადგანაც მსგავსი საკითხები პოლიტიკურად მეტად მგრძობიარეა. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს კონსტიტუციის მიდგომა, რომელიც უარს ამბობს ტერიტორიული სახელმწიფო მოწყობის დადგენაზე, სანამ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არ აღდგება სრული იურისდიქცია. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ნებისმიერი საკითხი, მათ შორის კონსტიტუციის გადასინჯვის ინიცირების უფლების მინიჭება ტერიტორიული ერთეულისთვის, რომელიც ეხება საქართველოს ტერიტორიებს, უნდა დადგინდეს მას შემდეგ, რაც აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

## 6. კონსტიტუციის ნაწილობრივი და ზოგადი გადასინჯვა

კონსტიტუციის ზოგადი და ნაწილობრივი გადასინჯვის საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმზე მსჯელობისას. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმაც შეეხო ამ საკითხს, შესაბამისად აუცილებლად მიმაჩნია კონსტიტუციის ზოგად და ნაწილობრივ გადასინჯვაზე მსჯელობა და 2017 წლის რეფორმის პოზიციის მართებულობის შეფასება.

ჯერ კიდევ 1921 წლის კონსტიტუციის მეჩვიდმეტე თავი ერთმანეთისგან განასხვავებს კონსტიტუციის გადასინჯვის ორ ფორმას, კონსტიტუციის საზოგადო და ნაწილობრივ გადასინჯვას. მოცემული მიდგომა ასევე გაიზიარა 1995 წლის კონსტიტუციამ და დადგინდა კონსტიტუციის გადასინჯვის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის უფლება. ქართველი კონსტიტუციონალისტების ნაწილი კონსტიტუციის ზოგად გადასინჯვას ახალი კონსტიტუციის მიღებას უკავშირებს, ნაწილობრივს კი არსებულ ტექსტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას.<sup>49</sup> ეს განსხვავება მისაღები იქნებოდა კონკრეტული გადასინჯვის ფორმის უკან შესაბამისი პროცედურა რომ იდგეს. რადგანაც ამგვარი მექანიზმები კონსტიტუციაში არ მოიპოვება, ძნელია ეს დაყოფა გასცდეს ლექსიკურ სხვაობას.

მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ მივაგნებთ ისეთ ჩანაწერს, სადაც საუბარია კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის თაობაზე და მის უკან არ დგას კონკრეტული გადასინჯვის განსხვავებული პროცედურები.<sup>50</sup> მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკა ნათლად გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო, რომელიც მიჯნავს გადასინჯვის ფორმებს, ადგენს

<sup>49</sup> ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, საგამომცემლო სახლი ინოვაცია, თბილისი, 2008. გვ. 65.

<sup>50</sup> იხ. იქვე. გვ. 29.

კიდევ შესაბამისი გადასინჯვის განსხვავებულ პროცედურებს, მაგალითად: ბულგარეთი,<sup>51</sup> შვეიცარია.<sup>52</sup> მოცემულ მიდგომაზე მიუთითებს ვენეციის კომისიის დასკვნებიც.<sup>53</sup> ჩვენი რეალობა კი ნათლად გვანახებს, რომ 1921 წლის და 1995 წლის კონსტიტუციებში უარი ითქვა ამგვარ მიდგომებზე, რითაც კონსტიტუციაში შექმნა გაუგებრობა,<sup>54</sup> რომლიდან გამოსავალსაც ხშირად ზეპირსიტყვიერად იძლევიან ის პირები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული 1995 წლის კონსტიტუციის შექმნის პროცესში.

საინტერესოა, რა გახდა ჯერ 1921 წლის კონსტიტუციაში და შემდეგ 1995 წლის კონსტიტუციაში ნაწილობრივი და ზოგადი (საზოგადო) გადასინჯვის „ფორმების“ გაჩენის მიზეზი? ცნობილია, რომ 1921 წლის კონსტიტუციის დამფუძნებელი კრება აქტიურად იყენებდა მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის გამოცდილებას.<sup>55</sup> იმდროინდელ ქართულ კონსტიტუციურ პროცესზე დიდი გავლენა იქონია შვეიცარიის კონსტიტუციამ, ეს უკანასკნელი კი გამიჯნავს გადასინჯვის ორ ფორმას, რომელთათვისაც ადგენს განსხვავებულ პროცედურებს (განსხვავება ხალხის, როგორც სუბიექტის ჩართულობის ხარისხში ვლინდება). ქართველი მკვლევარები გამოთქვამენ ვარაუდს, რომელსაც მეც ვიზიარებ, რომ ზემოთ აღნიშნული შეიძლება ყოფილიყო დამფუძნებელი კრების მიზანიც, მაგრამ 1921 წელს შექმნილი განსაკუთრებული, ერთგვარი ფორსმაჟორული მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ საკითხის ბოლომდე დამუშავება ვერ მოხერხდა და გადასინჯვის ფორმები დარჩა გადასინჯვის სპეციალური პროცედურის გარეშე.<sup>56</sup> 1995 წელს კი კონსტიტუციის შემუშავებისას 1921 წლის კონსტიტუციის ჩანაწერი პირდაპირ გადმოიტანეს და მისი სათანადო ანალიზი არ მომხდარა, რამაც გამოიწვია ასეთი ჩანაწერის დღემდე კონსტიტუციის ტექსტში შემორჩენა.

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ, განსხვავებით წინა რეფორმებისა, მოაგვარა ეს საკითხი და კონსტიტუციის 77-ე მუხლის ტექსტში აღარ მოიპოვება კონსტიტუციის ნაწილობრივი და ზოგადი გადასინჯვის აღმნიშვნელი რაიმე ტერმინი. რეფორმის ეს მიდგომა უნდა შეფასდეს დადებითად. ამ ცვლილებამ ერთხელ და სამუდამოდ მოსპო სპეკულაციების და გაუგებრობების შესაძლებლობა.

## 7. კონსტიტუციის გადასინჯვის ვადები

კონსტიტუციის გადასინჯვის ვადები მნიშვნელოვანი საკითხია გადასინჯვის მექანიზმის შემუშავებისას. ვადების არსებობა უნდა უზრუნველყოფდეს, ერთი მხრივ, კონსტიტუციის

<sup>51</sup> ბულგარეთის კონსტიტუცია Constitution of The Republic of Bulgaria, chapter 9. <http://www.parliament.bg/en/const> (13.07.2018 მდგომარეობით).

<sup>52</sup> შვეიცარიის ფედერაციის რესპუბლიკა Federal Constitution of the Swiss Confederation, Art - 192. <https://www.admin.ch/opc/en/classified-compilation/19995395/201801010000/101.pdf> - (13.07.2018 წლის მდგომარეობით).

<sup>53</sup> Report on Constitutional Amendment, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2010)001, Strasburg, 19.01.2010, გვ. 56.

<sup>54</sup> დავითური, supra 11, გვ. 154.

<sup>55</sup> არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014, გვ. 6.

<sup>56</sup> დავითური, supra 11, გვ. 154.

გადასინჯვის გონივრული ზღვრული ვადის დათქმას და, მეორე მხრივ, კონსტიტუციის გადასინჯვაში საყოველთაო ჩართულობის შესაძლებლობას. მიუხედავად ამ არგუმენტისა, მსოფლიო კონსტიტუციონალიზმში მსგავს პრაქტიკას დიდი მხარდაჭერა არ აქვს, თუმცა ცალკეული შემთხვევები მაინც არსებობს, მაგალითად, სამხრეთ კორეის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც, პარლამენტმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პროექტის საჯაროდ წარდგენიდან 60 დღის განმავლობაში,<sup>57</sup> ბულგარეთის კონსტიტუცია კი ადგენს კონსტიტუციის პროექტის განხილვის მინიმუმსა და მაქსიმუმს.<sup>58</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში. ეს მიდგომა გაიზიარა 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ. 1921 წლის კონსტიტუციის 146-ე მუხლის მიხედვით კი, „კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვა პარლამენტის დღის წესრიგში დაისმის არაუადრეს ექვსი თვისა შეტანიდან.“<sup>59</sup> მოცემული ჩანაწერი ნათლად გვანახებს, რომ 1921 წლის კონსტიტუციის დამფუძნებლებს სურდათ, ყოფილიყო კონსტიტუციით დადგენილი მყარი ვადა, რომლის განმავლობაშიც საზოგადოების წევრებს გონივრული შესაძლებლობა მიეცემოდათ, ჩართულიყვნენ საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესებში, შეემუშავებინათ პროექტის კრიტიკული ანალიზი, განეხორციელებინათ საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკის შესწავლა. ეს ვადა ასევე საშუალებას იძლეოდა, სათანადოდ წარმართულიყო პოლიტიკური პროცესიც კონსტიტუციის განხილვის დროს. 1921 წლის კონსტიტუციით დადგენილი აღნიშნული „გაციების“ ვადა ხელს უწყობდა პოლიტიკური პროცესების სათანადოდ წარმართვას და სამოქალაქო საზოგადოების სათანადო ჩართულობას.

1921 წლის კონსტიტუციით დადგენილი მოცემული ვადა არის გონივრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია, წარმართოს წინა აბზაცში დასახელებული მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო პროცესები. კონსტიტუციის ტექსტში მსგავსი ვადების არსებობა ხელს უწყობს კონსტიტუციის „მორგების“ ტენდენციის აღკვეთას და, უდავოდ, აჯანსაღებს პროცესს. შესაძლებელია, მოცემული ვადის საწინააღმდეგოდ ითქვას, რომ „ფორსმაჟორულ“ სიტუაციებში ზედმეტია მსგავსი ვადების არსებობა, ჩემთვის ეს არგუმენტი მიუღებელია, რადგან კონსტიტუციის გადასინჯვა არ უნდა მოხდეს „ფორსმაჟორულად“, მსგავს სიტუაციებში კონსტიტუციის სწრაფ გადასინჯვებს არასდროს მოუტანია სიკეთე.

მოცემულ თავში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ მისასაღებელი იქნებოდა თუ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა გაითვალისწინებდა

<sup>57</sup> კორეის რესპუბლიკის კონსტიტუცია Constitution of The Republic of Korea, Art 129. <http://10.100.100.24/UserCheck/PortalMain?IID=897D5F0A-F5EE-2FCC-34BE-5C3FE6D9BE7A&origUrl=aHR0cDovL2tvcmlhLmFzc2VtYmx5LmdvLmtyL2JvYXJkL2Rvd24uanNwP2JvYXJkaXRibWlkdEwMDAwMDAxNTUmZGlybmFtZT0vZW5xN2RhdGEvMTAwMDAwMDE1NUUxLIBERg> (10.09.2018 წლის მდგომარეობით).

<sup>58</sup> ბულგარეთის კონსტიტუცია Constitution of The Republic of Bulgaria, Art 154. <http://www.parliament.bg/en/const> - (13.07.2018 წლის მდგომარეობით).

<sup>59</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივის აქტების კრებული, 1918-1821, შ. შარაშვილის რედაქტორობით, თბილისი. 1990.

მსგავსი ვადის არსებობას, საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირებიდან მისი განხილვის დაწყებამდე.

## **8. ლობისტური საქმიანობა და საკონსტიტუციო გადასინჯვა**

ლობისტური საქმიანობის საკითხი გავრცელებული და ნაცნობი მოვლენაა სამართლისთვის, მისი ფესვები ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოდის და განვითარება საქართველოს საკანონმდებლო სივრცეშიც პოვა, არსებობს საქართველოს კანონი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“, რომელიც არეგულირებს ლობისტური საქმიანობის განხორციელების წესს და ფარგლებს.

გასაგებია, რომ ლობისტური საქმიანობა არის ინტერესთა ჯგუფების პროცესებში ჩართვის რაციონალური გზა, რომლითაც ხდება ინტერესების „მოთვინიერება“ და პროცესისადმი მეტი გამჭვირვალობის შექმნა, მაგრამ კონსტიტუციის ცვლილებებში მათი დაშვება, ჩემი აზრით, გამოიწვევს პოლიტიკური პროცესების დეფორმირებას და წაახალისებს სპეკულაციებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესთა ჯგუფები მაინც შეეცდებიან თავიანთი ინტერესების კონსტიტუციაში გატარებას, მაგრამ მათ ამის შესაძლებლობა ისედაც მიეცემათ სამოქალაქო ჩართულობის ფარგლებში, ლობისტის სარეგისტრაციო მოწმობით აღჭურვილმა პირმა კი არ უნდა იაროს საკანონმდებლო ორგანოს დერეფნებში და არ უნდა შექმნას აღქმა, რომლის მიხედვითაც ძლიერი ინტერესთა ჯგუფები ახდენენ არამართლმომიერ, ფარულ ზეგავლენას კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესზე. ლობისტური საქმიანობა არის ხალხის ჩართულობის ფორმა საკანონმდებლო პროცესში, მისი არსებობა ამ გადმოსახედიდანაც არის აუცილებელი და საჭირო, საკანონმდებლო პროცესში ლობიზმი არის იდეალური საშუალება, დაინტერესებული პირი ჩაერთოს საკანონმდებლო განხილვებში, ადევნოს თვალი მის განვითარებას და საკანონმდებლო ორგანოს მიანოდოს შესაბამისი ინფორმაცია და არგუმენტები კონკრეტული კანონის საპირისპიროდ ან სასარგებლოდ. კონსტიტუციის გადასინჯვისას კი უფრო მაღალია საზოგადოების ჩართულობის ხარისხი, კანონპროექტისგან განსხვავებით, კონსტიტუციის პროექტი ვადის საერთო საყოველთაო განხილვებზე და სწორედ ამ გზით შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს ჯანსაღი არგუმენტაციის გზით მოახდინონ ზეგავლენა კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესზე. ამ შემთხვევაში ეს იქნება ლობისტური საქმიანობის განხორციელების ყველაზე საჯარო და გამჭვირვალე გზა, ყველა დაინახავს ინტერესთა ჯგუფების გაცხადებულ ინტერესებს. რადგანაც კონსტიტუციის გადასინჯვისას მაღალია საზოგადოების ჩართულობის სტანდარტი, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აღარ დგას ლობისტური საქმიანობის განხორციელების აუცილებლობა, საკანონმდებლო პროცესისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო ცვლილებებისას საზოგადოების ჩართულობის ლობიზმის ფორმას ანაცვლებს და, ამავდროულად, მოიცავს (გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტით) კონსტიტუციის პროექტის საჯარო განხილვები.

არსებობს გაბატონებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ლობისტური საქმიანობა შემოიფარგლება გარკვეული საზღვრებით, მაგალითად, ლობიზმი დაუშვებლად მიიჩნევა სასამართლო ხელისუფლებაში.<sup>60</sup> „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ლობისტური საქმიანობის განხორციელება ასევე დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის და უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანების მიღების პროცედურებზე. აუცილებლად მიმაჩნია, რომ მსგავსი შეზღუდვა გაკეთდეს საკონსტიტუციო გადასინჯვის პროცედურისას ლობიზმის განხორციელების აკრძალვის თაობაზე. ეს აკრძალვა, მართალია, არ არის კონსტიტუციის ტექსტში გასაწერი რეგულაცია, მაგრამ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ცვლილებებს და, კონკრეტულად, 77-ე მუხლს სჭირდება შემდგომი იმპლემენტაცია იერარქიით ქვემდგომ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში. მოცემული დათქმა უნდა შევიდეს „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში.

## 9. კონსტიტუციის გადასინჯვის სკანდინავიური მოდელი საქართველოში

კონსტიტუციის გადასინჯვის სკანდინავიური მოდელი გულისხმობს გადასინჯვის პროცესში არჩევნების ჩართვას, რაც გადასინჯვის პროცესს „კვაზირეფერენდალურ“ ხასიათს ანიჭებს და ფაქტობრივად საპარლამენტო არჩევნების დროს წყდება ცვლილების ბედი, თუ ამომრჩეველი მხარს დაუჭერს იმ პოლიტიკურ პარტიას ვისი ინიციატივაც იყო ცვლილებების ინიცირება, ბუნებრივია, ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებები გარდაისახება კონსტიტუციურ ცვლილებად. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად 77-ე მუხლის მე-3 პუნქტში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, „კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. კონსტიტუციური კანონი საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა მომდევნო მოწვევის პარლამენტის მიერ ერთი მოსმენით განხილვიდან და სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მიერ მისი უცვლელად დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში.“ ამ რეგულაციის შემოღებით საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის ფორმა გადავიდა სკანდინავიურ მოდელზე.

სკანდინავიური მოდელი ფაქტობრივად ნიშნავს საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის უფრო მაღალი პოლიტიკური ტემპერატურის მინიჭებას და გადასინჯვაში მეტი პოლიტიკის ჩართვას. მოცემულ თავში ვიმსჯელებთ, რამდენად მართებულია სკანდინავიური მოდელის რეცეფცია, რაც თავისი არსით „კვაზირეფერენდალური“ მიდგომების განხორციელებას ნიშნავს.

„კვაზირეფერენდალურ“ საკითხებზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით მისი არსის მცირე მიმოხილვას. რეფერენდუმი და, მათ შორის, „კვაზირეფერენდუმიც“, პირველ რიგში, არის ხელისუფლების მიერ ელექტორატისადმი მიმართვა, რათა გაირკვეს საზოგადოების დამოკიდებულება აქტუალურ საკითხებზე. რეფერენდუმი მიიჩნევა ლეგიტიმაციის მინიჭების

<sup>60</sup> გ. გოგიბერიძე „ლობიზმი და მისი რეგულირების სამართლებრივი ასპექტები“, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი. 2012 წ., გვ. 48.

ყველაზე ეფექტურ საშუალებად. რეფერენდუმი, თავისი არსით, რამდენადაც სამართლებრივი, იმდენად პოლიტიკურია. რეფერენდუმს დემოკრატიის ბრმა თაყვანისმცემლები აღიქვამენ როგორც საზოგადოების სუვერენიტეტის უმაღლეს გამოხატულებად, თუმცა შედარებით მემარჯვენე იდეოლოგიის მატარებელი სუბიექტები მას გარკვეული ეჭვის თვალთ უყურებენ.<sup>61</sup> ზოგიერთი ქვეყნის მმართველ წრეებში მიიჩნევენ, რომ რეფერენდუმის ინსტიტუტი პარლამენტარიზმისათვის „ცივილიზებული“ პარლამენტის ხელისუფლების „უვიცი ბრბოს მმართველობით“ შეცვლის გარკვეულ საფრთხეს შეიცავს.<sup>62</sup> რეფერენდუმზე გამოხატული ერის სულისკვეთება კი შესაძლებელია ხშირად დემაგოგების მიერ წაქეზებული კონსერვატიზმითა და რადიკალიზმითაც იყოს გაჟღერებული.<sup>63</sup>

აუცილებელია რეფერენდუმს და „კვაზირეფერენდალურ“ ღონისძიებებს გამოვაცალოთ საწამლავი და ილუზია, რომ თითქოს ამ დროს ხალხი სუვერენული და შეუცდომელია, რადგან რეფერენდუმი მათ ნებას უშუალოდ გამოხატავს. რაც არ უნდა მიმზიდველად გამოიყურებოდეს რეფერენდუმი დემოკრატიული ლოზუნგების ფონზე, სინამდვილეში ის ყოველთვის არ მოიტანს დადებით შედეგებს. სახალხო ინიციატივებს ძირითადად გარკვეული ინტერესთა ჯგუფები მიმართავენ საკუთარი კორპორატიული ინტერესების დასაკმაყოფილებლად. სახალხო ინიციატივა გარიყული პოლიტიკური ჯგუფებისა და მოძრაობების უკანასკნელი თავშესაფარია, რომელთაც საზოგადოების ყურადღების მიპყრობა სურთ.<sup>64</sup> ბრბოში ყოფნისას პიროვნება ყოველთვის არ დგას საკუთარი ღირსების სიმალლეზე, აღნიშნულის საილუსტრაციოდ კი გამოდგება ისტორიის ცნობილი მაგალითები: ჰიტლერმა რეფერენდუმი სამჯერ გამოიყენა, მათ შორის ანშლუსის დამტკიცებაზე, სამივე რეფერენდუმზე გატანილი საკითხი გადამწყვეტი უმრავლესობით იქნა მოწონებული; „ბრეჟნევის კონსტიტუცია“<sup>65</sup> ხალხმა რეფერენდუმით დაამტკიცა; პრეზიდენტმა ნაიაზოვმა თურქმენეთში და პრეზიდენტმა ქარიმოვმა<sup>66</sup> უზბეკეთში საპრეზიდენტო ვადა გაიხანგრძლივეს საერთო სახალხო კენჭისყრით. ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ ხალხი არ არის სუვერენულად შეუცდომელი.

რეფერენდუმის და „კვაზირეფერენდალური“ ღონისძიებების ზემოთ მოცემული კრიტიკა ისეც არ უნდა გავიგოთ, რომ რეფერენდუმი მიუღებელი და ნეგატიური მოვლენაა, ის უშუალო დემოკრატიის ფორმაა და მისი არსებობა ამ ფორმით მართლდება, გარდა ამისა ის უდავოდ არის უმაღლესი ლეგიტიმაციის მიმანიჭებელი მოვლენა. ასე რომ, რეფერენდუმის მსგავსი ფორმატის შემოტანა საკონსტიტუციო გადასინჯვის პროცედურაში ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია, ეს მექანიზმი ზრდის კონსტიტუციის ლეგიტიმურობას და კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურას მათებს იმ სიმყარეს, რომელიც უდავოდ აკლდა

<sup>61</sup> შაიო, supra 19, გვ. 81.

<sup>62</sup> საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი, ანალიტიკური განყოფილება. რეფერენდუმი - პირდაპირი დემოკრატიის ძირითადი ინსტიტუტი, გვ.5.

<sup>63</sup> შაიო, supra 19, გვ. 80.

<sup>64</sup> იხ. იქვე. გვ. 82.

<sup>65</sup> Gidadhubli R. G. The Brezhnev Constitution, journal – Economic and Political Weekly, Vol. 12 No48 (Nov. 26, 1977) გვ. 1982.

<sup>66</sup> A Luhn, "Islam Karimov-re-elected Uzbekistan's president in predicted landslide", 2015 წლის 30 მარტი, The Guardian, www.theguardian.com.



არსებული გადასინჯვის მექანიზმს. ასევე მისაღებია „კვაზირეფერენდალური“ მიდგომის არჩევა, რადგანაც პირდაპირ რეფერენდუმის დანიშვნა შეუძლებელი იქნებოდა თავად რეფერენდუმის არსიდან გამომდინარე, რადგანაც რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კი დღესდღეობით დარღვეულია, რუსული ოკუპაციის გამო.<sup>67</sup>

კონსტიტუციის გადასინჯვის შუალედში საპარლამენტო არჩევნების ჩართვა კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესს სათანადო სიმყარეს სძენს, რომელიც ნამდვილად აკლდა საქართველოს კონსტიტუციას, გარდა ამისა „კვაზირეფერენდალური“ მოდელი სწორად არის არჩეული, რადგანაც ქართული რეალობიდან გამომდინარე, რეფერენდუმი გარკვეულწილად ამცირებს ლეგიტიმაციის საკითხს, რადგან მასში მონაწილეობას ვერ მიიღებს აფხაზეთის და სამაჩაბლოს (სამხრეთ ოსეთი) მოსახლეობა. ამ ფაქტს კი დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. ამასთანავე, ამ ცვლილებით კონსტიტუციის გადასინჯვა იძენს უკიდურესად მწვავე პოლიტიკურ ხასიათს. კონსტიტუციის გადასინჯვის ბედი დამოკიდებული იქნება ამომრჩევლის პოლიტიკურ სიმპათიებზე და არა უშუალოდ კონსტიტუციის ცვლილებაზე (თუ, რა თქმა უნდა, ცვლილება არ ეხება საზოგადოებისთვის მეტად მგრძობიარე საკითხებს, მაგ.: ერთნაირ სქესიანთა ქორწინება). ეს გარემოება კიდევ უფრო მოითხოვს, რომ გადასინჯვის პროცესში პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის სახით ჩაერთოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

## 10. კონსტიტუციის გადასინჯვის გამართივებული წესი

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ კონსტიტუციის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტში გააჩინა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, „კონსტიტუციური კანონი საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა კონსტიტუციის 46-ე მუხლით დადგენილ ვადაში, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი“. მოცემული ჩანაწერის მიხედვით, ხდება გადასინჯვის გამარტივებული წესის დანერგვა, რომლის მიხედვითაც, მაღალი კვორუმით კონსტიტუციის კანონპროექტის მიღება ხდება იმავე მოწვევის პარლამენტში და პირდაპირ ეგზავნება პრეზიდენტს ხელმოსაწერად. მსგავსი მიდგომა უცხო არაა მსოფლიო კონსტიტუციონალიზმისათვის, მსგავს მოდელს იცნობს ფინეთის და ესტონეთის კონსტიტუციები.<sup>68</sup>

მოცემული გამარტივებული წესის არსებობა აიხსნება შესაძლო განსაკუთრებული მდგომარეობის არსებობით, თუმცა, ჩემი აზრით, ეს არგუმენტი საქართველოს რეალობისთვის არ არის რელევანტური. პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი არის ის კვორუმი, რომლის მოპოვების რეალური შანსი, საარჩევნო სისტემიდან და ამომრჩევლის ისტორიული მიდგომებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია.

<sup>67</sup> „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, რეფერენდუმი არის საერთო-სახალხო გამოკითხვა, ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით კი, რეფერენდუმი იმართება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

<sup>68</sup> პაპაშვილი, გეგენავა, supra 6, გვ. 82.

არსებობს საფრთხე, რომ კონსტიტუციის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტში არსებული საგამონაკლისო წესი შესაძლებელია გადაიქცეს ძირითად წესად, თუ უმრავლესობა პარლამენტში შეიყვანს 113 დეპუტატს. ამასთანავე, საგამონაკლისო შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის დღევანდელი რედაქციით არსებული კონსტიტუციის კანონპროექტის ორ თანმიმდევრულ სესიაზე სამთვლიანი ინტერვალით განხილვის მექანიზმი, ეს გარემოება კი მართო კვორუმის იმედად ტოვებს კონსტიტუციის გადასინჯვის სიმყარეს, რაც მიუღებელია და ფაქტობრივად გადასინჯვის მექანიზმს ხდის მიუღებლად მოქნილს.

გაუმართლებლად მიმაჩნია კონსტიტუციის გადასინჯვის გამარტივებული წესის არსებობა, რადგანაც ის ამრს უკარგავს „სკანდინავიურ“ მოდელზე გადასვლას. კონსტიტუციის გამარტივებული წესით მიღების მექანიზმის არსებობით „სკანდინავიური“ მოდელი ემსგავსება ერთგვარ შირმას, რომელის არსებობის ერთადერთი მიზანი არის საგამონაკლისო წესის მანკიერებების დაჩრდილვა. კონსტიტუციის გადასინჯვის გამარტივებული წესის არსებობა არ მართლდება არც შესაძლო განსაკუთრებული ვითარების არსებობის არგუმენტით, რადგანაც ერთადერთი შესაძლო განსაკუთრებული მდგომარეობა თავადვე ასახულია კონსტიტუციის 77-ე მუხლის მე-5 პუნქტში, რომლის მიხედვითაც, „კონსტიტუციური კანონი, რომელიც უკავშირდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით და საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა კონსტიტუციის 46-ე მუხლით დადგენილ ვადაში“. ეს გამონაკლისი „უდავოდ, განსაკუთრებული ვითარებაა, რომლის დროსაც კონსტიტუციური კანონის შემჭიდროებულ ვადებში მიღებაა აუცილებელი, სხვა დანარჩენი შესაძლო განსაკუთრებული ვითარების არგუმენტით კონსტიტუციის გადასინჯვის გამარტივებული წესის გამართლება, არის მიუღებელი არგუმენტი.

## **11. კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხზე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის განმარტებები**

### ***11.1. საკანონმდებლო მოსმენების რიგითობის საკითხი***

მოცემულ თავში განვიხილავ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის იმ პროცედურულ საკითხებს, რომლებიც არსებითად მართავენ და აკონკრეტებენ საქართველოს კონსტიტუციაში არსებულ გადასინჯვის მექანიზმს. ერთ-ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენს კონსტიტუციის კანონპროექტის გადასინჯვისას საპარლამენტო მოსმენების განხორციელება. დღეს მოქმედი კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-3 პუნქტში არსებულ დათქმას კონსტიტუციის კანონპროექტის ორ სესიად განხილვის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის მე-8 პუნქტი შემდეგნაირად განმარტავს „საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს და იღებს სამი მოსმენით კანონპროექტის განხილვისა და მიღებისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით. ამასთანავე, კანონპროექტი პირველი და მეორე მოსმენებით განიხილება და მიიღება ერთსა და იმავე სესიაზე, ხოლო მესამე მოსმენით განიხილება და მიიღება მხოლოდ პარლამენტის მომდევნო სესიაზე, მეორე მოსმენით მიღებიდან არანაკლებ 3 თვის შემდეგ“. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის

157-ე, 159-ე და 160-ე მუხლები კი ადგენენ პირველი, მეორე და მესამე მოსმენის წესებს, რომელთა მიხედვითაც, წინა მოსმენაზე განსახილველი საკითხები აღარ განიხილება შემდეგ მოსმენებზე.

ჩემი აზრით, წინა აბზაცში გადმოცემულმა ნორმატიულმა რეალობამ აღარ უნდა განაგრძოს არსებობა, რადგანაც 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებულმა 77-ე მუხლმა დაადგინა კონსტიტუციური კანონპროექტის ორი მოწვევის პარლამენტის მიერ განხილვა. შემდგომი მოწვევის პარლამენტმა კენჭი უნდა ახალ კონსტიტუციას, მას აღარ უნდა ჰქონდეს კონსტიტუციის ტექსტში არანაირი ცვლილების შეტანის უფლება. ამ პოზიციის მიზეზი ის გახლავთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლი ადგენს გადასინჯვის კვაზირეფერენდალურ პროცედურას, რაც იმას გულისხმობს, რომ შემდგომი მოწვევის პარლამენტი უნდა იყოს ერთგვარი „ამომრჩეველი“, რომელიც რეფერენდუმზე დასმულ კითხვას ან კის გასცემს, ან არას. ახალი მოწვევის პარლამენტს, რომ ჰქონდეს კონსტიტუციის პროექტში რაიმე ცვლილების შეტანის უფლება, ამით შესაძლებელი იქნება ახალი მოწვევის პარლამენტმა წარდგენილი კონსტიტუციის კანონპროექტი უარყოს და სრულიად ახალი კონსტიტუცია მიიღოს, რითაც უგულებელყოფილი იქნება საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის კონცეფცია და ძირითადი აზრი.

## **11.2. საკანონმდებლო წინადადება და კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივა**

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „საკანონმდებლო წინადადება არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არმქონე სუბიექტის მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი, დადგენილი წესით გაფორმებული, დასაბუთებული მიმართვა ახალი კანონის მიღების, კანონში ცვლილების შეტანის ან კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“, საკანონმდებლო წინადადება არის ხალხის ჩართულობის ფორმა საკანონმდებლო პროცესში. საინტერესოა, რა მოხდება, თუ საკანონმდებლო წინადადების სახით პირი მიმართავს პარლამენტს და წინადადების ადრესატი იქნება კონსტიტუციის ნორმა. ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ პარლამენტის 150-ე მუხლის მეცხრე პუნქტით, რომლის მიხედვითაც, „საკანონმდებლო წინადადების მიღების შემთხვევაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტად ითვლება წამყვანი კომიტეტი,“ ხოლო და კონსტიტუციის 102-ე მუხლის პირველი პუნქტით (ახალი რედაქციით 77-ე მუხლის პირველი პუნქტი), კონსტიტუციის კანონის ინიციატივის უფლება აქვს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობას და არანაკლებ 200000 ამომრჩეველს. ეს ნორმატიული მოცემულობა კი გვიჩვენებს, რომ საკანონმდებლო წინადადებას ვერ გარდაქმნის საკანონმდებლო ინიციატივად წამყვანი კომიტეტი, თუ წინადადება ეხება კონსტიტუციის გადასინჯვას, რადგანაც თავად კომიტეტიც არ არის კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორი სუბიექტი.

მოცემული საკითხი წინა მოწვევის პარლამენტის დღის წესრიგში დადგა და სწორედ ზემოთ დასახელებული ნორმების გამოყენებით გადაწყდა. მიმაჩნია, რომ ამ საკითხის მოგვარება საკონსტიტუციო რეფორმის კონტექსტში აუცილებელია, რა თქმა უნდა, არა კონსტიტუციის,

არამედ პარლამენტის რეგლამენტის დონეზე განსაზღვრა, რომ საკანონმდებლო წინადადება არ უნდა იწვევდეს კონსტიტუციის გადასინჯვის საჭიროებას.

## 12. დასკვნა

მოცემულ ნაშრომში განვიხილეთ 2017 წელს განხორციელებული საქართველოს კონსტიტუციის რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი.

კვლევის ფარგლებში მიმოვიხილეთ და შევაფასეთ კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი მექანიზმის დამოკიდებულება მუდმივი ნორმების არსებობის მიმართ, კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა, კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორ სუბიექტთა წრე, ასევე ვიმსჯელოთ რეფორმის დამოკიდებულებაზე კონსტიტუციის ნაწილობრივი და ზოგადი გადასინჯვის საკითხთან დაკავშირებით, შევხებით კონსტიტუციის გადასინჯვის ვადებს, ვიმსჯელოთ კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი მოდელის საწყისების პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე, ნაშრომის მსვლელობისას ასევე შევხებით კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი მექანიზმის ისეთ პროცედურულ საკითხებს, რომელთა მართებულად ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა აქვს გადასინჯვის მექანიზმის საბოლოო ეფექტიანობისათვის. ყოველივე აღნიშნულის შეჯამების სახით წარმოგიდგენთ დასკვნას, რომელიც ერთობლიობაში შეაფასებს კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი ფორმის ეფექტურობას.

- აუცილებლად მიმაჩნია, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, სათანადო ყურადღება უნდა დათმობოდა მუდმივი ნორმების საქართველოს კონსტიტუციაში დამკვიდრებას, ვფიქრობ, მუდმივი ნორმები საქართველოს კონსტიტუციაში გააჩენს ერთგვარ „შუქურას“, რომელიც იქნება, როგორც მნიშვნელოვანი დეკლარაციული, ასევე სამართლებრივი ფუნქციის მატარებელი;
- აუცილებელია, კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმში საკონსტიტუციო კონტროლის ჩართვა, ეს პროცედურა გადასინჯვის უკიდურესად პოლიტიკურ, დესტრუქციულ ფონს გადაიყვანს სამართლებრივ, კონსტრუქციულ რელსებზე, ეროვნული გამოცდილებიდან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ ეს უკანასკნელი საქართველოს კონსტიტუციას აუცილებლად სჭირდება;
- 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ, განსხვავებით წინა რეფორმებისა, მოაგვარა კონსტიტუციის გაუგებარი ნაწილობრივი და ზოგადი გადასინჯვის საკითხი, კონსტიტუციის 77-ე მუხლის ტექსტში აღარ მოიპოვება კონსტიტუციის, გადასინჯვის ფორმები. რეფორმის ეს მიდგომა უნდა შეფასდეს დადებითად. ამ ცვლილებამ ერთხელ და სამუდამოდ მოსპო სპეკულაციების და გაუგებრობების შესაძლებლობა.
- კონსტიტუციის ტექსტში კონსტიტუციის პროექტის ინიცირებიდან განხილვის დაწყებამდე გონივრული ვადის არსებობა ხელს უწყობს კონსტიტუციის „მორგების“ ტენდენციის აღკვეთას და, უდავოდ, აჯანსაღებს პროცესს. აუცილებლად მიმაჩნია, საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირებიდან მისი განხილვის დაწყებამდე არსებობდეს გონივრული ვადა (მაგალითად, ხუთი თვე);

- კონსტიტუციის გადასინჯვის შუალედში საპარლამენტო არჩევნების ჩართვა კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესს სათანადო სიმყარეს სძენს, რომელიც ნამდვილად აკლდა საქართველოს კონსტიტუციას, ამასთანავე, ამ ცვლილებით კონსტიტუციის გადასინჯვა იძენს უკიდურესად მწვავე პოლიტიკურ ხასიათს. კონსტიტუციის გადასინჯვის ბედი დამოკიდებული იქნება ამომრჩევლის პოლიტიკურ სიმპათიებზე და არა უშუალოდ კონსტიტუციის ცვლილებაზე (თუ, რა თქმა უნდა, ცვლილება არ ეხება საზოგადოებისთვის მეტად მგრძობიარე საკითხებს, მაგ.: ერთნაირ სქესიანთა ქორწინება; გადასახადების საკითხი და სხვა). ეს გარემოება კიდევ უფრო მოითხოვს, რომ გადასინჯვის პროცესში პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის სახით ჩაერთოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;
- გაუმართლებლად მიმაჩნია, კონსტიტუციის გადასინჯვის გამარტივებული წესის არსებობა, რადგანაც ის აზრს უკარგავს „სკანდინავიურ“ მოდელზე გადასვლას. კონსტიტუციის გადასინჯვის გამარტივებული წესის არსებობა არ მართლდება არც შესაძლო განსაკუთრებული ვითარების არსებობის არგუმენტით, რადგანაც ერთადერთი შესაძლო განსაკუთრებული მდგომარეობა თავადვე ასახულია კონსტიტუციაში, რომელიც უკავშირდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას;
- სწორად უნდა დარეგულირდეს საქართველოს კონსტიტუციის კანონპროექტის განხილვის საკითხები ძველი და ახალი მოწვევის პარლამენტებს შორის, მიმაჩნია, რომ ახალი მოწვევის პარლამენტმა კონსტიტუციის პროექტში ცვლილებების შეტანის უფლების გარეშე ან უნდა მიიღოს კონსტიტუციის კანონპროექტი, ან არა.

ზემოთ გამოტანილი დასკვნების მიხედვით უნდა ითქვას, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი ფორმა ნამდვილად ფართო მასშტაბიანი სიახლეა ქართულ კონსტიტუციონალიზმში, მაგრამ ის ვერ შეფასდება დადებითად. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის ახალ ფორმაში ბევრი პოზიტიური და მისასალმებელი სიახლეა ჩადებული, „გამარტივებული გადასინჯვის“ მექანიზმის არსებობა (77-ე მუხლის მე-4 პუნქტი) ყველაფერს თავდაყირა აყენებს. მოცემული საშუალება საქართველოს კონსტიტუციას დაუცველს ტოვებს უმრავლესობის ვნებების მიმართ, მართო მაღალი კვორუმის არსებობა ვერ იქნება კონსტიტუციის სიმყარის გარანტი.

მიუხედავად წინა აბზაცში გამოთქმული პოზიციისა, მიმაჩნია, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი ფორმის დახვეწა შესაძლებელია, რის შედეგადაც მივიღებთ გადასინჯვის გამართულ, დაბალანსებულ და სამართლიან მექანიზმს.



## კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მოდელების შედარებითი ანალიზი მოდერნული კონსტიტუციის ნარკვევებიდან

### აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში მოდერნული კონსტიტუციისა და საჯარო ხელისუფლების ბუნების განმსაზღვრელი კრიტერიუმების ფონზე განხილულია კონსტიტუციის კონტროლის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მოდელების ძირითადი მახასიათებლები. „სპონტანური წესრიგის“ დოქტრინისა და კონსტიტუციის ინტერპრეტაციის ტიპის „ჩარჩოს ორიგინალიზმით“ გაკრიტიკებულია პროფესორ სტოუნ სვითის მიერ გამოთქმული მოსაზრება დეცენტრალიზებულ მოდელებში, კონსტიტუციური კონტროლის წმინდად სამართლებრივი ბუნების შესახებ. ცენტრალიზებული მოდელებისთვის დამახასიათებელი Erga Omnes ეფექტი და მონოპოლია კონსტიტუციის ინტერპრეტაციაზე მიჩნეულია, როგორც მოდერნული კონსტიტუციისგან შექმნილ სემანტიკურ სისტემასთან ჰარმონიაში მყოფი ინსტიტუტები. დეცენტრალიზებული მოდელი წარმოდგენილია როგორც სამართლებრივი სისტემის მყოფე ბუნებაზე აპელირება და მოდერნული კონსტიტუციის რიგი მახასიათებლებისგან გადახვევა. ნაშრომს ლაიტმოტივად გასდევს ის იდეა, რომ კონსტიტუციური კონტროლის მოდელთა თავისთავადი დადებითი ან უარყოფითი შეფასება არარელევანტურია და რომ სოციალური კონსტრუქციის ფუნქციონირებისგან გამოწვეული დესტრუქციული ეფექტების არარსებობა მის სრულყოფილებას არ ნიშნავს.

### 1. წინასიტყვაობა

სამართალი საჯარო ხელისუფლების განხორციელების ექსკლუზიური ფორმაა, ხოლო მოდერნული კონსტიტუცია, ნორმატიული გაგებით, შეიძლება განვსაზღვროთ როგორც სახელმწიფოში მოქმედი სამართლის ჩარჩო. ვინაიდან ნორმატიული განზომილება არსებითად ფიქციური მოცემულობაა, რომლის ფარგლებშიც მოვლენები უნდა მოვარგოთ ცნებებს და არა ცნებები მოვლენებს, ნებისმიერი სოციალური კონსტრუქცია საჭიროებს სისტემურ-ლოგიკურ და სემანტიკურ გამართულობას. ნაშრომის მიზანია მოდერნული კონსტიტუციის

ძირეული მახასიათებლების ფონზე განიხილოს და შეაფასოს კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მოდელების უმთავრესი განმასხვავებელი ნიშნები, განსაზღვროს, თუ უფრო თანმიმდევრულად რომელი მოდელი ერგება მოდერნული კონსტიტუციის ფარგლებში განხორციელებული საჯარო ხელისუფლების ბუნებას, კონსტიტუციის ინტერპრეტაციის წამყვან ტიპებსა და ზოგად სისტემურ ლოგიკას. ნაშრომში განვითარებული არგუმენტაცია არ ემსახურება კონსტიტუციური კონტროლის მოდელების თავისთავად დადებით ან უარყოფით (ნებისმიერი კრიტერიუმით) შეფასებას, არამედ მისი მიზანია მათი ერთიან შინაარსობრივ ჭრილში წარმოდგენა და მათში მოაზრებული საკითხების/ქვესაკითხების კონტექსტუალურ რანჟირება.

## 2. მოდერნული კონსტიტუცია

შეუძლებელია მოდერნული კონსტიტუციის არსებობაზე ვისაუბროთ იქ, სადაც ფაქტობრივ კონსტიტუციაში<sup>1</sup> არსებულ სოციალურ თუ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებში სამართლის უზენაესობის დოქტრინა არ არის გასიგრძელებული. სამართლის უზენაესობის პრინციპი მეტა-სამართლებრივი იდეალია - ამ ცნებას თითქმის ვერასდროს გადავეყრებით სახელმწიფოთა კონსტიტუციებსა თუ ორგანულ კანონებში.<sup>2</sup> ეს შემთხვევითი არაა, ვინაიდან თავად კანონთა ერთობლიობა, მათი ბუნება განისაზღვრება კანონის უზენაესობის დოქტრინით და, ამდენად, მისი კანონში მოხსენიება კერძოს მიერ ზოგადის განმარტების (ან თავის თავში მოაზრებას) მცდელობას ჰგავს, რაც პრინციპულად გაუმართლებელია. კანონის უზენაესობის პირობებში საჯარო ხელისუფლება უნდა ეფუძნებოდეს, ხორციელდებოდეს და იზღუდებოდეს სამართლის მიერ, თუმცა ნიშანდობლივია ისიც, რომ კანონის უზენაესობა არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ კანონების საფუძველზე მმართველობას. კანონის ფარგლებში ქცევის წესის ეფექტური აღსრულებადობა სამართლის უზენაესობის დოქტრინისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი კრიტერიუმია. საჭიროა არა უბრალოდ კანონებით, არამედ ჯერარსულად გამართლებული კანონებით მმართველობა, ვინაიდან ფორმალური თვალსაზრისით, ავტორიტეტულ მმართველსაც შეუძლია საკუთარი ტირანული ძალის პროექცია დაუქვემდებაროს სამართლებრივ ნორმებს, არ დაუშვას სამართლებრივ ნორმებს მიღმა ხელისუფლების განხორციელება. ყოველივე ეს კი a-priori მის შეზღუდულობას (რაც ერთ-ერთი კრიტერიუმია) არ გულისხმობს, საჭიროა გარკვეული მორალურ-შინაარსობრივი კრიტერიუმების შეტანა თავად სამართლებრივ სისტემაში. სწორედ მსგავსი კრიტერიუმების განსაზღვრის ფარგლებს წარმოადგენს პროფესორ გრიმის მიერ დასახული მოდერნული კონსტიტუციის მახასიათებლები:

1. კონსტიტუცია სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა და არა ფილოსოფიური კონსტრუქცია. ნორმები კი პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგად იქმნება;
2. კონსტიტუციურ ნორმათა მიზანია საჯარო ხელისუფლების ორგანიზება;

<sup>1</sup> ფაქტობრივი კონსტიტუცია - რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძვლებს (ზაზა რუხაძე; საქართველოს კონსტიტუციური სამართალი თავი 4).

<sup>2</sup> ჯ.ჰარტი, *safeguard of individual liberty*, ტეხასის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2002 წ. გვერდი 313.



3. კონსტიტუციური მოწესრიგება აბსოლუტურია, იგი არ ცნობს ექსტრასამართლებრივ ან სუპრასამართლებრივ მოწესრიგებას;
4. კონსტიტუციური სამართალი იერარქიულად უზენაესია;
5. კონსტიტუციის ლეგიტიმაციის წყაროა ხალხი.<sup>3</sup>

ამდენად, მოდერნული კონსტიტუცია პრემოდერნულისგან განსხვავებით უნდა გავიაზროთ არა აღწერილობით, არამედ განმსაზღვრელ კატეგორიაში, ხოლო პროფესორ გრიმის მეხუთე კრიტერიუმი ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ მოდერნულმა კონსტიტუციამ სამართალი გახადა რეფლექსური<sup>4</sup>. ერთი მხრივ, იგი გამომდინარეობს ხელისუფლებისგან და მიემართება ხალხს, მეორე მხრივ, გამომდინარეობს ხალხისგან და მიემართება ხელისუფლებას. მიმაჩნია, რომ ცენტრალიზებული კონსტიტუციური კონტროლის პერსპექტივიდან ზემოაღნიშნულ ურთიერთმიმართებას ემატება მესამე განზომილება - გამომდინარეობს ინდივიდისგან და მიემართება ხალხს, თუმცა ამაზე უფრო ვრცელი მსჯელობა ნაშრომის შემდგომ თავებში შეგიძლიათ იხილოთ.

მოდერნული კონსტიტუცია დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის ორგანულ შემადგენელ ნაწილად იქცა, რასაც აკადემიურ წრეებში პრაქტიკულ-ფუნქციონალურის გარდა სემანტიკური ეფექტებიც მოჰყვა. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს პროფესორ ვოლტერ მერფის მიერ განმარტებული დემოკრატიის ცნება: „დემოკრატია ბალანსია უმრავლესობის მმართველობასა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს შორის.“<sup>5</sup>

ნებისმიერი ნორმატიულად გამართლებული პოლიტიკური თუ სამართლებრივი პროცესი, დემოკრატიული ინსტიტუტების საქმიანობა სწორედ რომ ზემოაღნიშნული „ბალანსირების“ შეუქცევადი მცდელობა უნდა იყოს, თუმცა ამ კუთხით მოვლენათა ავანგარდში მაინც კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ინსტიტუტი დგას. ამდენად, კონტრმაჟორიტარული დილემა სულაც არ წარმოადგენს „დილემას“ იმ გაგებით, რომ ის ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიღახოს, პირიქით, მოდერნული კონსტიტუციის ფარგლებში სამართლებრივი ძალის კონტრ,მაჟორიტარული პროექცია შეუქცევადი მოცემულობაა, მისი გადაღახვა ბალანსირებაზე უარის თქმის ტოლფასია.

კონსტიტუციური კონტროლის გამამართლებელ ერთ-ერთ სუბსტანციურ არგუმენტს, ინდივიდის (გნებავთ უმცირესობის) უფლებების დაცვის გარდა, წარმოადგენს ისიც, რომ კონსტიტუცია საზოგადოების „ფუნდამენტური ხედვაა“, ხოლო ყოველდღიური პოლიტიკური აქტების მიმართ არსებობს გონივრული პრეზუმფცია იმის თაობაზე, რომ ისინი უფრო ვიწრო პერსპექტივაზე მორგებული მიზნების განხორციელებას ემსახურება. ამ საკითხთან დაკავშირებით რელევანტურია ბრიუს აკერმანის მიერ შემუშავებული დოქტრინა - „დუალიზმი და უმაღლესი პოლიტიკა.“<sup>6</sup> იგი სახელმწიფოში არსებულ პოლიტიკურ პროცესებს ყოფს ორად: (1) უბრალო პოლიტიკა და (2) კონსტიტუციური პოლიტიკა. უბრალო პოლიტიკას, რომე-

<sup>3</sup> დ.გრიმი, *Types of Constitution*, ოქსფორდის სამართლის სკოლის გამომცემლობა 2012 წ. გვერდი 104.

<sup>4</sup> დ.გრიმი, *Types of Constitution*, გვერდი 174.

<sup>5</sup> ვ.მერფი, *Constitution, Constitutionalism and Democracy*, სასწავლო ასოციაციის ამერიკული საბჭოს გამომცემლობა, 1998 წ.

<sup>6</sup> ბ.აკერმანი, *Abstract democracy: A Review Of Ackerman's We The People*, ჰარვარდის უნივერსიტეტის პრესა, 1991 წ. გვერდი 312.

ლიც ყოველდღიური რუტინის შემადგენელი ნაწილია, წარმართავენ სახელმწიფო მესვეურები, ბიუროკრატები, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში საკუთარი ვიწრო მიზნები გააჩნიათ, ხოლო კონსტიტუციური (იგივე უმაღლესი) პოლიტიკა სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორიული ღერძის მცირე მონაკვეთებში პერიოდულად იჩენს თავს, მაგალითად: მოსახლეობის მობილიზება კონსტიტუციური რეჟიმის ცვლილების, კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის, ღირსშესანიშნავ საკითხებზე რეფერენდუმის ჩატარების დროს. ამ დროს როგორც ამომრჩევლის, ასევე ხელისუფლების მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ექვემდებარება საყოველთაო განსჯას, აწონ-დაწონილ მოქმედებას, საზოგადოება საკუთარ თავს კონსტიტუციური ღირებულებების ფონზე „ფუნდამენტურად“ აფასებს. აკერმანს მიაჩნია, რომ „უმაღლესი პოლიტიკის“ პერიოდულობისგან ჩვეულებრივ პოლიტიკაში შექმნილი დეფიციტი უნდა „ამოივსოს“ კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ინსტიტუტისგან, რომელიც სახელმწიფოებრიობის „ფუნდამენტურ ხედვას“ მოარგებს ყოველდღიურად მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

### 3. ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მოდელები

კონსტიტუციური კონტროლის დეცენტრალიზებული მოდელი კონკრეტული კონტროლით ხასიათდება საერთო სასამართლოებში, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მოსამართლეებმა შესაძლოა ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის მოქმედება შეაჩერონ დავის კონკრეტული მხარის მიმართ, თუკი დადგინდა, რომ იგი წინააღმდეგობაში მოდის ამ მხარის კონსტიტუციურ რანგში აყვანილ უფლებასთან. ცენტრალიზებულ მოდელში საერთო სამართლის სისტემისგან გამიჯნული საკონსტრუქციო სასამართლო აბსტრაქტულად განიხილავს ნორმების კონსტიტუციურობას. აბსტრაქტული კონტროლი შესაძლოა დახასიათდეს როგორც „ნორმატკონტროლი“ ან პრევენციული კონტროლი. მას აქვს ტექსტუალური განზომილება, რაც გულისხმობს იმას, რომ საერთო სასამართლოებში წარმოებული სამართლებრივი დავა არ არის აუცილებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობისთვის. გარდა ამისა, მიღებული გადაწყვეტილება ინკორპორირდება მთლიან სამართლებრივ სისტემაში და მბოჭავია ყველასთვის Erga Omne-ს ეფექტი. დეცენტრალიზებული მოდელის შემთხვევაში Erga Omne-ს დეფიციტის კომპენსაცია ხდება პრეცედენტული სამართლის პრინციპის წყალობით.<sup>7</sup> მართალია, განსხვავებული დოქტრინალური ჩარჩოს არსებობა პირდაპირ კორელაციაში არ არის იმგვარ თვალსაჩინო ეფექტებზე, როგორებიცაა სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ხარისხი, ორივე მოდელი მთელ რიგ ქვეყნებში წარმატებით ახორციელებს თავის ფუნქციას, თუმცა ამა თუ იმ ინსტიტუტის დოქტრინალური ჩარჩოს ანალიზი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უნდა დავადგინოთ, რომელი მათგანი შეესაბამება მოდერნული კონსტიტუციის ბუნებასა და მის ფარგლებში არსებულ სისტემურ ლოგიკას.

<sup>7</sup> გ.ფერნანდესი, Comparative Constitutional Law: Judicial review, პენსილვანიის უნივერსიტეტის კონსტიტუციური სამართალში, გვერდი 979.

პროფესორ გრიმის მესამე პრინციპის თანახმად: „კონსტიტუციური მოწესრიგება აბსოლუტურია, იგი არ ცნობს ექსტრასამართლებრივ ან სუპრასამართლებრივ მოწესრიგებას“.

მაშინ, როდესაც მოსამართლე ჯონ მარშალმა საქმეში „Marbury vs Madison“<sup>8</sup> ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება მიიღო და ამერიკის შეერთებულ შტატებში სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურ კონტროლს დაუდო სათავე, კონსტიტუციაში ერთი სიტყვაც კი არ იყო ნახსენები კონსტიტუციური კონტროლის ინსტიტუტზე. მიმაჩნია რომ, თუმცა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უამრავი დადებითი პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესის ქვაკუთხედიცაა, არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ მსოფლიოს მასშტაბებით, სახეზეა სახელისუფლებო ძალის ექსტრასამართლებრივი პროექცია. ამ მოსაზრების საპასუხოდ წამოჭრილი სპონტანური კრიტიკა შეიძლება ეფუძნებოდეს იმ არგუმენტს, რომ მოსამართლე ჯონ მარშალის გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციისა და დემოკრატიული სახელმწიფოს მიზნებს, პირიქით - ემსახურებოდა სტაბილური სოციო-პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებას და პროცესების პოლიტიკური ჩიხიდან გამოყვანას. შესაძლოა, აბსოლუტურად დავეთანხმოთ მიღებული შედეგების ღირებულების შესახებ მსჯელობას, თუმცა მიმაჩნია, რომ მსგავსი იდეათა წყება ხისტი კონსერვატივიზმია,<sup>9</sup> რაც ნორმატიული რეალობის სისტემურ ლოგიკასთან მოდის წინააღმდეგობაში. ის ფაქტი, რომ ხელისუფალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზიანს არავის აყენებს (ან მეტიც, აუმჯობესებს მდგომარეობას) ვერ იქნება მისი ლეგიტიმურობის მტკიცების საფუძველი, ვინაიდან კანონის უზენაესობის ფარგლებში ხელისუფლების ყოველი ქმედება განპირობებულია პრინციპით: „ყველაფერი, რაც დაშვებული არაა აკრძალულია“. შესაბამისად, ამერიკის შეერთებულ შტატებში კონსტიტუციური კონტროლი კანონიერების პრინციპისგან გვერდის ავლით, ექსტრასამართლებრივად განხორციელდა. ამდენად, სახეზეა პროფესორ გრიმის დასახელებული მესამე კრიტერიუმის დარღვევა. აშშ-ის შემთხვევაში სახელმწიფოს კონსტიტუციური ორგანიზება სულაც არ გამოდგა აბსოლუტური, საქმეში „Marbury vs Madison“ მოსამართლე ჯონ მარშალმა მიაგნო ექსტრასამართლებრივ „ნაპრალს“. ეს სულაც არ აკნინებს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციურსამართლებრივ სისტემას, სულ მცირე, ორი არგუმენტის გამო (1), მიუხედავად იმისა, რომ მოდერნულ კონსტიტუციაზე მსჯელობისას ამ ნაშრომის თარგმან და ზღვარიც სწორედ ესაა, პროფესორი გრიმის მიერ დასახული კრიტერიუმები არ წარმოადგენს აქსიომას და კონცეპტუალურად არაფერი გამორიცხავს მათ შესახებ განსხვავებული აზრის არსებობას. (2) კონსტიტუციური კონტროლის ინსტიტუტის მსგავს წარმოშობას შეიძლება მოვუძებნოთ სხვა სახის სისტემური გამართლება „სპონტანური წესრიგის“ დოქტრინაზე დაყრდნობით.

ფრიდრიხ ჰაიეკის ეპისტემოლოგიური არგუმენტის თანახმად: „ცოდნა გადანაწილებულია საზოგადოებაში, ხოლო სამართლებრივი წესი უნდა იყოს ზოგადი, რათა ინდივიდმა საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით შეძლოს საკუთარი ცხოვრების დაგეგმვა.“<sup>10</sup>

<sup>8</sup> აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლო, N137, „Marbury V Madison“ 1803 წ.

<sup>9</sup> ს. ამსტრონგი, *Consequentialism*, სტენფორდის ფილოსოფიის ენციკლოპედია, 2015 წ.

<sup>10</sup> ფ. ჰაიეკი, *Law, Commands, And Order*, გამომცემლობა როუტლეჯი & კევანი, 2010 წ. გვ. 218.

„გადანაწილებული ცოდნის“ იდეას ჰაიეკი არა მხოლოდ სამართლებრივი ნორმის „ზოგადობის“ მოთხოვნას არგებს, არამედ სპონტანური წესრიგის იდეას უკავშირებს და მიიჩნევს, რომ სწორედ მოსამართლეა სპონტანური წესრიგის ინსტიტუტი. მის მიერ განვითარებული არგუმენტაციის თანახმად: ფაქტობრივი გარემოებები მუდმივად იცვლება, კანონმდებელი კი, მიუხედავად მცდელობისა, წინასწარ ვერასდროს განსაზღვრავს იმგვარ ქცევის წესს, რომელიც სამართლიანად და კანონიერად ერგება შექმნილ ვითარებას. ასეთ დროს სწორედ მოსამართლეს აკისრია ერთგვარი „სტაბილიზატორის“ ანუ სპონტანური წესრიგის მარეალიზებელი ხელისუფალის ფუნქცია. ჰაიეკის მიხედვით, მოსამართლე არ არის დანიშნული მოხელე ან ზედამხედველი, რომელიც თვალყურს ადევნებს სამართლებრივი ნორმების აღსრულებადობას, მისი პირველადი ფუნქცია სპონტანური წესრიგის დაფიქსირება და იმ პრინციპების რეალიზებაა, რომლებიც ნორმას დაედო საფუძვლად.<sup>11</sup> ამ პერსპექტივის თანახმად, სამართლებრივი წესი არ არის წანამძღვარი, რომლისგანაც დანაკვის სახით გამომდინარეობს მოსამართლის გადაწყვეტილება, მას აკლია მოსამართლის მიერ განვითარებული, პრეცედენტულ სამართალში დამკვიდრებული „Ratio Decidendi“.<sup>12</sup> მოსამართლე Ratio Decidendi-ს განვითარების დროს ნორმის შემოქმედი ან, სულ მცირე, მისი სრულყოფილი ხდება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი მოსამართლე ჯონ მარშალის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაშიც.

ცენტრალიზებული კონსტიტუციური კონტროლის შემთხვევაში სულაც არ გვიწევს რაიმე სახის ირიბი ან შორსმიმავალი არგუმენტაციით ამ ინსტიტუტის სისტემური გამართლება. მისი დაფუძნება იმთავითვე უკავშირდება პოლიტიკური ძალის მიერ კონსტიტუციაში (უმეტესად წერილობით) გამოვლენილ ნებას, მისთვის ექსკლუზიური კონსტიტუციური სივრცის გამოყოფის თაობაზე და, ამდენად, გარდა მესამე კრიტერიუმისა, სახეზეა პირველი კრიტერიუმიც: *კონსტიტუცია სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა და არა ფილოსოფიური კონსტრუქცია. ნორმები კი პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგად იქმნება.*

თავის მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოშობილი კონსტიტუციური კონტროლის დეცენტრალიზებული მოდელის გასამართლებლად უფრო უპრიანია კონსტიტუციის როგორც „ფილოსოფიური კონსტრუქციის“ წარმოდგენა, ვიდრე მხოლოდ „სამართლებრივი ნორმების ერთობლიობის“, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც ერთი სამართლებრივი ნორმა არ მიანიშნებდა კონსტიტუციური კონტროლის ინსტიტუტზე.

#### 4. ERGA OMNES ეფექტი და ნებატიური კანონმდებელი

კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებულ მოდელში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს აქვთ მონოპოლია კონსტიტუციის საბოლოო ინტერპრეტაციაზე, ხოლო Erga Omnes ეფექტი გულისხმობს იმას, რომ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოდ მხო-

<sup>11</sup> ფ. ჰაიეკი, *Law, Commands, And Order*, გამომცემლობა როუტლეჯი & კევანი, 2010 წ. გვ. 95.

<sup>12</sup> დ. ლამბერტი, *Ratio Decidendi*, კენტუკის შტატის სამართლის გამომცემლობა, 1963 წ. გვ. 689.

ჭავია მთლიან სამართლებრივ სისტემაში.<sup>13</sup> კელზენმა, რომელიც კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებული მოდელის ფუძემდებლად ითვლება, ამ ინსტიტუტს „ნეგატიური კანონმდებელი“ უწოდა და სრულიად მართებულადაც. *Erga Omnes* ეფექტი საკონსტიტუციო სასამართლოს „ქირურგიული ჩარევის“ ლეგიტიმურობის გარანტია. კონსტიტუციით დაშვებული, კონსტიტუციის საბოლოო და მბოჭავი ინტერპრეტაციაც სამართლებრივი აქტია, რომელიც სამართლებრივ ნორმათა იერარქიულ სისტემაში უზენაესია, ვინაიდან სწორედ მისი დახმარებით ხდება კონსტიტუცია „ცოცხალი ინსტრუმენტი“. მსგავსი ინსტიტუციონალური მოწესრიგება მთლიანად აკმაყოფილებს პროფესორი გრიმის მიერ მოდერნული კონსტიტუციის განმსაზღვრელ მესამე კრიტერიუმს - „კონსტიტუციური მოწესრიგება აბსოლუტურია“ - კონსტიტუციის ინტერპრეტაციაც კონსტიტუციური მოწესრიგების ფორმაა, რომელიც არა მხოლოდ ცენტრალიზებული, არამედ დეცენტრალიზებული მოდელისთვისაც არის დამახასიათებელი. ვერავინ უარყოფს, რომ კონსტიტუციური კონტროლის დეცენტრალიზებულ მოდელში მოსამართლის მიერ კონკრეტული კონტროლის განხორციელებისას კონსტიტუციის ინტერპრეტაცია კონსტიტუციური მოწესრიგების დეკლარირებული ფორმაა, ვინაიდან იგი სამართლებრივი დავების მონაწილეთათვის მბოჭავია, თუმცა ის არ წარმოადგენს „აბსოლუტურ მოწესრიგებას“. მართალია, პრეცედენტული სამართლის დოქტრინით მას შეიძლება „აბსოლუტური მოწესრიგების“ ეფექტი მიეცეს, მაგრამ ეს არის არა კონსტიტუციის ინტერპრეტაცია, როგორც ერთი სამართლებრივი აქტი, არამედ როგორც მრავალი აქტის ერთობლიობა. ამრიგად, დეცენტრალიზებულ მოდელში „ქირურგიული ჩარევა“ ვერ ჩაითვლება აბსოლუტური მოწესრიგების შემთხვევად, ვინაიდან ერთიანი სტანდარტის შესანარჩუნებლად საჭიროა შეუქცევადად განხორციელდეს მსგავსი ტიპის „ქირურგიული ჩარევა“, ეს კი სისტემის სიმყიფესა და მისი „ხელოვნურად“ შენარჩუნების მუდმივ საჭიროებაზე მეტყველებს.

კელზენმა მართებულად განჭვრიტა ისიც, რომ კონსტიტუციური კონტროლის პროცესში ადამიანის ბუნებითი უფლებების განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოს „პოზიტიურ კანონმდებლადაც“ აქცევდა.<sup>14</sup> აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მერ 1975 წელს მიღებული გადაწყვეტილება.<sup>15</sup> გადაწყვეტილება არა მხოლოდ იმას მიუთითებდა, რომ კანონები, რომლებიც ახდენდნენ აბორტის ლიბერალიზაციას არაკონსტიტუციური იყო (ნეგატიური კანონმდებლობა), არამედ მოსამართლემ უშუალოდ მიუთითა იმ საკანონმდებლო ნაბიჯებზე, რომელთა გადადგმაც აუცილებელი იყო იმისთვის, რომ მოცემულ სფეროში ქცევის წესი კონსტიტუციური მოთხოვნების მიხედვით დარეგულირებულიყო: „უკიდურეს შემთხვევაში, თუკი კონსტიტუციით გარანტირებული სიცოცხლის უფლება სხვა გზით ვერ იქნება რეალიზებული, კანონმდებელი ვალდებულია, სისხლის სამართლით დაიცვას სიცოცხლის განვითარების უფლება.“<sup>16</sup>

ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ინსტიტუტის იურისდიქციის ნეგატიური ან პოზიტიური

<sup>13</sup> გ. ანდრადე, *Judicial Review*, პენსილვანიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011 წ. გვ. 980.

<sup>14</sup> ს. სვითი, *საკონსტიტუციო სასამართლოები*, ნიუ იორკის პრესა, 2010 წ. გვ. 6.

<sup>15</sup> გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო, N39, „Does the reformed abortion statute violate the right to life of life developing in the mother's womb?“ 1975 წ.

<sup>16</sup> იქვე. თავი 3, პარაგრაფი 2.

წესით გავრცელება ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევაა. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი კანონის უზენაესობის იმანენტური მახასიათებელია, ხოლო, თავის მხრივ, კანონის უზენაესობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოდერნული კონსტიტუციის ფუნდამენტია. ამრიგად, სრულიად ლეგიტიმურად შეიძლება წარმოიშვას შემდეგი საკითხი: სახეზეა თუ არა ჯაჭვური რეაქცია? კონსტიტუციური კონტროლის ნეგატიური/პოზიტიური კანონმდებლობის წესით გავრცელება ეწინააღმდეგება თუ არა მოდერნული კონსტიტუციის მოთხოვნებს?

ხელისუფლების დანაწილების დოქტრინა ორ უმთავრეს ბაზისს ეფუძნება: (1) ფუნქციური სპეციალიზაცია და (2) შემაკავებელი და გამაწონასწორებელი მექანიზმები.<sup>17</sup> ნაშრომის წინა თავებში უკვე აღვნიშნე, რომ კონსტიტუციური კონტროლის ინსტიტუტი შეგვიძლია ერთგვარ „სტაბილიზატორის“ ფუნქციის მქონე ორგანოდ წარმოვიდგინოთ. იგი აწესრიგებს სამართალში პოლიტიკური ძალის პროექციისგან შექმნილ ბუნებრივ დისონანსს. ამასთან, არაბუსტია იმის დაშვება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ და მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს იურისდიქციაში იჭრება, ვინაიდან თავად აღმასრულებელ ხელისუფლებასაც, საკანონმდებლო ორგანოსგან აქვს დელეგირებული კანონშემოქმედების ფუნქცია (კანონქვემდებარე აქტები). ამდენად, შესაძლოა, არსებობდეს პრეზუმფცია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს, არამედ აღმასრულებელი ორგანოს იურისდიქციაშიც იჭრება, თუმცა შესაძლოა თუ არა მსგავსი პრეზუმფციის გამართლებას ჰქონდეს გონივრული საფუძველი? დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ - არა. ფუნქციური სპეციალიზაციის მოთხოვნის დარღვევა a-priori არ მიანიშნებს ხელისუფლების დანაწილების დოქტრინისთვის გვერდის ავლას. ფუნქციალური კვეთა სხვადასხვა შტოსა თუ ინსტიტუტს შორის აუცილებელია იმდენად, რამდენადაც სისტემაში მოხდეს შემაკავებელი და გამაწონასწორებელი მექანიზმების ინკორპორირება. შემაკავებელი და გამაწონასწორებელი მექანიზმების ეფექტურობა გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლების შტოები ერთმანეთისგან იზოლირებულნი კი არ უნდა იყვნენ, არამედ საჭიროების შემთხვევაში ფუნქციურადაც კი გადაკვეთონ ერთმანეთი მთლიანი სისტემის გამართული მუშაობისთვის. ამდენად, კონსტიტუციური კონტროლის არსებობა ხელისუფლების დანაწილების დოქტრინის დელიმინაცია კი არა, მისი რეალიზებაა. ამ ეტაპისთვის, ნაშრომის ფარგლებში განვითარებული არგუმენტაციის ხასიათი მოითხოვს, რომ დავსვათ კითხები, რომლებზე პასუხის გაცემასაც შემდეგ თავში შევეცდები: რა სტატუსის ქვეშ აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს „სტაბილიზატორის“ ფუნქცია, წარმოადგენს კი ის ხელისუფლების რომელიმე შტოს? რა ხდება დეცენტრალიზებული მოდელის შემთხვევაში? შესაძლებელია, რომ კონსტიტუციური კონტროლი წმინდად სამართლებრივ განზომილებაში განხორციელდეს?

<sup>17</sup> ჯ.მარტინეზი, *Horizontal Structuring*, ოქსფორდის შედარებითი კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, 2012 წ. გვ.გვ. 547-575.

## 5. კონსტიტუციური კონტროლის სტატუსი

პროფესორი სტოუნ სვითის მიერ გაჟღერებული მოსაზრების თანახმად, კონსტიტუციური კონტროლის დეცენტრალიზებული მოდელი მართლმსაჯულების განხორციელებისგან გამიჯვნადი არ არის, ხოლო მართლმსაჯულების განხორციელება გულისხმობს სამართლებრივ სისტემაში არსებული ნორმების სუბსუმირებას ფაქტობრივ გარემოებებზე - მათი აღსრულების უზრუნველყოფას.<sup>18</sup> კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებულ მოდელს კი იგი განსაზღვრავს როგორც გარდამავალ ეტაპს სამართლებრივ და პოლიტიკურ განზომილებებს შორის.

დეცენტრალიზებული მოდელის მსგავსი შეფასება გარდა იმისა, რომ უგულებელყოფს ზემოაღნიშნულ „სპონტანური წესრიგის“ დოქტრინას და მოსამართლის სამართალ-შემოქმედების ფუნქციის სრულ დელიმინაციას ახდენს, კონსტიტუციის ინტერპრეტაციას ვიწრო კატეგორიაში „ცათამბჯენურ ორიგინალიზმში“ აქცევს. „ცათამბჯენური ორიგინალიზმი“ კონსტიტუციის ინტერპრეტაციის ერთ-ერთი სახეა, რომელიც კონსტიტუციას დასრულებულ პროდუქტად განიხილავს, ის მხოლოდ და მხოლოდ ითვალისწინებს საკანონმდებლო ორგანოს მიერ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, მაგრამ არა მოსამართლეთა მიერ კონსტიტუციის კონსტრუქციას, ახალი ნორმატიული შინაარსით წაკითხვას ან სისტემაში არსებული ცარიელი სივრცეების შევსებას. ინტერპრეტაციის ამ მოდელის თანახმად, მოსამართლე კონსტიტუციური ნორმების შესახებ ვერაფერს ახალს ვერ იტყვის, მათ შორის ვერც ფაქტობრივ გარემოებებთან სუბსუმირების დროსაც.<sup>19</sup>

„ცათამბჯენურ ორიგინალიზმს“ დღესდღეობით მხოლოდ თეორიულკატეგორიული დატვირთვა აქვს და თითქმის არც ერთი კონსტიტუციური დემოკრატიის სამართლებრივ რეალობაში არ გამოიყენება. კონსტიტუციის ინტერპრეტაციის წამყვან მოდელად ითვლება ე.წ. „ჩარჩოს ორიგინალიზმი“, რომლის მიხედვითაც კონსტიტუცია ექვემდებარება კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს/შტოს მიერ კონსტრუქციას.<sup>20</sup> კონსტიტუციის კონსტრუქცია გულისხმობს მის სრულყოფას, ცვალებად ფაქტობრივ გარემოებებთან ადაპტირებას, მის მიღმა მოაზრებული პოლიტიკური ნებისა და პრინციპების ინკორპორაციას სამართლებრივ სისტემაში. გამოყოფენ კონსტიტუციის კონსტრუქციის ორ შემთხვევას: (1) როდესაც კონსტიტუცია საჭირობოროტო საკითხზე დუმს; (2) კონსტიტუციის მიზნებისთვის ახალი ინსტიტუტის შექმნა საჭირო.<sup>21</sup>

სწორედ მსგავს შემთხვევასთან გვქონდა შეხება საქმეში *Marbury vs Madison*. მოსამართლე მარშალმა კონსტიტუციის ინტერპრეტაციით კონსტიტუციის „კონსტრუქცია“ მოახდინა, რაც არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს მართლმსაჯულების განხორციელებას, არც სამართლებრივი ნორმების სუბსუმირებას და მის საფუძველზე შექმნილ სილოგისტურ მიმართებას, ერთი მხრივ, ნორმის წანამძღვრებას და გამოტანილ განაჩენს შორის.

<sup>18</sup> ს. სვითი, *საკონსტიტუციო სასამართლოები*, ნიუიორკის პრესა, 2010წ. სკოლა, გვ. 6.

<sup>19</sup> ჯ.ბალკინი - *Framework Originalism And The Living Constitution*, იელის სამართლის სკოლის გამომცემლობა, 2009 წ. გვერდი 550.

<sup>20</sup> გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო, მე-15 სქოლიო.

<sup>21</sup> ბალკინი, მე-19 სქოლიო, გვ. 560.

კონსტიტუციის კონსტრუქცია, მისი განვრცობა თუ სრულყოფა უთუოდ სცდება წმინდა სამართლებრივი სფეროს ფარგლებს და თვისობრივად უკავშირდება პოლიტიკური ძალის პროექციას. ნორმატიული კონსტიტუცია (და არა ნომინალური ან სემანტიკური)<sup>22</sup> პოლიტიკური ნების მოწესრიგებასა და საჯარო ხელისუფლების ორგანიზებას გულისხმობს, ხოლო კონსტიტუციის „მოწესრიგების“ ნებისმიერ მცდელობას უთუოდ აქვს შეხების წერტილი პოლიტიკურ ძალასთან. ამდენად, სისტემური ლოგიკის პერსპექტივიდან დაუსაბუთებელია მოსაზრება იმის შესახებ, რომ კონსტიტუციური კონტროლის დეცენტრალიზებული მოდელი მხოლოდ და მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებშია მოქცეული. კონკრეტული კონტროლის ინსტიტუტზე მითითება არ არის საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ დეცენტრალიზებული მოდელი პოლიტიკურად ნეიტრალურია. იგი, შეიძლება ფორმალურად აკმაყოფილებდეს მართლმსაჯულების განხორციელების თანმდევ კრიტერიუმებს, თუმცა კონსტიტუციის კონსტრუქცია ვერასდროს იქნება წმინდად სამართლებრივი დატვირთვის მქონე.

მეორე მხრივ, არ არსებობს ორაზროვანი დებულებები კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებული მოდელის ინსტიტუციონალურ სტატუსთან დაკავშირებით - კონსტიტუცია საგანგებოდ ქმნის პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეს მისი ფუნქციონირებისთვის.

მაშინ, როდესაც კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებული მოდელის ფარგლებში კონსტიტუციის განმარტება საყოველთაოდ მბოჭავია, დეცენტრალიზებული მოდელის დროს, ქვედა ინსტანციების მიერ კონსტიტუციის განმარტებისას არსებობს დიდი ბუნდოვანება იმასთან დაკავშირებით, თუ მოცემულ შემთხვევაში რა წარმოადგენს კონსტიტუციური დებულების შინაარსს - ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ შესაძლოა ნებისმიერ დროს შეცვალოს ქვედა ინსტანციების არგუმენტაციის ხაზის ვალიდურობა. ამდენად, კონსტიტუციური კონტროლის დეცენტრალიზებული მოდელი კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებისას არათუ ავსებს სამართალში არსებულ „სივრცეებს“, არამედ პერიოდულად უფრო მეტ ცარიელ სივრცეს ქმნის. მსგავსი სისტემური წყვეტა, რომელიც ინსტიტუციონალურ ხარისხშია აყვანილი, დიდწილად ვერ ერგება მოდერნული კონსტიტუციის ზემოთ აღნიშნულ მახასიათებლებს.

## 6. ინდივიდუალური სარჩელი

კონსტიტუციური კონტროლის დეცენტრალიზებულ მოდელთა უმრავლესობაში ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვის საფუძველი შეიძლება იყოს ინდივიდუალური საჩივარი (შეზღუდული ან სრული). ზოგიერთ სისტემაში მოქმედებს *actio popularis*<sup>23</sup> ზოგან კი სარჩელის ავტორს უწევს იმის მტკიცება, რომ ნორმა ზიანს აყენებს ან მიაყენებს მის კონსტიტუციური უფლებით დაცულ სფეროს. მსგავსი შესაძლებლობა ეხმიანება მოდერნული საჯარო ხელისუფლების ბუნებასა და პროფესორ გრიმის მეხუთე კრიტერიუმს: *კონსტიტუციის ლეგიტიმაციის წყაროა ხალხი.*

<sup>22</sup> დ. გრიმი *Types of Constitution*, ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2012წ. გვ. 107.

<sup>23</sup> სვითი, მე-18 სქოლიო. გვ. 15.



რა თქმა უნდა, სახალხო ლეგიტიმაციის იდეალი ბევრად უფრო ფართო ასპარეზს მოიცავს, ვიდრე კონსტიტუციურ კონტროლს, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაშრომის მიზანია ერთიან სისტემურ ჭრილში წარმოადგინოს კონსტიტუციური კონტროლის ტიპთან დაკავშირებული საკითხები.

პირველ თავში ვახსენეთ პროფესორი გრიმის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოდერნულმა კონსტიტუციამ სამართალი გახადა რეფლექსური. „გამომდინარეობს ხალხისგან და მიემართება სახელმწიფოს“ გულისხმობს პირდაპირი დემოკრატიის განხორციელებისას მიღებულ სამართლებრივ შედეგებს, თუმცა განსხვავებულ, მესამე კატეგორიად შეიძლება გამოვყოთ ინდივიდუალური კონსტიტუციური საჩივრისგან მიღებული შემთხვევები. საჩივრის ავტორი უშუალოდ მონაწილეობს კონსტიტუციის კონსტრუქციაში, წარმოადგენს არგუმენტებს, თვალსაჩინოს ხდის ამა თუ იმ ნორმის მანამდე რთულად შესამჩნევ ნორმატიულ შინაარსს, ყოველივე ამას კი საკონსტუტიციო სასამართლოს საყოველთაოდ მბოჭავი გადაწყვეტილება მოსდევს. მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ სისტემებში მბოჭავია მხოლოდ სარეზოლუციო და არა სამოტივაციო ნაწილი, პრაქტიკულ რეალობაში საკონსტუტიციო სასამართლოები ცდილობენ, სამოტივაციო ნაწილში განვითარებული არგუმენტების სტანდარტის შენარჩუნებას.<sup>24</sup> ამდენად, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტის კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილდება თუ არა, მას მაინც შეაქვს თავისი წვლილი სამართლის შექმნა/კონსტრუქციაში.

## 7. დასკვნა

ნორმატიულ რეალობაში ნებისმიერი სახის ინსტიტუციონალური განვითარება დაფუძნებულია სისტემური აზროვნების ინდუქციურ წესზე, რაც გულისხმობს გამოცდილებისგან ანუ კერძო მოვლენებისგან განზოგადებული დასკვნების გამოტანასა და მოვლენათა ღირებულებითი შეფასების სკალის სტანდარტიზებას. კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებული მოდელის შექმნა და განვითარება, განსხვავებით დეცენტრალიზებული მოდელისა, ხანგრძლივი რეფლექსიისა და ინსტიტუციონალურ შეცდომებზე სწავლის შედეგი იყო. სოციალურ კონსტრუქციას სრულყოფილს ვერ ვუწოდებთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ცუდი შედეგების მომტანი არ არის სოციო-პოლიტიკურ სივრცეში, მისი სრულყოფისთვის საჭიროა მასში მოაზრებულმა საკითხებმა დააკმაყოფილონ სემანტიკური სიზუსტის განმსაზღვრელი კრიტერიუმები და მათი მიმართება ჯერარსულ რეალობაზე. გასულ საუკუნეში ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის პათოსი უკურეაქცია გახლდათ ტირანული პოლიტიკური ძალის პროექციაზე, ხოლო მოდერნული კონსტიტუციის პერსპექტივიდან ამ პათოსის რეალიზების სისტემურ-სემანტიკური თვალსაზრისით, შედარებით უფრო გამართულ მექანიზმს კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებული მოდელი წარმოადგენს.

<sup>24</sup> აღნიშნული გამომდინარეობს განჭვრეტადობისა და სასამართლოს ინსტიტუციონალური ავტორიტეტის შენარჩუნების მცდელობისგან. პრაქტიკული მაგალითია „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე პრიმა მუხლი, რომელიც სასამართლო პოზიციის ცვლილების შემთხვევაში ადგენს მაღალ სტანდარტს- უქვემდებარებს პლენუმის მიერ საქმის განხილვას.



## წევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციებზე ევროპული კავშირის სამართლის უზენაესობის დოქტრინა მელონის საქმის მიხედვით

### აბსტრაქტი

ნაშრომი მიმოიხილავს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას „სტეფანო მელონი ესპანეთის გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ“, რომლითაც წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციებზე ევროპული კავშირის სამართლის აბსოლუტური პრიმატის უზრუნველყოფა განხორციელდა. ამ გადაწყვეტილებას გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა კავშირის წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციებისა და ევროპული კავშირის სამართლის თანაფარდობის, ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრის თვალსაზრისით. ნაშრომში შემოთავაზებულია მოსაზრება, რომ ევროპული კავშირის სამართლის გადმოსახედიდან, ეროვნულ სამართალთან, მათ შორის კონსტიტუციასთან მიმართებაში უპირატესობით სარგებლობს არა მხოლოდ ევროპული კავშირის აქტები, რომლებიც სუპრანაციონალურ განზომილებებშია მიღებული, არამედ აგრეთვე ე.წ. მთავრობათაშორისი თანამშრომლობის სფეროში მიღებული სამართლებრივი ინსტრუმენტები - ჩარჩო-გადაწყვეტილებები. ნაშრომში წარმოჩენილია, რომ ევროპული ინტეგრაციის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება და მიღწეული შედეგების შენარჩუნება ფუნდამენტურად აისახება წევრი ქვეყნების კონსტიტუციების უზენაესობაზე და განაპირობებს მათ შინაარსობრივ მოდიფიკაციას.

### 1. შესავალი

ევროპული კავშირის სამართლისა და კავშირის წევრი ქვეყნების სამართლის თანაფარდობას, ურთიერთმიმართებას ყოველთვის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ევროპული მართლმსაჯულების სივრცეში. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურ-ნორმატიული ფორმით მკაფიოდ არ არის დადგენილი რომელ სამართლებრივ სისტემას, ეროვნულს თუ სუპრანაციონალურს (ევროპულს) ენიჭება უპირატესობა,<sup>1</sup> მართლმსაჯულების ევროპული

<sup>1</sup> ნიშანდობლივია, რომ ევროპული კონსტიტუციის პროექტის მე-6 მუხლი პირდაპირ ადგენდა, რომ ევროპულ კონსტიტუციასა და ევროპული კავშირის სხვა სამართლებრივ აქტებს, რომელიც მიღებულია კავშირი კომპეტენციების შესაბამისად, გააჩნიათ უპირატესობა კავშირის წევრი სახელმწიფოების სამართალთან, მათ

სასამართლო და კავშირის წევრი სახელმწიფოების საკონსტიტუციო სასამართლოები მუდმივად ცდილობენ თავიანთი პრაქტიკით ამ საკითხის განსაზღვრას. საკონსტიტუციო სასამართლოებისა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მოტივაცია, ზოგიერთი კონტრაპუნქტუალური გამონაკლისების გარდა, თვისებრივად განსხვავებულია.<sup>2</sup> მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პოლიტიკა ეფუძნება სამ ძირითად კომპონენტს, რომელიც აუცილებელია ევროპული კავშირის სამართლის სრულყოფილად მოქმედებისა და აღსრულებისთვის, სუბრანაციონალური ბუნების შენარჩუნებისთვის, ესენია: ერთიანობა, ეფექტიანობა და უპირატესობა.<sup>3</sup> საკონსტიტუციო სასამართლოები მოქმედებენ კონსტიტუციების უზენაესობისა და ძირითადი უფლებების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფის, თავიანთი როლისა და ფუნქციის შენარჩუნების მიმართულებით. ამ მოსაზრებას განამტკიცებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოსა და პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა.<sup>4</sup> თუმცა ევროპული კავშირის სამართლისა და წევრი ქვეყნების კონსტიტუციების თანაფარდობა თუ შეფასდება სასამართლოების გადაწყვეტილებების პრაქტიკული შედეგებით, ცალსახაა ამ საკითხის ევროპული კავშირის სამართლის სასარგებლოდ გადაწყვეტის ტენდენცია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქმეზე „სტეფანო მელიონი ესპანეთის გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ“<sup>5</sup> (შემდგომში მელიონის საქმე) მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინოს, რომ კავშირის წევრი ქვეყნების კონსტიტუციებთან მიმართებაში პრიმატიტ სარგებლობს ევროპული კავშირის სამართალი, მათ შორის, როგორც ევროპული კავშირის სამართლის სუბრანაციონალური განზომილების სფეროში არსებული აქტები, აგრეთვე იუსტიციის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით მიღებული სამართლებრივი ინსტრუმენტები - ჩარჩო გადაწყვეტილებები.<sup>6</sup>

---

შორის კონსტიტუციასთან მიმართებაში. იხ.: [https://europa.eu/european-union/sites/europaeu/files/docs/body/treaty\\_establishing\\_a\\_constitution\\_for\\_europe\\_en.pdf](https://europa.eu/european-union/sites/europaeu/files/docs/body/treaty_establishing_a_constitution_for_europe_en.pdf), უკანასკნელად ნანახია 20.07.2018.

<sup>2</sup> მაგალითად, ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: Judgment EAW, 03.05.2006, <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?id=974>, უკანასკნელად ნანახია 20.07.2018.

<sup>3</sup> მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: Opinion 2/13 pursuant to Article 218 (11) TFEU — Draft international agreement — Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms — Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties, [2014], 188-ე და 189-ე პარაგრაფები.

<sup>4</sup> გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები: BVerfG, Order of the Second Senate of 15, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/EN/2015/12/rs20151215\\_2bvr-273514en.html](https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/EN/2015/12/rs20151215_2bvr-273514en.html), უკანასკნელად ნანახია 20.07.2018; BVerfGE 73, 339 2 BvR 197/83 Solange II, ხელმისაწვდომია -ვებგვერდზე: <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv073339.html>, უკანასკნელად ნანახია 20.07.2018; BVerfGE 37, 271 2 BvL 52/71 Solange I, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv037271.html>, უკანასკნელად ნანახია 20.07.2018.

პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: P-1/05 (Judgment), EAW, 27.04.2005, ხელმისაწვდომია -ვებგვერდზე: <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?id=976>, უკანასკნელად ნანახია 20.07.2018.

<sup>5</sup> მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: Melloni v. Ministerio Fiscal, C-399/11, [2013].

<sup>6</sup> ჩარჩო გადაწყვეტილების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით იხილეთ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: Pupino v Italy, C-105/03 [2005].

გარდა ამისა, ნაშრომის ფარგლებში განვითარებულია მოსაზრება, რომ ხსენებული საქმის შემდეგ ევროპული კავშირის სამართლის უზენაესობის დოქტრინა კიდევ უფრო განმტკიცდა, გაფართოვდა და შეიძინა სრულყოფილი ხასიათი.

## 2. საქმის გარემოებები და ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შეკითხვა

2004 წელს ბოლონიის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოცემული იქნა დაკავების ევროპული ორდერი იტალიის მოქალაქე სტეფანო მელონის წინააღმდეგ. დაკავების ევროპული ორდერის თანახმად, მელონი იყო მსჯავრდებული თაღლითობისთვის და მას დაუსწრებლად სასჯელის სახით დაკისრებული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.<sup>7</sup> 2008 წელს დაკავების ევროპული ორდერის აღსრულების მიზნით, ესპანეთის ცენტრალური საგამოძიებო სასამართლოს ბრძანებით, მელონი პოლიციამ დააკავა.<sup>8</sup> იგი არ დათანხმდა იტალიისთვის გადაცემას, თუმცა ეროვნული უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით იგი იტალიაში ექსტრადიციას მაინც დაექვემდებარა.<sup>9</sup>

მელონის შეფასებით, ვინაიდან იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა ბრალდებულის დაუსწრებლად მიღებული გადაწყვეტილების გადახედვის მექანიზმს, დაკავების ევროპული ორდერი არ უნდა აღსრულებულიყო, რადგან, ერთი მხრივ, „დაკავების ევროპული ორდერისა და პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ ჩარჩო-გადაწყვეტილების<sup>10</sup> შესაბამისად არსებობდა გადაცემაზე უარის თქმის საფუძველი,<sup>11</sup> მეორე მხრივ, ასეთი საშუალების არ არსებობა ეწინააღმდეგებოდა ესპანეთის კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებულ საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. იგი თვლიდა, რომ საქმის სამართლიანი განხილვის უფლების ამგვარი შეზღუდვით ილახებოდა ადამიანის ღირსებაც, ვინაიდან მას არ გააჩნდა ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში მძიმე დანაშაულისთვის დაკისრებული სასჯელის გასაჩივრების შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, ვერ უზრუნველყოფდა დაცვის უფლების ეფექტიან რეალიზაციას.<sup>12</sup> აქედან გამომდინარე, მელონიმ მიმართა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა მისი იტალიისთვის გადაცემის მიზნით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დასაშვებად ცნო კონსტიტუციური სარჩელი, თუმცა საქმის არსებითი წესით განხილვამდე მიიღო გადაწყვეტი-

<sup>7</sup> მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: Melloni v. Ministerio Fiscal, C-399/11, [2013]. მე-14 პარაგრაფი.

<sup>8</sup> იქვე, მე-15 პარაგრაფი.

<sup>9</sup> იქვე, მე-17 პარაგრაფი.

<sup>10</sup> Council Framework Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32002F0584>, უკანასკნელად ნანახია: 20.07.2018.

<sup>11</sup> „დაკავების ევროპული ორდერისა და პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ ჩარჩო-გადაწყვეტილება ამომწურავად განსაზღვრავს დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის საფუძველებს, რომელიც პირობითად შესაძლებელია დაიყოს სამ ჯგუფად: აბსოლუტური საფუძველები, ფაკულტატიური საფუძველები და სპეციალური შემთხვევები.

<sup>12</sup> Melloni v. Ministerio Fiscal, supra 6, მე-18 პარაგრაფი.

ლება წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის თაობაზე.<sup>13</sup>

აღსანიშნავია, რომ ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას გააჩნია „გარე“ ეფექტი, რაც გულისხმობს ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში ამ უფლების რეალიზაციისთვის მინიმალური მატერიალურ-პროცედურული ინსტრუმენტების უზრუნველყოფას.<sup>14</sup> სასამართლოს თქმით, თუ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლების დაცვის ასეთი ელემენტარული სტანდარტი არ არსებობს, არაპირდაპირი ფორმით ირღვევა ესპანეთის კონსტიტუციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლება და უხეშად ილახება ადამიანის ღირსება<sup>15</sup>. ნიშანდობლივია, რომ ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წელს გააუქმა პირის რუმინეთში ექსტრადიციასთან დაკავშირებული მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ დაკავების ევროპული ორდერი არ შეიცავდა რუმინეთში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დაუსწრებლად და მის წინააღმდეგ მიღებული განაჩენის გადახედვის მექანიზმს.<sup>16</sup>

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო წინამდებარე საქმეში აღმოჩნდა დილემის წინაშე. კავშირის წევრი სახელმწიფოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია ევროპული კავშირის მეორადი სამართლის წყაროების კონსტიტუციურობის შეფასების უფლებამოსილება. ამასთან, ესპანეთი როგორც კავშირის წევრი ქვეყანა ვალდებული იყო, აღესრულებინა „დაკავების ევროპული ორდერისა და პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად გამოცემული დაკავების ევროპული ორდერი. თუ იგი ესპანეთის უმაღლესი ეროვნული სასამართლოს ბრძანებას ძალადაკარგულად გამოაცხადებდა, გაუქმდებოდა იტალიისთვის მელონის გადაცემის სამართლებრივი საფუძველი და ესპანეთი ხსენებული ჩარჩო-გადაწყვეტილებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევდა. თუმცა, თუკი ესპანეთის უმაღლესი სასამართლო გადაწყვეტილება კონსტიტუციასთან თავსებადად გამოცხადდებოდა და მელონი სასჯელის აღსრულების მიზნით იტალიას გადაეცემოდა, ერთი მხრივ, შეიცვლებოდა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, მეორე მხრივ, სულ მცირე შემცირდებოდა (უფრო სავარაუდოა, რომ დაირღვეოდა) ესპანეთის კონსტიტუციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლებისა და ადამიანის ღირსების უფლების დაცვის სტანდარტი. აქედან გამომდინარე, ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში მიმართა მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს შემდეგი შეკითხვით: *ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 47-ე (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება), 48-ე (უდანაშაულობის პრეზუმფცია და დაცვის უფლება) და 53-ე (უფლების დაცვის დონე)*<sup>17</sup>

<sup>13</sup> Melloni v. Ministerio Fiscal, supra 6, მე-19 პარაგრაფი.

<sup>14</sup> იქვე, მე-20 პარაგრაფი.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> იქვე, 22-ე პარაგრაფი.

<sup>17</sup> ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 53-ე მუხლის მიხედვით, „ამ ქარტიის არც ერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მან შეზღუდოს ან ხელყოს ადამიანის ნებისმიერი უფლება და ძირითადი თავისუფლება, რომელიც აღიარებული და მოქმედია ევროპული კავშირის სამართალში და საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლის მონაწილე არის კავშირი,

მუხლების სისტემური განმარტების შემთხვევაში, უფლება აქვს თუ არა კავშირის წევრ სახელმწიფოს, რომელიც არის ექსტრადიციის თხოვნის მიმღები, საკუთარი კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლების უფრო მაღალი სტანდარტით დაცვიდან გამომდინარე, უარი თქვას დაკავების ევროპული ორდერის აღსრულებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში არ არსებობს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დაუსწრებლად გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადახედვის მექანიზმი?<sup>18</sup> შეკითხვის მოტივაციიდან ცალსახაა, რომ ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს სურდა ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 53-ე მუხლის საფუძველზე, ამ საქმეში გამოეყენებინა კონსტიტუციური სტანდარტი, რადგან იგი უფრო მაღალ დონეზე იცავდა ძირითად საპროცესო უფლებებს, ვიდრე ევროპული კავშირის სამართალი, კერძოდ კი, ჩარჩო-გადაწყვეტილება.<sup>19</sup>

### 3. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პასუხი

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო, როგორც აღინიშნა, არის ევროპული კავშირის სამართლის ერთიანობის, უზენაესობისა და ეფექტიანობის აღსრულების გარანტი. იგი ზოგჯერ ამ მიზნის მიღწევას ცდილობს ძირითადი უფლებების სტანდარტის შემცირების ხარჯზე. ამ მხრივ, ეს შემთხვევაც არ არის გამონაკლისი. მელონის საქმეში მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 53-ე მუხლის იმგვარი განმარტება, რომელიც კავშირის წევრ სახელმწიფოს ანიჭებს შესაძლებლობას, არ გამოიყენოს ევროპული კავშირის სამართალი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ქარტიასთან<sup>20</sup> და იმოქმედოს საკუთარი კონსტიტუციური სტანდარტის შესაბამისად, „გაანადგურებს“ ევროპული კავშირის სამართლის უზენაესობის პრინციპს.<sup>21</sup> მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს თქმით, სასამართლო პრაქტიკით დადგენილი ევროპული კავშირის სამართლის უზენაესობის პრინციპი, რომელიც

---

გაერთიანება ან ყველა წევრი სახელმწიფო, მათ შორის ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში და წევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში.“

<sup>18</sup> მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს საერთო ჯამში სამი კითხვა დაესვა, თუმცა დანარჩენი კითხვების განხილვა სცდება წინამდებარე ნაშრომის მიზნებს.

<sup>19</sup> ნიშანდობლივია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ დაკავების ევროპულ ორდერთან დაკავშირებულ საქმეში განავითარა ე.წ. კონსტიტუციური იდენტობის კონცეფცია, რომელიც გერმანიის ფედერაციულ საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებს შესაძლებლობას დაკავების ევროპული ორდერის, აგრეთვე ზოგადად კავშირის აქტების შესაბამისობა შეაფასოს გერმანიის ძირითადი კანონით აღიარებულ ღირსების უფლებასთან მიმართებით. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [http://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/EN/2015/12/rs20151215\\_2bvr273514en.html;jsessionid=8C76433FF1384ABF38F047A3F8583A4E.1\\_cid370](http://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/EN/2015/12/rs20151215_2bvr273514en.html;jsessionid=8C76433FF1384ABF38F047A3F8583A4E.1_cid370), უკანასკნელად ნანახია: 20.07.2018.

<sup>20</sup> მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეში დაკავების ევროპული ორდერის აღსრულება და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოსთვის გადაცემა ევროპული კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიასთან შესაბამისად მიიჩნია მიუხედავად იმისა, რომ როგორც ითქვა, ამ პირს არ გააჩნდა მის დაუსწრებლად გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადახედვის მექანიზმი. იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: Melloni v. Ministerio Fiscal, C-399/11, [2013], 53-ე პარაგრაფი.

<sup>21</sup> Melloni v. Ministerio Fiscal, supra 6, 58-ე პარაგრაფი.

არის ევროპული კავშირის სამართლებრივი წესრიგის ფუნდამენტური მახასიათებელი, კრძალავს, გამორიცხავს, რომ ეროვნულმა, მათ შორის კონსტიტუციურმა რეგულაციებმა შეზღუდოს, ხელყოს ევროპული კავშირის სამართლის ეფექტიანობა, მოქმედება წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.<sup>22</sup> გარდა ამისა, სასამართლომ ხაზი გაუსვა კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ნდობის და ორმხრივი აღიარების პრინციპების დაცვის მნიშვნელობას. სასამართლომ განაცხადა, რომ დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობა ჩარჩო-გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, მათ შორის, კონსტიტუციის ნორმების გამო, ხელყოფს ორმხრივი ნდობისა და ორმხრივი აღიარების პრინციპებს.<sup>23</sup>

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მელონის კონსტიტუციური სარჩელი არ დააკმაყოფილა და ხსენებული ჩარჩო-გადაწყვეტილების გამოყენებით, ესპანეთის კონსტიტუციით დადგენილი საქმის სამართლიანი განხილვის უფლების, ღირსების უფლების დაცვის სტანდარტი, სულ მცირე, შეამცირა.

#### 4. დასკვნა

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ მელონის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად ევროპული კავშირის სამართლის წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციებზე უზენაესობის დოქტრინის სრულყოფა, მისი შინაარსის გაფართოება განხორციელდა. იგი ევროპული ინტეგრაციის არსებობის ისტორიაში პირველად გასცდა სუპრანაციონალურ ფარგლებს და გავრცელდა ევროპული კავშირის სამართლის ყველა განზომილებაზე, მათ შორის იუსტიციის სფეროში, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობაზე. ამ გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ეროვნული სასამართლო ვალდებულია, ერთი მხრივ, კავშირის სამართლებრივი აქტის შესაბამისად, განახორციელოს შიდასახელმწიფოებრივი აქტების, მათ შორის კონსტიტუციის ინტერპრეტაცია, მეორე მხრივ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ გამოიყენოს ისეთი კონსტიტუციური სტანდარტები, რომლებიც ხელყოფს ევროპული კავშირის სამართლის უზენაესობასა და ეფექტიანობას. ევროპული კავშირის სამართლის გადმოსახედიდან, აგრეთვე, დაუშვებელია ისეთი კონსტიტუციური ნორმის მიღება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ევროპული კავშირის სამართლის პრიმატს. თუმცა ევროპული კავშირის სამართლის უზენაესობის პრინციპის ნორმატიული ფორმით მატერიალიზაციამდე სასამართლო პრაქტიკაში, იურიდიულ ლიტერატურაში მუდმივად საკამათო იქნება საკითხი: გააჩნია თუ არა ევროპული კავშირის სამართალს პრიმატი წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციების მიმართ.

<sup>22</sup> იქვე, 59-ე პარაგრაფი.

<sup>23</sup> იქვე, 63-ე პარაგრაფი.



# საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიმოხილვა

## აბსტრაქტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომლებიც კონსტიტუციური მართლმსაჯულებისთვის განსაკუთრებულ ან ახალ მიდგომებს აწესებს. ქვემოთ მოცემულია წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მიღებული შვიდი ასეთი საქმის მოკლე მიმოხილვა, სადაც ასახულია საქმის არსი და სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა.

## **საქართველოს მოქალაქეები – გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯავლიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ**

2018 წლის 22 თებერვალს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯავლიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N863), სადაც დავის საგანს წარმოადგენდა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით. სადავო ნორმა აღგენდა, რომ აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, კერძოდ, აკადემიის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობებზე არ შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული პირი, რომლის ასაკი 70 წელს აღემატებოდა.

მოსარჩელე მხარე განმარტავდა, რომ 70 წელს გადაცილებულ ქმედუნარიან, ჯანსაღი ფსიქიკისა და გონებრივი მონაცემების მქონე აკადემიკოსებს, მხოლოდ ასაკის ნიშნით, სადავო ნორმა ართმევდა აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავების უფლებას. მოსარჩელეების აზრით, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, როგორც 70 წელს გადაცილებული, ისე 70 წლამდე აკადემიკოსები წარმოადგენდნენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს, რომელთა მიმართ განსხვავებულ მოპყრობას არ გააჩნდა რაიმე ობიექტური გამართლება. შესაბამისად, ის იყო დისკრიმინაციული და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.

მოპასუხე მხარის პოზიციით, ზოგადად, ასაკობრივი ბარიერის დაწესება არ ეწინააღმდეგება კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას. სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის მიზანს წარმოადგენდა აკადემიის საქმიანობის ეფექტურობისა და შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობა, ხოლო 70 წელს მიღწეული, თუნდაც სრულიად ჯანმრთელი ადამიანი, შესაძ-

ლოა, ვერ გაუმკლავდეს ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმიანობის სპეციფიკას და მისთვის აუცილებელ ფიზიკურ დატვირთვას.

იმავედროულად, საქართველოს პარლამენტის პოზიციით, ვინაიდან აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე შესაძლებელი იყო მხოლოდ აკადემიკოსის სტატუსის მქონე პირის არჩევა, ხოლო აკადემიკოსების რაოდენობა კანონმდებლობით არის შეზღუდული და ფაქტობრივად აკადემიკოსთა უმრავლესობის ასაკი აღემატებოდა დადგენილ 70 წელს, შესაძლოა, პრაქტიკულად ვეღარ მომხდარიყო შესაბამის თანამდებობაზე აკადემიკოსთა არჩევა. ამ არგუმენტაციის გათვალისწინებით, მოპასუხე მხარემ ცნო კონსტიტუციური სარჩელი.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მოპასუხის მიერ კონსტიტუციური სარჩელის ცნობა არ იწვევს საქმის შეწყვეტას. შესაბამისად, სარჩელის ცნობის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა სადავო ნორმის კონსტიტუციურობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 70 წელს მიუღწეველი და 70 წელს გადაცილებული აკადემიკოსები, აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების მიზნებისათვის წარმოადგენდნენ არსებითად თანასწორ პირებს, რომელთა შორისაც სადავო ნორმა ითვალისწინებდა დიფერენცირებულ მოპყრობას მათი ასაკის ნიშნით. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დიფერენცირება არ ხდებოდა კლასიკური ნიშნით და არ ხასიათდებოდა მაღალი ინტენსივობით, შესაბამისად, მისი კონსტიტუციურობის შეფასებისას გამოიყენა რაციონალური დიფერენციაციის ტესტი, .

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადად, ამა თუ იმ დაწესებულების ეფექტური ფუნქციონირებისათვის შესაძლებელია, დასაშვები იყოს თანამშრომელთათვის გარკვეული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაწესება. ლეგიტიმური მიზნის არსებობასთან ერთად, აუცილებელია, გათვალისწინებული ასაკობრივი შეზღუდვა იყოს ლოგიკურ და რაციონალურ კავშირში დასახელებულ მიზანთან. ის გარემოება, რომ გარკვეული უნარების დაქვეითება ასაკის მატების თანმდევი შედეგია, ვერ გამოდგება ნებისმიერი ბლანკეტური ასაკობრივი შეზღუდვის გამართლების თვითკმარ საფუძვლად.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასაკთან დაკავშირებული შეზღუდვის რაციონალურობის შეფასებისთვის დაადგინა ორსაფეხურიანი ტესტი. კერძოდ, ასაკთან დაკავშირებული ბლანკეტური შეზღუდვის დაწესების გამართლებისთვის აუცილებელია კანონმდებელმა წარმოაჩინოს, რომ კონკრეტული საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, როგორც წესი, განსაზღვრული ასაკის პირთა დიდი უმრავლესობა ვერ შეძლებს დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ შესრულებას. უნდა დასაბუთდეს, რომ კანონით დადგენილი ასაკის მიღწევა, როგორც წესი, შემთხვევათა უმრავლესობაში იწვევს ადამიანის იმგვარი უნარების დაქვეითებას, შესუსტებას, რომელიც აუცილებელია კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად. იმავედროულად, ბლანკეტური შეზღუდვის დაწესება არარაციონალური იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ პირის თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, გონივრულ ფარგლებში არის შესაძლებელი მათი უნარების ინდივიდუალური შეფასების შედეგად.

საკონსტიტუციო სასამართლომ გააანალიზა სადავო ნორმებით გათვალისწინებული თანამდებობის პირების ფუნქცია-მოვალეობები და აღნიშნა, რომ აკადემიის ამოცანების, თითო-

ეული აკადემიკოსის უფლებამოსილების განხორციელება არ არის დაკავშირებული რაიმე სახის განსაკუთრებულ ფიზიკურ აქტივობასთან. ამასთან, საქმის განხილვისას არ გამოკვეთილა, რომ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე საქმიანობის განხორციელება მოითხოვდა ისეთ განსაკუთრებულ ენერჯიას, რომელიც, როგორც წესი, არ გააჩნია 70 წელს გადაცილებულ ადამიანს. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ არაფერი მიანიშნებდა აკადემიკოსის მიერ აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ფუნქციების განხორციელების 70 წლის ასაკის მიღწევის გამო შეფერხებაზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ აკადემიკოსთა მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობა არის 70 წელზე ნაკლები ასაკის, ხოლო მათი რაოდენობა დროის გასვლასთან ერთად უფრო მცირდება. შესაბამისად, შესაძლოა, ახლო მომავალში სადავო ნორმის მოქმედებამ სრულიად გააქროს დასახელებულ თანამდებობებზე ასარჩევ პირთა წრე. ამის გათვალისწინებით, სადავო ნორმა არათუ ემსახურება მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეფექტურ ფუნქციონირებას, არამედ პირიქით, გარკვეულ ეტაპზე შეიძლება ადმინისტრაციულ თანამდებობაზე აკადემიკოსების არჩევა ძალიან გაართულოს და შეუძლებელიც კი გახადოს.

დასახელებულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

## **საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ**

2018 წლის 11 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №663), სადაც დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით განსაზღვრული წესი, რომლის თანახმად, პირი ვერ დარეგისტრირდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, თუ იგი უკანონოდ იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში და ამ ფართის კანონიერი მესაკუთრე არ ეთანხმება ამ ფაქტს.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ პირები რომლებიც უნებართვოდ ცხოვრობენ სახელმწიფო საკუთრებაში და სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციის საჭიროება წარმოემშვათ, სადავო ნორმის ამოქმედების (2013 წლის 1 ივნისი) შემდეგ კარგავენ სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობას. მაშინ, როდესაც სადავო ნორმა სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობას არ ართმევს სახელმწიფო საკუთრებაში უნებართვოდ მცხოვრებ იმ პირებს, რომლებიც სოციალურად დაუცველთა ბაზაში დარეგისტრირდნენ სადავო ნორმის ამოქმედებამდე. შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ხსენებული პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა თანასწორობის უფლებას არღვევს. მოსარჩელის არგუმენტაციით, სადავო ნორმა პირს ასევე აიძულებდა არჩევანის გაკეთებას მის საცხოვრებელ სახლსა და სოციალური დახმარების მიღების უფლებას შორის, რითაც ხდებოდა პირის მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო რეგულაცია ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ მისი ღირსების უფლებასაც.

მოპასუხე მხარე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმა ემსახურებოდა მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზანს - სახელმწიფო საკუთრების დაცვას. კერძოდ, სადავო ნორმა უზრუნველყოფდა მისი ამოქმედების შემდეგ სახელმწიფო ქონების უნებართვოდ დაკავებისაგან თავის შეკავებას. განსხვავებული მოპყრობის დასასაბუთებლად, მთავრობა განმარტავდა, რომ მონაცემთა ბაზაში უკვე დარეგისტრირებული პირების რეგისტრაციიდან მოხსნა ამ უკანასკნელთა რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩაყენებას გამოიწვევდა. ამასთანავე, მოპასუხის პოზიციით, სადავო ნორმით დადგენილი რეგულაცია არ იწვევდა პირის უფლებების გადამეტებულ შეზღუდვას და სრულად შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, განმარტა, რომ სოციალური დახმარებით სარგებლობის მიზნებისათვის, თანასწორ სუბიექტებს წარმოადგენდა ყველა ის პირი, რომლებიც უნებართვოდ ცხოვრობდნენ სახელმწიფო საკუთრებაში, იმისდა მიუხედავად, თუ როდის წარმოემშვათ აღნიშნულ პირებს სოციალური დახმარების მიღების საჭიროება. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმის საფუძველზე, ერთნაირ პირობებში მყოფი (სახელმწიფო საკუთრებაში უნებართვოდ მცხოვრები) პირების ნაწილს ჰქონდა სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობა, ნაწილს კი - არა, რაც განაპირობებდა არსებითად თანასწორ სუბიექტთა არათანასწორ მოპყრობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმით დადგენილი უთანასწორო მოპყრობა ინტენსიური ხასიათის იყო, ვინაიდან გასაჩივრებული რეგულაცია სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობას სრულად უსპობდა სახელმწიფო საკუთრებაში უკანონოდ მცხოვრებ პირთა მხოლოდ ერთ ნაწილს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმით დადგენილი უთანასწორო მოპყრობა შეაფასა ე.წ. „მკაცრი ტესტის“ გამოყენებით.

სახელმწიფო ქონების უკანონოდ დაკავების პრევენციასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გარკვეული ლოგიკური ახსნა შეიძლება ჰქონოდა ბაზაში რეგისტრაციის უფლების შეზღუდვის მხოლოდ სადავო ნორმის მიღების შემდგომ განხორციელებულ სახელმწიფო საკუთრების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებას, თუმცა სადავო ნორმით სოციალური დახმარების მიღების შეზღუდვა უკავშირდებოდა სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციის დროს და არა საკუთრებაში უნებართვოდ ცხოვრების დაწყების პერიოდს. შესაბამისად, სადავო ნორმა ვერ უზრუნველყოფდა დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მსგავს პირთა ჯგუფისთვის მონაცემთა რეგისტრაციაზე უარის თქმა, სოციალური დახმარების მიღების კუთხით, ისეთივე მტკივნეული იყო, როგორც სოციალურად დაუცველთა ბაზაში უკვე რეგისტრირებული პირისთვის რეგისტრაციის გაუქმება. შესაბამისად, გაუგებარი იყო, თუ რატომ გამოყო მთავრობამ სოციალურ ბაზაში რეგისტრაციისგან მოსარჩელეთა კლასი. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარ დიფერენცირებას არ ჰქონდა გონივრული გამართლება და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი, მოახდინოს საკუთარი ქონების ხელყოფის აღკვეთა, რასაც არც მოსარჩელე მხარე არ ხდოდა სადავოდ. თუმცა ქონების ხელყოფის აღსაკვეთად გამოყენებული ღონისძიების შერჩევას სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები არ არის უსაზღვრო. კერძოდ, შერჩეული ღონისძიება არ უნდა არღვევდეს ადამიანების მიმართ არაჰუმანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის პრინციპს.

საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის ღირსების უფლებასთან მიმართებით შეაფასა იძულების ღონისძიების სახით სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობის ჩამორთმევის კონსტიტუციურობა და მიიჩნია, რომ ამგვარი ღონისძიების გამოყენებით, სახელმწიფო საკუთარი ქონების დასაცავად, მისი ხელყოფის აღსაკვეთად, იყენებს ადამიანის მძიმე სოციალურ მდგომარეობას. ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვება არ შეიძლება სახელმწიფოს მიერ გამოყენებული იქნეს მიზნის მიღწევის საშუალებად, შესაბამისად, იძულების ღონისძიების სახით სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობის ჩამორთმევა არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მოთხოვნებს.

## სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“ და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 3 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილებები საქმეებზე „სსიპ 'საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია', ააიპ 'საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია', სსიპ 'ქრისტეს ეკლესია', სსიპ 'საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია', ააიპ 'მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნioni', სსიპ 'ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია', ააიპ 'ქართველ მუსლიმთა კავშირი', სსიპ 'წმინდა სამების ეკლესია' საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N671) და „სსიპ 'საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია', სსიპ 'საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია', სსიპ 'სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო', სსიპ 'დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში' და სსიპ 'საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია' საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N811).

დასახელებულ საქმეებში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 6<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.<sup>1</sup> სადავო ნორმები, ჩათვლის უფლების გარეშე, დღგ-ისგან ათავისუფლებდა საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით შესრულებული ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობას, აგრეთვე რესტავრაციისა და მოხატვის მომსახურებას. იმავდროულად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებდა სახელმწიფო ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ მიღების შესაძლებლობას.

მოსარჩელეთა განმარტებით, სადავო ნორმები დასახელებულ პრივილეგიებს ანიჭებდა მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ სადავო ნორმები არღვევდა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.

მოპასუხე მხარის განმარტებით, მოსარჩელე რელიგიური ორგანიზაციები და მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენდნენ არსებითად თანასწორ პირებს, რომელთა მიმართაც სადავო ნორმები ითვალისწინებდა დიფერენცირებულ მოპყრობას. თუმცა, დიფერენცირე-

<sup>1</sup> დავის საგანი სრულად:

N671 კონსტიტუციურ სარჩელზე: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის სიტყვების „საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

N811 კონსტიტუციურ სარჩელზე: „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 6<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

ბული მოპყრობა გამართლებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით და ამავე მუხლის საფუძველზე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ნორმატიული ჩარჩოს რეალიზაციის ლეგიტიმური მიზნებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ რელიგიური გაერთიანებების უმთავრესი მიზანი მორწმუნეთა მსახურებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა და რელიგიური საქმიანობის კოორდინაციაა. დასახელებული მიზნები თანაბრად გააჩნია როგორც საქართველოს საპატრიარქოს, ისე მოსარჩელე რელიგიურ ორგანიზაციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესადარებელ პირებს თანაბრად გააჩნიათ როგორც სახელმწიფო ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ მიღების, ისე რელიგიური დაწესებულებების მშენებლობისა და მსახურებისთვის საჭირო პირობების შექმნის ინტერესი. ვინაიდან საგადასახადო შეღავათით სარგებლობა და სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში მიღება მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოსთვის იყო შესაძლებელი, სასამართლომ გაიზიარა მხარეთა არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სადავო ნორმები ადგენდა უთანასწორო მოპყრობას არსებითად თანასწორ პირებს შორის, ხოლო დიფერენცირების ნიშანი იყო რელიგია.

დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, რელიგიური ნიშნით დიფერენცირების მართლზომიერება საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა მკაცრი ტესტით. სასამართლომ უპირველესად, იმსჯელა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ღირებულ კონსტიტუციურ ინტერესს წარმოადგენს. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების თვალსაზრისით, სახელმწიფო უფლებამოსილია, დაადგინოს ძეგლთა დაცვის მინიმალური პირობები, მათ შორის, რესტავრაციის სტანდარტები. მიუხედავად ამისა, განსახილველი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად უმნიშვნელოა, რომელი რელიგიური ორგანიზაციის დაკვეთით შესრულდება სამუშაო, თუ დაცული იქნება შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნები.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო რეგულირება მიმართულია არა კონკრეტულად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული მომსახურების დღგ-ისგან გათავისუფლებისაკენ, არამედ იმ მომსახურების დღგ-ისგან გათავისუფლებისაკენ, რომელიც საპატრიარქოს დაკვეთით ხორციელდება. ამდენად, სადავო ნორმის რეგულირების ქვეშ შესაძლოა მოექცეს როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან, ასევე ამგვარი სტატუსის არმქონე სხვა ტაძრებთან და ეკლესიებთან დაკავშირებული მომსახურება. ამავე დროს, სადავო ნორმის საფუძველზე დღგ-ისგან არ თავისუფლდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებით სხვა პირის (საპატრიარქოს გარდა) დაკვეთით განხორციელებული მომსახურებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით დადგენილ დიფერენციაციას არ გააჩნია ლოგიკური კავშირი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესთან და ამ ლეგიტიმური მიზნის მიღწევა სრულად იყო შესაძლებელი არსებითად თანასწორ პირებს შორის დიფერენცირების გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე შეაფასა, რამდენად წარმოადგენდა სადავო ნორმა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მოთხოვნების აღსრულების მექანიზმს. კერძოდ, სასამართლომ შეაფასა, რამდენად მოითხოვდა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი

პრივილეგიების მინიჭებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის და ამ ფორმით საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის შეზღუდვას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან“. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ისტორიაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარების მიზანს არ წარმოადგენს მართლმადიდებლობის, როგორც რელიგიური რწმენის უპირატესობის წარმოჩენას სხვა რელიგიებთან მიმართებით. კონსტიტუციის განსახილველი დანაწესის ნებისმიერი პრივილეგიის მინიჭების საფუძვლად განხილვა აზრს დაუკარგავდა თანასწორობის უფლებას და შეუთავსებელი იქნებოდა საქართველოს კონსტიტუციის, მათ შორის, მე-7 მუხლის და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან.

ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება დაკავშირებულია მის ისტორიულ ღვაწლთან, თუმცა ისტორიული ღვაწლი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ნებისმიერი პრივილეგიის ლეგიტიმურობის თვითკმარი წყარო. შესაბამისად, სადავო ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს, სადავო პრივილეგია რამდენად არის განპირობებული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიული როლით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმებით მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მინიჭებული უფლებრივი უპირატესობები არ იყო პირობადადებული რაიმე ისტორიული გარემოებებით. კერძოდ, არც მინიჭებულ საგადასახადო შეღავათს და არც სახელმწიფო ქონების ეკლესიისთვის უსასყიდლოდ გადაცემას არ გააჩნდა პირდაპირი, რაციონალური და გარდაუვალი კავშირი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლთან საქართველოს ისტორიაში.

წარმოდგენილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები ვერ პასუხობდა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ თანასწორობის უფლების მოთხოვნებს.



## **შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, შპს „კასტელ ჯორჯია“ და სს „წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ**

2018 წლის 26 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „შპს 'კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია', შპს 'კასტელ ჯორჯია' და სს 'წყალი მარგებელი' საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N700), სადაც სასამართლომ შეაფასა არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების კანონით განსაზღვრული ინსტიტუტისა და წესის კონსტიტუციურობა საკუთრების და თავისუფალი მეწარმეობის უფლებებთან.<sup>2</sup> კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192<sup>1</sup> მუხლი ქმნიდა არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების საკანონმდებლო საფუძველს, ხოლო „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების გასაჩივრებული ნორმები ადგენდა, რომ მარკირებას ექვემდებარებოდა არაალკოჰოლური სასმელი, მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლები და აწესრიგებდა მარკირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. მოსარჩელეთა განმარტებით, სადავო ნორმები მათ ავალდებულებდა საწარმოში სახელმწიფოს მიერ შერჩეული მარკირების განმახორციელებელი პირის დაშვებას, რომელიც საწარმოო ხაზებზე დააყენებდა მარკირების აპარატებს. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ მარკირების აპარატები მუშაობს ხარვეზულად, იწვევს საწარმოო პროცესის შეფერხებას და სათანადოდ ვერ აღრიცხავს წარმოებული პროდუქციის მოცულობას. ამასთან, მარკირების ხარჯების ანაზღაურება მეწარმე სუბიექტებს ეკისრებათ, რაც მძიმე ფინანსურ ტვირთად აწვება ინდუსტრიას. მოსარჩელე მხარე ასევე ეჭვქვეშ აყენებდა სადავო ნორმების ფორმალურ შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან. კერძოდ, მოსარჩელეთა პოზიციით, საქართველოს საგადასახადო კოდექსი განუსაზღვრელ დისკრეციულ უფლებამოსილებას აძლევდა ფინანსთა მინისტრს.

მოპასუხე მხარემ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და მიუთითა, რომ სადავო ნორმები ემსახურებოდა ღირებულ ლეგიტიმურ მიზნებს, კერძოდ, გადასახადების ჯეროვან ადმინისტრირებას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას. მოპასუხეთა აზრით, სადავო ნორმები სრულად პასუხობდა საქართველოს კონსტიტუციის ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველესად, გამიჯნა საკუთრებისა და მეწარმეობის თავისუფლებით დაცული კონსტიტუციურ უფლებათა სფეროები. სავალდებულო მარკირების დადგენით პროდუქციის გასხვისებაზე ფინანსური ტვირთის კონსტიტუციურობა სასამართლომ შეაფასა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლებასთან მიმართებით, ხოლო საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო საწარმოო პროცესის შეფერხებასთან, განიხილა მეწარმეობის თავისუფლების კონტექსტში.

<sup>2</sup> თავის საგანი სრულად: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192<sup>1</sup> მუხლის და „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების 78<sup>1</sup> მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-8 პუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან (საკუთრების უფლება) და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით (თავისუფალი მეწარმეობის უფლება).

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიზანს არ წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგულირებასთან დაკავშირებული ყველა, მათ შორის, ტექნიკური საკითხების კანონით მოწესრიგება. სასამართლოს განმარტებით, პარლამენტის მიერ უფლებამოსილების დელეგირებამ შეიძლება კონსტიტუციის დარღვევა გამოიწვიოს იმ შემთხვევებში, როდესაც მას საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ კრძალავს ან/და, როდესაც დადგინდება, რომ გარკვეული უფლებამოსილების დელეგირებით, საქართველოს პარლამენტი თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე ამბობს უარს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მარკირების პროცესი არ წარმოადგენს საკითხს, რომლის თითოეული ასპექტის განსაზღვრა მაღალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესის საგანია. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ მარკირების პროცესის მოწესრიგების უფლებამოსილების სხვა ორგანოსათვის გადაცემა არ არღვევს კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს.

მატერიალური თვალსაზრისით კონსტიტუციურ უფლებებთან სადავო ნორმის შესაბამისობა საკონსტიტუციო სასამართლომ თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე შეაფასა. მან გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და მიუთითა, რომ გადასახადების ჯეროვანი ადმინისტრირება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა წარმოადგენენ მნიშვნელოვან ლეგიტიმურ ინტერესებს, რომელთა დასაცავადაც დასაშვებია საკუთრების უფლების თანაზომიერი შეზღუდვა.

სადავო ნორმებით დადგენილი ღონისძიების გამოსადეგობაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნაზე, რომელსაც მოსარჩელე იშველიებდა ინსტიტუტის ხარვეზული ფუნქციონირების დასადასტურებლად. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ დასკვნის შედეგების გაზიარების პირობებშიც კი, პროდუქცია აღირიცხებოდა 99.48% სიზუსტით. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ დასკვნიდან არ ირკვეოდა, რამდენად იყო აღნიშნული ცვლილება გამოწვეული მარკირების აპარატის გაუმართაობით. ამავე დროს, სასამართლომ მიუთითა, რომ პრაქტიკაში გამოვლენილი მარკირების პროცესთან დაკავშირებული ხარვეზები სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობაზე იმ შემთხვევაში მიუთითებს, თუ დადასტურდება, რომ მარკირების აპარატის ამ ფორმით ფუნქციონირება კანონის მოთხოვნაა ან/და ტექნიკურად შეუძლებელია კანონის მოთხოვნების სათანადოდ იმპლემენტაცია და პროდუქციის სრულყოფილად აღრიცხვა. ხსენებულის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეზე არ გამოვლენილა, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული მარკირების ინსტიტუტი გამოდგება პროდუქციის აღრიცხვისათვის და წარმოადგენს გადასახადების ჯეროვანი ადმინისტრირების მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას. სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვის აუცილებლობაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ გააანალიზა მოსარჩელე მხარის მიერ შემოთავაზებული პროდუქციის ალტერნატიული აღრიცხვის საშუალებები, კერძოდ, ვიდეო კონტროლის განხორციელება და თავად მოსარჩელეთა საწარმოო დანადგარებით პროდუქციის აღრიცხვა. სასამართლოს განმარტებით, წარმოების ხაზებზე მოძრავი პროდუქციის რაოდენობიდან გამომდინარე, არარეალური იყო ვიდეო კონტროლის საშუალებით მისი იმავე ეფექტურობით აღრიცხვა. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმების უმთავრეს მიზანს მენარმე სუბიექტებზე ეფექტური გარე კონტროლი წარმოადგენს, რაც სრულად იკარგება მოსარჩელეთა საწარმოო დანადგარების გამოყენების შემთხვევაში.

იმავედროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის შექმნას, რომელსაც მარკირების აპარატით ავტომატურ რეჟიმში მიეწოდება ინფორმაცია ბაზაში რეგისტრირებულ სხვადასხვა მეწარმე სუბიექტთა მიერ წარმოებული პროდუქტის მონაცემების თაობაზე. იმავედროულად, შესაძლებელი უნდა იყოს მარკირებულ პროდუქტზე დატანილი მატრიცის წაკითხვა და მონაცემთა ბაზიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღება. მოსარჩელე მხარეს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია სათანადო მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც ცხადი გახდებოდა, რომ ტექნიკურად, ნაკლები ფინანსური დანახარჯებით შესაძლებელია წარმოების ხაზების იმგვარად მოდიფიცირება, რომ უზრუნველყოფილი იყოს ერთიანი სააღრიცხვო სისტემის ფუნქციონირება. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმებით შექმნილი მარკირების ინსტიტუტი წარმოადგენს საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტურად წარმართვის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მარკირების ნომინალური ღირებულების გადახდის ტვირთის მოსარჩელეთათვის დაკისრებაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, დაადგინოს გადასახადის გადამხდელთა მიერ შესასრულებელ იმგვარ მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია გადასახადების ადმინისტრირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით. თითოეული ამგვარი მოქმედების განხორციელება კი, თითქმის ყოველთვის, მოითხოვს გარკვეულ ფინანსურ დანახარჯს. ბუნებრივია, ამ ხარჯების გაღება უწევს მეწარმე სუბიექტს და ეს გამართლებულია მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მარკირების ნომინალური ღირებულება არის გადასახადების ადმინისტრირებისთვის მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯი იმ განსხვავებით, რომ მეწარმე სუბიექტი უშუალოდ თვითონ არ წარმართავს მარკირების პროცესს. მარკირების საერთო ხარჯის სოლიდურობაზე მითითება არ გამოდგება ფინანსური ტვირთის სიმძიმის გამო სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობის სამტკიცებელად. მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რატომ ხდის მსგავსი ტვირთი პროდუქციის წარმოებას განუზომლად რთულს ან/და მნიშვნელოვნად აზიანებს ინდუსტრიას. მოსარჩელემ უნდა წარმოაჩინოს, რომ სადავო ნორმები არის არა მორიგი რეგულაცია, რომელიც, რა თქმა უნდა, უსიამოვნოა მეწარმისათვის, არამედ სახეზეა უფლებაში იმდენად ინტენსიური ჩარევა, რომელიც არ არის თავსებადი თავისუფალ ბაზართან. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში ამგვარი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სასამართლოს შეფასებით, საქმის განხილვისას არ გამოკვეთილა, რომ მარკირების არსებული პრაქტიკა მნიშვნელოვნად აფერხებს წარმოებას, რაც სცილდება ორდინალურ საწარმოო პროცესს და მნიშვნელოვნად აზიანებს მას. წარმოდგენილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები შეესაბამებოდა საკუთრებისა და თავისუფალი მეწარმეობის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებს.

## საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ

2018 წლის 26 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“ (სარჩელის რეგისტრაციის №665/683), სადაც მოსარჩელე მხარე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული შემოწმების მარეგულირებელ ნორმებს. სადავო ნორმების თანახმად, სრული შემოწმება, მათ შორის, მოიცავდა ბრალდებულისა და მსჯავრდებულის ვალდებულებას, მთლიანად გაეხადა ან გაეშიშვლებინა სხეულის შესაბამისი ნაწილები. ასეთ პროცედურას შესაბამისი პირები ექვემდებარებოდნენ პენიტენციური დაწესებულებიდან გაგზავნისას და მიღებისას, სამართლო ან საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში განთავსებისას; აგრეთვე სხვა შემთხვევებში, დირექტორისა და მის მიერ უფლებამოსილი მოსამსახურეების მითითებისას.

მოსარჩელის მოსაზრებით, პირის გაშიშვლება, უცხო ადამიანის თანდასწრებით, იწვევდა ადამიანის დამცირებას და შეურაცხყოფას. შესაბამისად, მოპყრობის ასეთი ფორმის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში უნდა ყოფილიყო დასაშვები. მოსარჩელე განმარტავდა, რომ აკრძალულ ნივთებს სკანერიც აღმოაჩენდა და, ამდენად, ადამიანის გაშიშვლება ზედმეტად მკაცრ ღონისძიებას წარმოადგენდა. გარდა ამისა, მოსარჩელის მითითებით, სრული შემოწმების ჩატარების საფუძვლები ბლანკეტური იყო და გაშიშვლებაროგორც შემოწმების ფორმა, გამოიყენებოდა დაბალი რისკის პატიმრების მიმართაც, სადაც ამის საჭიროება არ იდგა. მოსარჩელისთვის აგრეთვე პრობლემური იყო დირექტორის გადაწყვეტილებით პირის შემოწმებაც, ვინაიდან შესაბამისი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფდა დირექტორის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკების პრევენციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარის პოზიციით, სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ ადამიანის უფლებას, დაცული იყოს არაჰუმანური, პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან. აგრეთვე, გასაჩივრებული ნორმები არღვევდნენ საქართველოს კონსტიტუციით დაცულ მოსარჩელის თავისუფალი განვითარების უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი) და პირადი ცხოვრების უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები).

მოპასუხე მხარემ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და განაცხადა, რომ სრული შემოწმება ემსახურებოდა პენიტენციური სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანაშაულის ან/და სამართალდარღვევის თავიდან აცილების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, აგრეთვე სხვა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნებს. მოპასუხის განმარტებით, სკანერი ვერ ჩაანაცვლებდა სრული შემოწმების ღონისძიებას, რადგან არსებობს ცალკეული ნივთები/ნივთიერებები, რომელთა აღმოჩენაც სკანერის აპარატით შეუძლებელია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, შემოწმების მიზნით პირის გაშიშვლება, თავისთავად, არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით აკრძალული მოპყრობის ფორმას, თუმცა ასეთი ღონისძიება უნდა გამოიყე-

ნებოდეს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას და უნდა განხორციელდეს იმგვარი წესით, რომ არ გამოიწვიოს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვა. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმები წარმოადგენდა მოპასუხის მიერ დასახელებული მიზნების მისაღწევ, გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. საქმის მიმდინარეობისას დადგინდა, რომ შეუძლებელია, სკანერის მეშვეობით ყველა აკრძალული ნივთის (მათ შორის, ძუის ან ქალაღდის), წარწერისა თუ სხვა ობიექტის აღმოჩენა, რომელთა შეტანა, დამზადება, ბრუნვა საფრთხეს უქმნის პენიტენციურ დაწესებულებაში წესრიგს და სხვათა ჯანმრთელობას.

ამის გარდა, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში აკრძალული ნივთების შეტანის/გატანის და დამზადების საფრთხე ვერ გამოირიცხებოდა ვერც ერთი კატეგორიის ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ. ნებისმიერი კატეგორიის ბრალდებულის/მსჯავრდებულის, ნებით თუ ნების გარეშე, შეიძლება გახდეს დაწესებულებაში ამგვარი ობიექტების ბრუნვის ხელშემწყობი. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, სრული შემოწმების ჩატარების აუცილებლობა ყველა მსჯავრდებულისა და ბრალდებულის მიმართ არსებობდა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გარესამყაროსთან კონტაქტის შემთხვევებში და დაწესებულებაში გადაადგილებისას (სამართლო საკანში მოთავსება) პირის გაშიშვლების დაშვება პასუხობდა კონსტიტუციის მოთხოვნებს.

ამასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ №200 ბრძანება არ განსაზღვრავდა დირექტორისა და მის მიერ უფლებამოსილი მოსამსახურეების მიერ პირის სრული შემოწმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სახელმძღვანელო კრიტერიუმებს, რაც ქმნიდა უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევის რისკებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, №200 ბრძანებით განსაზღვრული დირექტორის და მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით პირის გაშიშვლების უფლებამოსილება სასამართლომ კონსტიტუციის მე-17-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საწინააღმდეგოდ ცნო. ამავე დროს, სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია №116 ბრძანებაში არსებული სრული შემოწმების პრაქტიკულად იგივე საფუძველი იმ მოტივით, რომ შესაბამისი ბრძანება შეიცავდა უფლების დაცვის საკმარის გარანტიებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა პირადი ცხოვრების უფლების და მისი შეზღუდვის კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტების თაობაზე. პირველ რიგში, აღინიშნა, რომ რუტინული შემოწმებები კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლებით არის დაცული. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის სასამართლო დათქმა, ყოველთვის აუცილებელი არ არის ამ უფლებაში ჩარევის დროს. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, პირადი ცხოვრების უფლების სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეზღუდვის მოთხოვნა უკავშირდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების კონტროლს. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა აწესრიგებს ისეთ კონკრეტულ სფეროებს, სადაც ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მუდმივად არსებობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი საფუძველი, რელევანტურობას კარგავს საქართველოს

კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული ფორმალური სასამართლო კონტროლი. განსახილველ საქმეზე დადგინდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში, სადავო ნორმებით განსაზღვრულ შემთხვევებში არსებობდა პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის მუდმივი საჭიროება. შესაბამისად, პირის ყოველ ჯერზე შემოწმებისთვის სასამართლოსადმი მიმართვის აუცილებლობა არ იდგა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ის გარემოება რომ ცალკეულ ურთიერთობებთან მიმართებით არ გამოიყენება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის ფორმალური კრიტერიუმი - სასამართლოს გადაწყვეტილების დათქმა, არ ნიშნავს, რომ ასეთი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები არ დაექვემდებარება მატერიალურ კონსტიტუციურსამართლებრივ სტანდარტებთან მიმართებით შემოწმებას. შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

## **საქართველოს მოქალაქეები – მარინე მიზანდარი, გიორგი ჩიტიძე და ანა ჯიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ**

2018 წლის 27 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - მარინე მიზანდარი, გიორგი ჩიტიძე და ანა ჯიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N1216). საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

სადავო ნორმა გამორიცხავდა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვისკენ მიმართული, კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულების გავრცელებას. სადავო ნორმიდან გამომდინარე, სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლებამოსილება, ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) რელიგიური კონფესიებისთვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა ძეგლის მოვლა-პატრონობის პირობების დარღვევისათვის ან/და მესაკუთრის თანხმობის გარეშე ჩაეტარებინა ძეგლზე გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები.

მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებას, რადგან სახელმწიფო არაჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით. კერძოდ, რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სახელმწიფო არ ავრცელებს ობიექტების დაცვისათვის აუცილებელ კონტროლის მექანიზმებს მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) მიმართ, რაც ვერ უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის ადეკვატურ დაცვას. ამასთანავე, სადავო რეგულირება დისკრიმინაციულია, რადგან აღნიშნული კონტროლის მექანიზმებისგან თავისუფლდება მხოლოდ რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული ძეგლები, ხოლო ყველა სხვა მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) მიმართ მოქმედებს განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი.

მოპასუხემ განმარტა, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების რელიგიურ კონფესიებზე გავრცელება მნიშვნელოვნად შეზღუდავს მათ მიერ რელიგიური დანიშნულების ობიექტების აღმსარებლობისათვის გამოყენებას. ამდენად, მოპასუხე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმა ემსახურება აღმსარებლობის თავისუფლად განხორციელების ხელშეწყობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი სახელმწიფოს უდგენს კონკრეტულ ვალდებულებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კულტურული გარემოს არსებობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს. სახელმწიფო ვალდებულია, კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად შექმნას ისეთი პირობები, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სხვადასხვა გარემო პირობებიდან მომდინარე საფრთხის პრევენციას.

ეს უნდა გამოიხატოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ადამიანთა გარკვეული ქმედებების აკრძალვაში და ამ ქმედების ჩადენისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესებაში. ამასთანავე, დაზიანების შემთხვევაში შეძლებისდაგვარად მოახდინოს ძეგლის რესტავრაცია, რაც მიმართული უნდა იყოს ძეგლის თავდაპირველი იერსახის აღდგენისკენ.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო რეგულირება შეეხება მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. კანონმდებლობით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად ითვლება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ან მოძრავი ობიექტი, რომელსაც ამავე კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი, რაც დაკავშირებულია მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტურობასთან. სასამართლოს განმარტებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონსტიტუციური უფლების უმთავრესი მიზანია, მატერიალური სახის ისტორიული და კულტურული ღირებულების მქონე კულტურულ მემკვიდრეობაზე წვდომის შესაძლებლობა, რასაც თან სდევს სახელმწიფოს ვალდებულება, ეფექტურად დაიცვას აღნიშნული ობიექტები. კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელთა საფუძველზეც ობიექტს ენიჭება კულტურული ძეგლის სტატუსი, არ არსებობს საფუძველი, რომ კანონით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ცნება არ მოექცეს საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში. შესაბამისად, ობიექტები, რომლებზეც ვრცელდება სადავო რეგულირება, დაცულია საქართველოს კონსტიტუციით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ აღმსარებლობის თავისუფლად განხორციელების ხელშეწყობა, ადამიანის რელიგიის თავისუფლების დაცვისკენ მიმართულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს, შესაბამისად, ამ მიზნით, დასაშვებია საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვა. ამასთან, სახელმწიფოს მიერ დაწესებული კონტროლის მექანიზმების გაუვრცელებლობა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ობიექტებზე აძლევს მათ საშუალებას, თავისუფლად ისარგებლონ საკუთარი ქონებით, მათ შორის, დაბრკოლების გარეშე გამოიყენონ იგი რელიგიური რიტუალების აღსასრულებლად. შესაბამისად, სადავო ნორმით დადგენილი რეგულირება წარმოადგენს დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას.

სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის აუცილებლობაზე მსჯელობისას სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობაზე უარს აცხადებს, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც მათი მოვლა რელიგიური რიტუალების აღსრულებას არ ზღუდავს. ამავე დროს, სადავო ნორმა მოქმედებს რელიგიური კონფესიების საკუთრებაში არსებულ კულტურულ ძეგლებზე, განურჩევლად იმისა, გააჩნია თუ არა მას საღვთისმსახურო დანიშნულება. ამდენად, სადავო რეგულირების ბლანკეტური ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლება იზღუდება იმაზე მეტად, ვიდრე საჭიროა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, შესაბამისად, იგი არ აკმაყოფილებს აუცილებლობის მოთხოვნებს და სადავო ნორმა არღვევს ხსენებულ კონსტიტუციურ უფლებას.

სასამართლომ მიუთითა, რომ რელიგიის აღმსარებლობის ხელშეწყობის მიზნით, კანონმდებელმა შეიძლება შექმნას ვიწროდ მიმართული რეგულირება. თუმცა, ამავე დროს,



რელიგიის თავისუფლების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით მიღებული თითოეული ღონისძიების შედეგად დაცული სიკეთე უნდა აღემატებოდეს უფლებისთვის შეზღუდვის შედეგად დამდგარ ზიანს.

სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან შესაბამისობის შეფასებისას სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო რეგულირება ახდენს დიფერენცირებას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მესაკუთრის სტატუსის ნიშნით. რელიგიურ კონფესიებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქმედებისათვის, რომლის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სხვა მესაკუთრის მიერ ჩადენა კანონით დადგენილი წესით ისჯება.

სასამართლოს არგუმენტაციით, ქმედებისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესში შესაძლოა, მხედველობაში იქნეს მიღებული პირის მიერ აღნიშნული ქმედების რწმენის თავისუფლებიდან გამომდინარე ჩადენის ფაქტი. პირი, რომელიც ქმედებას ჩადის რწმენის კარნახით, შესაძლოა, არ იყოს იმ პირის არსებითად თანასწორი, რომლის ქმედებაც არ არის განპირობებული რწმენის თავისუფლებით. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება, რომ სადავო ნორმა მიმართულია უშუალოდ კულტურული მემკვიდრეობის მოვლის ვალდებულების მხოლოდ აღმსარებლობის გამო დარღვევის შემთხვევებზე. შესაბამისად, შესაძარებელი პირები წარმოადგენენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს ამ კონკრეტულ სამართალურთიერთობაში.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დიფერენცირება არ ხდებოდა კლასიკური ნიშნით და არ ხასიათდებოდა მაღალი ინტენსივობით, შესაბამისად, მისი კონსტიტუციურობის შეფასებისას გამოიყენა რაციონალური დიფერენციაციის ტესტი. დიფერენცირების რაციონალურობის შეფასებისას სასამართლომ მიუთითა, რომ რელიგიური რიტუალების ჩატარების ხელშეწყობისათვის სახელმწიფოს მიერ რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ზოგადი ვალდებულების სრულად გამორიცხვა არა მხოლოდ აუცილებლობის მოთხოვნებს არ პასუხობს, არამედ ასევე არაგონივრულია და ვერ აკმაყოფილებს რაციონალური დიფერენციაციის ტესტის მოთხოვნებს. ამდენად, სასამართლომ დაადგინა სადავო ნორმების საფუძველზე კანონის წინაშე თანასწორობის უფლების დარღვევა.

## საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2018 წლის 30 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1282), რომლის დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების „ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება“ იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის.

მოსარჩელე მხარე განმარტავდა, რომ მარიხუანის მოხმარება არ წარმოადგენს საზოგადოებრივი საფრთხის მატარებელ ქმედებას. მარიხუანის მოხმარებით ზიანი შეიძლება მიადგეს მხოლოდ მომხმარებლის ჯანმრთელობას, რომელიც თავადვე იქნება პასუხისმგებელი დამდგარ შედეგზე. ამასთან, მარიხუანის მოხმარება არ უქმნის მნიშვნელოვან რისკებს ადამიანის ჯანმრთელობას. მოსარჩელეთა აზრით, ისეთი ქმედების აკრძალვას, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავისკენ არის მიმართული და არ იწვევს საზოგადოებისთვის საშიშ შედეგებს, არ გააჩნია ღირებული საჯარო ინტერესი. მათი პოზიციით, მარიხუანის მომხმარებლის დასჯა მხოლოდ მორალისტური და პატერნალისტური არგუმენტებით ეწინააღმდეგება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას.

მოპასუხე მხარემ აღნიშნა, რომ სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზნებს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვა - როგორც ცალკე ინდივიდების, ასევე მთლიანი მოსახლეობის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთა განცხადებით, მარიხუანის მოხმარება საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის და აუცილებელია მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის დაცვა მარიხუანის მოხმარებისგან მომდინარე ჯანმრთელობისთვის საზიანო შედეგებისგან. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებითაც, რომ მარიხუანის მოხმარებამ შესაძლოა გაზარდოს სხვა სამართალდარღვევების ჩადენის რისკი. ამასთან, მოპასუხე მხარე მიიჩნევდა, რომ მარიხუანის მოხმარება ასრულებს ერთგვარი კარიბჭის როლს სხვა, უფრო მძიმე, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისთვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ გართობისა და განტვირთვის მიზნით მარიხუანის მოხმარება წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ სფეროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად შეაფასა სადავო ნორმიდან გამომდინარე რეგულირების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე მხარეს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია სათანადო ინფორმაცია, სარწმუნო კვლევები, რომლებიც დამაჯერებლად მიუთითებდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობაზე მარიხუანის მოხმარებასა და სხვა სამართალდარღვევათა ზრდას შორის. ვერ დადასტურდა, რომ მარიხუანის ბემოქმედების ქვეშ ან აბსტინენციის მდგომარეობაში ყოფნა ქმნიდა პირის მიერ დანაშა-

ულის ჩადენის ან/და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მომეტებულ საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მარიხუანის მოხმარების აკრძალვა არ ემსახურებოდა სხვა სამართალდარღვევის ჩადენის პრევენციას. ამასთან, საქმეზე არ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ მარიხუანა, თავისი ბიოლოგიური თუ ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე, იწვევს სხვა ნარკოტიკულ საშუალებებზე მოთხოვნილების ჩამოყალიბებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმიდან გამომდინარე რეგულირება არ წარმოადგენდა სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრევენციისთვის გამოსადეგ საშუალებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მარიხუანის მოხმარება გარკვეული სახის ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, რის გამოც, დასახელებული ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადება წარმოადგენს, ერთი მხრივ, მისი მომხმარებლის, ხოლო, მეორე მხრივ, მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმური მიზნების მიღწევის გამოსადეგ საშუალებას. მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესთან მიმართებით სასამართლომ განმარტა, რომ მარიხუანის მოხმარება არ აყენებს სერიოზულ ზიანს ადამიანის ჯანმრთელობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს, მოცემულ შემთხვევაში, არ წარმოეშობა პოზიტიური ვალდებულება, ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადების გზით დაიცვას პირი საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებისგან. სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმა ვერ აყალიბებდა სამართლიან ბალანსს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასა და მისი ჯანმრთელობის დაცვის ინტერესს შორის.

საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ ინტერესთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ მარიხუანის ყველა მომხმარებლის ქმედება, ერთად აღებული, უთუოდ ხელს უწყობს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვას და, შესაბამისად, ზრდის რისკებს მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ მარიხუანის მოხმარების ინდივიდუალური ფაქტის მიმართ გამოყენებული რეაგირების ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს თავად მოხმარების ამ ერთ კონკრეტულ ფაქტთან უშუალოდ დაკავშირებულ საფრთხეს და არა იმ საფრთხეებს, რომლებიც წარმოიშობა ერთად აღებული ყველა მომხმარებლის ქმედებიდან. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მარიხუანის მოხმარება, სხვა დასჯადი ქმედებებისგან განსხვავებით, არ წარმოშობს მისი გასაღების ჰიპოთეტურ რისკსაც კი და, შესაბამისად, არ არსებობს ამ გზით სხვა პირთა ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მარიხუანის მოხმარების სრული და ბლანკეტური აკრძალვა არ იყო აუცილებელი სხვა პირთა უფლებების ან/და საჯარო წესრიგის დასაცავად და, შესაბამისად, სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 35-ე პუნქტში მიუთითა იმ შესაძლო შემთხვევებსა და გარემოებებზე, როდესაც მარიხუანის მოხმარების კონკრეტული ფაქტი ქმნის საფრთხეებს მესამე პირებისთვის. სასამართლომ მარიხუანის მოხმარებისთვის პასუხისმგებლობის დაწესება კონსტიტუციურად მიიჩნია მაშინ, როდესაც აღნიშნულ ქმედებას ადგილი აქვს სასწავლო, სააღმზრდელო და სა-

განმანათლებლო დაწესებულებებში, ზოგიერთი სახის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე (საზოგადოებრივ ტრანსპორტში, არასრულწლოვანთა თანდასწრებით და ა.შ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა №1282 კონსტიტუციური სარჩელი და საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 35-ე პუნქტში მითითებული გარემოებების არარსებობისას ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალება-მარიხუანის მოხმარებისთვის.



